ენათმეცნიერების საკითხები

ISSN 1512-0473

2016

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ენათმეცნიერების საკითხები

ISSUES OF LINGUISTICS

2016

უნივერსიტეტის
გამომცემლობა

სარედაქციო საბჭო:
ვ. ბოედერი, ი. გიპერტი, დ. თვალთვაძე, ბ. უტიე,
ჰ. ფენრიხი, მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე, ა. ჰარისი

EDITORIAL COUNCIL:
W. Boeder, Z. Chumburidze, H. Fähnrich, J. Gippert,
A. Harris, B. Outtier, M. Shanidze, D. Tvaltvadze

სარედაქციო კოლეგია:
თ. გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი),
ი. ლეჟავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
რ. ასათიანი, თ. ბოლქვაძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ივანიშვილი,
დ. მელიქიშვილი, ე. სოსელია, ლ. ქეცბა-ხუნდაძე, პ. ცხადაია, მ. ჯიქია

EDITORIAL BOARD:
Th. V. Gamkrelidze (Editor-in-Chief),
I. Lezhava (Deputy Editor-in-Chief),
R. Asatiani, T. Bolkvadze, N. Gaprindashvili, M. Jikia, M. Ivanishvili,
L. Ketsba-Khundadze, D. Melikishvili, E. Soselia, P. Tskhadaia

ჟურნალი დაარსებულია 1999 წელს ***თამაზ გამყრელიძისა*** *და*
ზურაბ სარჯველაძის *მიერ*

The journal was founded in1999 by ***Thomas V. Gamkrelidze***
and ***Zurab Sarjveladze***

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2017
© Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2017

ISSN 1512-0473

ეძღვნება ბაქარ გიგინეიშვილის დაბადებიდან 85 წლისთავს

Dedicated to the 85th birth anniversary of Bakar Gigineishvili

ბაქარ გიგინეიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია

1953

1. მასდარი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა XV სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, 20-27 აპრილი, თბილისი 1953, გვ. 176.

1954

2. რამდენიმე შენიშვნა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", №107, 7 სექტემბერი, 1954.

1955

3. მასდარი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, №7, თსუ გამომცემლობის სტამბა, თბილისი 1955, გვ. 193-209.

1956

4. **რისუვა** სიტყვის აგებულებისათვის, თსუ სტუდენტთა XVIII სამეცნიერო კონფერენცია, თეზისები, 5-12, აპრილი, თბილისი 1956, გვ. 100.

1957

5. ასპექტის კატეგორია ბაცბურ ენაში, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა მერვე სამეცნიერო კონფერენცია, 10-14 დეკემბერი, თბილისი 1957, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თსუ გამომცემლობა, გვ. 71-72.

1958

6. **რისუვა** სიტყვის აგებულებისათვის, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, №8, 1958, თსუ გამომცემლობა, თბილისი გვ. 225-230.

1959

7. ასპექტის შესახებ უდურ ენაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XI, 1959, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, გვ. 361-383, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 383).

1963

8. **„-ოდ"** ელემენტის შემცველი ერთი ზმნური ფუძის აგებულებისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის V სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 29-30 ნოემბერი, 1963, თბილისი გვ. 7-8.
9. ლაკური ენის კონსონანტიზმის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები (ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია), ტ. 96, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1963, გვ. 37-78, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 77-78).
10. Консонантизм лакского языка, автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук, ТГУ, Тбилиси 1963, 24 გვ.

1964

11. **„-ოდ“** ელემენტის შემცველი ერთი ზმნური ფუძის აგებულებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 34 (№1), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1964, გვ. 213-220, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 219).
12. **ჯაჭვი**-სა და **ძეწკვი**-ს მიმართებისათვის, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის VI სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი 1964, გვ. 7-8.

1965

13. **ჯაჭვი**-სა და **ძეწკვი**-ს ურთიერთმიმართებისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 38 (№3), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 1965, გვ. 739-743, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 742).

1966

14. რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი, კრებული: შოთა რუსთაველი – ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1966, გვ. 149-159 (ც. კიკვიძის თანაავტორობით).

1967

15. დაღესტნური ფუძე-ენის მყღერი აფრიკატები (რეკონსტრუქციის ცდა), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), №1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1967, გვ. 202-217.
16. ეტიმოლოგიური შენიშვნები ბიბლიის ქართული თარგმანების ლექსიკის გამო (**ნუშ**-ი, **ნიკელ**-ი). – ხელოვნების ინსტიტუტის IX სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი 1967, გვ. 9-10.
17. რედაქცია და წინასიტყვაობა უ. მიქაილოვის წიგნისა «Арчинский язык» (Махачкала).

1968

18. Общедагестанские ***l** и ***r**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.49 (№1), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1968, გვ. 243-248, რეზიუმე ქართულ ენაზე (გვ. 247-248).

1969

19. К вопросу о лабиовелярных согласных в лакском языке, თბილისის უნივერსიტეტი – გიორგი ახვლედიანს, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1969, გვ. 207-214.

1970

20. Общедагестанская система взрывных согласных, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო), №4, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1970, გვ. 177-190.
21. საერთო-დაღესტნურ მჟღერ ანტერიორულ ხშულთა სპირანტიზაცია ლეზგიური ჯგუფის ენებში, თსუ ფილოლოლოგიის ფაკულტეტის XIII სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი 6-14 აპრილი, 1970, გვ. 30.

1971

22. შესაქმის, გამოსლვათა და ლევიტელთა წიგნების ქართული ვერსიები, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1971, გვ. 29-44, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 45) (ც. კიკვიძის თანაავტორობით).
23. Придыхательные аффрикаты общедагестанского языка (Опыт реконструкции), თბილისის უნივერსიტეტის შრომები, №1 (138), ჰუმანიტარული მეცნიერებანი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1971, გვ. 69-81, რეზიუმე ქართულ ენაზე (გვ. 81).

1972

24. ქართველური ეტიმოლოგიები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1972, გვ. 150-154.
25. Сравнительная реконструкция и вопрос о вариабельности в языке-основе, Вопросы языкознания, №4, 1972, გვ. 48-52.
26. ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, წიგნში „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1972, გვ. 261-266.

1973

27. [ვა], [ᲨᲐ], [ვე], [ᲨᲔ] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1973, გვ. 73-84, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 84) (ზ. სარჯველაძის თანაავტორობით).
28. სოლომონის იგავთა ქართული რედაქციები, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1973, გვ. 51-60, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 61)
29. ხმოვანთა სიგრძე და აუსლაუტის საკითხი სვანურში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1973, გვ. 149-156.
30. Общедагестанский консонантизм, Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора филологических наук, ТГУ, кафедра общего языкознания, издательство «Мецниереба», Тбилиси 1973, 38 გვ.

31. А.Е. Кибрик, С.В. Кодзасов, И.П. Оловянникова, «Фрагменты грамматики хиналугского языка», – Изд-во Московского университета, 1972, 379 стр. (რეცენზია) Вопросы Языкознания, № 5, 1974, Издательство «Наука» Москва, стр. 148-150.

1975

32. Изменение общедагестанских интенсивных глоттализованных аффрикат в даргинском языке, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №4, თბილისი 1975, გვ. 158-164.
33. ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1975, გვ. 115-124.

1976

34. ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თჳსისა, რეცენზია ზ. სარჯველაძის წიგნისა „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, ცისკარი, №8, აგვისტო, თბილისი 1976, გვ. 135-139.
35. Падежная система общедагестанского языка в свете общей теории эргативности, Вопросы языкознания, №1, 1976, Издательство «Наука», Москва, стр. 31-39.

1977

36. Сравнительная фонетика дагестанских языков, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1977, 165 გვ.

1978

37. გივი მაჭავარიანი და ლინგვისტური მეცნიერება, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №2, 1978, გვ. 124-130.
38. ნანათესაობითარი მიმართულებითისა და ნანათესაობითარი დანიშნულებითის ადგილი ძველი ქართულისა და ქართველური ენების ბრუნვათა სისტემაში, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №6, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1978, გვ. 123-135, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 136) (ზ. სარჯველაძის თანაავტორობით).
39. Реконструкция основных силлабических типов именных основ общедагестанского языка, конференция «Проблемы Реконструкции» (тезисы докладов), Москва 1978, стр. 18-19.

1979

40. ეტიმოლოგიური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979, გვ.77-83, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 83).

41. ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა, საენათმეცნიერო კრებული, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979, გვ. 52-61, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 61).
42. შესავალი, III. ტექსტისათვის, კრებულში: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა, ტომის რედაქტორი მზექალა შანიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979, გვ. 45-54.
43. შესავალი, IV. ძეგლის ენის საკითხები, კრებულში: შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა, ტომის რედაქტორი მზექალა შანიძე, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979, გვ. 55-64.

1980

44. „სახისმეტყველის“ ქართული თარგმანის ერთი ადგილის გაგებისათვის, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №7, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980, გვ. 123-126, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 126).
45. ერთი ნიმუში ს.ს. ორბელიანის ტექსტოლოგიურ-რედაქტორული მუშაობისა ძველი აღთქმის ქართულ თარგმანზე, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №8, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980, გვ. 9-19, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 19).
46. ჰანს ფოგტი 75 წლისაა, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №7, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1980, გვ. 200-202.

1981

47. კაუზატივის ფუნქციადაკარგული სუფიქსი ზმნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №9, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1981, გვ. 66-74, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 74).
48. მასალები ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1981, გვ. 126-138, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 138).
49. Zur Etymologie des swanischen Verbs **xwäsw**, Georgica, Heft 4, Verlag der Staatlichen Universität Tbilissi, Jena – Tbilissi 1981, გვ. 74-76.
50. Die Reichenfolge der Kompositionsglieder in der Khartwelischen Grundsprache, – V Internationale Konferenz für Historische Sprachwissenschaft, Galway, Ireland, S. 20-21.

1982

51. **მრ** კონსონანტური ჯგუფის სუპერაციისათვის ჭანურის ათინურ კილოკავში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1982, გვ. 120-123, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 123).

1983

52. ერთი სემანტიკური უნივერსალიის შესახებ (ძვ. ქართ. **თუალი**, **მზისთუალი**), მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №10, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1983, გვ. 88-97, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 96-97)
53. თუკი გაქვს სათქმელი... (ინტერვიუ, სტატიის ავტორი მარინე ვაშაყმაძე), გაზ. „თბილისი“, №65, 19 მარტი, 1983, გვ. 2-3.

1984

54. დამატებანი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკურ ფონდში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245 (ენათმეცნიერება №8), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1984, გვ. 30-51, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 50-51)
55. ეტიმოლოგიური ძიებანი, საენათმეცნიერო კრებული, №1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1984, გვ. 67-71.
56. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია წიგნზე „ხანმეტი ტექსტები“, ნაკვ. I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, „მეცნიერება“, 1984; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), №3, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1984, გვ. 185-192.

1985

57. ზოგი ეთნოგრაფიული ტერმინის წარმომავლობისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №1, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1985, გვ. 56-63, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 63).
58. ომისა და მშვიდობის ამსახველი ზოგი ტერმინი ქართულში, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3-4, თბილისი 1985, გვ. 43-53.

1986

59. მე-18 საუკუნის წოვათუშური მინაწერი ქართულ ხელნაწერზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 267 (ენათმეცნიერება №10), თსუ გამომცემლობა, თბილისი 1986, გვ. 66-83, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 82-83).

1987

60. სხივმოსილი მოძღვარი, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №19-20, 18 ივნისი, 1987, გვ. 3.
61. ქართველურ ენათა ბგერათშესატყვისობიდან (ქართ. **თ**: ზან. **თ**: სვან. **შდ**), აკაკი შანიძე – 100, საიუბილეო კრებული, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1987, გვ. 52-60, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 59-60).
62. ძველი ქართული ენის გრამატიკიდან, მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, №14, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1987, გვ. 80-94, რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 94).

63. წყاროსთუალი სიბრძნისაი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №25, 19 ივნისი, 1987, გვ. 14.
64. Der Präsensstamm in der gemeinkartwelischen Grundschprache, Georgica, Heft 10, Verlag der Staatlichen Universität Tbilissi, Jena – Tbilissi, 1987, გვ. 7-13.

1988

65. „მოქცევაი ქართლისაი“-ს ქრონოლოგია, მნათობი, №8, თბილისი 1988, გვ. 134-144.
66. „უხარინ ჭეშმარიტებასა თანა“ – ეროვნული ტაძრის ქურუმები, გაზ. „თბილისი“, №233, 11 ოქტომბერი, 1988, გვ. 4.
67. ხალხური ლექსის ძირებთან, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №18, 29 აპრილი, 1988, გვ. 14.

1989

68. ხუთწიგნეულის ქართული ვერსიები, – წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი 1: შესაქმისაჲ, გამოსლვათაჲ, ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1989, გვ. 5-58.

1990

69. ჩრდილოკავკასიელ ხალხთა ისტორიული განსახლების პრობლემა ენობრივ მონაცემთა მიხედვით, გაზ. „სახალხო განათლება“, №23, 7 ივნისი, 1990, გვ. 14-15.
70. Etymologische Untersuchungen aus dem Bereich der Lexik der Kartwelsprachen, Georgica: Zeitschrift für Kultur, Sprache und Geschichte Georgiens und Kaukasiens, Heft 13/14, Universitäts Verlag Konstanz, Konstanz 1990/91, გვ. 7-12.

1992

71. გივი მაჭავარიანი, ჟურნ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, №1/2, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1992, გვ. 33-41.

1996

72. კაუზატივი და „პოტენციალისი“ ქართულში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, 28-31 მაისი, 1996, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავს, თსუ გამომცემლობა, თბილისი გვ. 25-26.
73. მოგონებათა მოგონება ანუ გამოგონება ([გ. ბურჭულაძის „მოგონებათა ფრაგმენტები“, „ბურჯი ეროვნებისა“, №3(8), 1996], გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, №4 (9), აპრილი, 1996, გვ. 18.

1997

74. ზოგი ქართველური სიტყვა-ფორმის რეკონსტრუქციისათვის, ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1997, გვ. 85-95.
75. ძველი ქართული ენის ტაბულები (საშუალო სკოლისათვის), შეადგინა ბაქარ გიგინეიშვილმა, პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტი, თბილისი 1997, 62 გვ.

1999

76. ზღვაოსნობის ტერმინოლოგია ქართველურ ენებში, მესამე საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასალები, ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1999, გვ. 129-136, რეზიუმე ინგლისურ ენაზე (გვ. 136).

2001

77. „ლამბდაიზმი“ ქართველურ ენებში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, კრებული, ტ. 30, თსუ გამომცემლობა, თბილისი 2001, გვ. 17-25.

2016

78. ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა – მ), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გამომცემლობა, თბილისი 2016, 390 გვ.

ძველი ქართული ტექსტები:

1. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ელგუჯა გიუნაშვილმა, ტომის რედაქტორი მზექალა შანიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1979, 427 გვ.
2. წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი:
   ა. ნაკვეთი 1: შესაქმისაჲ, გამოსვლათაჲ, გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1989, 640 გვ.
   ბ. ნაკვეთი 2: ლევიტელთაჲ, რიცხუთაჲ, მეორისა სჯულისაჲ, გამოსაცემად მოამზადეს ილია აბულაძემ, ბაქარ გიგინეიშვილმა, ნარგიზა გოგუაძემ და ციალა ქურციკიძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1990, 513 გვ.
3. გელათური ბიბლიის კატენები, გამოსაცემად მოამზადეს და შენიშვნები დაურთეს ბაქარ გიგინეიშვილმა და გიორგი თოდუამ, რედაქტორი ედიშერ ჭელიძე, საეკლესიო ბიბლიოთეკა – ძველი ქართული თარგმანები I, გამომცემლობა „ახალი ივირონი“, თბილისი 2011, 696 გვ.

ბაქარ გიგინეიშვილი

კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში

ქართულში რამდენსამე ზმნურ ფორმას აქვს შესაძლებლობის მნიშვნელობა. ეს ფორმებია: **ისმევა/ესმევა**, **იჭმევა/ეჭმევა**, **ჩაიცმევა**. მათ ა. შანიძე ვნებითი გვარის ფორმებად მიიჩნევს და „შესაძლებლობის ვნებითს“ ან „ვნებითის პოსიბილიტივს“ უწოდებს. ამასთანავე აღნიშნავს, რომ „შესაძლებლობის ვნებითი“ მიუთითებს მოქმედების შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა ან ფიზიკური ხასიათისაა, ან გულისხმობს, რომ მოქმედება დაშვებულია, მიღებულია, ნებადართულია, აკრძალული არ არის“.[1] ა. ჩიქობავა ამგვარ ფორმებს „პოტენციალისს“ უწოდებს და ზოგადად მიუთითებს იმაზე, რომ პოტენციალისი შესაძლებლობას გამოხატავს. რა ხასიათისაა ეს შესაძლებლობა, ამაზე არაფერია ნათქვამი.[2]

რადგან ა. ჩიქობავა მხოლოდ ისეთ ზმნებს განიხილავს, რომლებიც მხოლოდ „დასაშვებ“ ან „დაუშვებელ“ მოქმედებაზე მიუთითებენ, ტერმინი „პოტენციალისი“ ნაკლებ შესაფერისი ჩანს: აქ ფიზიკური პოტენცია არ იგულისხმება. მეორე მხრივ, ა. შანიძე „შესაძლებლობის ვნებითში“ აერთიანებს ისეთ ფორმებსაც, რომლებიც ფიზიკურ პოტენციას გულისხმობენ (მდინარე... არ **გაისვლება**, აღარ **გვეცხოვრება**, შინ აღარ **დამედგომება**, შუბი ხალთაში არ **დაიმალება**). ასეთი ზმნები მხოლოდ ამა თუ იმ კონტექსტში იძენენ პოტენციალისის მნიშვნელობას, ძირითადად კი ჩვეულებრივი „ვნებითებია“. უარყოფითი **არ** ნაწილაკი ამგვარ ფორმებში ძირითადი საშუალებაა პოტენციალისის კონოტაციის გამოსავლენად. იგივე უნდა ითქვას **ისმება**, **იჭმება**, **ჩაიცმება** ფორმებზე, რომელთა ძირითადი მნიშვნელობა განსხვავებით **ისმევა**, **იჭმევა**, **ჩაიცმევა** ფორმათაგან, არ უკავშირდება არც პოტენციალისს, არც პოსიბილიტივს. ამის გამო ჩვენ ტერმინს „პოსიბილიტივი“ ვიყენებთ მხოლოდ **ისმევა**, **იჭმევა** ტიპის ზმნებისათვის, რომელთათვის ნიშანდობლივია **ზოგადობა**, **ზედროულობა** და **დასაშვებობა** (**ნებადართულობა**). **ისმევა**, **იჭმევა**, **ჩაიცმევა** ზმნებს მოეპოვებათ ორპირიანი კორელატებიც: **ესმევა**, **ეჭმევა**, **ჩაეცმევა**. პოსიბილიტური ფორმები შეიცავენ **-ევ** სუფიქსს, რომელიც დართულია პირველი სერიის თემაზეც. მათ ზოგჯერ წინ უძღვის თემატური აფიქსი **-ამ/მ**. ამ ფორმებს არ მოეპოვებათ II და III სერიის შესატყვისი ფორმები. ისინი I სერიით იფარგლებიან.

---

[1] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბილისი 1953, გვ. 299-300.

[2] ა. ჩიქობავა, ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან, II, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი 1937, გვ. 32-37.

რამდენადაც ხსენებულ ზმნებში **-ევ** სუფიქსი თემატურ ნიშანს არ წარმოადგენს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის წარმოშობით კაუზატივის მორფემაა, გადმოყოლილი შესაბამისი გარდამავალი ზმნის ფორმათაგან. მაშასადამე, **იჭმევა/ეჭმევა**, **ისმევა/ესმევა** და **ჩაიცმევა** წარმოადგენენ **ა-ჭმ-ევ-ს**, **ა-ს-მ-ევ-ს**, **ჩა-ა-ც-მ-ევ-ს** კაუზატიურ ფორმათა კონვერსიულ სახეობებს. მსგავსი მოვლენა – კაუზატივის აფიქსის გადასვლა შესაბამისი ზმნის გარდაუვალ ფორმებში, სადაც ის უფუნქციოა, – დასტურდება **-ინ**-ით ნაწარმოებ კაუზატივებთანაც: **შე-ე-შ-ინ-ა** (შდრ. **ა-შ-ინ-ებ-ს**), **და-ი-ძ-ინ-ა** (შდრ. **და-ა-ძ-ინ-ა**), ძვ. ქ. **აღ-ე-ტყ-ინ-ა** (შდრ. **აღ-ა-ტყ-ინ-ა**) და სხვა.[3] მაშასადამე, **'ისმევა'** ტიპის პოტენციალისათვის ამოსავალია **ა-ევ** ცირკუმფიქსით ნაწარმოები კაუზატივი.

ა-ევ ცირკუმფიქსით ნაწარმოები კაუზატივი ძველ სალიტერატურო ქართულში საკმაოდ პროდუქტიულია. დისტანტურ-კაუზატიური მნიშვნელობის მქონე ზნური ფორმები ვრცლად არის წარმოდგენილი ზ. სარჯველაძის ნაშრომში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი", მათ შორის **ა-ევ** ცირკუმფიქსით ნაწარმოებიც, რომელთაც ავტორი რატომღაც მიჯნავს **ა-ი** წარმოების ფორმათაგან.[4]

ა-ევ ცირკუმფიქსი დისტანტური კაუზატივისა სრული სახით წარმოდგენილია მხოლოდ ორ ზმნასთან: **ა-თქუ-მ-ევ-ნ** (ნამყო უსრული ა-თქუ-მ-ევ-დ-ა), **ა-ქმნ-ევ-ს** (მრ. რ. ა-ქმნ-ევ-ენ, ნამყო უსრული ა-ქმნ-ევ-დ-ა).[5] მაგრამ **ა-ევ** მორფემის ა-ი (< ა-ივ) ვარიანტი გვაქვს გაცილებით მეტ შემთხვევებში: **და-ვ-ა-წერ-ი-ე**, **მ-ა-წერ-ი-ებ-დ-ე**, **თაყუანის-ა-ცემ-ი-ა**, **მო-ვ-ა-კლ-ვ-ი-ო**, **შე-ა-მოს-ი-ო-ს**, **ა-თქუ-მ-ი-ეს**, **ასრ-ი-ნ-ა**, **მ-ა-ზღვ-ი-ა**.[6]

ა-ევ ცირკუმფიქსით ნაწარმოები ზოგი ფორმის გამოვლენა შესაძლებელია კონტაქტურ-კაუზატიური მნიშვნელობის ფორმებში. წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს.

1. ა-რბ-ევ-ს, რბ-ევ-ა

დღეს ამ ზმნას სრულიად სხვა მნიშვნელობა აქვს. XI-XIII სს-ში ის „რბენინებას" ნიშნავდა:

იგინიცა მის თანავე ასხდიან ჰუნეთა და **არბევედ** გარემო მისსა (ბალ. 124,27); **რბევასა** ზედა და ცხენთა დგენასა დაეცა (A-1105, 39 4v).

საშ. ქართ. რბევა:

კაცი ვინმე ცხენსა ჯდა და **მოარბევდა** (ამირანდარ. 34,7); ძმაო, რად **არბევ** ცხენსა ესდენ ფიცხლად? (ამირანდარ. 43,21); შეუტივეს ცხენებითა... და **არბი-**

---

[3] იხ. ბ. გიგინეიშვილი, კაუზატივის ფუნქციადაკარგული სუფიქსი ზმნათა ერთ წყებასთან ძველ ქართულში, „მრავალთავი" IX, თბილისი 1981, გვ. 66-74.

[4] ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი 1981, გვ. 470-473.

[5] იქვე გვ. 471.

[6] იქვე, გვ. 471-472.

ვეს დღისა სავალი (ამირანდარ. 4,1); რა გაემართის, არ იცის, მას თუ **არბევდის** ცხენი სად (ვეფხ. 832,4); ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი **რბევა** (ვეფხ. 13,1); ვიდრემდინა ლაღობისა მოედანსა შიგან ცხენისა **რბევა** შენი? (ვისრ. 172, 16).

2. შე-მშ-ევ-ა

ერთი შეხედვით „მცდარი“ ფორმა **გუმშეოდის** არის დადასტურებული ოშკის ბიბლიაში:

არღარა ვიხილოთ ბრძოლაც და ჴმაჲ ნესტჳსაჲ არა **გუესმოდის** და პურითა არღარა **გუმშეოდის** (იერ. 42,14(0). იერუსალიმური ნუსხა **გუმშიოდის** ფორმას გვიჩვენებს.

გუ-ე-მშ-ე-ოდ-ი-ს ისეთივე კანონიერი ფორმაა, როგორიც **შე-გუ-ე-მშ-ე-ოდ-ი-ს** და ნიშნავს „მოგვშივდება“. მეორე სერიის ფორმებში **ე** სუფიქსს ენაცვლება **ი**: **მო-გუ-ე-მშ-ი-ო-ს** (შდრ. **მო-გ-ემშ-ი-ო-ს** – A-1105, 117r). **-ე** სუფიქსი **გუემშეოდის** ფორმაში მიღებულია **ევ**-ისაგან და კაუზატიური ფორმიდან არის გადმოყოლილი. ასეთი უნდა ყოფილიყო ***ა-მშ-ევ-ს**. მეორე სერიის ფუძე **მშ-ი** (<***მშ-ივ**) გადასული ჩანს სტატიკური მნიშვნელობის ფორმაში **მ-მში-ი-ს**. ნაცვლად მოსალოდნელი ტრიადისა ***ა-მშ-ევ-ს** – ***ი-მშ-ევ-ი-ს** – ***ჰ-მშ-ევ-ი-ს** ძველ ქართულში ფიქსირებულია მხოლოდ **ე-მშ-ე-ოდ-ი-ს** (წყვეტილი: **შე-ე-მშ-ი-ა**) – **ჰ-მში-ი-ს**.

ამშევს ფორმა შემონახული ჩანს ახალ ქართულში, ისევე როგორც შესაბამისი – **ა-მშ-ი-ა/და-ა-მშ-ი-ა**.

3. შე-წყულ-ევ-ა

კაუზატივის **-ევ** სუფიქსი უნდა იყოს დაცული მასდარის ფორმაში **შე-წყულ-ევ-ა**:

ხოლო ყრმამან მან გულისჴმა-ყო იჭჳთ **შეწყულევა**ჲ მისი ქალაქსა მას შინა (ბალ. 19,9); რამეთუ იგუემაცა და მრავალი შრომაჲ დაითმინა და საპყრობილედ **შეწყულევა**ჲ და კიცხევაჲ და ბასრობაჲ (ი.-ე. 52,30).

-ევ სუფიქსის კვალი გვაქვს მიმღეობაში **წყულ-ე-ულ** (A-1105,82v), სადაც **ვ** დაკარგულია უ-ს წინ.

ეგევე **-ევ** წარმოდგენილია ახლებურად (მეშველი ზმნით) ნაწარმოებ პირველი თურმეობითის ფორმაში **შე-უ-წყულ-ევ-ი-ვარ** (ბალ. 20,28). **-ევ**-ის მონაცვლე **-ი** წარმოდგენილია **ა-ი** ცირკუმფიქსით ნაწარმოებ ფორმაში **შე-ა-წყულ-ი-ა** (A-1105,94v). ეგევე **-ი** გვეგულება ფორმაში **წყულ-ი-ად-ი**, რომელიც ეტიმოლოგიურად უნდა ნიშნავდეს „მოწყვეტილს“, „მოწყვეტადს“ (გარემოსაგან). **წყულ-ევ-** კაუზატიური ფუძის არაკაუზატიური კორელატი გვეგულება **წყულ-** ფუძეში, რომელიც ნიშნავს „კვდომას“, ეტიმოლოგიურად – „მოწყვეტას“ (სიცოცხლისაგან).

4. მი-ა-ქც-ევ „მიაბრუნებ“, მი-ვ-ა-ქც-ევთ „მივაბრუნებთ“

ჰრქუა მას მონამან მან: უკუეთუ არა ინებოს დედაკაცმან მან მოსლვად ჩემ თანა შემდგომად ქუეყანასა ამას, **მივაქციოა** ძᲩ შენი ქუეყანასა მას, ვინაჲ გამოხუედ შენ? ჰრქუა მას აბრაჰამ: ეკრძალე თავსა შენსა, ნუ **მიაქცევ** ძესა ჩემსა მუნ (შეს. 24,5-6); ნუმცა **მივაქცევთ** მართ-უკუნ ამიერითგან, Ჭ თანამოღუაწენო ჩვენნო, ნუმცა **მივაქცევთ** ეშმაკისა (სინ.მრ. 120,8-9).

ასეთივე ფორმები იწარმოება **გარდააქცევ**, **მოქცევა**, **შეექცევა**, **წარქცევა** ზმნათაგან. **ა-ევ/ა-ი** მოდელით ნაწარმოები კაუზატივის საყრდენია **ქც/ქეც-** ძირი, რომელიც გვხვდება **-ევ** სუფიქსის გარეშეც: **მ-ი-ქეც**, **მი-ი-ქც-ა**, **მი-ი-ქც-ეს**. ამგვარი ფორმების აწმყო და მისგან ნაწარმოები მწკრივები წარმოგვიდგენენ **ქცევ-** ფუძეს, რომელიც გადმოსულა შესაბამისი კაუზატიური ფორმებიდან (**მი-ი-ქც-ევ-ის**, **მი-ი-ქც-ე-ოდ-ე** და სხვა).

5. ა-კუმ-ევ-ს „აბოლებს“, კუმ-ევ-ა „აბოლება“

კუმ-ი-ს, **კუმ-ოდ-ა** ზმნათა ფუძისაგან **ა-ევ** ყალიბით ნაწარმოებია ისტორიულად კაუზატიური მნიშვნელობის ფორმები: მბრძანებელნი და მფლობელნი ბაგინსა შინა **აკუმევდეს** და კუამლი იგი ცმელისაჲ მის, რომელსა **აკუმევდეს**, ყოველსა ადგილსა შეაბილწებდა (სინ. მრ. 221,40-222,1); დედათა საბელი მოიბიან და დასხდიან გზათა ზედა და **უკუმეველ** ქატოსა (ებისტოლე 42J); ჰხუედა მას საკუმეველისა **კუმევა**ჲ (ლ. 1,9E); აჰრონ და ძენი მისნი **აკუმეველ** საკუმეველსა (I ნეშტ. 6,49S).

-ევ სუფიქსის მორფემულად შეპირობებული **-ი** ვარიანტი, რომელიც დროკილოთა II სერიაში გვაქვს, წარმოდგენილია III ხოლმეობითშიც, რომელიც აორისტის ფუძეს ემყარება:

ნაცარი იგი საცეცხურისაჲ, რომელი **ეკუმიის** ჟამის წირვასა, პურსა თანა ჭამის (შუასაუკ. ნოვ. 90,25).

-ევ სუფიქსი გადმოსული კაუზატივიდან გარდაუვალ ფორმებში დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“ გამარტივებული **-ე** სახით: დღე და ღამე მუჯამრითა **ეკმეოდის** ალვა თლილი (330,1).

6. ა-ქრ-ევ/ა-ნქრ-ევ „აქროლებ“, მ-ქრ-ევ-ელ-ი

ნუ **ანქრევ** ყოვლითა ქარითა და ნუ ხუალ ყოველთა ალაგთა სიცრუვისათა (ზირ. 5,11); ჩრდილოჲსა იგი ქარნი ძლიერად **აქრევდეს** (სინ. მრ. 119,21-22); ვითარცა მტუერი ბზისა **მქრეველთა**ჲ წინაშე ქარსა (ეს. 17,13J); ღუელფი საᲭუმილისაჲ, რომელი-იგი **ანქრია** ზეცად მოსე (ილ. აბულაძე, ძქელ, 330).

ეს ფორმები ნაწარმოებია **ქრის** ზმნისაგან **ა-ევ/ა-ი** ყალიბით. რაც შეეხება **ნ**-ს, რომელიც თავს იჩენს უშუალოდ ძირის წინ, ის გადმოყოლილია **განანქრევს** ტიპის ფორმებისაგან, რომლებშიაც პრევერბისეულია.

7. ა-წუ-ევ-ს „აქეზებს“, „აიძულებს“, „იწვევს“

მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანს ის საბაზო გარდაუვალი ზმნის ფორმა, რომლისაგანაც უნდა იყოს ნაწარმოები **აწუევს**, ვფიქრობთ, შესაძლებელია ვარაუდით მისი კაუზატივად მიჩნევა. ამის საფუძველს იძლევა ამ ზმნის მნიშვნელობა.

სიყუარული იგი ქრისტესი **მაწუევს** ჩუენ (II კორ. 5,15); **აწუევდა** მოწაფეთა შესლვად ნავსა (მრკ. 6,45DE); შდრ. C: **აიძულა**); **აწუევს** მეფესა მას, რაჲთამცა განუტევა იგი (სინ. მრ. 208,8); ბრძანებამან კეისრისამან ბეთლემად აღმოსლვა **აწჯა** (სინ. მრ. 15,21).

ეგევე მნიშვნელობა უდასტურდება ამ ზმნას საშუალ ქართულშიც:

კაცთა კრძალვასა **ვაწვევდი** გულსა შმაგსა და რეტასა (ვეფხ. 484,3); შინა ყოლა არ შემომყვა, „რად **მაწვევო**?“, შემანანა (ვეფხ. 1199,4); აწ თუ თქუენ **მაწუიოთ** და არძანიგი იყო თქუენ ზედა მეფედ და სიტყუითა ჩემითა შევრთო ასული ჩემი ცოლად (ამირანდარ. 314,5);[7] სისხლი ტანსა შიგან აუდუღდა და გულმან თაისა მოკლვა **აწუია** (ვისრ. 193,6).

არცერთ აქ მოტანილ კაუზატიურ ფორმას ძველი ქართულის ძეგლებში არ მოეპოვება **პოტენციალისის მნიშვნელობის მქონე** კონვერსიული ფორმები: **ირბევის, იმშევის, იწყუდევის, იქცევის** („შეიძლება იბრუნოს“), **იკუმევის, იქრევის, იწუევის**. ამას გარდა ძველ ქართულში არ დასტურდება იმ ზმნათა **ა-ევ** ცირკუმფიქსით ნაწარმოები კაუზატივები, რომლებსაც ახალ ქართულში პოტენციალისი აქვთ კორელატად: **აჭმევს, აცმევს, ასმევს**. თუმცა **ა-სუმ-ევ-ს** ფორმის პოსტულირება შესაძლებელია **სუ-მ-ევ-ა**-ზე დამყარებით, რომელიც **-ევ** სუფიქსს შეიცავს და დადასტურებულია XI საუკუნის ხელნაწერში: ძმრისა და ნავლისაცა **სუმევაჲ** გუასმიეს (A-162, 118v).[8]

გელათური ბიბლიის კატენებში დამოწმებულია ფორმა **შესუმევაჲ**. ეს არის რიცხვთა წიგნის V თავის მე-20-25-ე მუხლების კომენტარი, რომლის შესაბამისი განსამარტავი ადგილი გვიჩვენებს, რომ ლაპარაკია აშკარად „იძულებით დალევინებაზე“. თვით კომენტარში კი ვკითხულობთ:

ამას თანა დაწერაჲცა უბრძანა წყევისაჲ და აღჴოცაჲ წყლითა და **შესუმევაჲ** წყლისაჲ მის დედაკაცისა[9] (Q-1152,103r).

სუმევა/შესუმევა ფორმები იმაზე მიუთითებენ, რომ უნდა გვქონოდა პირიელი ფორმებიც ამ ზმნისა, ***ა-სუ-მ-ევ-ს**, ***ა-სუ-მ-ევ-დ-ა**, **ა-სუ-მ-ია**, რომლებიც წერილობით ფიქსირებული არაა. ძველი ქართული ამ ზმნისაგან კაუზატივს ოდენ **ა-** პრეფიქსით აწარმოებს: **ვ-ა-სუ-ა-თ**, **ა-სუ-მ-იდ-ა**, **გ-ა-სუ** ფორმები აწმყოში გულის-

---

[7] მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა ლ. ათანელიშვილმა, რედაქტორები: ი. აბულაძე, მ. ებრალიძე, საქ. სსრ მეცნ. აკადემია. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინ-ტი.

[8] ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, გვ. 473.

[9] ხელნაწერშია: დედაკაცისა, რაც მცდარია, უნდა გვქონდეს დანიშნულებითი ბრუნვის ფორმა.

ხმობენ **ვ-ა-სუ-ამ**, **ა-სუ-ამ** წარმოებას. მაგრამ ***ა-სუ-მ-ევ-ს** ტიპის წარმოება, თუნდაც როგორც პარალელური, ძველ ქართულში უთუოდ საგულვებელია. ამგვარ ვარაუდს მხარს უჭერენ თანამედროვე ქართული დიალექტები, კერძოდ, – ხევსურული.

***ა-ცუ-მ-ევ-ს** და ***ა-ჭმ-ევ-ს** ფორმები აგრეთვე არ დასტურდება ძველი ქართული ენის ძეგლებში. ისინი, ისევე როგორც **სუმა**, კაუზატივს ოდენ პრეფიქსულად აწარმოებენ: **შთა-ა-ცუ-ამ-ს**, **შთა-ა-ცუ-ა**, **ა-ჭამ-ებ-ს**. **სუმევა**-საგან განსხვავებით, არ შემონახულა კაუზატივის **-ევ** თვით მასდარშიც: არაა წერილობით დამოწმებული ***ცუ-მ-ევ-ა** და ***ჭმ-ევ-ა**.

იჭმევა/ეჭმევა, **ისმევა/ესმევა** ტიპის ფორმები გასაღებს იძლევიან ზანური პოტენციალისის ასახსნელად. მეგრულსა და ჭანურში გვაქვს გარდაუვალ ზმნათა **-ე** სუფიქსიანი ფორმები: **ი-ჭარ-ე-(ნ)** „იწერება“, „შეიძლება დაიწეროს“, **ა-ჭარ-ე-(ნ)** „შეუძლია დაიწეროს“, **ი-შვ-ე-(ნ)** „ისმევა“, **ა-შვ-ე-(ნ)** „ესმევა“, **ი-ჭკომ-ე-(ნ)** „იჭმევა“, **ა-ჭკომ-ე-(ნ)** „ეჭმევა“, **ი-თქვ-ე-(ნ)** „ითქმევა“ და სხვა. ჭანურში ამგვარი ფორმები „დასაშვები მოქმედების“ შინაარსსაც გადმოსცემენ და ჩვეულებრივ მიმდინარე მოქმედებასაც, მეგრულში კი – მხოლოდ „დასაშვებობას“, ხოლო ჩვეულებრივი ვნებითური შინაარსით გამოიყენება **-უ** სუფიქსიანი ფორმები: **ი-თას-უ-უ-(ნ)** „ითესება“, **ა-თას-უ-უ-(ნ)** „ეთესება“, **ი-ნახ-უ-უ-(ნ)** „ირეცხება“, **ა-ნახ-უ-უ-(ნ)** „ერეცხება“.[10] ა. ჩიქობავას ხსენებული ზანური ფორმების შესატყვისად ქართულში ვნებითი გვარის II ხოლმეობითის რეკონსტრუირებული ფორმები – ***ი-სვ-ი-ს**, ***ი-ჭმ-ი-ს**, ***ი-თქვ-ი-ს**, – მიაჩნდა, ვნებითის რეალური ფორმები კი აწმყოს ფუძისაგან ნაწარმოებად, ჩვეულებრივ, **-ებ** სუფიქსით. **-ებ** სუფიქსის ეკვივალენტი ზანურ პოტენციალისში, ავტორის აზრით, იმიტომ გვაკლია, რომ „პოტენციალისის შესაბამისი მოქმედებითი ზანურში უნდა ყოფილიყო ხოლმეობითი („ძველი აწმყო“).[11] ამგვარ ინტერპრეტაციას ხელს შეუშლის შემდეგი გარემოებანი: 1. ქართული „პოტენციალისის“ ფორმები იწარმოება I სერიის თემისაგან (ი-ს-მ-ევ-ა, ი-ც-მ-ევ-ა, ი-ჭმ-ევ-ა), 2. ზანური **ე** ქართული ხოლმეობითის **-ი** აფიქსის ფონემურ შესატყვისად ვერ მიიჩნევა, 3. ქართული „პოტენციალისის“ ფორმებში გვევლინება **-ევ** სუფიქსი, რომელიც ვერ პოულობს ახსნას ხოლმეობითის ფორმიდან ამოსვლის შემთხვევაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის წარმოშობით კაუზატივის მარკერია.

ზანური **ი-შვ-ე-(ნ)**, **ი-ჭკომ-ე-(ნ)**, **ი-ჭარ-ე-(ნ)** ტიპის ფორმებში ასახსნელია **-ე** სუფიქსის წარმოშობა: როგორც ცნობილია, პროტოზანური ვოკალური სისტემისათვის /ე/ ფონემა უცხო უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ხსენებული **-ე** კომბი-

---

[10] ა. ჩიქობავა, ისტორიულ-შედარებითი ნარკვევები ქართველური ენებიდან, II, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, I, ტფილისი 1937, გვ. 33.

[11] ა. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით, თბილისი 1948, გვ. 101.

ნატორული გზით ჩანს წარმოქმნილი მორფემათა შესაყარზე. ი. ყიფშიძის მიერ დადგენილი კანონზომიერების მიხედვით, **აი** და **ავი** ფონემური მიმდევრობანი მეგრულში გვაძლევენ **ეე**-ს (ქართ. **ნათესავი** > მეგრ. **ნათესეე**, ქართ. **კარავი** > მეგრ. **კარეე**, ქართ. **ამბავი** > მეგრ. **ამბეე**), რომელიც ფონოლოგიურად ჩვეულებრივი (მოკლე) **ე**-ს ღირებულებისაა.[12] ეგევე პროცესი მოქმედებს ზმნის პრევერბისა და ფუძის დანარჩენი ნაწილის ზღვარზე. თუ გავითვალისწინებთ ქართული პოსიბილიტივის ამოსავალ ფორმებს ***ი-ჭმ-ევ-ი-ნ**, ***ი-სუ-მ-ევ-ი-ნ**, მათ კანონზომიერ შესატყვისებად ზანურში უნდა ვივარაუდოთ ***ი-ჭკომ-ავ-ი-ნ**, ***ი-შვ-მ-ავ-ი-ნ** (>***ი-შვ-ავ-ი-ნ**), რომლებშიაც **ავ**-ი მიმდევრობა მოგვცემდა **ეე**/**ე**-ს. პირველ ფორმაში ასეც მომხდარა: ***იჭკომავინ** > **იჭკომენ**. რაც შეეხება ***იშვმავინ** ფორმას, მას შემდეგი ცვლილებები განუცდია: დაკარგულა (დისიმილაციურად) **ვ**-ს მომდევნო **მ**, რის შედეგად უნდა მიგვეღო ***ი-შვ-ავ-ი-ნ**. ამ უკანასკნელს **ავი** > **ეე**/**ე** გადასვლით მოუცია **იშვენ**. ანალოგიურ ცვლილებათა ჯაჭვი გვაქვს ზმნაში ***ი-თქვ-მ-ავ-ი-ნ**, რომელმაც მოგვცა ჯერ ***ითქვავინ**, ხოლო შემდეგ – **ითქვენ** „ითქმის“. საერთოდ კი ქართულ-ზანური პოსიბილიტივის ფორმათა დიდი ნაწილი ერთთემიან ზმნებზე მოდის, ე.ი. უთემისნიშნოებზე: **იჭარენ** „შეიძლება დაიწეროს“, **იჭკორენ** „შეიძლება გაიჭრას“, ჭან. **იგუბენ** „შეიძლება მოიხარშოს“, **იჭკომენ** „იჭმევა“, **იკვათენ** „შეიძლება გაიკვეთოს“, **ორდენ** „შეიძლება გაიზარდოს“. ამგვარი დასკვნის სასარგებლოდ მეტყველებს შესატყვისი ქართული ფუძეები: **ჭრ-**, **გბ-**, **ჭმ-**/**ჭამ**, **კვეთ-**, **ზრდ-**/**ზარდ**, **წერ-**. იჭკომენ ტიპის ფორმები რომ ხოლმეობითის შესატყვისი იყოს, გვექნებოდა: ***ი-ჭკომ-ი-ნ**, ***ი-შვ-ი-ნ** და ა.შ.

მეორეული ჩანს აგრეთვე მეგრული კაუზატივს ახლანდელი წარმოება, რომელიც ემყარება არა ისტორიულად არსებული მასდარის ფორმას (მაგალითად, **ჭარ-უ-ა-ს**), არამედ ხელოვნურად წარმოქმნილს (**ჭარ-აფ-ა**) და მას ურთავს **უ-ან** დაბოლოებას (**ო-ჭარ-აფ-უ-ან-ს** „აწერინებს“ = ა-წერ-ებ-ევ-ებ-ს). „წერა“ მნიშვნელობის მქონე ზმნას არასოდეს ჰქონია მასდარის **ჭარაფა** ფორმა. ასევე, თემატური **ებ**-ის შემდეგ სრულიად მოულოდნელი ჩანს კაუზატივის **-უ** (= ქართ. **-ევ**). ეს წარმოება აშკარა ნეოლოგიზმია. ძველი წარმოება კაუზატივისა ზანურში, სავარაუდებელია, **ო-ავ** ცირკუმფიქსის გამოყენებით ხდებოდა. უნდა გვქონოდა ***ო-ჭარ-ავ-ს** „აწერინებს“, ***ო-შუ-მ-ავ-ს** „ასმევს“ და ა.შ. ამ კაუზატივთა კონვერსიული ფორმები იქნებოდა: **ი-ჭარ-ე(ე)-ნ**, ***ი-შვ-მ-ე(ე)-ნ** (>**იშვენ**).

კაუზატივის კავშირი პოსიბილიტივთან შინაარსობრივად კანონზომიერია: ორივესთვის ამოსავალია „იძულების“ მომენტი, რომელიც კაუზატივში „სუფთა სახით“ არის წარმოდგენილი, პოსიბილიტივში კი – „დასაშვებობით“ (დადებითის ფორმებში) ან „აკრძალვით“ (უარყოფითის ფორმებში).

---

[12] И. Кипшидзе, *Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматіей и словаремъ,* Типографія Императорской Академіи Наукъ, С.-Петербургъ 1914. с. 08.

ლია აგულაძე

ენა, პოეზია და თარგმანი

სამყარო, რომელშიაც ადამიანი არსებობს, სინამდვილე, რომელიც მის გარშემოა, ადამიანის აზროვნებაში ასახვას ენის საშუალებით პოვებს. „ენა არის ჭეშმარიტი რეალობა, რომელიც მოთავსებულია საგანსა და ადამიანს შორის", – წერს ჰუმბოლდტი (Humboldt 1903:176). როცა ბავშვი ლაპარაკს იწყებს და უფროსების კვალდაკვალ საგნების სახელებს იმეორებს, ის იმავდროულად ამ საგანთა გარჩევასაც სწავლობს, ე.ი. მშობლიური ენის სიტყვების დაუფლებისას ბავშვი მის გარშემო არსებულ სინამდვილესაც ეუფლება.[1] ყველა ენა თავისებურად ასახავს გარე სინამდვილეს. ენათა მრავალფეროვნება არ დაიყვანება იმ ფაქტზე, რომ ერთსა და იმავე საგანს სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სახელი აქვს (როგორც ეს ე.წ. „სამყაროს გულუბრყვილო სურათის"[2] მატარებლებს ჰგონიათ), არამედ ეს მრავალფეროვნება გამოხატვას პოულობს ენების განსხვავებულ სტრუქტურირებაში, იმაში, რომ ყველა ენა თავისებურად ანაწევრებს ადამიანის ირგვლივ არსებულ სინამდვილეს, გამოყოფს რა მასში განსხვავებულ სფეროებს, საგნებს, მოვლენებს და ამ ოდენობებისათვის დამახასიათებელთ თვისებებს. ასევე თავისებურად ასახავს ყოველი ენა ადამიანის შინაგან სინამდვილესაც – გრძნობებს, წარმოდგენებს, აზრებს.

ადამიანის გარშემო არსებული სინამდვილის ენობრივი დაუფლება, რომელიც გარკვეულ ენაზე მოლაპარაკე ხალხის მიერ ხორციელდება, ხანგრძლივი პროცესია და საუკუნეების მანძილზე გრძელდება, საუკუნეების მანძილზე ხდება აგრეთვე ენაში ჩვენი შინაგანი სინამდვილის, ჩვენი გრძნობების, წარმოდგენების, აზრების ენობრივი გამოხატვის საშუალებათა ჩამოყალიბება.[3] გარეგნულად ეს პროცესი უპირველეს ყოვლისა ლექსიკაში აისახება; სიტყვების საშუალებით ხდება რეა-

---

[1] შდრ. მარინა ცვეტაევას გამონათქვამს ბორის პასტერნაკისადმი მიწერილ წერილში: «Слово ведь больше, чем вещь: оно само вещь... Назвать – осуществить» (Цветаева 1994:256).

[2] «Наивная картина мира» – მოსკოვის სემანტიკური სკოლის ტერმინი.

[3] აქ მინდა აუცილებლად იმის გახაზვა, რომ ეს პროცესი ქვეცნობიერად მიმდინარეობს. როგორც მე-19 საუკუნის დასასრულის ფრანგი ფსიქოლოგი, მასების ფსიქოლოგიის ცნობილი მკვლევარი გუსტავ ლე ბონი წერს, „შეიძლება არსებობდეს რაიმე, რაც უფრო რთული, ლოგიკური და გასაოცარი იქნებოდა, ვიდრე ენა? და განა არ არის ამ დახვეწილი, საუცხოოდ ნაგები ქმნილების წყარო ხალხების ქვეცნობიერება, მასების გაუცნობიერებელი სული? დიდად განსწავლულ მკვლევრებს შეუძლიათ მხოლოდ ენის წესების აღმოჩენა, მაგრამ არ ძალუძთ მისი შექმნა" (Gustav Le Bon 2014:96).

ლური მოვლენების გარდაქმნა ენობრივ მოვლენებად, და ამ გზით ადამიანის აზროვნების ობიექტებად. ამგვარად, ადამიანის აზროვნება მჭიდრო კავშირშია ენასთან; ამას გახაზავდნენ მეთვრამეტე საუკუნეში ჰერდერი და ჰუმბოლდტი. აზროვნება, ჰუმბოლდტის თქმით, დამოკიდებულია ყოველ ცალკეულ ენაზე. ის მიიჩნევდა, რომ ყოველი ხალხისათვის, ყოველი ენისათვის ნიშანდობლივია მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მსოფლხედვა (Weltansicht).[4] აზროვნებისა და ენის მჭიდრო კავშირზე მიუთითებენ აგრეთვე მეოცე საუკუნის მკვლევრები – ნეოჰუმბოლდტიანელები და ამერიკელი ეთნოლინგვისტები, განსაკუთრებით კი სეპირისა და უორფის თეორიის, ე.წ. ლინგვისტური ფარდობითობის ჰიპოთეზის მიმდევრები.[5] რა თქმა უნდა, ამ მკვლევრებს მხოლოდ ენათა ლექსიკური მარაგი არ ჰქონიათ მხედველობაში, არამედ ენათა მორფოლოგიური, სინტაქსური, სიტყვათწარმოებითი სისტემებიც, ანუ ენების განსხვავებული „გრამატიკული ხედვები“.

რაც შეეხება სინამდვილის სხვადასხვა სფეროს სხვადასხვაგვარ ლექსიკურ დანაწევრებას, ეს საკითხი ცალკე კვლევის საგანია სემანტიკური ველის თეორიის შემქმნელის ტრირისა და მისი მიმდევრების შრომებში და ის დღესაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს სემანტიკისა და ლექსიკოლოგიის საკითხებით დაინტერესებულ ლინგვისტთა კვლევებში.

ის შეუსაბამობა, რომელიც არსებობს სხვადასხვა ენების სიტყვებს შორის და რომელიც ენებისმიერ სამყაროს სხვადასხვაგვარ კლასიფიკაციას ასახავს, ერთი ენიდან მეორეზე თარგმნის პრაქტიკაში დიდი ხანია იყო შემჩნეული. მაგრამ ვიდრე თარგმნის საკითხს შევეხებოდე, მინდა იმაზე ვთქვა რამდენიმე სიტყვა, თუ რამდენად ახერხებს ადამიანი ზოგადად ენის საშუალებით აზრების გამოხატვას.

ყოველი ადამიანი საკუთარი აზრის გამოსახატავად იყენებს იმ საშუალებებს, რომლებიც მის ენაში არსებობს და რომელთაც მას ეს ენა აწვდის, თავისი ინდივიდუალური შესაძლებლობების – კულტურის, ინტელექტის, შემოქმედებითი ნიჭის – მიხედვით. აზრი, რომლის გამოხატვაც ენის მეშვეობით ხდება, ჩამოუყალიბებელი სახით ინსტინქტურ დონეზე, შეიძლება ითქვას ქვეცნობიერად, არსებობს ადამიანის არსებაში.[6] ნიცშეს თქმით, არსებობს ქვეცნობიერი ან ე.წ. „გაუც-

---

[4] დაწვრილებით ჰუმბოლდტის შესახებ იხ. გ. რამიშვილი (Ramischwili 1988/89; რამიშვილი 1995).

[5] ჩემი აზრით, ლინგვისტური ფარდობითობის თეორიის არსი ყველაზე ლაკონიურად გამოხატა მარინა ცვეტაევამ მარიადნა ბერგისადმი მიწერილ წერილში: «Иные мысли на ином языке не мыслятся» (Цветаева 1990:94).

[6] ზოგი ამბობს, თავში, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ მთელ არსებაში, ამაზე საინტერესო წერილი აქვს Hanne Martinet-ს "The Magic of Words and Translation" (1985:573-580). წერილის ავტორი აანალიზებს თავის მდგომარეობას ერთი ლექსის თარგმნის დროს. იგი შენიშნავს, რომ ენაში სათქმელის ჩამოყალიბების ან უკვე თქმულის აღქმის დროს ზოგჯერ ხდება ისე, რომ სიტყვები რაღაც მაგიურ ზემოქმედებას ახდენენ არა მხოლოდ ადამიანის გონებაზე, არამედ მის მთელ სულიერ და ფიზიკურ არსებაზე. ამას

ნობიერებელი ენა“, რომელიც წმინდა ინსტინქტური ხასიათისაა და რომელიც მთელი სისავსით ასახავს ადამიანის შინაგან არსს. ეს „გაუცნობიერებელი“ ენა ტრანსფორმირდება (გარდაისახება) გაცნობიერებული (შეგნებული) აზროვნების ენად, რომელიც მხოლოდ აღარიბებს, ამარტივებს და „აფუჭებს“ კიდევაც ამ პირველი ტიპის (პირველად ანუ გაუცნობიერებელ) ენას და იქცევა დაბრკოლებად სამყაროს შემეცნების გზაზე (Эбаноидзе 1999:4). აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ტიუტჩევის ცნობილი «Мысль высказанная есть ложь» (Silentium). დაახლოებით ამასვე ამბობს ფილოსოფოსი ბერდიაევი: „აზრი უნდა გამოითქვას. ადამიანმა უნდა განახორციელოს ეს აქტი, მაგრამ გარკვეული აზრით, მართალია, რომ გამოთქმული აზრი არის სიცრუე. ისე ძლიერ სურს ადამიანს საკუთარი თავის გამოხატვა და ისე ძნელია ამის გაკეთება... ჩემთვის ძალიან ადვილია წერა, ჩემი აზრი ბუნებრივად იღებს სიტყვიერ ფორმას. მაგრამ ყოველთვის არსებობს ტრაგიკული შეუსაბამობა შემოქმედებით წვასა, პირველად ინტუიციებსა და აზრის ობიექტურ შედეგებს (პროდუქტებს) შორის“.[7] (Бердяев 1949:312).

ამასვე გულისხმობს ალბათ მარინა ცვეტაევაც, როცა წერს:

«Да разве я то говорю,
Что знала, пока не раскрыла
Рта, знала еще на черте
Губ, той, за которой осколки...
И снова во всей полноте
Знать буду, как только умолкну» (Куст).

ამრიგად, რა აზრს გამოთქვამს ადამიანი წერის ან ზეპირი მეტყველების დროს, დამოკიდებულია მასზე, როგორც ინდივიდზე და იმ ენაზე, რომელსაც ის იყენებს, ხოლო რამდენად შეესაბამება ეს გამოთქმული აზრი ავტორის წინასწარ ინტუიციებს (ან შეიძლება ითქვას, მის ჩანაფიქრს), ამაზე მსჯელობა მსმენელისთვის ან მკითხველისთვის ძნელია და ალბათ შეუძლებელიც. ერთი რამ ფაქტია, რომ ხშირად გვესმის ჩივილი იმის გამო, რომ მთქმელს რაღაც რჩება უთქმელი. ჩვენთვის ცნობილ ყველა ენაში გვხვდება ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „ენით უთქმელი“, inexpressible, nameless – ინგლისურში, unaussprechlich, unsäglich,

---

ავტორი სიტყვების მაგიას უწოდებს და შენიშნავს, რომ იმას, ვისაც სჯერა, რომ ცხოვრების ყველა სფეროში არსებობს „ობიექტურობა“ და „ობიექტური ცოდნა“, ეს რწმენა უდავოდ ხელს უშლის, ჩასწვდეს იმ სიტყვების მაგიას, რომელნიც თავისდა უნებურად არა მხოლოდ გონებაზე, არამედ ადამიანის მთელ სულიერ და ფიზიკურ არსებაზე ახდენენ ზემოქმედებას. შდრ.: “We always think *also* with our body” (Capra 1996:68).

7 «Мысль необходимо изрекать, человек должен совершать этот акт, но в известном смысле остается верным, что мысль изреченная есть ложь. Так хочется себя выразить и так трудно это сделать. Мне очень легко писать и мысль моя естественно принимает словесную форму. Но всегда есть трагическое несоответствие между творческим горением, первичными интуициями и объективными продуктами мысли».

unbenennbar – გერმანულში, невыразимый, несказанный – რუსულში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ხშირად ვერ პოულობს თავისი აზრის, თავისი შინაგანი არსის გადმოსაცემად შესატყვის ენობრივ საშუალებებს. ამიტომ შეიძლება აღმოხდეს მას კითხვა: „როგორ გადმოვცე სათქმელი, რა შეუძლია სიტყვას?“ (ახობაძე 2015:24).

რისი გამოთქმა, რისი სახელდება არ ძალუძს ადამიანს? გერმანელი ლინგვისტი ედელტრაუდ ბიულოვი, მაგალითად, განიხილავს, რა არის Unbenennbare (უსახელო, დაუსახელებელი) და ასეთად მიიჩნევს ჩვენს სუბიექტურ შეგრძნებებს, მაგალითად, ტკივილს (Bülow 2006:71-94).

ის გარემოება, რომ ადამიანს ძალიან უჭირს საკუთარი გრძნობების ცნებით დონეზე გამოხატვა, კარგადაა ცნობილი. გრძნობათა უშუალოდ გადმოსაცემად ჩვენ ხშირად შორისდებულებს მივმართავთ, სიტყვების პოვნა კი არ შეგვიძლია. „მოკვდავთა ენას არ ძალუძს უკვდავთა გრძნობათ გამოთქმა“, – ჩივის ბარათაშვილი. ამასვე ამბობს ტიუტჩევი თავის ლექსში Silentium, რომელიც ზემოთ უკვე ვახსენეთ: «Как сердцу выразить себя, другому как понять тебя», ხოლო გუჩა კვარაცხელიას ერთ-ერთ ლექსში ვკითხულობთ: „არ ითარგმნება სიზმრის სევდა, და ის სიტყვები, რომელთაც ძალუძთ გამოღეჭონ ბოლომდე გრძნობა, არ იპოვება...“ (კვარაცხელია 2009:233).

ამიტომ ეძებს ალბათ ადამიანი თავისი გრძნობების, თავისი შინაგანი არსის გამოსახატავად ენისაგან განსხვავებულ ფორმებს, ამიტომ მიმართავს ის ხელოვნებას, ვთქვათ, მუსიკას ან მხატვრობას. ცნობილია შეხედულებები იმის შესახებ, რომ სიტყვებით გამოუთქმელი აზრი ან გრძნობა შეიძლება გამოხატულ იქნეს ხელოვნების ენით, რომ მუსიკასა და ფერწერას ზოგჯერ შეუძლიათ შეაღწიონ ადამიანის სულის ისეთ ღრმა შრეებამდე, სადამდეც სიტყვა ვერასდროს შეაღწევს, და ამაში ხედავენ ხელოვნების (მაგ., მუსიკის) უპირატესობას სიტყვასთან მიმართებაში, თუმცა, როგორც ერთი გერმანელი ლიტერატურისმცოდნე შენიშნავს: „მუსიკა ყოველთვის გადაულახავი მანძილითაა ენისაგან დაშორებული. მართალია, ენა, თვით მისი უმაღლესი ფორმაც კი, პოეზია, ვერ სწვდება იმ უსიტყვო, მაგრამ უბედნიერეს შინაგან მდგომარეობას, რომელსაც სწვდება მუსიკა და ამით მუსიკა თითქოს აღემატება კიდევაც პოეზიას, მაგრამ პოეზიას მაინც რჩება უპირატესობა მუსიკასთან მიმართებაში. რა არის ეს უპირატესობა? სწორედ ის, რაც ენაში არსებობს, რაც ნებისმიერ ლექსში მეტია, ვიდრე მისი ფორმა – ჟრერადობა და სილამაზე: ეს კი არის ისევ და ისევ ლოგოსი, ანუ სიტყვა, რომელიც იყო თავდაპირველად, ყველა დროის წინ“ (Holthusen 1954:272).

დასაბამიდან ადამიანის ურთულესი მისწრაფებაა (ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფია, ანტიკური ფილოსოფია), ჩასწვდეს სამყაროს არსს, იპოვოს მისი კანონზომიერება, ის უხილავი ჰარმონია, რომელიც ყველა საგანსა და მოვლენას ერთმანეთთან აკავშირებს. სამყაროში არაფერი არ არის უძრავ და უცვლელ მდგომარეობაში, არამედ მუდმივ ქმნადობაში, მოძრაობასა და ურთიერთკავშირშია. ენა

კი, ნებისმიერი ენა, ანაწევრებს სამყაროს, სიტყვებში ხდება მხოლოდ გარკვეული ოდენობების, მოვლენების, საგნების ან მდგომარეობების ფიქსაცია ისე, რომ მხედველობაში არ მიიღება მთლიანობა – მთელი სამყარო თავისი უხილავი ჰარმონიით. ამიტომ წარსულში მიიჩნევდნენ, რომ აზრი, რომელიც ენის საშუალებით გამოითქმის, ვერ ასახავს სამყაროს არსს. ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტება სამყაროს შესახებ მხოლოდ უსიტყვოდ მიიღწევა და არა ენის საშუალებით. ასე ფიქრობდნენ ძველ ინდოეთში, სადაც მედიტაციების გზით სწვდებოდნენ სამყაროს უსასრულობას, მის უხილავ ჰარმონიას. იაპონურ ფილოსოფიაშიც 25 საუკუნის წინ არსებობდა იდეა იმის შესახებ, რომ აზრის გადაცემა ადამიანისგან ადამიანისკენ სიტყვის გარეშე უნდა ხორციელდებოდეს, რადგან სიტყვა არის არსის მხოლოდ პირობითი ნიშანი და არა თვით არსი. არსი, ჭეშმარიტება უსიტყვოდ უფრო მიიღწევა, ვიდრე ენის საშუალებით, ამიტომ ადამიანების ჭეშმარიტი ურთიერთობა მხოლოდ სიტყვების გარეშეა შესაძლებელი (Арутюнян 2011:65-71).

შუა საუკუნეების „უდაბნოს მამებიც“, რომლებიც ადამიანის ცხოვრების გზას, როგორც პილიგრიმის გზას, ისე განიხილავდნენ, ამ გზაზე სიჩუმეს, ენიდან გამოსვლას მოითხოვდნენ. ფრანგული ფილმი „დიდი სიჩუმე“ გვიამბობს კარტეზიანული ორდენის მონასტერზე შარტრში, სადაც ბერები სიჩუმეში ცხოვრობენ. ერთმანეთთან საუბარს ისინი კვირაში მხოლოდ ორ საათს უთმობენ, სეირნობისას. ასეთი გზით ცდილობენ ისინი ღმერთთან და ჭეშმარიტებასთან მიახლოებას.

ასევე უსიტყვებოდ, ენის გარეშე ხდება ადამიანის შინაგანი სამყაროს წვდომა, მის სულიერ არსში ჩაღრმავება. ამას ამბობს რილკე, პოეტი, რომელმაც თავის შემოქმედებით შეძლო ადამიანის გონისთვის თითქოს მიუღწეველისა და ენით გამოუთქმელის სიტყვებში გამოხატვა. რილკესთვის ადამიანის შინაგანი ცხოვრება ანუ მისი სიტყვებით „ჩუმი ცხოვრება“ ენით უთქმელია: „თუ ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოხატვა გვინდა, მაშინ მისი (ამ გამოხატვის) გზები სიტყვებს გადაღმა უნდა ვეძებოთ“ (Sam 2006:51).

რილკეს მიაჩნია, რომ არა მარტო ადამიანის სულიერი სიღრმეებია გამოუთქმელი, არამედ საგნის არსიც. ის ლაპარაკობს საგნის „შინაგან ჭეშმარიტებაზე“ და გამოთქვამს უნდობლობას ენის მიმართ, რომელიც ამ შინაგან ჭეშმარიტებას საგნისას ვერ გადმოსცემს. ერთ-ერთ კერძო წერილში, მაგალითად, რილკე წერს ლიმონის არსის ინტენსიურ განცდაზე და ამბობს, რომ როცა ცდილობს სიტყვით გამოხატოს ის, რასაც გრძნობები უკარნახებს, სრულ ფიასკოს განიცდის.[8]

---

[8] **“**Ihre Bitterkeit, so zusammenziehend sie in Geschmack sich geltend macht, als Duft eingeatmen, gibt sie mir eine Sensation von reiner Weite und Offenheit-; wie oft habe ich`s bedauert, daß wir, allen derartigen Erfahrungen gegenüber so endgültig verstummen, so sprachlos bleiben. Wie *erlebt* ich ihn, den Citronen-Geruch, weiß Gott, was ich ihm zu Zeiten verdanke …, und wenn ich wirklich, wörtlich wiederholen soll, was es mir in die Sinne diktiert: Fiasko!**”**(Sam 2006:52).

იმისათვის, რომ ვაჩვენო, როგორი მგრძნობიარეა რილკე საგნის სახელების – სიტყვების – მიმართ, მოვიყვან ერთ ადგილს ანდრე ჟიდის ღია წერილიდან, რომელიც მან ჟაკ რივიერს გაუგზავნა:

„რაინერ მარია რილკე გუშინ დილით (26 იანვარს, 1914 წ.) მოვიდა ჩემთან, რომ ეჩვენებინა ჩემი ლექსის მისეული თარგმანიდან რამდენიმე ადგილი, რომლებიც მას არ აკმაყოფილებდა. გამიხარდა კიდევ ერთხელ ნახვა მისი დახვეწილი სახისა, რომლის გამომეტყველებაში გამოსჭვიოდა მისი წმინდა და მგრძნობიარე სული. ბედნიერმა იმით, რომ ჩემს ბიბლიოთეკაში გრიმების დიდი ლექსიკონი იპოვა, მან გადაშალა ის სიტყვაზე Hand და მოთმინებით ჩაუღრმავდა წიგნს მთელი იმ ხნის განმავლობაში, როცა იგი მარტო მყავდა დატოვებული. შემდეგ კი მიამბო, რა სიძნელეს წააწყდა მიქელანჯელოს სონეტების თარგმნის დროს იტალიური სიტყვის – palma-ს („ხელისგული“) თარგმნისას. თავისდა გასაოცრად მან მშობლიურ ენაში ვერ იპოვა palma-ს შესატყვისი სიტყვა; გერმანულ ენაში აღმოჩნდა ხელის გარეგანი, ზურგის მხარის აღმნიშვნელი სიტყვა, მაგრამ არა ხელის შიდა ნაწილის აღმნიშვნელი. დიდი-დიდი შეიძლებოდა ამის აღსანიშნავად მხოლოდ ხელის სიბრტყის (Handfläche) ხმარება. „ხელის სიბრტყე!“ – წამოიყვირა მან. Handrücken („ხელის ზურგი“) კი იხმარება! ე.ი. ხელის ზურგს ექცევა ყურადღება, ამ არასაინტერესო, არაპიროვნულ, უგრძნობელ, უმნიშვნელო გარეგან მხარეს; ამას, ამ ზედაპირს, ენიჭება უპირატესობა თბილ, ალერსიან, რბილ შიდა მხარესთან შედარებით, რომელიც ინდივიდის ყველა საიდუმლოს გამოხატავს!“ ბოლოს მან გრიმების ლექსიკონში აღმოაჩინა სიტყვა Handteller („ხელის თეფში“) რამდენიმე მაგალითითურთ XVI საუკუნის ტექსტებიდან. „მაგრამ, – თქვა მან, – ეს ხომ ხელის შიდა მხარეა, რომელსაც ადამიანი იშვერს სამოწყალოდ, სათხოვნელად, რომ მასში, როგორც თასში, შეაგროვოს მოწყალება. ეს ხომ ჩვენი ენის უკმარისობის თვალსაჩინო სურათია!“

ანდრე ჟიდის წერილის ამ ნაწყვეტიდან ნათლად ჩანს რილკეს მომთხოვნელობა ზოგადად ენის და კერძოდ, მისი მშობლიური ენის მიმართ, მისი კრიტიკული განწყობა სიტყვის, როგორც სახელდების ფუნქციის მატარებელი ენობრივი ერთეულის, მიმართ. აქ მინდა დავუმატო, რომ, ჩემი ვარაუდით, რილკეს ნამდვილად მოეწონებოდა ქართული სიტყვა ***ხელისგული*** (Abuladze 2014:42).

საკუთარი აზრების, განცდების, გრძნობების, საკუთარი შინაგანი სულიერი არსის გამოხატვა, მისი სხვისთვის გაზიარება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა. „ყველაფერი, რაც ცოცხალია, ენას ნატრობს“, – ამბობს ჰერმან ჰესსე,[9] ყველა ცოცხალი არსება საკუთარი თავის გამოთქმას, თავის გამოხატვას ცდილობს. ერთი ცნობილი ქართველი მსახიობი მეუბნებოდა, თუ ვინმეს არ ვუამბობ იმას, რაც შემემთხვა, რაც გადამხდა, რაც განვიცადე, ისეთი გრძნობა მაქვს,

[9] “Nach Sprache sehnt sich alles Leben” (“Sprache”).

თითქოს არც არაფერი მომხდარაო. ამრიგად, ნანახის, განცდილის, თავს გადახდენილის სხვისთვის გაზიარება ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სჭირდება მას ენა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ხშირად ძალიან ძნელი და შეუძლებელიც კია ყველაფერი იმის გამოთქმა, რასაც ფიქრობ, განიცდი ან გრძნობ. აი, რას წერს თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში ცნობილი მსახიობი, რეჟისორი და მწერალი კლაუს კინსკი: „...მთელი ჩემი ცხოვრება ენა მებმოდა, როცა ვცდილობდი იმის გამოთქმას, რაც ჩემში ხდება, რასაც ვგრძნობ, რაც მტანჯავს და რაც ენით გამოუთქმელ ბედნიერებას მანიჭებს. რომ არ ეკითხათ ჩემთვის, ალბათ ამას ვერც გამოვთქვამდი, ახლაც კი, როცა ვფიქრობ, რომ იქნებ ვიპოვე სიტყვები, რომლებიც შეიძლება სხვამაც გაიგოს. მაგრამ რაც უფრო მეტად გამოხატავენ სიტყვები და გამოთქმები იმას, რისი თქმაც მინდა, მით უფრო საეჭვო და სუსტი მეჩვენება ეს სიტყვები და გამოთქმები. შეიძლება ადამიანმა ქარიშხალი გამოთქვას, ცეცხლი? ზღვა? ცა? ვარსკვლავები? სიკვდილი და სიცოცხლე? დროის გაქრობა? წარსული, აწმყო და მომავალი? რეინკარნაცია და წინაინკარნაცია? გამოთქვას ის, რასაც ხედავს და რასაც გრძნობს? წამება და შვება? წუხილი და სიხარული?“ (Kinski 1991:445).

გამოდის, რომ შეუძლებელი ყოფილა ენის საშუალებით ადამიანის შინაგანი არსის, ასევე საგანთა, მოვლენათა არსისა და ღრმა გრძნობების გამოხატვა. თუკი შეუძლებელია ადამიანის სულიერი მოძრაობების, სულიერი სიღრმეების წვდომა და გამოთქმა პროზაში, ჩვეულებრივი ზეპირი თხრობის ან წერის დროს, თითქოს კიდევ უფრო ძნელი უნდა იყოს ეს პოეზიის ენაზე, რადგან ლექსის წერისას ხომ უნდა რიტმზე და რითმაზეც იფიქროს ავტორმა. მაგრამ თუ ჩავუღრმავდებით პოეტური შემოქმედების არსს, მაშინ ვნახავთ, რომ სწორედ მისი საშუალებით მიიღწევა ის, რაც ენით ვერ გამოითქმის. თავის წერილში „ბგერითი სიმბოლიზმი გალაკტიონთან“, ირინე მელიქიშვილი ლაპარაკობს ენის პოეტური ფუნქციის მნიშვნელობაზე: „ენის პოეტური ფუნქცია განსაკუთრებული ღირებულებისაა, რადგან სწორედ მისი მეშვეობით მჟღავნდება სრული ძალით ენის შემოქმედებითი პოტენცია, მისი სიცოცხლე – ის, რომ ენა არის ქმნადობა და არა ქმნილება“ (მელიქიშვილი 2014:31).

სწორედ იმიტომ, რომ პოეტს ძალუძს ენის მთელი შემოქმედებითი პოტენცია, ენის მთელი ფარული შინაგანი ძალა და უნარი „ენით უთქმელის“ სათქმელად გამოიყენოს, ენათმეცნიერებისთვის მნიშვნელოვანია და აუცილებელიც კი იმის გათვალისწინება, თუ რას ამბობენ თვითონ პოეტები ენის შესახებ.

„პოეზია არ არის მხოლოდ საუკეთესოდ მოწესრიგებული საუკეთესო სიტყვები (лучшие слова в лучшем порядке), არამედ არის ენის არსებობის უმაღლესი ფორმა,“ – წერს ბროდსკი (Бродский 1994:4).[10] პოეზია იმიტომ არის ადამიანის

[10] შდრ. ინგლისელი პოეტის სამუელ ტეილორ კოლრიჯის გამონათქვამს: „პოეზია არის საუკეთესო სიტყვებით გამოთქმული საუკეთესო აზრები“ (Höllerer 1966:61).

შემოქმედების უმაღლესი ფორმა, რომ მასში ხერხდება გაუცნობიერებელი, ინტუიციის დონეზე არსებული აზრისა თუ განცდის და მისი ენობრივი გამოსახვის ჰარმონიული შერწყმა. მისი საშუალებით ხდება იმის გამოთქმა, რომლის ადეკვატური ენობრივი გამონათქვამი (იგულისხმება ლოგიკური ენა) არ არსებობს.

„შემოქმედების ბედნიერ საათებში აზრი და სიტყვა ერთდროულად ჩნდება“, – ამბობს ცვეტაევა. მოვიხმობ მთელ ნათქვამს: „აზრის სიტყვებში გადატანა უკვე კოჭლ აზრებს ნიშნავს. აზრი და სიტყვა შემოქმედების ბედნიერ საათებში ერთდროულად იბადებიან. მტანჯველი „ეს როგორ გამოვთქვა?“ მხოლოდ გაუცნობიერებელი კითხვაა: „ეს როგორ გავიაზრო?“ სიტყვის ძიება აზრის არასრულფასოვნების დასაბუთებაა. დააზუსტეთ აზრი, დაზუსტდება სიტყვა. ასე და არა სხვაგვარად მიიღებთ ფორმულას. სრულყოფილი აზრი არ შეიძლება ფორმულა არ იყოს“ (Цветаева 1996:267).[11] აქ უნდა შევნიშნო, რომ ცვეტაევა თითქოს უპირისპირდება თავისივე ნათქვამს ლექსში (Куст), რომელიც ზემოთ იყო მოყვანილი და რომელშიაც ის ამბობს, რომ სიტყვებით იმას ვერ გადმოსცემს, რაც მის არსებაშია, რაც მან შინაგანად იცის («Да разве я то говорю, | Что знала, пока не раскрыла | рта…»). აქ უნდა ითქვას, რომ ენის ფილოსოფიაში დიდი ხანია დგას საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა აზროვნება ენის გარეშე.[12] ცვეტაევა თავისი ზემოთ მოყვანილი გამონათქვამით იმ აზრს უჭერს მხარს, რომ აზროვნება და ენა განუყოფელია, თუმცა მის ლექსში «Куст» საპირისპირო შეხედულებაა აშკარად ნაგულისხმევი. მე მაინც ვფიქრობ, რომ წინააღმდეგობა აქ არ არის, რადგან ცვეტაევა ამ შემთხვევაში ლაპარაკობს ბედნიერ შემოქმედებით საათებში აზრისა და სიტყვის ერთდროულ დაბადებაზე, მაშინ როცა ლექსში «Куст» უფრო ისეთ მდგომარეობას უნდა გულისხმობდეს, როცა ინტუიციის დონეზე ბევრი რამ იცი და ბევრ რამეს გრძნობ, მაგრამ გამოთქმისას კარგავ. განეკუთვნება თუ არა ინტუიციის დონე აზროვნებას? შეიძლება თუ არა აზროვნებად მივიჩნიოთ ის, რასაც ნიცშე და ბერდიაევი გულისხმობენ, ან რაზეც ტიუტჩევი ლაპარაკობს? განეკუთვნება ეს ცნობიერების თუ ქვეცნობიერების სფეროს? რა ვიცით ჩვენ დღესდღეობით ქვეცნობიერის შესახებ? „გონების გამოყენება კაცობრიობისათვის ჯერჯერობით ძალიან ახალი და არასრულყოფილია იმის-

[11] «Перекладывать мысль в слово, – это уже хромые мысли: мысль и слово, **в счастливые творческие часы,** рождаются единовременно (ხაზგასმა ჩემია – ლ.ა.). Мучительное «как бы это сказать?» – только неосознанное: «как бы это додумать?» Поиски слова – доказательство несовершенности мысли, уточните мысль, – отточится слово. Так, а не иначе получается формула. Совершенная мысль не может не быть формулой» (Марина Цветаева, Собрание сочинений в семи томах, т.5: Кедр (Апология о книге С. Волконского «Родина»), стр. 267).

[12] ამ საკითხის შესახებ დაწვრილებით იხ.: Helmut Gipper, Sprache und Denken in sprachwissenschaftlicher und philosophischer Sicht. Münster: Nodus Publikationen, 1992.

თვის, – ამბობს ლე ბონი, – რომ ქვეცნობიერების კანონებისთვის საფარველის ჩამოხსნა შევძლოთ, განსაკუთრებით კი იმისთვის, რომ ისინი ჩავანაცვლოთ. ქვეცნობიერის წილი ჩვენს ქმედებაში არის უზარმაზარი, ხოლო გონებისა – ძალიან მცირე. ქვეცნობიერება არის ქმედითი ძალა, რომლის ცნობაც ჩვენ ჯერ არ ძალგვიძს... ჩვენთვის აღქმადი მოვლენების გადაღმა არიან ისეთებიც, რომლებსაც ჩვენ ბუნდოვნად ვარჩევთ, ხოლო მათ მიღმა ალბათ არიან კიდევ სხვებიც, რომლებსაც ჩვენ საერთოდ ვერ ვამჩნევთ“ (Le Bon 2014:97).[13]

მე მგონი, სწორედ გაუცნობიერებელი, შინაგანი, ინტუიციური, ე.წ. „პირველადი“ ენა აქვს მხედველობაში ცვეტაევას, როცა 1926 წლის 6 ივლისს რილკესადმი გაგზავნილ წერილში აცხადებს, რომ პოეზია უკვე თარგმანია პოეტისთვის *მშობლიური* ენიდან უცხო ენაზე, სულ ერთია ეს უცხო ენა ფრანგული იქნება თუ გერმანული. ამიტომაც არასწორად მიიჩნევს ის იმგვარ შესიტყვებებს, როგორიცაა რუსი პოეტი, გერმანელი პოეტი და ა.შ. (Asadowski 1992:76).[14] ადრე რილკე სწერდა მას, რომ ყველა ენა *ერთია* და რომ რუსული ენა ძალიან ახლოა იმასთან, რომ ეს *ერთი* ანუ *ყველა* ენა იყოს (Asadowski 1992:67).[15] ამაზე კი ცვეტაევა პასუხობდა, რომ, მისი აზრით, გერმანული ყველა ენაზე უფრო ახლოა *მშობლიურ* ენასთან, უფრო ახლოს, ვიდრე რუსული (Asadowski 1992:77).[16] ორივე პოეტი ლაპარაკობს *ერთ* ან *ყველა* ან პოეტის *მშობლიურ* ენაზე და, ჩემი აზრით, გულისხმობენ ინტუიციურ, პირველად ენას, რომელიც ცნებების დონეზე ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული, და რომელსაც პოეტები ზოგჯერ პარნასულს ან დელფიურსაც უწოდებენ, ხოლო გრიგოლ რობაქიძე საკრალურს ეძახდა (Sombart 1993:151). ის ქართულ ენას მიიჩნევდა საკრალურად და გერმანულშიაც შენიშნავდა საკრალურთან მსგავსებას.

პირველად, ინტუიციურ ენას გულისხმობდა მარინა ცვეტაევა მაშინაც, როცა პუშკინის ლექსების ფრანგულად თარგმნის შესახებ წერდა: „მე მარწმუნებენ, რომ პუშკინი არ ითარგმნება. როგორ შეიძლება შეუძლებელი იყოს იმის თარგმნა, ვინც

---

[13] **“**Der Gebrauch der Vernunft ist für die Menschheit noch zu neu und zu unvollkommen, um die Gesetze des Unbewussten enthüllen zu können und besonders, um es zu ersetzen. Der Anteil des Unbewussten an unseren Handlungen ist ungeheuer und der Anteil der Vernunft sehr klein. Das Unbewusste ist eine Wirkungskraft, die wir noch nicht erkennen können. ... hinter den wahrgenommenen Erscheinungen gibt es solche, die wir undeutlich sehen, und hinter diesen wahrscheinlich noch andere, die wir überhaupt nicht erkennen”.

[14] **“**Dichten, ist schon übertragen, aus der Muttersprache – in eine andere, ob französisch oder deutsch, wird wohl gleich sein. Keine Sprache ist Muttersprache. Dichten ist Nachdichten. Darum verstehe ich nicht, wenn man von französischen oder russischen etc. Dichtern redet. Ein Dichter kann französisch schreiben, er kann nicht ein französischer Dichter sein. Das ist lächerlich**”**.

[15] “Ich las russisch und …halte mir einen ab und zu in *das* Licht, in dem alle Sprachen *eine* Sprache sind: und diese, Deine, die russische, ist ohnehin so nah, *alle* zu sein!”

[16] “…deutsch ist doch der Muttersprache am nächsten. Näher als russisch, glaub ich“.

გამოუთქმელი, ენით უთქმელი უკვე თარგმნა, გადაიტანა თავის (ზოგად ადამიანურ) ენაში?“ (Asadowski 1992:235).[17]

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ცვეტაევას, რილკესა და სხვათა შეხედულებები ე.წ. *მშობლიური* ან *ერთი* ენის არსებობის შესახებ (სულ ერთია რა სახელიც არ უნდა ვუწოდოთ მას) ემთხვევა იმ აზრს, რომელსაც თანამედროვე ამერიკელი ფსიქოლოგი და ლინგვისტი სტივენ პინკერი გამოთქვამს თავის წიგნში “The Language Instinct” (Pinker 1994). იგი თვლის, რომ ადამიანები არ ფიქრობენ რომელიმე ცალკეულ ბუნებრივ ენაზე, არამედ ფიქრობენ, შეიძლება ითქვას, „მეტაენაზე“, რომელიც წინ უსწრებს ნებისმიერ ბუნებრივ ენას.

როგორც ზემოთ გაკვრით უკვე ვთქვი, რილკესთან მიმოწერის დროს ცვეტაევა შენიშნავდა, რომ პოეტისთვის ეროვნება არ არსებობს: „მე რუსი პოეტი არა ვარ და ყოველთვის მიკვირს, როცა ვინმე ასეთად მთვლის და ასეთად განმიხილავს. პოეტი იმიტომ არის პოეტი... რომ არა ფრანგი, რუსი და ა.შ., არამედ ყველა იყოს... ორფეოსი აფეთქებს ეროვნულობის საზღვარს, ან აფართოებს მას იმდენად, რომ ყველა (არსებული თუ ყოფილი) მასში თავსდება“ (Asadowski 1992:76-77).[18]

ცვეტაევასთვის მხოლოდ ერთადერთი პოეტი არსებობს. ის ამ ერთადერთს ორფეოსს უწოდებს, რომელიც ყველა ლექსის ავტორია, სულ ერთია, რომელ დროს ან რომელ ეროვნებასაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის. ამასვე გულისხმობს რილკეც, როცა თავის ორფეოსის სონეტების V სონეტში წერს: „ერთია ყოველთვის ის – ორფეოსი, როცა მღერის“.[19]

პოეტური შემოქმედების უმაღლესი მიზანი სამყაროს სულიერების, სამყაროს ჰარმონიის წვდომა და მისი სიტყვებში გამოხატვაა. ამ მიზნის მიღწევა პოეტს მხოლოდ საკუთარი გონის მეშვეობით შეუძლია, შეუძლია მაშინ, თუ საკუთარ სულს სამყაროს გონთან გააერთიანებს. ასეთ დროს, როგორც ჰერმან ჰესსე წერს, „სიტყვები ჯადოსნურად მოედინებიან ყოველი კუთხიდან, ვარსკვლავები ჟღერენ

---

[17] **“**Меня уверяют, что Пушкина невозможно перевести. Как может быть непереводимым тот, который невыразимое и несказанное в свой (общечеловеческий) язык перевел, перенес?**”** – წერდა მარინა ცვეტაევა 1936 წელს, როცა პუშკინის გარდაცვალებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით პარიზში მისი ლექსების ფრანგულად თარგმნის საკითხი დადგა.

[18] **“**Ich bin kein russischer Dichter und staune immer, wenn man mich für einen solchen hält und als solchen betrachtet. Darum wird man Dichter (wenn man es überhaupt *werden* könnte, wenn man es schon nicht allem voraus *sei*!) um nicht Franzose, Russe etc. zu sein, um alles zu sein. (...) Nationalität – Ab- und Eingeschlossenheit. Orpheus sprengt die Nationalität, oder dehnt sie so weit und breit, dass alle (gewesene und seiende) eingeschlossen sind**”**.

[19] “Ein für alle Male ist es Orpheus, wenn es singt”. Rainer Maria Rilke, die Sonette an Orpheus, erster Teil, in: Rainer Maria Rilke, Die Gedichte. Frankfurt am Main und Leipzig 2006.

და მთები იღიმებიან, და სამყარო სრულქმნილია და არის ღვთიური ენა, რომელსაც არცერთი სიტყვა, არცერთი ბგერა არ აკლია და რომელზედაც ყველაფერი ითქმის...“[20] მაშინ არის ეს ენა პოეტისთვის დედაენა, სულ ერთია, რა ენაზედაც არ უნდა წერდეს ის – გერმანულად, ფრანგულად, რუსულად თუ ქართულად (Abuladze 2011:39-40).

პოეზიის არსის წვდომა უსასრულოდ შეიძლება სცადოს ადამიანმა და ის ალბათ მაინც ისეთივე მიუღწეველი დარჩება, როგორც კაცობრიობის მარადიულ კითხვებია მიუღწეველი და გადაუწყვეტელი. როგორც იტალიელი პოეტი ჯუზეპე უნგარეტი ამბობს, პოეზიის დეფინიცია შეუძლებელია. ის არის საჩუქარი, ღვთიური მადლის ნაყოფი (Ungaretti 1966:244). მისი ძირითადი დანიშნულება კი არის ადამიანის ამაღლება საკუთარ თავზე (ნოვალისი). ადამიანის სულიერი ამაღლება აქვს მხედველობაში რუს ეპისკოპოსსა და პოეტს დიმიტრი შახოვსკოის, როცა პოეზიას ლოცვას ადარებს (Невзорова 2005:219-220). ალბათ შემთხვევითი არ არის ისიც, რომ „ლოცვა“ ზოგიერთი ლექსის სათაურადაც გვხვდება.

რილკე ამბობს, რომ საგნების მიღმა, დანაწევრებული სამყაროს მიღმა არსებობს სამყაროს შინაგანი სივრცე, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია (შდრ. ჰერაკლიტეს აზრი იმის შესახებ, რომ სამყარო ექვემდებარება საერთო წესს, რომელიც ყველა არსებულსა და ხდომილებას ერთმანეთთან აკავშირებს – Cassirer 1972:58). ამ შინაგანი სივრცის ანუ სიღრმული ყოფიერების წვდომა შესაძლებელი ხდება მაშინ, როცა ადამიანები საგნების გამოსახატავად ზუსტ სიტყვებს პოულობენ. მაშინ საგანთა ხილული სამყარო შემეცნების გზით შემოდის ადამიანის სულიერ-გონებრივ სფეროში. ამ დროს ხორციელდება სწორედ ენობრივი ქვეცნობიერებისა და ენობრივი ცნობიერების ურთიერთმოქმედება, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება სიტყვების ღრმად დამალული აზრის წვდომა და მისი გამოხატვა. ეს მხოლოდ პოეზიის შემოქმედებითი ძალის წყალობითაა შესაძლებელი. რილკე იყო სწორედ ის პოეტი, რომელმაც საგნების არსის გამოსახატავად ზუსტი სიტყვების მიგნება შეძლო. ეს თითქოს პარადოქსულადაც კი ჟღერს, თუ გავიხსენებთ სიტყვებისადმი მის სკეპტიკურ დამოკიდებულებას.

რუსთველი პოეზიას სიბრძნის დარგად მიიჩნევს. ის საღმრთოა[21] („საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი”) და ღირსეულ მკითხველს საჭიროებს („ვინცა ისმენს კაცი ვარგი“). ღირსეული მკითხველი ჰყავს მხედველობაში გოეთესაც, როცა წერს: Sag es niemandem, nur den Würdigen...(„არ უთხრა ეს არავის, მხოლოდ ღირსეუ-

---

[20] **“**…fließt Wort um Wort ihm zauberhaft aus allen Winden zu, Sterne tönen und Gebirge lächeln, und die Welt ist vollkommen und ist **Gottes Sprache**, darin kein Wort und Buchstabe fehlt, wo alles gesagt werden kann, wo alles klingt, wo alles erlöst ist**”**. *Zitiert nach:* H. Hesse, Sprache, *Über die Sprache. Eine Anthologie,* Hrsg. Karlheinz DANIELS, Carl Schünemann Verlag, Bremen 1966, S. 346.

[21] შდრ. ცვეტაევა: «Поэзия – язык Богов. Боги не говорят, за них говорят поэты» (Мой ответ Осипу Мандельштаму) (Цветаева 1994,5).

ლებს...“). განა ამასვე, ოღონდ უფრო განზოგადებული სახით, არ გვეუბნება ქართული ანდაზაც: „კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდაო“?

პოეტურ ნაწარმოებს რომ ღირსეული მკითხველი ესაჭიროება, ამას ამერიკელი უოლტ უიტმენიც შენიშნავს: „დიდი პოეტი მხოლოდ დიდი მკითხველის არსებობის შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს“ (Walt Whitman 1979:9). მარინა ცვეტაევა კი გახაზავს, რომ პოეზიის ნამდვილი მკითხველი პოეტური შემოქმედების თანამონაწილეა (Цветаева 1979:8).

სწორედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტ პოეზიაში ენით უთქმელი გამოითქმის, უაზრობად ჩანს კრიტიკოსების ცდა იმის გადმოცემისა, „თუ რისი თქმა სურდა ამა და ამ პოეტს ამა და ამ ლექსით“. აქ ავტორს სრული უფლება აქვს თქვას: „რისი თქმაც მინდოდა, მე ჩემი ლექსით ვთქვი. ასე და არა სხვაგვარად, მხოლოდ ასე შევძელი მე ჩემი სათქმელის, ჩემი აზრების, ჩემი გრძნობების გადმოცემა. სხვა სიტყვებით თქმა მე არ ძალმიძს“.[22] მით უმეტეს უაზრობაა ის, რომ ასეთ დავალებას მოსწავლეებს აძლევენ. მარინა ცვეტაევა სწერს ერთ კრიტიკოსს: „იმის მაგივრად, რომ ამიხსნა, რისი გადმოცემა მინდოდა მე ჩემი თხზულებით, ჯობია მაჩვენო, რისი მიღება შეძელი შენ ჩემგან“ (Цветаева1994,5: 296). სწორედ ასეთ დავალებას უნდა ვაძლევდეთ ჩვენ მოსწავლეებს ლექსის გარჩევისას და მაშინ კარგად გამოჩნდება მათი ინდივიდუალური უნარები, რადგან, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ყველა მკითხველი ამავე დროს ლექსის თანაავტორიცაა და კითხვისას აღიქვამს და გაითავისებს სწორედ იმას, რაც მის სულში შესატყვის სიმებს ააჟღერებს.

ახლა მოკლედ შევეხები თარგმნის პრობლემას, ზოგადად თარგმნის შესაძლებლობას და მის სიძნელეებს. ის ფაქტი, რომ ძალიან იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ერთი სიტყვა ერთ რომელიმე ენაში სრულად შეესატყვისება ამავე სიტყვას რომელიმე სხვა ენაში, რა თქმა უნდა, თარგმნის პრაქტიკაში არ შეიძლებოდა დიდი ხნის წინ არ ყოფილიყო შემჩნეული. ენათმეცნიერებაში, ვგონებ, პირველი კარლ აბელი იყო, რომელმაც ამ ფაქტს ყურადღება მიაქცია, როცა დაწვრილებით განიხილა ორი, შინაარსით თითქმის იდენტური სიტყვა, გერმანული Freund და ფრანგული ami, და გამოავლინა მათ შორის არსებული სხვაობა ამ სიტყვების ხმარებისა და გერმანელი და ფრანგი ხალხების კულტურებში მათი ადგილის მიხედვით (Abel1865:134). შემდგომში ამგვარი ფაქტები ენათმეცნიერთა კვლევის საგნად იქცა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ანა ვერჟბიცკას

[22] პოლ ვალერი წერს: „არ არსებობს ტექსტის ჭეშმარიტი („ნამდვილი“) აზრი. ავტორი ასეთ შემთხვევაში ავტორიტეტს არ წარმოადგენს. რისი თქმაც უნდოდა, ის მან უკვე დაწერა. ერთხელ გამოქვეყნებული ტექსტი უკვე ხდება როგორც აპარატი – ხელსაწყო, რომელსაც თითოეული თავისი უნარისა და შესაძლებლობების მიხედვით მოიხმარს. სრულიადაც არ არის სარწმუნო, რომ მისი შემქმნელი მას უკეთესად მოიხმარს, ვიდრე რომელიმე სხვა“ (Paul Valery, In: Höllerer 1965:244).

შრომებში აისახა. თარგმნისას ასეთ შემთხვევებს, როცა მიუხედავად ორ ენაში სიტყვების მნიშვნელობათა იდენტურობისა, მაინც შეუძლებელია მათი ურთიერთ-ჩანაცვლება, უმბერტო ეკო incommensurability – „არათანაზომადობას“ უწოდებს და იქვე შენიშნავს, რომ მისი დაძლევა მაინც ხერხდება (Eco 2006:47-48).

სიტყვების თარგმნას გაცილებით უფრო მეტად ართულებს სიტყვებთან და-კავშირებული ასოციაციური ბადეების არსებობა, რომლის შესახებაც სოსიური წერდა. კარგად არის ცნობილი, რომ სოსიურისთვის ენობრივი ერთეული არ წარმოადგენს მარტივ მიმართებას აღსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის. ასე რომ ყოფილიყო, შეგვეძლო დაშვება, რომ ენის შესაქმნელად საკმარისი იქნებოდა, დაგვეწყო ენის ერთეულებიდან ანუ სიტყვებიდან და შემდეგ, ახალ-ახალი ერთე-ულების დამატების გზით, აგვეგო მთელი ენობრივი სისტემა. სინამდვილეში საპი-რისპირო გვაქვს: სისტემა ენისათვის არის ამოსავალი მოცემულობა და მისგან ანა-ლიტიკური გზით ცალკეული ერთეულები – სიტყვები მიიღება. ამიტომაც არის, რომ უზარმაზარ დაბრკოლებებს, თანაც გადაულახავს, წააწყდა ხელოვნური ენის – მანქანური თარგმნისთვის შუამავალი ენის – შექმნის ცდები გასული საუკუ-ნის 60-იან წლებში.

სოსიური ენობრივი ნიშნების – სიტყვების – კვლევისას რეფერენტული მნი-შვნელობის გარდა, დიდ ყურადღებას უთმობს სიტყვების არა მარტო პარადიგმა-ტულ და სინტაგმატურ მიმართებებს, არამედ მათთან დაკავშირებულ ასოციაცი-ურ სერიებსაც. თავისი „ზოგადი ენათმეცნიერების კურსში“ იგი იხილავს სიტყ-ვას enseignement (განათლება, სწავლა) და მოჰყავს ამ სიტყვასთან ასოცირებული ბადეების 4 სერია: ასოციაციები ძირის მიხედვით, მნიშვნელობის მიხედვით, სუ-ფიქსისა და ბგერადობის მიხედვით. ამ ოთხი სერიიდან სამი – სიტყვების ბგე-რითსა და მორფემულ შემადგენლობას ეხება, ხოლო ერთი – მის შინაარსობრივ მხარეს (Saussure 1967:147-156). სწორედ სიტყვის ამ შინაარსობრივ მხარეს ექ-ცეოდა მთავარი ყურადღება სემანტიკური ველების კვლევისას და ნაკლები ყუ-რადღება ეთმობოდა სიტყვის მორფემულ აგებულებასა და ბგერით შემადგენლო-ბას, და მათთან დაკავშირებულ ასოციაციებს. სოსიურისთვის კი ენობრივი ნიშ-ნის მნიშვნელობა მასთან დაკავშირებულ ასოციაციურ ბადეთა მთელ კომპლექსს მოიცავს. სოსურის აზრით, მოლაპარაკე მეტყველების პროცესში სიტყვის შერჩე-ვისას ქვეცნობიერად ასოციაციურ ბადეებს მიმართავს და გონებისთვის აუხსნელი გზით იწვევს იმ სიტყვათა სიმრავლეს, რომლებიც ასოციაციურად შესარჩევ სიტ-ყვასთან კავშირში არიან. ეს სიმრავლე, სოსიურის ხატოვანი თქმით, ღრუბელი-ვით უფორმოა და ღია. იმისათვის, რომ მკვლევარმა ერთი ცალკე სიტყვის მნიშ-ვნელობის დაწვრილებით აღწერა შეძლოს, მას შეიძლება მთელი სიცოცხლე დასჭირდესო, – შენიშნავს სოსიური (Jäger 2012: 36-51).

თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვების ასოციაციურ კავშირებს, მაშინ და-ბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენის ლექსიკურ სისტემაში ნამდვილი სინო-

ნიმები არ არსებობს, ასევე ეჭვქვეშ დგება ერთი ენიდან მეორეზე ზუსტი თარგნის შესაძლებლობა და სრულიად სამართლიანი ჩანს ჰუმბოლდტის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ „არავინ არ ფიქრობს სიტყვის მოსმენისას ზუსტად იმას, რასაც სხვა, და ეს, ჯერ მცირე განსხვავება, თანდათან ვრცელდება მთელ ენაზე, როგორც წრეხაზები წყლის ზედაპირზე. ამიტომ ყოველი გაგება ამავე დროს არის გაუგებრობაც, ხოლო აზრებისა და გრძნობების დამთხვევა იმავდროულად ურთიერთდაპირისპირებაა“ (Humboldt 1973:439).[23] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უსასრულოდ ძნელია ჭეშმარიტი ურთიერთგაგება ადამიანებს შორის.

თუ ჰუმბოლდტის ნათქვამს იმასაც დავუმატებთ, რაც პოეტური ქმნილების წაკითხვის, მისი აღქმის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით, ცხადი ხდება, რა სიძნელეებს აწყდება პოეზიის თარგმნა, რადგან ლექსისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მისი შინაარსობრივი, ისე ბგერითი მხარე. ისინი განუყოფლები არიან ისევე, როგორც განუყოფელია სიტყვის მნიშვნელობა მისი ჟღერადობისაგან. ყოველ ბგერას, „ყოველ ფონემას აქვს თავისი მნიშვნელობა, ხასიათი, მაგრამ მისი გაცნობიერება ძნელია, იგი ღრმად ძევს ჩვენს ქვეცნობიერებაში“,[24] – წერს ირ. მელიქიშვილი და ჰუმბოლდტის აზრს იშველიებს: „სრულიად ნათელია, რომ არსებობს კავშირი ბგერასა და მის მნიშვნელობას შორის, მაგრამ ამ კავშირის საკმაო სისრულით აღწერა იშვიათად ხერხდება, ხშირად ეს მიხვედრების სფეროა, უმეტესად კი ჩვენ მასზე არავითარი წარმოდგენა არა გვაქვს“ (Гумбольдт 1984:92), შემდეგ კი აგრძელებს: „ბგერითი მნიშვნელობების ქვეცნობიერებიდან ამოზიდვა უფრო ძნელია, ვიდრე მორფოლოგიური ან სინტაქსური მნიშვნელობებისა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ ნაკლები ძალით მოქმედებენ კანონზომიერებები, ხოლო ამ კანონზომიერებების წვდომა და ფლობა ხელეწიფება პოეტს“ (მელიქიშვილი 2014:34). ამას დავუმატებ, რომ პოეტური ქმნილების – ლექსის – თარგმნაც მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტს ხელეწიფება,[25] თუმცა პროზაულ ტექსტშიც შეიძლება შეგვხვდეს ისეთი ადგილი, რომლის თარგმნა ალბათ ისევ პოეტის დახმარებას მოითხოვს, რადგან მასში სიტყვის შინაარსისა და ბგერითი მხარის საოცარი ერთიანობა იჩენს თავს. მაგალითად მინდა მოვიყვანო ნაწყვეტი მარინა ცვეტაევას წერილიდან “Кедр”, რომელიც ერთ სიტყვას – *отрешение*-ს

[23] **“**Keiner denkt bei dem Wort gerade und genau das, was der andre, und die noch so kleine Verschiedenheit zittert, wie ein Kreis im Wasser, durch die ganze Sprache fort: Alles verstehen ist daher immer zugleich ein Nichtverstehen, alle Übereinstimmung in Gedanken und Gefühlen zugleich ein Auseinandergehen**”.**

[24] აქ მინდოდა გრიგოლ რობაქიძის აზრიც მომეყვანა ე.წ. „მეტაფიზიკური“ ფონეტიკის შესახებ, მაგრამ ახლა ვთვლი, რომ ეს საკითხი დაწვრილებით განხილვას საჭიროებს, რაც ამ წერილის ფარგლებში ვერ მომიხერხდება.

[25] ისევ მარინა ცვეტაევას დავიმოწმებ. როცა ის პუშკინზე, როგორც ენით უთქმელიდან ადამიანურ ენაზე მთარგმნელზე ლაპარაკობს, თავის სიტყვებს შემდეგნაირად ასრულებს: „ასეთი მთარგმნელი პოეტმა უნდა თარგმნოს!“ (Такого переводчика... должен переводить поэт!).

ეხება: «Отрешение, вот оно мое до безумия глаз, до обмирания сердца любимое слово! Не отречение (старой женщины от любви, Наполеона от царства!), в котором всегда горечь, которое всегда скрепя сердце, в котором всегда разрыв, разрез души, не отречение, которое я всегда чувствую живой раной, а: отрешение, без свищущего **ч**, с нежным замшенным **ш**, – шелест монашеской сандалии о плиты, – отрешение: листвы от дерева, дерева от листвы, естественное, законное распадение того, что уже не вместе, отпадение того, что уже не нужно, что уже перестало быть насущностью, т.е. уже стало лишнестью: шелестение истлевших риз» (Цветаева 1994:260).

საბოლოოდ კი შეიძლება ითქვას: რა თქმა უნდა, სიმართლეა, რომ არსებობს წარმატებული თარგმნის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, რომ წარმოუდგენელია კაცობრიობის კულტურა სალიტერატურო და სხვა თარგმანების გარეშე, მაგრამ სიმართლეა ისიც, რომ თარგმნის პრაქტიკაში ზოგჯერ ისეთი სტრიქონებიც გვხვდება, რომელთა თარგმნა შესაძლოა შეუძლებელი აღმოჩნდეს.

ლიტერატურა:

ახობაძე 2015: ლ. ახობაძე, *აპრილმა იცის,* გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.

კვარაცხელია 2009: გ. კვარაცხელია, *სიტყვები, ლექსები, დიალოგები,* თბილისი.

მელიქიშვილი 2014: ი. მელიქიშვილი, ბგერითი სიმბოლიზმი გალაკტიონთან, *ენათმეცნიერების საკითხები*, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

რამიშვილი 1995: გ. რამიშვილი, *ენათა შინაარსობრივი სხვაობა ენათმეცნიერებისა და კულტურის თეორიის თვალსაზრისით,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Абуладзе, Лудден 2012:Л. Абуладзе, А. Лудден, Марина Цветаева о переводе, In: *General and Specialist Translation /Interpretation: Theory, Methods, Practice (5th International Conference Proceedings*, April 6-7,«Аграр Медиа груп», Киев.

Абуладзе, Лудден 2014:Л. Абуладзе, А. Лудден, Об ассоциативных связях слов и о сложности перевода. В: *Специальный и художественный перевод: теория, методология, практика* (Сборник научных трудов),«Аграр Медиа груп», Киев.

Арутюнян 2011: Н. Арутюнян, Полифония молчания*,Филологические науки*, 6, Москва, стр. 65-71.

Бердяев1949: Н. Бердяев, *Опыт философской автобиографии. Глава одиннадцатая.* УМСА-Pr., Paris.

Бродский 1979: И. Бродский, Поэт и проза, В: *Марина Цветаева, Избранная проза в 2-х томах,*Russica Publishers, New York.

Невзорова 2005: И. Невзорова, Марина Цветаева и Дмитрий Шаховской, В: *Марина Цветаева в XXI веке,* Москва.

Цветаева 1992: М. Цветаева, *Письма к Ариадне Берг*, УМСА-Pr., Paris.

Цветаева 1994: М. Цветаева, Кедр. Апология (о книге С. Волконского «Родина»), В: *Собрание сочинений в семи томах, т.5,* Эллис Лак, Москва.

Цветаева 1994: М. Цветаева, Письма Борису Пастернаку, В: *Собрание сочинений в семи томах, т. 6,*Эллис Лак, Москва.

Abel 1885: Carl Abel, *Sprachwissenschaftliche Abhandlungen,*Verlag von Wilhelm Friedrich, Leipzig.

Abuladse 2011: Lia Abuladse, Zur Sprache der Poesie, Dichter über Dichtkunst, In: *Jahrbuch für Schöne Wissenschaften* (*Hrsg*. von Martina Maria Sam, Hildegard Backhaus Vink und Kerstin Decker, III. Verlag am Goetheanum. Dornach). S.37-48.

Abuladse 2014: L. Abuladse, Ist **"**Unsägliche**"** sagbar? In: **"***die Drei***"**, 1, Frankfurt am Main, S. 37-46.

Asadowski 1992: K. M. Asadowski, *Rainer Maria Rilke und Marina Zwetajewa (Ein Gespräch in Briefen)*, Insel Verlag, Frankfurt am Main und Leipzig.

Bülow 2006: E. Bülow, *Die Benennbarkeit des Unbenennbaren am Beispiel "Schmerz(en)".* In: Gehling, Voss, Wohlgemuth, (*Hrsg*.): *Einblicke in Sprache,* Festschrift für Clemens-Peter Herbermann,Logos, Berlin, S. 71-94.

Capra 1996: F. Capra, *The Web of Life. A New Synthesis of Mind and Matter,* Harper Collins Publishers, Glasgow.

Cassirer 1972: E.Cassirer, *Philosophie der symbolischen Formen,* Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt.

Daniels 1966: K. Daniels (Hrsg.), *Über die Sprache. Eine Anthologie,*Bremen.

Eco 2006: U. Eco, *Quasi dasselbe mit anderen Worten:Über das Übersetzen* (Aus dem Italienischen von Burkhart Kroeber), Carl Hanser Verlag, Wien.

Gipper 1992: H. Gipper, *Sprache und Denken in sprachwissenschaftlicher und philosophischer Sicht,* Nodus Publikationen, Münster.

Hesse 1966: H. Hesse, *Sprache*, In:Karlheinz Daniels (Hrsg.), *Über die Sprache, Eine Anthologie,* Bremen.

Hesse 1992: H. Hesse, *„Sprache", Die Gedichte,* Suchkamp, Frankfurt am Main.

Höllerer1965: W. Höllerer, *Theorie der modernen Lyrik,* München.

Holthusen 1954: H. E. Holthusen, *Versuch über das Gedicht,*In: *Ja und Nein. Neuekritische Versuche,* Piper Verlag, München.

Humboldt 1903: W. von Humboldt, *Gesammelte Schriften* (in 17 Bänden), Hrsg. von Albert Leitzmann, B.VII. Berlin.

Humboldt 1973: W. von Humboldt,*Über der Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues und ihren Einfluss auf die geistige Entwicklung des Menschengeschlechts*. In: Werke in fünf Bänden, *Hrsg*. A. Flinter, K. Giel. Bd. III, Wissenschaftliche Buchgesellschaft, Darmstadt.

Jäger 2012: L. Jäger, Der assoziative Sprachapparat. Anmerkungen zu Saussure und Freud, In*:* Sprache und Literatur, 109; 43. Jahrgang, (1. Halbjahr).

Kinski1991:K. Kinski, *Ich brauche Liebe,*14 Auflage, Wilhelm Heyne Verlag, München.

Le Bon 2014: G. Le Bon, *Psychologie der Massen,* Nikol Verlag, Hamburg.

Martinet 1985:H. Martinet, The Magic of Words and Translation, In: Ursula Pieper, Gerhard Stickel (eds.), *Werner Winter:Sexagenario Anno* MCMLXXXIII, Mouton de Gruyter, Berlin, New York, Amsterdam.

Pinker 1994: Steven Pinker, *The Language Instinct,* Morrow and Company Edition, New York.

Ramischwili 1988/89: G. Ramischwili, *Einheit in der Vielfalt, Grundfragen der Sprachtheorie im Geiste Wilhelm von Humboldts,* Bonn.

Rilke 2006: R. M. Rilke, Die Sonette an Orpheus*,* In: *Die Gedichte*, Insel Verlag, Frankfurt am Main und Leipzig.

Sam 2006: M. M. Sam: Die *Wertigkeit des Wortes – Rainer Maria Rilke und Rudolf Steiner im Gespräch über die Sprache.* In: Martina Maria Sam, Hildegard Backhaus und Christiane Haid (Hrsg.), *Jahrbuch für SchöneWissenschaften,* "*... das Wort nur eine Gebärde*"*,* Dornach , S. 43-54.

Saussure 1967: F. de Saussure, *Grundfragen der allgemeinen Sprachwissenschaft,* 2 Auflage, Walter de Gruyter & Co., Berlin.

Lia Abuladze

Language, Poetry and Translation

Summary

The world outside ourselves finds its representation in our thinking by means of language. By means of language we also describe our feelings, i.e. our inner world. As human beings, we express our thoughts – but deep inside we feel that our verbal expressions are not fully compatible with our thoughts – as the Russian poet Fyodor Tyutchev put it: "An expressed thought is a lie" (Silentium). We often have this feeling – the tragic inconsistency between our first intuitions and the outer products of thinking i.e. our verbal expressions. What is the reason of this inconsistency – is it an expression of a boundary phenomenon of human possibilities or the question of imperfection of language?

In almost all languages we have expressions such as "inexpressible", or "nameless" in English, "unsäglich", "unbennenbar" in German, "neskazannyj", "nevyrazimyj" in Russian, or "enitutkmeli" in Georgian. Consequently, we may think that it is language proper which hinders us in expressing our thoughts precisely.

But there is another interpretation, too. The Russian poet Marina Tsvetaeva writes that when we are transferring our thoughts into words, we receive lame thoughts: the search for a word is already an indication of the imperfection of thought; if our thoughts are precise and exact, the words come naturally and easily to express them: thoughts and words must be born together and, in her opinion, this can happen only in the lucky hours of creation.

Poetry [which is "the highest form of language existence" (Josef Brodsky)] can widen the possibilities of man as well as of language. By means of poetry we can reach an adequate expression of our thoughts and feelings. "Writing poetry" – writes Marina Tsvetaeva to Rilke – "is already a translation from the mother tongue into another language – whether French or German, does not matter. No language is a mother tongue". And at another place she writes: "I have been assured that Pushkin cannot be translated. How *can* he not be translated – a man who translated the untold and the inexpressible in his (general human) language?"

I think that in these words of Tsvetaeva we can find resemblance with the opinion of contemporary psychologist and linguist Steven Pinker, who argues in his book "The Language Instinct" that human beings do not think in "natural" languages, i.e. any

language that we actually communicate in, rather we think in a “language” preceding any natural language.

When speaking about translation, we mean a translation from one natural language into another.

The desire to make foreign cultural treasures available in one’s own language via translation is so natural that it does not need any explanation. It is also clear that “incommensurability” (Umberto Eco) of words between different languages makes the process of translation difficult. But the difficulties of translation are particularly apparent while translating poetry, as in poetry the formal side of the verse is also very important – i.e. its rhythm and sound. There even exists a hypothesis that poetry cannot be translated, but as Tsvetaeva says in conclusion of her words about a possibility of translating Pushkin: “But *such* a translator … must be translated by *a poet*”.

Марина Алексидзе

ВОПРОСЫ СИНТАКСИСА В ТРУДАХ ЕЖИ КУРИЛОВИЧА

Сегодня, когда языкознание обретает всё более сложную и разветвлённую структуру, когда возникают новые лингвистические дисциплины и концепции, очень важно осмысление научного наследия лингвистов XX века, первыми выдвинувших научные гипотезы, которые стали основой многообразия современного языкознания и послужили причинами ускорения его развития.

Польский лингвист Ежи Курилович (1895-1978) является учёным, внесшим в первой половине XX века значительный вклад в развитие языкознания. В его исследованиях были выдвинуты предположения, ставшие основой дальнейших изысканий множества лингвистов разных стран. Ежи Куриловичизвестен прежде всего как исследователь истории индоевропейских и семитских языков, а также грамматики, структурной лингвистики и проблем общего языкознания.

Значителен вклад Ежи Куриловичаи в разработку вопросов синтаксиса, однако в научной литературе России этот вклад пока не получил должного освещения и оценки. Пытался осмыслить наследие лингвиста, к примеру, В. М. Алпатов, уделивший Е. Куриловичу несколько страниц своей учебной книги «История лингвистических учений» (Алпатов 2005:322-325), однако в своём обзоре сосредоточившийся на достижениях Е. Куриловича в разработке структурной лингвистики и глоссемантики, но обошедший вниманием его синтаксические изыскания.

Цель статьи – рассмотреть синтаксические аспекты лингвистических исследований Е. Куриловича и оценить их важность для современного языкознания.

Надо отметить, что само понятие синтаксиса Е. Курилович трактовал очень широко, соотнося с понятием синтактики в семиотике. Учёный называл синтаксисом сам универсальный характер комбинаторики (Курилович 2000:10), то есть возможность синтагматического сочетания фонем или морфем в слове, лексем в предложении. В процессе универсализации синтагматических отношений между единицами языка на разных его уровнях Е. Курилович выдвигал даже неожиданные гипотезы, к каковым можно отнести его широко известное отождествление слога и предложения: «…Роль гласного в слоге сходна с ролью сказуемого в предложении, роль подлежащего – с ролью начальной группы согласных, классификации гласных и согласных аналогичны классификации слов по частям речи и т. д.» (Алпатов 2005:324). Мы будем рассматривать тот вклад, который лингвист внёс в разработку собственно синтаксиса, в узком понимании данного термина.

Много внимания уделил Е. Курилович проблеме синтаксической деривации. Во-первых, учёный ввёл в научный обиход само понятие деривации для характеристики словообразовательных процессов, и оно «позволило соотнести конкретные цели и задачи со средствами их осуществления» (Я.БЭС 1998:129). Во-вторых, Е. Курилович предложил и обосновал деление деривации на лексическую и синтаксическую; чётко разделил два эти понятия:«В то время как синтаксическая деривация происходит внутри одного итого же лексического значения (например, прилагательное-определение → анафорическое прилагательное, без изменения лексического значения), деривация лексическая предполагает, что исходное и производное слова идентичны друг другу по первичной синтаксической функции» (Курилович 2000:63). Понятие синтаксической деривации широко используется в современной науке, где обозначает «процесс образования различных синтаксических конструкций путём трансформации определённой ядерной конструкции» (Я.БЭС 1998:129).

Предметом внимания Е. Куриловича была также транспозиция – переход слов из одной части речи в другую, в частности, субстантивация, причём данный процесс исследователь стремился осмыслить именно с синтаксической точки зрения. К примеру, «прилагательные, которые являются настоящими прилагательными с точки зрения их лексического значения, но с синтаксической точки зрения функционируют как существительные» (Курилович 2000:57) исследователь именовал «анафорическими». Именно на синтаксическом уровне, по Куриловичу, в первую очередь проявляются свойства слова, переходящего из одной части речи в другую. По мнению учёного, важно осознать соотношение между лексическим значением слова и его синтаксическими свойствами, функциями. Лексическое значение – наиболее важный и стабильный показатель частеречной принадлежности слова, синтаксическая функция же подвержена трансформации. Выделяются первичные и вторичные синтаксические функции. Е. Курилович предлагает термин «различие синтаксического окружения, или синтаксических условий» (Курилович 2000:60), предназначенный для характеристики тех ситуаций, в которых слово приобретает вторичные синтаксические функции. Именно синтаксические трансформации, то есть изменение синтаксический функции слова, по Е. Куриловичу, являются определяющим фактором для запуска процесса транспозиции: «Синтаксическое употребление слов влечет за собой рамочное изменение значения, как бы переход в другую часть речи» (Курилович 2000:122). Исследования транспозиции Куриловича и его современников стимулировали интерес к данному процессу со стороны лингвистов 60-80-х гг. XX в. и связан, как нам кажется, с усилением внимания к языку как динамическому явлению, причём предметом внимания исследователей становится в основном грамматическая, синтаксическая природа транспозиции.

Разрабатывая теорию падежа, Ежи Курилович не мог не затронуть проблему синтаксических функций имён существительных в различных падежах. По мнению лингвиста, «основное различие между грамматическим падежом и

конкретными падежами состоит не только в различном смысловом содержании соответствующих окончаний,но и в различии синтаксической позиции по отношению к глаголу» (Курилович 2000:89). Исследователь проводит обзор всех возможных синтаксических функций существительного. Ему принадлежит также ценное наблюдение относительно того, что в наречном значении и синтетическая падежная форма, и сочетание существительного с предлогом грамматически равны: «Решающую роль играет функция, а не происхождение» (Курилович 2000:96).

Предметом осмысления Е. Куриловича становится также исторический синтаксис. Глубокое внимание лингвиста к истории индоевропейских языков побуждает его, к примеру, выяснить, какое сказуемое – глагольное или именное – является первичным для индоевропейского предложения. Исследовав многочисленные факты истории индоевропейских языков, учёный выясняет, что «первичная и характерная форма предложения – предложение с глагольным сказуемым» (Курилович 2000:136). Рассматривая синтаксис различных языков, Е. Курилович стремился обнаружить синтаксические универсалии, факты синтаксиса, общие для различных языков, или «общий для всех языков закон, являющийся одновременно подлинной основой общего синтаксиса» (Курилович 2000:73).

Те теоретические обобщения, которые делает Е. Курилович по поводу различных синтаксических явлений, основываются на широких знаниях лингвиста в области теории и истории многих языков, «прежде всего славянских, романских, германских, индоиранских, греческого» (Иванов 1978:171) и иллюстрируются значительным количеством конкретных языковых примеров. При этом синтаксические предположения и выводы чаще всего являются для исследователя одним из способов подтверждения его изысканий в области общего языкознания и индоевропеистики. Многие ценные наблюдения Е. Куриловича относительно синтаксической системы языка носят в его исследованиях характер попутных замечаний и были развиты в дальнейшем другими исследователями.

Итак, Е. Куриловичу принадлежат идеи, исключительно важные для развития современного языкознания вообще и синтаксиса, в частности. К числу таких идей относится разработка учёным понятия синтаксической деривации, анализ процесса транспозиции с синтаксической точки зрения, рассмотрение синтаксических функций имён существительных в различных падежах, исследования в области исторического синтаксиса.

Литература:

Алпатов 2005: В. М. Алпатов, *История лингвистических учений: учебное пособие*, издательство «Языки славянской культуры, Москва.

Иванов 1978: Вяч. ВС. Иванов, Ю. Курилович (1895-1978), *Вопросы языкознания,* № 5, с. 169-172.

Курилович 2000: Е. Курилович, *Очерки по лингвистике*, ИП «Тривиум», Биробиджан.

Я.БЭС 1998**:** *Языкознание. Большой энциклопедический словарь,* Гл. ред. В. Н. Ярцева, издательство БРЭ, Москва.

მარინე ალექსიძე

სინტაქსის საკითხები ეჟი[1] კურილოვიჩის ნაშრომებში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია XX საუკუნის პოლონელი ენათმეცნიერის, ეჟი კურილოვიჩის, ლინგვისტური კვლევების სინტაქსური ასპექტები.

ეჟი კურილოვიჩმა XX საუკუნის პირველ ნახევარში დიდი წვლილი შეიტანა ენათმეცნიერების განვითარებაში. პოლონელი ლინგვისტი ცნობილია, პირველ რიგში, როგორც ინდოევროპული და სემიტური ენების ისტორიის მკვლევარი. დიდია ეჟი კურილოვიჩის წვლილი სინტაქსის საკითხების შემუშავებაში. სტატიის მიზანია, განვიხილოთ ეჟი კურილოვიჩის ლინგვისტური კვლევების სინტაქსური ასპექტები და განვსაზღვროთ მათი მნიშვნელობა თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის.

თვით სინტაქსის ცნებას მეცნიერი განიხილავდა ძალიან ფართოდ და სინტაქსს უწოდებდა კომბინატორიკის უნივერსალურ ხასიათს, ანუ სიტყვაში ფონემებისა და მორფემების, წინადადებაში ლექსემების სინტაგმატური შეთანხმების შესაძლებლობას. ენის სხვადასხვა დონეზე მის ერთეულებს შორის სინტაგმატური ურთიერთობების უნივერსალიზაციის პროცესში კურილოვიჩი მოულოდნელ ჰიპოთეზებსაც წამოწევდა, რომელთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ მისი ფართოდ ცნობილი გაიგივება მარცვალისა და წინადადების.

მეცნიერმა შეიმუშავა სინტაქსური დერივაციის ცნება, მკვეთრად გამიჯნა ლექსიკური და სინტაქსური დერივაციის ცნებები. სინტაქსური დერივაციის ცნებას ფართოდ იყენებენ თანამედროვე მეცნიერებაში, სადაც ის აღნიშნავს სხვადასხვა სინტაქსური კონსტრუქციის წარმოქმნის პროცესს გარკვეული ბირთვული კონსტრუქციის ტრანსფორმაციის გზით“.

კურილოვიჩის ყურადღების ობიექტია ასევე ტრანსპოზიცია – სიტყვის ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადასვლის პროცესი, კერძოდ, სუბსტანტივაცია. მეცნიერი ამ პროცესის გააზრებას ცდილობდა სწორედ სინტაქსური თვალსაზრისით. მისი აზრით, სწორედ სინტაქსურ დონეზე ვლინდება ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადასული სიტყვის თვისებები. მისი აზრით, მნიშვნელოვანია გააცნობიერო შეფარდება სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობასა და მის სინტაქსურ ფუნქციას შორის.

ეჟი კურილოვიჩის კვლევის საგანი ასევე ისტორიული სინტაქსი იყო. ინდოევროპული ენების ისტორიის მრავალრიცხოვანი ფაქტების შესწავლის შედეგად მეცნიერმა დაადგინა, რომ „წინადადების პირველადი და დამახასიათებელი ფორმაა წინადადება ზმნური შემასმენლით“.

[1] საბჭოთა კავშირში ცნობილი იყო როგორც Юрий Иванович Курилович.

რუსუდან ასათიანი

პირი და რიცხვი საერთო-ქართველურში

ქართველურ ენებში გამოიყოფა პირის ნიშანთა ორი რიგი, ე.წ. **ვ**ინისა და **მ**ანის რიგები, რომელთა ფუნქცია არის პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ სახელურ არგუმენტთა მიერ ზმნური ფორმის სინტაქსური მართვის მორფოლოგიური მარკირება.

ცხრილი 1.*

ნიშანი	რიცხვი	პირი	ქართული	მეგრული	ლაზური	სვანური
ვინის რიგი	მხ.	I	*ვ-*	*ვ- (-ქ)*	*ვ- (-რ)*	*(ხ/*ჰ)ჷ-Ø-,-ჷ-*
		II	– [1]	– *(-ქ)*	– *(-რ)*	*ხ-*
		III	*-ს,-ა,-ო*	*-ს,-ნ,-უ,-Ø*	*-ს,-ნ,-უ*	*(ლ-),-ს/Ø*
		I	*ვ- -თ*	*ვ- -თ*	*ვ- -თ*	ექს.: *(ხ/*ჰ)ჷ-,-დ* ინკ.: *ლ- -დ*
		II	– *-თ*	– *-თ*	– *-თ*	*ხ- -დ*
		III	*-ნ,-ენ,-ან, -ნენ,-ეს*	*-ა(ნ),-ნა(ნ), -ნ,-ეს*	*-ან,-ნან, -ნ,-ეს*	*(ლ-),Ø- -ხ*
მანის რიგი	მხ.	I	*მ-*	*მ-*	*მ-*	*მ-*
		II	*გ-*	*გ-*	*გ-*	*ჯ-*
		III (ირ.) III (ჰ.)	*ჰ-,ს-,Ø-* –	– –	– –	*ხ-* –
	მრ.	I	*გვ-*	*მ- -თ/ -ა(ნ),-ნა(ნ), -ნ,-ეს*	*მ- -თ/ -ან,-ნან, -ნ,-ეს*	ექს.: *ნ-, ნგ-* ინკ.: *გჷ-, გუ-*
		II	*გ- -თ*	*გ- -თ/ -ა(ნ),-ნა(ნ), -ნ,-ეს*	*გ- -თ/ -ან,-ნან, -ნ,-ეს*	*ჯ- -ხ*
		III (ირ.) III (ჰ.)	*ჰ-,ს-,Ø- [თ]*[2] –	– *[-ა(ნ), -ნა(ნ),-ნ, -ეს]* –	– *[-ან, -ნან,-ნ, -ეს]* –	*ხ- [-ხ]* –

* ცხრილი 1 ასახავს ძირითად და მორფოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებს; ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფებისა და დამატებითი ინფორმაციისათვის იხ. შესაბამისი შრომები (შანიძე 1973; ონიანი 1998; საღლიანი 2011, კარტოზია და სხვანი 2010; ეზუგბაია 2010, ასათიანი 2011, ლაკრუა 2014).

1 თანამედროვე ქართულში მხოლოდ ორ ძირთან (*ხ-არ, ზმნ. -ხ-ვალ*) დასტურდება მეორე სუბიექტური პირის ნიშნად *ხ-* პრეფიქსი.

2 [ ] ფრჩხილებში მოცემული ალომორფები დასტურდება მხოლოდ ზმნის ე.წ. ინვერსიულ ფორმებში.

სანამ შევეცდებით პირისა და რიცხვის ნიშანთა რეკონსტრუქციას ამ შემაჯამებელ ცხრილში წარმოდგენილი მორფემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ღირებული ჩანს პირის ნიშანთა ამ ორი რიგის – ვინისა და მანის – ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი და ინტერპრეტაცია.

ტრადიციულად, ვინის რიგის პირის ნიშნები მიჩნეულია სუბიექტის მარკერებად, მანის რიგისა კი კვალიფიცირებულია ობიექტის მარკერებად, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის: I და III-კლასის ზმნების III სერიის ფორმებში, ასევე, გრძნობა-აღქმის აფექტურ ზმნებთან სუბიექტი მარკირებულია მანის რიგის ნიშნებით, ობიექტი კი ვინის რიგისათი. სწორედ პირის ნიშანთა ფუნქციების ამგვარი „შებრუნების“ გამო, ასეთ ზმნურ ფორმებს უწოდებენ ‘ინვერსიულებს’, რაც, ფორმალური აღწერის თვალსაზრისით, შესაძლოა მისაღებიც იყოს, თუმცა პირის ნიშნების ცალსახა ფუნქციურ ინტერპრეტაციებს არ შეესაბამება და სტრუქტურული ანალიზის ძირითად პრინციპს – *„ფორმასა“ და „შინაარსს“ შორის ცალსახა შესაბამისობის დადგენა* – ეწინააღმდეგება.

ანალიზის ასეთი არათანმიმდევრულობის თავიდან ასაცილებლად,[3] პირველ ეტაპზე უფრო ეფექტური ჩანს პირის ნიშანთა ანალიზი ყოველგვარი ფუნქციონალური თუ სემანტიკური კვალიფიკაციის გარეშე, უბრალოდ იმ მიმართებების საფუძველზე, რომელთაც ისინი გარკვეული ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელურ არგუმენტებთან ამყარებენ:[4]

1. მიცემითში მდგარი სახელი ზმნაში ყოველთვის აჩენს მანის რიგის პირის ნიშნებს;
2. მოთხრობითში მდგარი სახელი – ვინის რიგის პირის ნიშნებს;
3. სახელობითში მდგარი სახელი კი ზმნაში აჩენს ან:
   (ა) ვინის რიგის ნიშნებს (თუ ის ერთადერთი არგუმენტია ან ზმნასთან იმავდროულად დაკავშირებულია მიცემითში მდგარი სახელი); ან
   (ბ) მანის რიგის ნიშნებს (თუ ზმნასთან იმავდროულად დაკავშირებულია მოთხრობითში მდგარი სახელი); ან
   (გ) საერთოდ უნიშნოა (თუ ზმნასთან ერთდროულად დაკავშირებულია ორივე – როგორც მიცემითში, ისე მოთხრობითში მდგარი – სახელი).

---

[3] იხ. ალექსანდრე ონიანის მოსაზრება (ონიანი 1978), რომელსაც შემოაქვს პირთა ‘სავალდებულო-არასავალდებულო’ მარკირების ცნება და ამ ნიშნით განასხვავებს მანისა და ვინის რიგის პირის ნიშანთა ფუნქციებს.

[4] ყველა ქართველურ ენაში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელური არგუმენტები არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს, თუმცა, ზმნური პირის ნიშნების მართვის თვალსაზრისით, ისინი ისევე მოქმედებენ, როგორც მოთხრობითში, სახელობითში ან მიცემითში მდგარი არგუმენტები. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ პირველი და მეორე პირის მოთხრობითზე, რომელიც ზმნურ ფორმაში ყოველთვის აჩენს ვინის რიგის პირის ნიშნებს პირველი და მეორე პირის მიცემითზე, რომელსაც ზმნურ ფორმაში ყოველთვის შეესაბამება მანის რიგის პირის ნიშნები, და პირველი/მეორე პირის სახელობითზე, რომელსაც, ზემოთ წარმოდგენილი (ა),(ბ),(გ) პირობების შესაბამისად, შეესაბამება ან ვინის, ან მანის პირის ნიშნები, ან უნიშნობა.

ბრუნვებისა და ზმნური პირის ნიშნების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის შედეგად იკვეთება შემდეგი კანონზომიერებები:

1. ყველა ქართველურ ენაში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელური არგუმენტები არ დაირთავენ ბრუნვის ნიშნებს; ანუ, ბრუნების მიხედვით უნდა გამოიყოს ორი ქვესისტემა: I/II პირის არგუმენტთა ქვესისტემა, რომელიც ბრუნვათა მიხედვით გაუდიფერენცირებელია, და III პირის არგუმენტთა ქვესისტემა, რომელიც ფორმდება ან ნომინატიურ, ან ერგატიულ, ან დატიურ კონსტრუქციათა შესაბამისი ბრუნვათა ყალიბების (resp. მოდელების) შესაბამისად.
2. გრძნობა-აღქმის, აფექტურ ზმნათა შემცველი კონსტრუქციები ყველაზე თანმიმდევრულია და ყოველთვის ბრუნვათა ყალიბების დატიურ მოდელს მისდევენ: ექსპერიენცერული სუბიექტი ყოველთვის წარმოდგენილია მიცემითი ბრუნვით, ხოლო მასტიმულირებელი ობიექტი – სახელობითით.
3. სახელობითი და მიცემითი ბრუნვები პოლიფუნქციურია: სახელობითი გამოხატავს როგორც სუბიექტს, ისე ობიექტს; ხოლო მიცემითი – ირიბ ობიექტს, ასევე, ექსპერიენცერულ და I/II-კლასის ზმნათა III სერიის სუბიექტს და პირდაპირ ობიექტს I სერიის ზმნურ ფორმებში (გამონაკლისია ლაზური, სადაც მიცემითს ეს უკანასკნელი ფუნქცია არ გააჩნია).
4. ზმნასა და არგუმენტებს შორის არსებული სხვადასხვაგვარი მორფოსინტაქსური მიმართებების ცალსახა ინტერპრეტაცია სინტაქსური ფუნქციების (resp. სუბიექტი, პირდაპირი და ირიბი დამატება) გამომხატველ ფორმალურ მარკერებად ვერ ხერხდება, ამ ფუნქციებსა და ბრუნვებსა თუ პირის ნიშნებს შორის ცალსახა დამოკიდებულების არარსებობის გამო; ამდენად, უფრო ადეკვატური ჩანს ამ ფორმალური მოდელების კვალიფიკაციის მცდელობა არა სინტაქსური ფუნქციების, არამედ უშუალოდ 'სემანტიკური როლების' (resp. აგენსი, პაციენსი, ადრესატი, ექსპერიენცერი და სხვა) მარკერებად. არგუმენტთა სემანტიკური როლები შეიძლება დახასიათდეს ზმნასთან მათი კავშირისას გამოვლენილი ერთი სემანტიკური ნიშნის – 'არგუმენტთა ნება' – სხვადასხვაგვარი შინაარსით:
   - აგენსი (resp. Ag) – ისეთი არგუმენტია, რომლის 'ნება' ჩართულია ზმნით გამოხატულ პრედიკაციაში და აკონტროლებს მოქმედებას, ანუ (+[ნ.]);
   - ადრესატი (resp. Ad)/ექსპერიენცერი (resp. Exp)/აგენსი$_{\text{არაევიდენტიალური}}$ (resp. $\text{Ag}_{\text{nonevidential}}$)[5] – ისეთი არგუმენტია, რომლის 'ნება' არ არის ჩარ-

[5] III სერიის ფორმების სემანტიკური განსხვავებულობა წარსულის სხვა (წყვეტილი-უწყვეტელი) ფორმებისგან სწორედ ამ ფორმათა პერფექტულობითა და Ag-ის როლის 'არააქტუალიზებით', 'ნიველირებით', 'შესუსტებით' შეიძლება დადგინდეს. III სერიის ფორმების შემთხვევებში სიტუაცია წარმოდგენილია მოქმედების შედეგიდან გამომდინარე იმგვარად, რომ Ag-ის ნების ჩართულობა-ჩაურთველობა არააქტუალიზებულია, ნიველირებულია, არ არის დაფიქსირებული და, ამდენად, ამ არაევიდენტუალობის გამო,

თული ზმნით გამოხატულ პრედიკაციაში და ვერ აკონტროლებს მოქმედებას, ანუ, (−[ნ.]);

- პაციენსი (resp. P) – ისეთი არგუმენტია, რომლის (თვით)კონტროლი აპრიორულად გამორიცხულია; ამდენად, მისთვის ნიშანი 'თავისუფალი ნება' ჭარბია – ანუ, Ø.[6]

'ნების' ნიშანი[7] მართავს ზმნური პირის ნიშნების გაჩენას ზმნაში, რაც იერარქიულად ორგანიზებული პროცესია, რომელიც შემდეგი წესებით შეიძლება აღიწეროს:

I. არგუმენტი, რომლის 'ნება' არ არის ჩართული პრედიკაციაში (ან არ არის ცნობილი, მისი ნება ჩართულია თუ არა) ზმნაში აჩენს **მანის რიგის** ნიშნებს (სემანტიკურად ასეთი არგუმენტებია: Ad, Exp და III სერიის $Ag_{nonevidential}$);

II. არგუმენტი, რომელიც თავისი ნებით მოქმედებს, ზმნაში აჩენს **ვინის რიგის** ნიშნებს (სემანტიკურად ასეთი არგუმენტია Ag);

III. არგუმენტი, რომელიც გაუფორმებელი რჩება I>II წესების ამოქმედების შემდეგ, ზმნაში აჩენს:

   ა) **ვინის რიგის** ნიშნებს, თუ ის ზმნასთან არგუმენტულ მიმართებაში მყოფი ერთადერთი სახელია (კონსტრუქცია: P);

   ბ) **ვინის რიგის** ნიშნებს, თუ მეორე არგუმენტის 'ნება' არ არის ჩართული პრედიკაციაში (კონსტრუქციები: {P-Ad}, {P-Exp}, {-$Ag_{nonevidential}$});

   გ) **მანის რიგის** ნიშნებს, თუ მეორე არგუმენტის 'თავისუფალი ნება' ჩართულია პრედიკაციაში (კონსტრუქცია: {Ag-P});

   დ) **Ø**, თუ 'თავისუფალი ნების' მიხედვით განსხვავებული ორივე არგუმენტი (+[ნ.] და −[ნ.]) ჩართულია პრედიკაციაში (კონსტრუქცია: {Ag-Ad-P}).

ფუნქციურად და სტრუქტურულად ის გათანაბრებულია −[ნ.]-სთან; Ag როლის სწორედ ამგვარი არაევიდენტუალობის გამო – „არააქტუალიზებითა და ნიველირებით" გამონათქვამი: *კაცმა ააშენა სახლი (=აშენებული სახლი სახეზეა და აქტუალიზებული, გახაზულია (resp. ენობრივად რეპრეზენტირებულია), რომ ამ პროცესში ჩართული იყო კაცის ნება)* – უპირისპირდება გამონათქვამს: *კაცს აუშენებია სახლი (=აშენებული სახლი სახეზეა და არ არის აქტუალიზებული, გახაზული (resp. ენობრივად რეპრეზენტირებული) კაცის ნება ამ პროცესში ჩართული იყო თუ არა).*

[6] Ad და P როლები, ორივე, Ag-სგან განსხვავებით, სიტუაციასთან მიმართებით 'ნების' არმქონე არგუმენტებია. განსხვავება მათ შორის ის არის, რომ P, როგორც მოქმედების ქვეშ მყოფი არგუმენტი (resp. undergoer), რომელიც იქმნება, იცვლება, ქრება, ფლობის ობიექტია, და სხვა ამგვარი, აპრიორულად 'ნებაწართმეულია' (ამიტომაც ის პროტოტიპულად უსულო, არააქტიური სახელია); ხოლო Ad-ის 'ნების' მოქმედებაში ჩაურთველობა განპირობებულია იმით, რომ მოქმედება მისთვის, მას, მასზე (Benefactive, Recipient, Locative) კი არის ორიენტირებული, მაგრამ იმგვარად, რომ მოქმედება მას უშუალოდ არ „ეხება" – ის არ იქმნება/ქრება, არ იცვლება, არ არის ფლობის ობიექტი და სხვა ამგვარი.

[7] შდრ. ალ. ფოცხიშვილის მიერ გამოყოფილ 'უნებლიობის' ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას (ფოცხიშვილი 2000).

ამ წესებიდან ჩანს, რომ მსგავსად სინტაქსური ფუნქციებისა, ცალსახა შესაბამისობა არ დასტურდება არც ბრუნვებსა და სემანტიკურ როლებს შორის: Ag შეიძლება გამოხატულ იქნეს სახელობითით ან მოთხრობითით; P – სახელობითით ან მიცემითით; მართალია, Ad უკავშირდება მხოლოდ მიცემითს, თუმცა არა პირუკუ: მიცემითი შეიძლება გამოხატავდეს Exp, $Ag_{nonevidential}$ და P – ანუ არც ამ შემთხვევაში გვაქვს ცალსახა შესაბამისობა. ამდენად, ბრუნვათა მოდელებსა და პირის ნიშნებს შორის არსებული შესაბამისობების ერთადერთ ადეკვატურ აღწერად შეიძლება მივიჩნიოთ წესების სწორედ ამგვარი დინამიკური წარმოდგენა, სადაც იერარქიის სახით არის ორგანიზებული წესების მოქმედება I>II>III(ა)/III(ბ)/III(დ)/III(გ):

ჯერ მოქმედებს I წესი, შემდეგ II და მხოლოდ ამის შემდეგ III ქვეწესებიდან ერთ-ერთი; ანუ, –[ნ] არგუმენტი გაფორმდება მანის რიგით; +[ნ]→ვინის რიგით; და „ნების“ მიხედვით ნეიტრალური→ან მანის, ან ვინის რიგით, ან საერთოდ უნიშნოდ იქნება წარმოდგენილი.

მაგალითად, ფორმა *მ-იყვარ-ს* მიიღება შემდეგი გენერაციული პროცესით: მას შეეწყობა ორი როლი – Exp. და St. ამათგან Exp. არის როლი, რომელიც ვერ მოქმედებს თავისი ნებით და, ამდენად, I წესის თანახმად, ის ზმნაში მარკირებული იქნება მანის რიგის ნიშნებით; მეორე არგუმენტს ($P_{stimulus}$) რჩება ვინის რიგის ნიშნები – III-3 წესი). იმავე პროცედურებით აიგება ყველა ფორმა, მაგ.:

ს-ცივ-ა ——— I>II
ცხოვრობ-ს ——— II
იხატებ-ა ——— III-1
ხატავ-ს ——— II>III-3
ვ-უხატავ ——— II>III-2
მ-იხატავ-ს ——— I>II>III-4
გ-ახატვინებ-ს ——— I>II>III-4
ვ-უყვარ-ვარ ——— I>II
დგა-ს ——— III-1

ამდენად, ქართველური ენები პირთა მიერ ზმნური ფორმების მართვისას მიმართავენ ‘ოპტიმალიზაციას’ და, ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, P (ანუ, „ნების“ მიხედვით ნეიტრალური არგუმენტი) ფორმდება არა რაიმე სპეციფიკური მარკერით, არამედ I/II წესების ამოქმედების შემდეგ დარჩენილი „არადაკავებული“ ბრუნვით; ასეთი ოპტიმალიზაცია კიდევ ერთხელ გახაზავს P როლის არამარკირებულ ხასიათს ქართველურ ენებში.

თუ ქართველურ ენათა გრამატიკულ სისტემას მთლიანობაში გავაანალიზებთ, გამოიკვეთება ქართველური ენების ერთი თავისებური ტენდენცია:

ყველა ქართველური ენა, უპირველეს ყოვლისა, მიისწრაფვის I/(II) ~III პირთა დიქოტომიის ფორმალური მარკირებისაკენ.

ასეთი ინტერპრეტაციის სასარგებლოდ მეტყველებს ყველა ქართველური ენის გრამატიკულ სისტემაში დადასტურებული შემდეგი ფაქტები (ასათიანი 1994):

1. **ბრუნვათა მოდელები:** I/II პირის ნაცვალსახელები ბრუნვათა მიხედვით გაუდიფერენცირებელ ქვესისტემას ქმნიან მაშინ, როდესაც III პირის (ნაცვალ)-სახელების ქვესისტემაში გამოიყოფა ბრუნვათა მიხედვით მდიდარი პარადიგმები.
2. **ზმნურ ფორმათა პირთა მიხედვით მართვის მოდელები:** I/II პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელები ზმნაში აჩენენ პრეფიქსებს მაშინ, როდესაც III პირის მხოლობითი რიცხვის (ნაცვალ)სახელები – სუფიქსებს (გამონაკლისია მხოლოდ სვანური).[8]
3. **მესამე პირის ალომორფთა მრავალფეროვნება და სხვა კატეგორიებთან თანაკვეთაში წარმოდგენა:** I/II პირის ნიშანთა მცირერიცხოვანი ალომორფები ძირითადად სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესებით არის განპირობებული და ცალსახად პირებს აღნიშნავენ მაშინ, როდესაც III პირის ალომორფთა სიმდიდრე და მრავალრიცხოვნობა ძირითადად მორფოლოგიურად არის შეპირობებული და სხვა მორფოლოგიურ კატეგორიებთან (სულიერობა, აქტივ-პასივის დაპირისპირება, დრო-კილოთა განსხვავებები, პირთა კომბინირებისას გამოვლენილი ფუნქციონალური სხვაობები და სხვა) თანაკვეთაში რეალიზდება.
4. **ზმნის მრავალპირიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფუნქცია:** I/II პირის (მათი სხვადასხვაგვარი ფუნქციონალური კვალიფიკაციისდა მიუხედავად – როგორც სუბიექტის, ასევე ობიექტის) აუცილებელი მარკირება ზმნურ ფორმაში.
5. **რიცხვში შეთანხმება:** I/II პირი ყოველთვის ითანხმებს ზმნას რიცხვში მაშინ, როდესაც III პირი – გარკვეული სემანტიკური თუ ფუნქციონალური შეზღუდვებით.
6. **ქცევის კატეგორიის დიქოტომიურობა:** თუ მოქმედება ორიენტირებულია I/II პირისაკენ, ზმნაში წარმოდგენილია **ი-* პრეფიქსი მაშინ, როდესაც თუ მოქმედება ორიენტირებულია III პირისაკენ, ზმნაში წარმოდგენილია ან **ი-* (თუ ეს III პირი სუბიექტურია) ან **უ-* (თუ ეს III პირი ირიბობიექტურია) პრეფიქსული ალომორფები.

---

[8] პირთა მიერ ზმნური ფორმის მართვის პროცესში ამ დიქოტომიის მარკირება განსაკუთრებით გაძლიერებულია მეგრულსა და ლაზურში ზმნის აწმყოს (მეგრულში, ასევე, მყოფადისა და თურმეობით-III-ის) ფორმებში სუფიქსური *-ქ, -რ* მაჩვენებლებით (იხ. ცხრილი 2.). სვანურში ეს დიქოტომია შესუსტებული ჩანს სუბიექტური მესამე პირის პრეფიქსული *ლ-* მორფემით, თუმცა გარკვეულად კომპესირებულია ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ფორმალური დაპირისპირებით, რაც გულისხმობს პირველი პირის მრავლობითის ფორმების განსხვავებას მეორე პირის ჩართულობა (იგივე, ინკლუზივი)-ჩაურთველობის (იგივე, ექსკლუზივი) მიხედვით; ანუ, {I+II+(III)} უპირისპირდება {I+III}, რაც I/II~III დიქოტომიის მარკირების ერთ-ერთი (დამატებითი) გამოხატულებაა.

7. **მიმართულების კატეგორია:** თუ მოქმედება მიმართულია I/(II) პირისაკენ, ზმნაში წარმოდგენილია ერთი ტიპის, ე.წ. რთული (და *მო-*) ზმნისწინები მაშინ, როდესაც თუ მოქმედება მიმართულია III პირისაკენ, მეორე ტიპის, ე.წ. მარტივი ზმნისწინები.[9]

ეს არგუმენტები ნათელყოფენ, რომ ქართველურ ენებში მოქმედებს პირთა I/(II)~III დიქოტომიის ფორმალიზებისაკენ მისწრაფების ძლიერი ტენდენცია, რომელიც გასდევს მთელ გრამატიკულ სისტემას. ეს დიქოტომია პრივილეგირებულ პოზიციაშია და განსაზღვრავს სიტუაციების ლინგვისტური სტრუქტურირების პროცესს: უპირველეს ყოვლისა, ღირებულია I/(II)~III დიქოტომიის გრამატიკალიზება – ნომინატიური, ერგატიული თუ დატიური მოდელების მონაცვლეობა მხოლოდ III პირის ქვესისტემაშია და განისაზღვრება 'ნების' სემანტიკური ნიშნით განსხვავებული სემანტიკური როლების, ზმნური კლასებისა და დრო-კილოთა სხვადასხვაგვარი თანაკვეთების ფორმალიზებით.

გამოვლენილი დიქოტომია შესაბამისობაშია პირისა და რიცხვის ნიშანთა რეკონსტრუქციისას წარმოქმნილ სირთულეებთან: I/II პირის ნიშანთა რეკონსტრუქცია არ იწვევს გაუგებრობებს, მაშინ, როდესაც III პირის ნიშანთა რეკონსტრუქცია პრობლემურია.

I პირის მხოლობითი რიცხვის მორფემათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში ადვილად რეკონსტრუირდება *ვ- (+[ნ]) და *მ- (–[ნ]) მორფემები.

მეგრულსა და ლაზურში *ვ-* მორფემა იძლევა ფონოლოგიურად შეპირობებულ მრავალფეროვან ალომორფებს (ეზუგბაია 2010:187):

ცხრილი 2.

	-V	V-V	-C$_{\text{მყლ.}}$	-C$_{\text{ფშვ.}}$	-C$_{\text{მკვ.}}$	-{*ბ,ფ,პ,მ*}	-{*ბ,ფ,პ,მ*}C
მეგრ.	*ვ-*	*ვ-//უ-*	*ბ-//ვ-*	*ფ-//ვ-,ბ-*	*პ-//ვ-,ბ-*	*ვ-*	*ვ-//ბ-/ფ/პ-*[10]
ლაზ.	*ვ-//ბ-*	*ვ-//ბ-, Ø*	*ბ-*	*ფ-//ბ-, Ø-//ვ-*	*პ-*	*Ø-//ბ-*	*მ*[11]*//ვ-*

წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, რომ მეგრულსა და, განსაკუთრებით, ლაზურში ძალიან აქტიურია *ბ-* ალომორფი, რაც ზოგიერთ მკვლევარს საფუძველს

---

[9] ზმნისწინთა ტიპები ქართველურ ენებში სხვადასხვაგვარი პრინციპისა და ფორმალური თუ ფუნქციურ-სემანტიკური ნიშნების მიხედვით არის გამიჯნული – მაგ., მეგრულში ეს დაპირისპირება ფუნქციონირებს მცირე განსხვავებულობით იმგვარად, რომ II პირი ერთიანდება არა I, არამედ III პირთან – თუმცა აღნიშნული დაპირისპირება ყველგან ფიქსირდება.

[10] ეს ალომორფები განპირობებულია C-ს რაგვარობით.

[11] *მ-* ალომორფი ჩნდება *ნC* მიმდევრობის წინ.

აძლევს, ზანურისათვის ძირითად ალომორფად გამოყოს არა *ვ-*, არამედ *ბ-* (იხ. ლაკრუა 2014:54); მაგრამ გავრცელებულობის მიხედვით, -V და V-V პოზიციები გაცილებით ძლიერია: მეგრულსა და ლაზურში (ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში) ზმნური სიტყვაფორმების სტრუქტურულ მოდელში პირის პრეფიქსულ ნიშნებს უკავიათ ზმნისწინების მომდევნო და ხმოვანპრეფიქსების წინა პოზიცია, ზმნისწინები კი, როგორც წესი, ხმოვნებით ბოლოვდება; ამდენად, პოზიცია V-V ყველაზე ხშირია და ძირითადი ალომორფის გამოყოფისა და, მორფემის დადგენის პრინციპების შესაბამისად, ამ პოზიციაში დადასტურებული ალომორფი გადამწყვეტი ჩანს მორფემად კვალიფიკაციისათვის.

I პირის მორფემის რეკონსტრუქციისას გასარკვევია სვანურის *ხშ-* და ინფიქსური *-შ-* და *Ø-* ალომორფების საკითხი: პირველი ხმოვნით დაწყებულ (ან ხმოვნის მომდევნო) ზმნურ ფორმებთან გვაქვს, მეორე და მესამე კი – თანხმოვნით. ასეთი განაწილება ადვილი ასახსნელია და ინფიქსის გენეზისის პირობებიც ნათელია: „*-შ-* სვანურში წყვილბგისმიერი სონანტია. ამიტომ იგი თანხმოვნის წინ შეუძლებელია. იგი ინფიქსად იქცა“ (მაჭავარიანი 2002:85), ან საერთოდ დაიკარგა, განსაკუთრებით, ლაბიალური თანხმოვნების წინ. ეს ვითარება აიხსნება სვანურისათვის დამახასიათებელი, განსაკუთრებულად გამოკვეთილი ერთი კანონზომიერებით: *სვანურში ფონეტიკური პროცესები მოქმედებს სიტყვაფორმის ფარგლებში და მორფემათა საზღვარი ამ პროცესებისათვის დაბრკოლება არ არის.*

რაც შეეხება *ხშ-* ალომორფს, მის შესახებ ქართველოლოგიაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს: *შ-* პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, ხოლო *ხ-* მესამე პირზე მიუთითებს (შუხარდტი 1895); *ხ-* მეორე პირის ანალოგიით გადავიდა პირველ პირშიც: **შ̈ა̈რი* („ვარ“)~*ხ̈ა̈რი* („ხარ“)→*ხ̈ა̈რი* (შანიძე 1957); *ხ-* ფონეტიკურად არის განვითარებული, რამდენადაც სვანურისათვის დამახასიათებელია *შ-*ს წინ უკანაენისმიერი თანხმოვნის განვითარება (ჩიქობავა 1949); *ხშ-* ←*ხ* (მეორე სუბიექტური პირი)+(პირველი სუბიექტური პირი) (თოფურია 1931). შესაძლებელია, სვანურის ვითარება ძველი ქართულის მონაცემებს შევადაროთ და შანიძის ინტერპრეტაციის გაზიარებით სვანურშიც ვივარაუდოთ (შუხარდტის მსგავსად) *ხ-* მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის განზოგადება პირთა ისეთი კომბინაციებისათვისაც, სადაც O.3 არ ივარაუდება (თუნდაც ერთპირიან ზმნებთან). ყოველ ამ ახსნას თავისი კონტრარგუმენტები აქვს და ბოლომდე დამაჯერებელი არცერთი არ არის. ამიტომაც მეცნიერთა ნაწილი (კლიმოვი 1964, ონიანი 1978, გამყრელიძე 1979) საერთო-ქართველურის ფუძე-ენაში აღადგენს **ხშ* მორფემას, რომელიც შემდგომში, უკვე დამოუკიდებელი განვითარების გზაზე მდგომ ქართველურ ენებში „...რეინტერპრეტირებულ იქნა, როგორც O.3ind *ხ-* და *ვ-* პრეფიქსთა კომბინაცია“ (გამყრელიძე 1979:49) და დაიშალა. ამ მოსაზრებასაც აქვს თავისი სუსტი მხარე (იხ. სუხიშვილი 1986); ასევე, ანგარიშგასაწევია ის ფაქტი, რომ ძველ ქართულში ზმნის სტრუქტურულ ფორმულაში S ჩვეულებრივ

უსწრებს O-ს და არა პირიქით და ასეთი რეინტერპრეტაცია ნაკლებ მოსალოდნელია. ყოველ შემთხვევაში, აშკარად, „*ხ̂ʒ-* არ არის დამოუკიდებელი მორფოლოგიური ელემენტი“ (მაჭავარიანი 2002:86) და დანარჩენი თანამედროვე ქართველური ენების მონაცემებიც მხარს უჭერს საერთო-ქართველურისათვის **ʒ*-ს აღდგენას. *ხ*-ს განვითარება *ʒ*-ს წინ უნდა ასახავდეს იმ ვითარებას, რომ, როგორც სვანურისა (და, გარკვეულად, ზანურისაც) მონაცემებიც გვიჩვენებს, საერთო-ქართველურში ფონეტიკური პროცესები სიტყვაფორმის ფარგლებში მოქმედებს და მორფემათა საზღვარი არ არის მკაცრად დაფიქსირებული (ანუ, აგლუტინაციის პრინციპი მკაცრად ამოქმედებული არაა). აქედან გამომდინარე კი, რამდენადაც *ʒ* ფონემა არცერთ ქართველურ ენაში კანონიკური არ არის თავკიდურა პოზიციაში, სვანური ამ არაკანონიკურობას სძლევს იმით, რომ თანხმოვნით დაწყებულ ფორმებთან ხდება *ʒ̂*-ს მეტათეზისი, ხმოვნით დაწყებულ ფორმებთან კი ფონეტიკურ ნიადაგზე ჩნდება უკანაენისმიერი თანხმოვანი; საზოგადოდ, თავკიდურა *ʒ*-ს წინ ქართველურ ენებში უკანაენისმიერი თანხმოვნების განვითარება დამახასიათებელია (თოფურია 1931, კიკნაძე 1942).

რაც შეეხება პირველი პირის ***ʑ-*** მორფემის რეკონსტრუქციას, აქ ნაკლებ სირთულეებს ვაწყდებით.

მიუხედავად იმისა, რომ მეგრულში (თუმცა არა ლაზურში, სადაც თანმიმდევრულად, თითქმის ყველა პოზიციაში დასტურდება *ʑ-*) გვაქვს ფონოლოგიურად შეპირობებული, პოზიციური ვარიანტები (ეზუგბაია 2010:188), ძირითად ალომორფად და, ამდენად, მორფემად *ʑ*-ს კვალიფიკაცია ეჭვს არ იწვევს:

ცხრილი 3.

	-V	V-V	-C$_{ʒუღ.}$	-C$_{ფშვ.}$	-C$_{ʒკვ.}$	-C$_{ნაპრ.}$
მეგრ.	*ʑ-*	*ʑ-*	*ბ-*	*ფ-*	*პ-*	*ʑ-*

ასეთივე ნათელი სურათია სვანურშიც, სადაც მანის რიგის პირველი პირის (პირდაპირობიექტურის) ალოფორფებია: *ʑგ-* (თუ ზმნური ფორმა, ამ *გ*-ს გარდა, ერთზე მეტ ხმოვანს არ შეიცავს); *ʑგ-→ʑუ-* (თუ იმავე პირობებში ზმნური ფორმა ლაბიალურ ელემენტსაც შეიცავს); (საღლიანი საუბრობს *ʑი-* ალომორფზეც, რომელიც სათანადოდ ჯერ კიდევ გასაანალიზებელია, იხ. საღლიანი 2011:67-68); ხოლო ირიბობიექტური პირველი პირი თანმიმდევრულად გამოხატულია *ʑ*-თი, რამდენადაც ის უმთავრესად გვხვდება ხმოვანპრეფიქსების წინ, რომელთა ფუნქციაც სწორედ ამ ირიბობიექტური პირის შემოყვანაა ზმნის არგუმენტულ სტრუქტურაში.

II პირის მხოლობითი რიცხვის მორფემათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო-ქართველურ ფუძე-ენაში რეკონსტრუირდება *Ø- (+[ნ]) და *ʒ- (–[ნ]) მორფემები.

ამგვარ რეკონსტრუქციას მხარს უჭერს პირველ ცხრილში წარმოდგენილი ძირითადი მორფემების შედარებითი ანალიზი: ვინის რიგში მეორე პირი ყველა ქართველურ ენაში, სვანურის გარდა, უნიშნოა.

სვანურში მეორე პირის *ხ-*[12] პრეფიქსი მხოლოდ ხმოვნების გარემოცვაში გვაქვს; თანხმოვნით დაწყებულ ფორმათა წინ და, ასევე, თანხმოვნების (კერძოდ, თანხმოვნით დაბოლოებული ზმნისწინების *ად-, ეს-*) მომდევნოდ ის დაკარგულია. ა. შანიძის თვალსაზრისით, „სუბიექტური II პირის პრეფიქსის ძირითადი სახეა **/ჰ/**, რომელიც... **ად-**თან თვით იკარგება, მაგრამ არა უკვალოდ, არამედ მეზობელ **დ**'ონს აფშვინვიერებს, **თ**'ანად აქცევს და თვითონ ამ **თ**'ანის ფშვინვიერობაშია მიჩქმალული: **ადჰ > ათ**" (შანიძე 1957:182). ასეთი ახსნა მისაღები ჩანს, თუმცა ეს პროცესი არათანმიმდევრულია და არის ფორმები, სადაც *ხ-* შენარჩუნებულია: *ათ-ხ-აჲ, ათ-ხ-ჷრმ.* თუ პირველი პირის *ხ* ელემენტის ზემოთ წარმოდგენილ კვალიფიკაციას გავიზიარებთ და ფონეტიკურ-ფონოლოგიურ პროცესებს გავუწევთ ანგარიშს, ამ შემთხვევაშიც შესაძლოა ვივარაუდოთ **ჰ//>ხ* (მაჭავარიანი 2002: 88) უკანაენისმიერი თანხმოვნის განვითარება ხმოვნების მეზობლობაში.

თანამედროვე ქართულში *ხ-* მხოლოდ ორ ძირთან დასტურდება: *ხ-არ,* ზმნისწინი+*ხ-ვალ* და ძველი ქართულის რელიქტად შეიძლება იყოს მიჩნეული, სადაც *ხ-* გვხვდება სუბიექტური მეორე და ობიექტური მესამე პირის ნიშნად მეტ-ნაკლები რეგულარობით. VIII საუკუნიდან მას ცვლის *ჰ-*; IX საუკუნიდან კი იწყება ხმოვნების წინ ამ *ჰ*-ს დაკარგვა, ხოლო კბილისმიერი და ნუნისმიერი აფრიკატების წინ *ჰ*-ს ასიმილაციის პროცესი (*ჰ- → ს-*).

შანიძის ამომწურავი გამოკვლევის თანახმად (შანიძე 1920), ძველ ქართულში *ხ-* ომონიმური მორფემაა, რომელიც ერთდროულად S.2 და O.3-ს გამოხატავს, რაც, ბუნებრივად, მათთვის საერთო ფუნქციების მოძიებისკენ გვიბიძგებს. თუ ვივარაუდებთ, რომ საერთო-ქართველურში ეს ფუნქციები მორფოლოგიურად არამარკირებული იყო, მაშინ ზმნურ მორფემათა ჯაჭვში ზმნისწინისა (რომლის ყველაზე ზოგადი, გავრცელებული სტრუქტურა ყველა ქართველურ ენაში არის CV) და ხმოვანპრეფიქსების გასაყარზე უნდა წარმოქმნილიყო ხმოვანთა კომბინაციები, რაც ქართველურ ენებში ერთი ძირის ფარგლებში მიუღებელია და რამდენადაც საერთო-ქართველური ერთობის პერიოდში, როგორც ჩანს, ფონეტიკური პროცესები სიტყვაფორმის ფარგლებშიც მოქმედებდა, შესაძლებელია ეს *ხ-/ჰ-* უკანაენისმიერი თანხმოვნები სწორედ ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი ელემენტები

---

[12] საზოგადოდ, სვანურში თანხმოვნით დაწყებული ფორმების წინ პირველი და მეორე პირის ალომორფებიდან ყველაზე ხშირია *Ø-* და რამდენადაც მესამე პირიც უმეტესად უნიშნოა, სვანურში ხშირად ზმნა, ფაქტობრივად, პირების მიხედვით ფორმალურად არ იცვლება და სამივე პირში ერთი და იმავე ფორმით დასტურდება: მაგ., *ბრიგ* (მყარად ვდგავარ), *ბეჭკუნი* (ვსკდები), *ფეშგნი* (ვიხსნები) და სხვა; ამგვარი, ფაქტობრივად, არაუღლებადი, ზმნების სია წარმოდგენილია მ. საღლიანის ნაშრომში (საღლიანი 2011:103-119).

იყოს ხმოვანთკომპლექსების დასაძლევად, რომელთაც მოგვიანებით (რა ვითარებასაც უკვე არეკლავს ძველი ქართული) მორფოლოგიური ინტერპრეტაციები მიეცათ. ასეთი კვალიფიკაციით უფრო ცხადი ხდება ის მორფოლოგიურად გაუგებარი ფორმები (მაგ., თუნდაც ერთპირიან ზმნურ ფორმებში ამ ელემენტების დადასტურება), რომელთა ახსნაც არადამაჯერებლად გამოიყურება (იხ. მაჭავარიანი 2002: 88 – „ა. შანიძის თვალსაზრისის ბოლომდე გაზიარება ჭირს, მაგრამ მას ნაკლები დაბრკოლებები ეღობება საპირისპირო თეორიასთან შედარებით“).

რაც შეეხება მეორე პირის მანის რიგის პრეფიქსს, აქ ვითარება უფრო ნათელია და *გ-* მორფემის რეკონსტრუქციაც დაბრკოლებებს არ ხვდება – მისი რეკონსტრუქცია მეტი დამაჯერებლობით არის შესაძლებელი.

მეგრულსა და ლაზურში ფონოლოგიურად განპირობებული ალომორფების განაწილება გვიბიძგებს ძირითად მორფემად *გ*-ს კვალიფიკაციისკენ (ეზუგბაია 2010:188):

ცხრილი 4.

	-V	V-V	-C$_{\text{მჟღ.}}$	-C$_{\text{ფშვ.}}$	-C$_{\text{მკვ.}}$	-ყ
მეგრ.	*გ-*	*გ-//Ø-*	*რ-(გ-//Ø-)*	*რ-(ქ-)*	*რ-(კ-)*	*რ-*
ლაზ.	*გ-*	*გ-*	*გ-*	*გ-//ქ-*	*გ-//კ-(ქ-)*	*კ-*

სვანურში *გ-* იძლევა *ჯ*-ს (*ეგე →ეჯა*). როგორც ჩანს, პალატალიზაციის ეს პროცესი დაიწყო წინა რიგის *ი, ე,* ხმოვნების წინა პოზიციებში, შემდეგ კი გავრცელდა სხვა პოზიციებზეც. სვანურში ალომორფების ერთ ნაწილს განაპირობებს შემდეგი ფონეტიკური პროცესი: თუ სვანურში ფუძე თანხმოვნით იწყება, პირის ნიშანსა და ფუძეს შორის ჩნდება ხმოვანთგასაყარი *ჷ,* რომელიც იწვევს ფუძის რედუქციას: *ტიხე* („აბრუნებს“) : *მჷ-ტხ* : *ჯჷ-ტხე* (←*მ-ტიხე, ჯ-ტიხე*).

III პირის მხოლობითი რიცხვის მორფემათა შედარებით ანალიზზე დაყრდნობით საერთო-ქართველურისათვის რეკონსტრუირებულ ფუძე-ენაში მესამე პირი არამარკირებული, უნიშნოა.[13]

თანაფარდობებიდან ამოვარდნილია ძველი ქართულის აწმყოს ხოლმეობითის *-ედ* და, რაც მთავარია, სვანურის *-ხ,* რის გამოც, საერთო-ქართველურისათვის რაიმე სუფიქსური მაჩვენებლის აღდგენა გართულებულია.

ვინის რიგის მესამე პირისათვის სუფიქსურ მაჩვენებელთა შორის შესატყვისობების დადგენა ჭირს. ერთადერთი რეგულარობა ვლინდება მესამე პირის კავშირებითი კილოს ფორმებში, სადაც ყველა ქართველურ ენაში დასტურდება *-ს.*

სვანურში მესამე პირის მაჩვენებელი პრეფიქსული *ლ-* მორფემა გვხვდება მხოლოდ ხუთ ზმნაში და პოზიციურადაც საკმაოდ შეზღუდულია: „მრავალრი-

[13] ასეთ რეკონსტრუქციას მხარს უჭერს I(II)~III დიქოტომია (იხ. ზემოთ, გვ. 46).

ცხოვანი დიალექტოლოგიური მასალის მოძიებისა და გულდასმითი შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ უირიბობიექტო **ლა-** წინდებულიან ზმნებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი შემონახულია დღემდე მთელ სვანურში, ოღონდ არა მარტო **ლ**'ს, არამედ მისი ბგერინაცვლის **ჲ**'სა და **ნ**'ს სახით" (საღლიანი 2011: 69). თუმცა *ლ*-ს ალომორფად მიჩნეული *ნ*- (ბალსქვემოურში) შეიძლება *ან*- წინდებულის ნაშთადაც იყოს კვალიფიცირებული" (საღლიანი 2011:34) და „...ამ საკითხის ირგვლივ ახალი მასალის მოძიება და **ჲ**-სა და **ნ**-ს **ლ**-ს ბგერინაცვლად მიჩნევის საკითხი შემდგომ კვლევას მოითხოვს. მით უმეტეს, რომ **ლ** → **ნ** ფონეტიკური პროცესი, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მასალის მიხედვით, მხოლოდ სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქმედებს" (საღლიანი 2011:34). საინტერესოა ნ. ანდღულაძის მოსაზრებაც (ანდღულაძე 1968), რომელიც ვარაუდობს, რომ სვანურს მესამე სუბიექტური პირის ნიშანი არ ჰქონია; ის *ლ*- პრეფიქსს მიიჩნევს კლასოვანი უღვლილების ნაშთად (ამ თვალსაზრისს იზიარებს დ. მელიქიშვილიც (მელიქიშვილი 1980:188), რაც, ფაქტობრივად, ყოველგვარი არგუმენტირების გარეშე ქართველურ ენებში კლასოვანი უღვლილების არსებობის აპრიორულ, დაუსაბუთებელ იდეას ემყარება და რთულად გასაზიარებელია. კ. ჰ. შმიდტის მოსაზრებით, სვანური *ლ*- ორი წყაროდან უნდა მომდინარეობდეს: „ა) პერფექტული ასპექტის ინდიკატორია, შდრ. პრევერბი *ლა*-; ბ)ნაზმნარი სახელის ინდიკატორია, შდრ. პრეფიქსი *ლი*-" (შმიდტი 1982:62-73). არ არის გამორიცხული, რომ ის სუბიექტის ინკლუზივის *ლ*-სთან იყოს დაკავშირებული. ამდენად, ასეთი პრობლემური *ლ*- პრეფიქსის საფუძველზე ვინის რიგის მესამე პირის ნიშნად პრეფიქსული მორფემის რეკონსტრუქცია საერთო-ქართველურ დონეზე არ უნდა იყოს მიზანშეწონილი; ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ ყველა ქართველური ენისათვის დამახასიათებელ მისწრაფებას პირთა I/II~III დიქოტომიის ფორმალიზებისაკენ, სვანურში პირის ნიშანთა ვინის რიგის სისტემაში მესამე პირის არამარკირებულობა დამაჯერებელ კვალიფიკაციად შეიძლება მივიჩნიოთ და რამდენადაც სუფიქსურ მაჩვენებელთა შეთანადებაც ქართველურ ენათა მონაცემების საფუძველზე ვერ ხერხდება, ერთადერთ მართებულ რეკონსტრუქციად მესამე პირის არამარკირებულობა, უნიშნობა უნდა ვივარაუდოთ; ანუ, საერთო-ქართველურში ფუნქციონირებს I/II:III ოპოზიცია, სადაც I/II მარკირებულია, III კი არამარკირებული. ამ არამარკირებული III პირის დიფერენციაცია ქართველურ ენებში მოგვიანებით, დროის, კილოსა და ასპექტის ფორმებისა[14] და ზმნური ტიპების დიფერენციაციისას, დამოუკიდებლად ხორციელდება და ვითარდება ფლექსიური ტიპის კომპლექსური სუფიქსური მორფემები, რომლებიც მესამე პირთან ერთად დრო-კილო-ასპექტის შინაარსებსაც და განსხვავებულ ზმნურ ტიპებსაც გამოხატავენ.

---

[14] ეს პროცესი საერთო-ქართველურში უკვე დაწყებული ჩანს, რამდენადაც მესამე პირის კავშირებითის სუფიქსური *-ᲑᲐ* მაჩვენებელი უპრობლემოდ აღდგება ფუძე-ენაში.

მანის რიგის მესამე პირის ნიშნადაც უნიშნობის რეკონსტრუქცია მისაღები უნდა იყოს, რამდენადაც სვანურის *ხ*- მხოლოდ ხმოვანი პრეფიქსების წინ დასტურდება[15], ხოლო ქართულის *ჰ-, ს*- პოზიციურად ძალიან შეზღუდულია და გვხვდება მხოლოდ ხშულების წინ; მეგრულსა და ლაზურში კი მანის რიგის მესამე პირი ყოველთვის უნიშნოა.

პირთა მრავლობითი რიცხვის მორფემათა შედარებითი ანალიზის საფუძველზე საერთო-ქართველურის ფუძე-ენაში I/II პირის მრავლობითი ფორმებისათვის რეკონსტრუირდება *-*თ₁* სუფიქსი, ხოლო მესამე პირის მრავლობითისთვის – უნიშნობა.

ზმნაში I/II პირის მრავლობითი რიცხვის აღნიშვნა აგლუტინაციურ პრინციპს მიჰყვება: ცალკე გვაქვს პირის ნიშანი და ცალკე – რიცხვის. ქართულისა და ზანურის *-თ*-ს სვანურში *-დ* შეესაბამება. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ *-დ*-ს დაყრუებამ მოგვცა *-თ*, მაგრამ საერთო-ქართველურისათვის სიტყვის ბოლოში დაყრუების პროცესი არ ივარაუდება – ძველ ქართულში ეს პროცესი არ ჩანს. ხოლო პირიქით დაშვებას, ანუ *-თ*-ს გამჟღერებას, სვანურის მონაცემები არ უწყობს ხელს, რამდენადაც სვანურისათვის სიტყვის ბოლოში ყრუს გამჟღერება არ ხდება. გივი მაჭავარიანის აზრით, ყველაზე მისაღებია *-დ*-ს მიჩნევა *შდ* კომპლექსის გაცვეთილ ნაშთად, რომელიც **თ₁*-ს კანონზომიერი შესატყვისია (შდრ.: *დათვი* : *დაშდუ*). ეს ფორმა შემონახულია *ხუიშდ* („ვართ“) ფორმაში, სხვა შემთხვევებში მისი გაცვეთა შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ის, როგორც სუფიქსური ელემენტი, გამარტივდა (მაჭავარიანი 2002:90). ამდენად, ამოსავალი ჩანს **თ₁*, რომელიც ქართულსა და ზანურში გვაძლევს *თ*-ს, ხოლო სვანურში – *(შ)დ*-ს.

რაც შეეხება მესამე პირის მრავლობითობას, ქართულ-ზანურ დონეზე სუფიქსური მაჩვენებლების აღდგენა *-AN*[16] და *-ებ* ალომორფების სახით შესაძლებელია. თანაფარდობებიდან ამოვარდნილია ძველი ქართულის აწმყოს ხოლმეობითის *-ედ* და, რაც მთავარია, სვანურის *-ბ*, რის გამოც, საერთო-ქართველურისთვის რაიმე სუფიქსური მაჩვენებლის აღდგენა გართულებულია.

რიცხვის გამოხატვასთან დაკავშირებით დგება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საერთო-ქართველურისათვის აღდგენის საკითხი. ეს კატეგორია განირჩევა სვანურში (როგორც მანის, ისე ვინის პირის ნიშნების რიგში) და ძველ ქართულში (მხოლოდ მანის რიგში), მაგრამ რამდენადაც ეს კატეგორია უცხოა მეგრულის, ლაზურისა და თანამედროვე ქართულისათვის, ამასთანავე, სვანურისა და ძვ. ქართულის მონაცემთა სტრუქტურული გაერთმნიშვნელიანება პრობლემუ-

---

[15] და ისევე შეიძლება აიხსნას მორფონოლოგიური პროცესებით, როგორც სუბიექტური მეორე პირის *ბ*-ს გაჩენა (იხ. მსჯელობა ზემოთ, გვ. 49).

[16] *-AN*-ით პირობითად აღნიშნულია მრავლობითი მესამე პირის *ა, ე, ნ*-ის შემცველი სუფიქსები.

რია და, ვფიქრობთ, მისი რეკონსტრუქციაც საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის არამიზანშეწონილია.[17]

ამდენად, საერთო-ქართველური ფუძე-ენისათვის რეკონსტრუირდება I და II პირის მანისა (–[ნ]) და ვინის (+[ნ]) ნიშნები, ხოლო III პირი, როგორც I/II~III დიქოტომიის არამარკირებული წევრი, უნიშნოა, თუმცა მისი მარკირების პროცესი უკვე დაწყებულია საერთო-ქართველურის პროტოდონეზე (მაგ., კავშირებითი კილოს ფორმებში). მოგვიანებით, მესამე პირის მორფოლოგიზაციის პროცესი ივჯაჭვება დროის, კილოსა და ასპექტის კატეგორიებთან; შედეგად, ყველა ქართველურ ენაში მესამე პირი დამოუკიდებლად ფორმდება მცირე სპეციფიკაციებითა და თავისებურებებით – დრო-კილო-ასპექტის ფორმებთან თანაკვეთაში; თუმცა, საზოგადოდ, როგორც ბრუნვათა სისტემა (ასათიანი 2015), ისე ზმნის უღლების მიხედვით განსხვავებული პარადიგმები ქართველურ ენებში საბოლოოდ ყალიბდება საერთო-ქართველურ დონეზევე უკვე ჩასახული ტენდენციების განვითარების საფუძველზე.

მანისა და ვინის რიგის არსებობა ბუნებრივად განსაზღვრავს ქართველურ ენებში ზმნურ ფორმათა ერთ-ერთ სტრუქტურულ თავისებურებას: ყოველ ქართველურ ენაში (და, მაშასადამე, საერთო-ქართველურ ფუძე-ენაშიც) ზმნა არის პოლიპერსონალური.

საზოგადოდ,

*ენობრივი სისტემა **პოლიპერსონალურია**, თუ ამ სისტემის ზმნურ პარადიგმაში შესაძლებელია ერთდროულად ერთზე მეტი პირის მორფოლოგიური მარკირება (ანუ ზმნური ფორმა **მრავალპირიანია**) და/ან, თუ პირის აღნიშვნას ერთზე მეტი ფუნქცია აქვს (ანუ ზმნურ ფორმაში აისახება განსხვავებული სემანტიკისა და/ან ფუნქციონალური დატვირთულობის მქონე სხვადასხვა სახელი); რაც შეეხება **მონოპერსონალურ** ენობრივ სისტემებს, ასეთი სისტემების ზმნურ ფორმაში დადასტურებულია მხოლოდ ერთი მორფოლოგიური მაჩვენებელი (ანუ ზმნური ფორმა **ერთპირიანია**), რომელსაც, ამასთანავე, ყოველთვის მხოლოდ ერთი და იგივე ფუნქციონალური კვალიფიკაცია აქვს.*

ენები მრავალპირიანი ზმნური პარადიგმებით ყოველთვის პოლიპერსონალურია, თუმცა არა პირიქით; შეიძლება იყოს პოლიპერსონალური სისტემები ერთპირიანი ზმნური პარადიგმებით (ანუ ასეთ ენაში არსებობს სხვადასხვა რიგი პირის ნიშნებისა, მაგრამ ეს, მორფოლოგიურად და ფუნქციურად (პირის როგორობის მიხედვით) განსხვავებული პირის აღმნიშვნელი მორფემები არასოდეს დასტურდება ერთდროულად ერთ კონკრეტულ ზმნურ ფორმაში); შესაბამისად, მო-

[17] ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო მისაღები ჩანს ზემოთ მოცემული მსჯელობა და მოსაზრება (იხ. შენიშვნა 8), რომლის მიხედვითაც, სვანურში ეს კატეგორია შესუსტებული I/II~III დიქოტომიის საკომპენსაციოდ განვითარდა.

ნოპერსონალური ენები ყოველთვის ერთპირიანია, თუმცა არა პირიქით: შეიძლება არსებობდეს ერთპირიანი პოლიპერსონალური სისტემები.[18]

რამდენადაც საერთო-ქართველურისათვის აღდგება ორი რიგი როლის/ ფუნქციის მიხედვით სემანტიკურად განსხვავებული პირის ნიშნებისა – მანისა (–[ნ]) და ვინის (+[ნ]) – საერთო-ქართველური ფუძე-ენაც, შესაბამისად, უნდა დახასიათდეს, როგორც პოლიპერსონალური. თუმცა, პირიანობის მიხედვით მესამე პირის უნიშნობით რეკონსტრუირებული სისტემა გამორიცხავს მრავალპირიანი ფორმების არსებობას, რამდენადაც ფუძე-ენისათვისაც უნდა ფუნქციონირებდეს „პრეფიქსული მონოპერსონალიზმის“ პრინციპი[19], რომელიც მოქმედებს ყველა ქართველურ ენაში (გამონაკლისია მხოლოდ ძველი ქართულის მონაცემები): ყველა ქართველურ ენაში პირველი და მეორე პირის კომბინაციისას მანის რიგის ნიშნები სჯობნის ვინის რიგის ნიშნებს და ზმნურ ფორმაში მათი ერთდროული წარმოდგენა არ ხდება – დაფიქსირებულია მხოლოდ ერთი პირის ნიშანი. რაც შეეხება ვინისა და მანის რიგის ნიშნების ერთდროულ წარმოდგენას ერთ ზმნურ ფორმაში (ანუ, შესაბამისად, მრავალპირიანი ფორმების გაჩენას), ეს შედარებით გვიანი მოვლენაა (როგორც ჩანს, ქართულ-ზანური ერთობისა) და რეალიზდება მხოლოდ მესამე პირის სუფიქსური მაჩვენებლების ფორმირების შემდეგ (რაც სვანურში საკმაოდ შეზღუდულია). მხოლოდ მესამე პირის სუფიქსური გაფორმების შემდეგ ხდება შესაძლებელი ზმნურ ფორმაში, პრეფიქსების გარდა, სუფიქსური პირის ნიშნების აქტუალიზებაც, რაც მრავალპირიანი ზმნური ფორმების არსებობისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

წარმოდგენილი მსჯელობა კიდევ ერთხელ გახაზავს I/II~III დიქოტომიის ფორმალიზებისკენ მიმართულ ტენდენციას, რომლის ფონზეც ნათლად იკვეთება პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია ქართველურ ენებში (და, შესაბამისად, საერთო-ქართველურ ფუძე-ენაშიც):

პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია არის კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირველი და მეორე პირების (განურჩევლად მათი 'ნების' სიტუაციაში ჩართულობისა) აუცილებელი მარკირება ზმნურ ფორმაში.

ლიტერატურა:

ანდღულაძე 1968: ნ. ანდღულაძე, *კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში,* თბილისი.

ასათიანი 1986: რ. ასათიანი, პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია ქართველურ ენებში, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

---

[18] სხვადასხვა ტიპის ენებში ამგვარად განსაზღვრულ პერსონალურობასა და პირიანობას შორის არსებული შესაბამისობების სხვადასხვაგვარი შესაძლებლობების შესახებ იხ. (ასათიანი 1986).

[19] ვრცლად ამ პრინციპის არგუმენტირება იხ. თ. გამყრელიძის ნაშრომში (გამყრელიძე 1979)

ასათიანი 1994: რ. ასათიანი, *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით),* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ასათიანი 1911: რ. ასათიანი, *ლაზურის გრამატიკის კონსპექტი,* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ასათიანი 2014: რ. ასათიანი, საერთო-ქართველური ფუძე-ენის წყობა: აქტიური(?), *ენათმეცნიერების საკითხები,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

გამყრელიძე 1979: ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტობა“, *საენათმეცნიერო კრებული მიძღვნილი გივი მაჭავარიანის ხსოვნისადმი დაბადების 50 წლისთავზე,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

დეეტერსი 1930: *Das kharthwelische Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen,* Leipzig.

ეზუგბაია 2010: ლ. ეზუგბაია, *მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები,* თბილისი.

თოფურია 1931: ვ. თოფურია, *სვანური ენა, I, ზმნა,* სპი გამომცემლობა, ტფილისი.

კარტოზია და სხვ. 2010: გ. კარტოზია და სხვანი, *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი,* გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

კიკნაძე 1942: ლ. კიკნაძე, **ხ** ბგერის განვითარების შემთხვევები ქართულში*: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* XXIV, თბილისი, გვ. 125-126.

კლიმოვი 1964: Г. Климов, *Этимологический словарь картвельских языков,* Издательство АН СССР, Москва.

ლაკრუა 2014: R. Lacroix, Origin of Sets I-II Plural Suffixes in South Caucasian through Reanalysis, *Advances in Kartvelian Morphology and Syntax, Diversitas Linguarum, Vol. 38,* Universitätsverlag Dr. N. Brockmeyer.

მაჭავარიანი 1953: გ. მაჭავარიანი, *ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში* (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი.

მაჭავარიანი 2002: გ. მაჭავარიანი, *ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

მელიქიშვილი 1980: დ. მელიქიშვილი, ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 4,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ონიანი 1978: ალ. ონიანი, *ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები,* გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ონიანი 1998: ალ. ონიანი, *სვანური ენა (ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საკითხები),* თსპუ გამომცემლობა, თბილისი.

საღლიანი 2011: მ. საღლიანი, *პირისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორია სვანურში,* გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

სუხიშვილი 1986: მ. სუხიშვილი, სუბიექტური პირველი პირის პრეფიქსისათვის ქართველურ ენებში, *იკე, XXV,* თბილისი.

ფოცხიშვილი 2000: ალ. ფოცხიშვილი, *ქართული ენა. ლინგვისტური და ექსტრა-ლინგვისტური ასპექტები,* თსპუ გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1920: ა. შანიძე, *სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრე-ფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში,* ტსუ გამომცემლობა, ტფილისი.

შანიძე 1957: ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, *თხზულებანი,* I, თსუ გამომცემლობა, თბილისი, გვ. 323-376.

შანიძე 1973: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,* I, თსუ გამომცემ-ლობა, თბილისი.

შმიდტი 1982: K. H. Smidt, Miscellanea Svanica, *იკე* IX, თბილისი.

შუხარდტი 1895: H. Schuchardt, *Über den passiven Charakter des Transitivs in den kaukasischen Sprachen*, LINCOM Europa, Muenchen, Wien, 2012 (Nachdr. der Ausg.).

ციხელაშვილი 2005: ლ. ციხელაშვილი, მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის, *საენათმეცნიერო ძიებანი, XIX,* გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, გვ. 253-297.

ჩიქობავა 1946: *არნ. ჩიქობავა,* მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისთვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება,* I, თბილისი.

Rusudan Asatiani

Person and Number in the Proto-Kartvelian Language

Summary

The Kartvelian (resp. the South-Caucasian) languages have two types of verbal person affixes denoting the person/number triggering patterns, the so-called V-type and M-type affixes.

Sets	Number	Person	Georgian	Megrelian	Laz	Svan
V-type	Sing.	I	*v-*	*v- (-k)*	*v- (-r)*	*(x/*h)w-,Ø-,-w-*
		II	*–*	*– (-k)*	*– (-r)*	*x-*
		III	*-s,-a,-o*	*-s,-n,-u,-Ø*	*-s,-n,-u*	*(l-),-s*
	Pl.	I	*v- -t*	*v- -t*	*v- -t*	Exc.: *(x/*h)-,-w- -d* Inc.: *l- -d*
		II	*– -t*	*– -t*	*– -t*	*x- -d*
		III	*-n,-en,-an, -nen,-es*	*-a(n), -na(n), -n,-es*	*-an,-nan, -n,-es*	*(l-) -x*

M-type	Sing.	I	*m-*	*m-*	*m-*	*m-*
		II	*g-*	*g-*	*g-*	*ǯ-*
		III(ID.) III(D.)	*h-,s-,Ø-*	– –	– –	*x-* –
	Pl.	I	*gv-*	*m- -t/ -a(n) -na(n), -n,-es*	*m- -t/ -an, -nan, -n,-es*	Exc.: *n-,nə-* Inc.: *gw-,gu-*
		II	*g- -t*	*g- -t/ -a(n), -na(n), -n,-es*	*g- -t/ -an, -nan, -n,-es*	– *-x* –
		III(ID.) III(D)	*h-,s-,Ø- -[t]* –	– *[-a(n), -na(n), -n, -es]* –	– *[-an, -nan, -n, -es]* –	*x- [-x]* –

A comparative study and a diachronic analysis of the affixes enable to reconstruct the system for the Proto-Kartvelian language that shows I/II~III person's dichotomy: I and II persons are marked, while III is unmarked.

Sets	I-Sing	II-Sing	III-Sing	I-Pl	II-Pl	III-Pl
V-type	**v-*	–	–	**v- *-t*	**m- *-t*	–
M-type	**m-*	**g-*	–	**gv-*	**g- *-t*	–

Based on a functional analysis of the Person/Number affixes it can be concluded that: M-type markers denote the Dative argument, which is not involved in an event directly, while V-type markers denote the Ergative argument, which is involved in an event and controls an action. The Nominative argument, which is semantically the undergoer, is represented in a verb form either by V- or M-type markers depending on the event: (1) if it is the only argument, or it is involved in an event together with the Dative argument, then it triggers V-type affixes; (2) if it is involved in an event together with the Ergative argument, then it triggers M-type affixes; (3) if it is involved in an event together with both Ergative and Dative arguments, then it is unmarked and represented by a zero affix.

ციური ახვლედიანი

არასტაბილური E [ə]-ს ფონეტიკური და ფონოლოგიური სტატუსი თანამედროვე ფრანგულში

[ə] ხმოვანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფრანგული ენის ხმოვანთა სისტემაში. ამ ხმოვნის განმასხვავებელ მახასიათებლად მისი არასტაბილურობა ითვლება, რის გამოც [ə]-ს მიიჩნევენ ჩურჩულა ხმოვნად. ფრანგ ლინგვისტთა უმრავლესობა ამ ბგერას „[ə] caduc-ს“ უწოდებს (გრამონი 1914:105), ქართულ ენაზე caduc ‘მერყევს’ ნიშნავს, მაგრამ ქართველი ფონეტიკოსები (მეგრელიშვილი 1965, ჟღენტი 1972) ამ ხმოვნის აღსანიშნად იყენებდნენ ტერმინს – „ჩურჩულა“ [ə]; ეს უკანასკნელი ასევე დამკვიდრებულია სხვა ქართველ ფონეტიკოსთა ნაშრომებშიც. თანამედროვე ფრანგულ ენაში, ხმოვან [ə]-სთან დაკავშირებით, 2 ძირითადი პრობლემა არსებობს:

1. ჩურჩულა [ə]-ს აუცილებელი წარმოთქმისა და აუცილებელი არწარმოთქმის შემთხვევები ფართოდაა აღწერილი ლინგვისტურ თეორიულ და მეთოდიკურ ლიტერატურაში (პ. დელატრის, ა. მარტინეს, ჟ. დიურანის, პ. ფუშეს, მ. გრამონის, ე. პულგრამის, ლ. შჩერბას და სხვათა ნაშრომებში). ხმოვან [ə]-ს დანარჩენი რეალიზაციები კი – ფაკულტატიურია. ეს ნიშნავს, რომ ერთსა და იმავე ბგერით თანამიმდევრობაში, მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, ჩურჩულა [ə] შეიძლება წარმოითქვას, ან არ წარმოითქვას. ასეთ შემთხვევაში, მკვლევართა ამოცანაა, რომ გამოავლინონ, გაბმულ მეტყველებაში ჩურჩულა [ə]-ს გამოტოვების ან შენარჩუნების კანონზომიერებანი.
2. გაბმულ მეტყველებაში ჩურჩულა [ə]-ს რეალიზებისას აუცილებელია, განისაზღვროს მისი ფონეტიკური მახასიათებლები და დადგენილ იქნეს ამ ბგერითი ერთეულის ფონოლოგიური სტატუსი ენის სისტემაში.

ისტორიულად ხმოვანი /ə/ განსაკუთრებულ ფონემად ითვლებოდა ფრანგულ ენაში. დღეს კი მისი ფონოლოგიური კუთვნილების საკითხი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი.

ერთ-ერთი თეორიის მიხედვით, ჩურჩულა [ə] არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ხმოვანს და მას არ გააჩნია საკუთარი ადგილი ფრანგული ენის ბგერით სისტემაში (მარტინე 1972). ამ თვალსაზრისის მომხრენი თვლიან, რომ ჩურჩულა [ə]-ს წარმოთქმა არის წინამდებარე თანხმოვნის რეალიზაციის საშუალება. ჩურჩულა [ə] განისაზღვრება როგორც დამხმარე საშუალება (lubrifiant). ჩურჩულა [ə] შეიძ-

ლება განვიხილოთ წინამდებარე თანხმოვნის რეალიზაციის საშუალებად, თუ მისი არსებობა ან არარსებობა არ იწვევს ფონოლოგიური ოპოზიციების წარმოქმნას. მართლაც, უმეტეს შემთხვევაში [ə]-ს შენარჩუნება ან გაქრობა არ იწვევს ისეთი ბგერითი თანამიმდევრობების წარმოქმნას, რომლებიც ასოცირდებიან სხვადასხვა გრამატიკული ან ლექსიკური შინაარსის მქონე სიტყვებთან. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ორი ოპოზიცია, რომლებშიც ჩურჩულა [ə]-ს რეალიზაცია ან გამოტოვება მნიშვნელოვან ცვლილებას იწვევს: dors – dehors [dɔr – dəɔr] 'დაიძინე' – 'გარეთ', l'être – le hetre [lɛtr – ləɛtr] 'არსება' – 'წიფელი'.

გარდა ამისა, ჩნდება კიდევ ერთი საკითხი: უნდა ჩაითვალოს თუ არა [ə] ხმოვანი წინამდებარე თანხმოვნის რეალიზაციის საშუალებად იმ შემთხვევებში, როდესაც იგი მუდამ წარმოითქმის (მაგალითად, appartement) და აქვს სრულყოფილი ხმოვნის გრძლივობა; იმავდროულად, არ არსებობს ერთიანი აზრი ჩურჩულა [ə]-ს ფონოლოგიური სტატუსის შესახებ. ტრადიციულად, ჩურჩულა [ə] განიხილება როგორც /œ/ ფონემის (გუგენჰეიმი 1935, გრამონი 1914) ან /o/ ფონემის ვარიანტი (მალკო, შოლე 1977). ასევე არსებობს აზრი, რომ [ə] ნეიტრალური ხმოვანია, ანუ მას აქვს შუა რიგის ხმოვნის არტიკულაციური და აკუსტიკური მახასიათებლები. ეს პოზიცია ასახვას პოულობს ტრადიციულ ტრანსკრიფციაში, სადაც ჩურჩულა [ə]-ს აღსანიშნად გათვალისწინებულია სპეციალური ნიშანი, რომელიც მიუთითებს მის წარმოთქმაზე ცენტრალური რიგის ხმოვნად (შჩერბა 1963, ფუშე 1956, პულგრამი 1961).

ამ ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ წამოყენებული არგუმენტები, ძირითადად, მკვლევრის სუბიექტურ აღქმას ეფუძნება და ხშირად ეყრდნობა წმინდა ფონეტიკურ კრიტერიუმებს. მკვლევართა ის ნაწილი, რომლებიც ჩურჩულა [ə]-ს მიაკუთვნებენ წინა რიგის ბაგეებმომრგვალებულ ხმოვნებს, მიუთითებენ მათი არტიკულაციური და აკუსტიკური მახასიათებლების მსგავსებაზე. მკვლევართა ნაწილი კი ადასტურებს, რომ ჩურჩულა [ə] ფონოლოგიურად დამოუკიდებელია და ჟღერადობით არ ემთხვევა არც [œ]-ს და არც [ø]-ს. ჩურჩულა [ə]-ს [œ] და [ø] ხმოვნებთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია, თუ ამ ხმოვნებს ჩავაყენებთ იდენტურ პირობებში; თუმც ბგერითი ერთეულის ფონემური სტატუსის განსაზღვრის პროცედურა რთულდება იმით, რომ შეპირისპირებისათვის შესაძლებელ პოზიციათა რაოდენობა მცირეა.

გასული საუკუნის შუა პერიოდში იყო მცდელობა, რომ ჩურჩულა [ə]-ს სტატუსი განესაზღვრათ და მისი ფიზიკური ბუნება გაეანალიზებინათ ექსპერიმენტული გზით, მაგრამ პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა მაინც უშედეგო იყო.

XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს განხორციელდა ექსპერიმენტული კვლევა სტატისტიკურად წარმოდგენილ მასალაზე, რომლის მიზანიც ასევე იყო ჩურჩულა [ə]-ს აკუსტიკურ მახასიათებელთა კვლევა და სისტემატიზაცია, წინა

რიგის ლაბიალიზებულ ხმოვნებთან – [œ]-სა და [ø]-სთან შედარებით (მალკო, შოლე 1977). ამ კვლევის შედეგები მოწმობს, რომ გავრცელებული თვალსაზრისის მიუხედავად, [ə] არ შეიძლება ჩაითვალოს თვისებრივად [œ]-ს ახლობელ ხმოვნად და შეუძლებელია მათი გაერთიანება ერთ ფონემად. ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, აკუსტიკურ პლანში [ə] გაცილებით ახლოა [ø]-სთან, ვიდრე [œ]-სთან.

XXI საუკუნეში ლინგვისტ-რომანისტები, კერძოდ, ფრანგი და შვეიცარიელი მკვლევრები – ა. ბიურკი, ს. ფუჟერონი, ს. ჟანდრო (ბიურკი... 2007) კვლავ დიდ ინტერესს იჩენენ ფაკულტატიური [ə]-ს აკუსტიკურ პარამეტრთა გამოვლენისადმი. მათ კვლევებში შეპირისპირებულია აუცილებელი და ფაკულტატიური ჩურჩულა [ə]-ს აკუსტიკური ბუნება, ასევე შეპირისპირებულია [ə]-ს სპექტრული სურათი და გრძლივობა წინა რიგის [œ] და [ø] ლაბიალიზებულ ხმოვნებთან. კვლევის ამოსავალი ჰიპოთეზა ამგვარად ფორმულირდება: ჩურჩულა [ə]-ს ფაკულტატიური ხასიათი, [ø]-სა და [œ]-სთან შედარებით (რომლებიც არ ქრებიან სამეტყველო ჯაჭვში), დიდი ვარიაციულობით შეესაბამება მის სპექტრსა და გრძლივობას. დასახული ამოცანის გადასაჭრელად Praat-ის პროგრამის საშუალებით, შედარებული იყო [ə], [œ], [ø] ხმოვნების გრძლივობები და პირველი სამი ფორმანტის მნიშვნელობები მსგავს ფონეტიკურ პირობებში. ჩატარებული აკუსტიკური ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ ფრანგული ენის თანამედროვე მატარებელთა მეტყველებაში [ə] ხმოვანს, ღიაობისა და ლაბიალიზაციის ხარისხის მიხედვით, საშუალო მდგომარება უჭირავს [œ] და [ø] ხმოვნებს შორის. ჩურჩულა [ə] განსხვავდება [ø]-საგან სამივე ფორმანტის უფრო მაღალი მაჩვენებლებით, [œ]-საგან კი – F1 და F3-ის უფრო დაბალი მაჩვენებლებითა და F2-ის უფრო მაღალი მაჩვენებლით. ჩურჩულა [ə]-ს გრძლივობა, საშუალოდ, აღმოჩნდა 15 მს-ით მოკლე, ვიდრე [œ] და [ø] ხმოვნების გრძლივობა.

ამგვარად, უახლესი ექსპერიმენტული მონაცემების მიხედვით, ხმოვანი [ə] ფლობს განსაკუთრებულ აკუსტიკურ თავისებურებებს და უპირისპირდება ფრანგული ენის სისტემაში მასთან ახლოს მდგომ ხმოვნებს – [œ]-სა და [ø]-ს. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჩურჩულა [ə] უფრო ახლოა ხმოვან [ø] -სთან.

ა. ბიურკის, ს. ფუჟერონისა და ს. ჟანდროს ექსპერიმენტული კვლევა ეხება კიდევ ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან ასპექტს: იმ ხმოვნის ხარისხი, რომელიც რეალიზდება ჩურჩულა [ə]-ს ნაცვლად (ანუ [œ] ან [ø]), დამოკიდებულია მოლაპარაკის ტერიტორიულ კუთვნილებასთან, ანუ რომელი ფრანგულენოვანი ტერიტორიის მცხოვრებია ცდისპირი. ცდისპირები იყვნენ საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან და კვებეკიდან. მიღებული მონაცემების მიხედვით, ამ სამივე რეგიონის [ə] [œ]-სა და [ø]-საგან ერთი ფორმანტის მნიშვნელობის მიხედვით მაინც განსხვავდება (ბიურკი... 2007).

ო. კამრიშის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევაც, რომელიც ეხება ფრანგულ პოეტურ მეტყველებაში [ə], [œ], [ø] ხმოვნების აკუსტიკურ ანალიზს უმახვილო პოზიციაში, მსგავს შედეგებს წარმოგვიდგენს: ჩურჩულა [ə] განსხვავდება [œ], [ø]-საგან სამივე ფორმანტით. აწეულობის ხარისხის მიხედვით, [ə] შუალედურ პოზიციაშია [œ]-სა და [ø]-ს შორის. ჩურჩულა [ə]-სა და სხვა უმახვილო ხმოვნების აკუსტიკური მახასიათებლების შეპირისპირებამ გამოავლინა [ə]-ს ვარიირების თავისებურება გრძლივობის მიხედვითაც. ჩურჩულა [ə] უმცირესი გრძლივობისაა (საშუალო გრძლივობა – 46 მს) პოეტური ტექსტიდან ამოკრეფილ ყველა ბგერით ერთეულს შორის (კამრიში 2003). ჩატარებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგების მიხედვით, ჩანს, რომ ჩურჩულა [ə]-ს ჟღერადობა არ ემთხვევა /œ/-სა და /ø/ ფონემების უმახვილო ალოფონების ჟღერადობას, არც გრძლივობით და არც არტიკულაციური წყობით.

ჟ. დიურანისა და ა. ვალტერის აზრით, თანამედროვე ფრანგულ ენაში შეინიშნება ჩურჩულა [ə]-ს ჩამოშორების ტენდენცია ფრანგულ ხმოვან ფონემათა სისტემიდან, რადგან მას უმნიშვნელო ფუნქციონალური როლი აქვს ამ ენაში. ეს აზრი მყარდება ფონეტიკური მიზეზებითაც: ეტიმოლოგიური [ə]-ს ტიპური პოზიციაა უმახვილო მარცვალი, რომელშიც ამ ხმოვნის არტიკულაცია შეიძლება დაემთხვეს ფონემა [œ]-ს ან ფონემა [ø]-ს ალოფონებს. ასეთ შემთხვევაში კი ჩურჩულა [ə]-ს გამოყოფა დამოუკიდებელ ბგერით ერთეულად შეუძლებელია (დიურანი 2000, ვალტერი 1988).

ამგვარად, ჩურჩულა [ə]-ს არასტაბილურობა ვლინდება მრავალ დონეზე. იგი შეიძლება წარმოითქვას, ან არ წარმოითქვას გაბმულ მეტყველებაში სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედების შედეგად. არსებობს იმ შემთხვევათა ძალიან შეზღუდული რაოდენობა, როდესაც ჩურჩულა [ə]-ს რეალიზაცია უდავოა. აკუსტიკურ მახასიათებელთა თვალსაზრისით, ჩურჩულა [ə] განუსაზღვრელად ითვლება. ფრანგული ენის სისტემაში ჩურჩულა [ə]-ს არასტაბილურობა ასევე უკავშირდება ამ ხმოვნის ფონოლოგიური სტატუსის ბუნდოვანებას (გაურკვევლობას). იმ კონსერვატიულ ფაქტორად, რომელიც ხელს უწყობს ჩურჩულა [ə]-ს შენარჩუნებას, ორთოგრაფია მიიჩნევა. ამ მხრივ, ასევე ხელშემწყობ ფაქტორად ითვლება ფრანგული ლექსის რეჩიტატივში ჩურჩულა [ə]-ს წარმოთქმის ტრადიცია (მარტინე 1972).

მაშასადამე, ჩურჩულა [ə]-ს ფონოლოგიური სტატუსის საკითხს დღესდღეობით ცალსახა გადაწყვეტა არ აქვს. ამის მიზეზია, ერთი მხრივ, ჩურჩულა [ə]-ს ფუნქციონირების თავისებურება, მეორე მხრივ კი – სტანდარტული ფონოლოგიური პროცედურების გამოყენების შეუძლებლობა. ჩურჩულა [ə]-ს სტატუსის განსაზღვრისათვის თანამედროვე ფრანგული ენის ბგერით სისტემაში აუცილებელია, დადგენილ იქნეს [ə]-ს აკუსტიკური მახასიათებლები და პერცეფციული თავისებურებები წინა რიგის ლაბიალიზებულ [ø] და [œ] ხმოვნებთან შეპირისპირებით.

ყოველივე ამას ექნება დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ჩურჩულა [ə]-ს ფონეტიკური მახასიათებლების ფონოლოგიური კუთვნილების გარკვევა უცილობლად გასათვალისწინებელია ფრანგული ენის, როგორც უცხოური ენის, სწავლების დროს.

ლიტერატურა:

ახვლედიანი 2011: Ts. Akhvlediani, *Phonétique de la langue française* (Cours théorique), Meridiani, Tbilisi.

ბიურკი... 2007: A. Burki, C. Fougeron, C. Gendrot, On the acoustic characteristics of French schwa*, Proceedings of ICPhS XVI,* Saarbrücken,

გრამონი 1914: M. Grammont, *Traité pratique de prononciation française*, Delagrave, Paris.

გუგენჰეიმი 1935: G. Gougenheim, *Eléments de phonologie française,* Les Belles lettres, Strasbourg.

დელატრი 1966: P. Delattre, *Studies in French and comparative phonetics,* Mouton, Paris.

დიურანი 2000: J. Durand, Relire les phonologues du français: Maurice Grammont et la loi des trois consonnes, *Langue francaise,* №126, Paris.

ვალტერი 1988: H. Walter, *Le français dans tous les sens*, Robert Laffont, Paris.

კამრიში 2003: О. Камрыш, *Эволюция звуковой формы французского силлабического стиха* (экспериментально-фонетическое исследование), С.-Петербург.

მალკო, შოლე 1977: A. Mallecot, G. Chollet, *The acoustic status of the mute-e in French,* Mouton, Paris.

მარტინე 1972: A. Martinet, La nature phonologique d'E caduc, Mouton, Paris.

მეგრელიშვილი 1965: R. Megrelichvili, *Phonétique de la langue française,*TSU,Tbilisi.

პულგრამი 1961: E. Pulgram, French [ə]: static and dynamic of linguistic subcodes, *Langue française,* №76, Paris.

ჟენტი 1972: I. Jgenti, *Voyelles de la langue française*, TSU, Tbilisi.

ფუშე 1956: P. Fouché, *Traité de prononciation francaise*, Klincksieck, Paris.

შჩერბა 1963: Л. В. Щерба, *Фонетика французского языка,* Высшая школа, Москва.

Tsiuri Akhvlediani

Phonetic and Phonological Statuses of Unstable E [ə] in Modern French

Summary

The necessary cases of pronouncing or not pronouncing the unstable [ə] are widely described in the linguistic and methodological literature. Namely, in the works by *P. Delattre*, *A. Martinet, G. Durand, P. Fouché, M. Grammont, E. Pulgram, L. Shcherba.*

The rest of the realizations of [ə] vowel are optional. In modified speech, in case of [ə] realization, it is necessary to define its phonetic characteristics and prescribe the phonological status of this speech sound in the language system. In the middle of the last century there was an attempt to define the status of unstable [ə] and to conduct the analysis of its physical nature through the experimental way, but the final solution of the problem still failed.

In XXI century, linguists (in particular, the French and Swiss researchers: A. *Burki, S. Fougeron, S. Gendron*) continued to show a great interest to reveal the acoustic parameters of the optional [ə]. In their studies, they contrast the acoustic nature of compulsory and optional whispering [ə]. Besides, they also try to compare the spectrum and the length of the [ə] vowel with the front rounded sounds [œ] and [ø]. Their experimental research also deals with another important phenomenon - the quality of the vowel (namely: [œ] and [ø]) being realized instead of whispering [ə] greatly depends on the speaker's territorial belonging, or, in other words, which French-speaking residential area the informant lives in. The informants were from France, Switzerland and Quebec. According to the data obtained, the vowel sound [ə] from [œ] and [ø] in these three regions differs at least in one formant.

The problem of the phonological status of unstable [ə] does not have an unequivocal solution today. On the one hand, this is because of the special functioning features of the unstable [ə] and, on the other hand, the impossibility of using the standard phonological procedures. Determination of the place of the Unstable [ə] in the sound system of the modern French language makes it necessary to investigate the acoustic characteristics of [ə] by comparing it with the front rounded vowels [œ] and [ø]. Besides, specially organized perceptive experiment should also be conducted. All of this will be of great practical importance, as the phonological affiliation of unstable [ə] and its phonetic features also need to be taken into consideration in the process of acquisition of French as a foreign language.

თინათინ ბოლქვაძე

„ენობრივი კავშირი“ საბჭოთა ენათმეცნიერებაში ნაწილი მეორე: ალოგენეტური ნათესაობის იდეიდან ნოსტრატულ თეორიამდე[1]

ენობრივი კავშირი და ალოგენეტური ნათესაობის იდეა საბჭოთა ენათმეცნიერებაში

საბჭოთა ენათმეცნიერებაში დამოკიდებულება „ენობრივი კავშირების“ მიმართ იცვლება 60-იანი წლებიდან, როცა იწყება კავკასიური ენების შედარება ინდოევროპულ და სემიტურ ენებთან უძველესი ნასესხობების გამოვლენის თვალსაზრისით. ამავე პერიოდში იწყება ამ ენათა სტრუქტურული მსგავსებების ძიება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველაზე დიდი დამსახურება „ენობრივი კავშირის“ თეორიისა და მისი გამოყენების თვალსაზრისით მიუძღვის გიორგი წერეთელს (წერეთელი 1968:3-18). იმ არცთუ მცირერიცხოვანი სტატიებიდან, რომლებიც რომან იაკობსონმა ენობრივი კავშირის თემაზე დაწერა, გიორგი წერეთელი ახსენებს მხოლოდ რომან იაკობსონის 1962 წელს გამოცემულ „რჩეულ შრომებში“ შესულ სტატიას (წერეთელი 1968:15) და არა იაკობსონის პირველ წერილს ამ საკითხზე (იაკობსონი 1931). გიორგი წერეთელი არ ეთანხმება იაკობსონის აზრს, რომ ენობრივი კავშირი შეიძლება შექმნან იმ ხალხთა ენებმა, რომლებიც განსახლებულნი არიან უზარმაზარ ტერიტორიაზე – აღმოსავლეთი ევროპიდან, თეთრი ზღვიდან და დასავლეთი ციმბირიდან კავკასიის მთებამდე. ამხელა სივრცეზე განსახლებული ხალხების ენებში ძნელი წარმოსადგენია შეძენილი ნათესაობის ნიშნების პოვნა. მაგრამ თავად იდეათავდაპირველი და შეძენილი ნათესაობის შესახებ გიორგი წერეთლისათვის მისაღები იყო და მას ავითარებდა კიდეც.

სპეციალურად ენობრივი კავშირისა და შეძენილი ნათესაობის პრობლემებისადმი მიძღვნილ სტატიამდე, გიორგი წერეთლის წინასიტყვაობითა და რედაქტორობით 1965 წელს გამოვიდა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივი ნაშრომი „სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტიპოლოგია“. წიგნის რედაქტორს ნაშრომის უმთავრეს დამსახურებად მიაჩნდა ის, რომ „თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა აბლაუტური ხმო-

[1] ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (№ d13/13) ფარგლებში. სტატიის პირველი ნაწილი იხ. ენათმეცნიერების საკითხები, 2015:52-68

ვანმონაცვლეობა პირველად წარმოადგინეს როგორც საერთო-ქართველური (პროტოქართველური) მოვლენა. აბლაუტი ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდეგ განვითარებულ მოვლენად კი არ არის მიჩნეული, არამედ განხილულია როგორც პროტოქართველურ აპოფონიურ ხმოვანთმონაცვლეობათა ცალკეულ ქართველურ ენებში ასახული მექანიზმი. იგი პოსტულირებულია საერთო-ქართველური ენობრივი დონისათვის (პროტოქართველურისათვის)". თუმცა კვლევის მაშინდელი მდგომარეობის მიხედვით ძნელი დასადგენი იყო, რა კვალიფიკაცია უნდა მისცემოდა ამ მსგავსებას (წერეთელი 1965:019,022).

60-იანი წლებიდან იწყება ფართომასშტაბიანი მუშაობა ქართველური და ინდოევროპული ენების ურთიერთმიმართებაზე. მსგავსებები ამ ენებს შორის ადრევე იყო შენიშნული (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ქვემოთ). მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ჯერ კიდევ არ იყოს ზუსტი პასუხი კითხვაზე, როგორ უნდა ახსნილიყო ეს მსგავსება ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის: 1) როგორც უძველესი, შორეული ნათესაობა საერთო-ქართველურსა და ინდოევროპულს შორის; 2) როგორც დანათესავება არეალური ერთიანობის ფარგლებში ინდოევროპული და ქართველური ენების მრავალსაუკუნოვანი კონტაქტების შედეგად; 3) როგორც უბრალო ტიპოლოგიური იზომორფიზმი, დამოუკიდებლად სივრცისა და დროისა, ყოველგვარი ნათესაობისა და დანათესავების გარეშე (წერეთელი 1965: 024).

სწორედ ამ პერიოდში მზია ანრდონიკაშვილი ინტენსიურად იკვლევს ირანულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობებს. უძველესი ირანულ-კავკასიურ ურთიერთობებს ყოველთვის აქცევდნენ სომხურ-ირანული ურთიერთობების კონტექსტში და როგორც მ. ანდრონიკაშვილი წერს (ანდრონიკაშვილი 1966:161), ზოგჯერ სომხურის გვერდით ქართულიც მოიხსენიებოდა, მაგრამ იმის საჩვენებლად, რომ ირანული სიტყვები ქართულში მხოლოდ სომხური გზით იყო შემოსული. ეს ტრადიცია მოდის ჰიუბშმანისა და ა. მეიესაგან, მას აგრძელებს ე. ბენვენისტიც და სხვა ევროპელი ირანისტებიც (გამონაკლისია ჰ. ბეილის ზოგიერთი შრომა). დაახლოებით ასე ფიქრობდა ნიკო მარიც. უფრო შორს მიდის თავის მსჯელობებში ჰრ. აჭარიანი. პირველი, ვინც ყურადღება მიაქცია ქართულში დაცულ ფალაურ სიტყვებს სომხურთან შეპირისპირებით და ხაზგასმით აღნიშნა ქართულში სომხურისაგან დამოუკიდებელი, ფალაურიდან შეთვისებული ლექსიკის არსებობის შესაძლებლობა, იყო ილია აბულაძე (აბულაძე 1944:084-085). ანდრონიკაშვილის კვლევებმა დაადასტურა ილია აბულაძის მოსაზრების სისწორე. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა, მაგალითად, პართული ხმოვნების გადმოცემაში:

ქართ. ე = საშ. ირან. გრძელი ე ē: სპეტაკი, ვეშაპი, ბევრი, ვერაგი
ქართ. ი = საშ. ირან. ი: პიტიახში, ნიშანი
ქართ. უ = საშ. ირ. ū: ბუნაკი, მუშაკი, ბუნიკი, ბუნება
ქართ. ო = საშ. ირ. გრძელი ō: ამბოხი, მოგუი, ზორვა, პოხვა

რაც შეეხება საშუალო ირანულის, ამ შემთხვევაში პართული, ყრუ ხშული თანხმოვნების **p, t, k**-ს გადმოცემას ქართულსა და სომხურში, როგორც მოსალოდნელი იყო, უმეტესად გადმოდის აბრუპტივებით **პ, ტ, კ** პოზიციის მიუხედავად:

პატივი – patiβ

პატიჟი – patišt

ტალავარი –tālvar

ტანჯვა – tanj

კერპი – karp

კაპოეტი – kapōt

კირთი – kirt

დესპანი – dēspān

ვეშაპი – vēšāp

ამპარტავანი– hampartavan (ანდრონიკაშვილი 1966:170)

ძალიან საინტერესოა ენათა კავშირების კვლევის საწყისი პერიოდისათვის საბჭოთა ენათმეცნიერებაში ფონეტიკური შესატყვისობების ძიება ნასესხებ ლექსიკაში, რადგან ასეთ შესატყვისობებზე აქამდე მხოლოდ ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების სპეციალისტები მსჯელობდნენ (ანდრონიკაშვილი 1966:191 და შემდეგი). ეს, უპირველეს ყოვლისა, ყრუ ხშული თანხმოვნების აბრუპტივებით გადმოტანაში აისახება. მაგალითად:

საშუალო სპარსული ყრუ ხშული p თავკიდურ პოზიციაში გადმოცემულია ქართული აბრუპტივით პ:

საშ. სპარს. passax = ქართ. პასუხი;

საშ. სპარს. patrōk = ქართ. პატრუქი;

საშ. სპარს. pērahān (ak) = ქართ. პერანგი.

საშუალო სპარსული ყრუ ხშული p s-სა და r-ს შემდეგ ქართულში გადმოცემულია პ თანხმოვნით:

საშ. სპარს. spēt, spētak „თეთრი“ = ქართ. სპეტაკი „თეთრი, წმიდა“;

საშ. სპარს. spāh „ჯარი, ლაშქარი“ = ქართ. სპა „ლაშქარი“;

საშ. სპარს. spāhpat „მხედართმთავარი“ = ქართ. სპასპეტი, სპაꙋპეტი, იმავე მნიშვნელობით;

საშ. სპარს. aspanǰ „სასტუმრო, თავშესაფარი“ = ქართ. მ-ას-პინძ-ელ-ი „სახლისა და ლხინის უფალი“ (საბა);

საშ. სპარს. aspras, asprēs „ცხენთა სარბიელი, მოედანი“ = ქართ. ასპარეზი „მოედანი, სარბიელი“.

არის შემთხვევები, როცა **საშუალ სპარსულს შეესაბამება ქართ. ფ ანუ აბრუპტივი კი არა, ყრუ ფშვინვიერი შეესაბამება თავკიდურ პოზიციაში:**

საშ. სპარს. puzak „ფეხი, ღერო“ (ხის) = ქართ. ფუძ-ე „ძირი, საფუძველი“;

საშ. სპარს. pārdak „ფარდა, რიდე“ (ხის) = ქართ. ფარდაგი „ფარდა, ხალიჩა“;

პართ. pāhr საშ. სპარს. pās „ფარი“ = ქართ. ფარი, იმავე მნიშვნელობით;

საშ. სპარს. patiīrak „შემთხვევა, შეხვედრა“ (ხის) = ქართ. ფათერაკი „შემთხვევა, ხიფათი, უბედურება“ (ანდრონიკაშვილი 1966:191-192).

გამოდის, რომ ფონეტიკური შესატყვისობებზე შეიძლება მსჯელობა როგორც მონათესავე ენათა საერთო წარმოშობის დადგენისათვის, ასევე ნასესხობათა ფონეტიკური მიმართებების ჩვენებისათვის. შედარებისთვის დავაკვირდეთ, რა შესატყვისობებს იძლევა **პ** ქართველურ ენებში. მაგალითად:

გივი მაჭავარიანი **ქართ. პ მეგრ.-ჭან. პ და სვან. პ-ს** მაგალითად ასახელებს:

ქართ. *პირ-ი,* **მეგრ-ჭან.** *პიჯ-ი,* **სვან.** პილ „ტუჩი“;

ძვ. ქართ. უპე, **ჭან**. უმპა, ომპა „ჭიპი“;

ქართ. ნი-კაპ-ი, **სვან.** კაპ-რ̈ᲐᲥ.

ბოლო მაგალითს მაჭავარიანი განიხილავს ბაგისმიერი ბგერის დაკარგვის შემთხვევად ერთ-ერთ ქართველურ ენაში:

ქართ. ნი-კაპ-ი, **სვან.** კაპ-რ̈ᲐᲥ, **მეგრ.** ნი-კუ//ნუ-კუ, **ჭან.** ნუ-კუ (მაჭავარიანი 1965:18).

ვნახოთ კიდევ ერთი მაგალითი. პართული შიშინა აფრიკატები **ǰ č (ž)** გადმოცემულია ქართულში სისინა სპირანტით **ზ** და აფრიკატებით **ძ, ც**. იგივე ხდება საშუალ სპარსულში:

საშ. სპარს. tazar„სასახლე“ = ქართ. ტაძარი.

ამაზე დაყრდნობით მზია ანდრონიკაშვილი დაასკვნის, რომ ქართული და სომხური ფორმები, როგორცა ჩანს, სხვადასხვა ფალაური დიალექტებიდან მომდინარეობენ: ქართ. ტაძარი ამოსავლად გულისხმობს სამხრეთდასავლურ *tazar-ს, ხოლო სომხური (taṭ̌ar) ჩრდილოდასავლურ *tačar-ს, ისე როგორც ახ. სპარსული ფორმა taǰar, რომელიც განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება სპარსულში. იგივე სიტყვა ძვ. სპარსულში გვხვდება ასეთი ფორმით: tačara. თან ამ სიტყვაში დაცულია t-ს აბრუპტივით გადმოცემის პრინციპი t:ტ. მაშასადამე, შესატყვისობად მოსალოდნელი იყო ან **ზ : ზ** ან **ძ : ძ** (ანდრონიკაშვილი 1966:73, 164, 183, 194, 201, 379).

აქ ისეთი შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე, როგორც ქართველურ ენებში, სადაც ბუნებრივია შესატყვისობა: **ზ : ჟ**

ქართ. მზე, **მეგრ.** ბჟა, **ჭან.** მჟორა, **სვან**. მიჟ;

ქართ. ზე, **მეგრ.-ჭან**. ჟი, **სვან.** ჟი;

ძვ. ქართ. ზახ-ილი-ი, **მეგრ.** ჟოხ-ო-(ნ) „ჰქვია“, **ჭან.** ჟოხ-ონ-ს. ჯოხ-ო „სახელი“ (<ზან. *ჟოხ), **სვან.** ხ-ა-ჟხ-ა (**ლენტ.** ხ-ა-ჟახ-ა) „ჰქვია“ (მაჭავარიანი 1965:28). გივი მაჭავარიანი იმოწმებს მზია ანდრონიკაშვილის ვარაუდს, რომ ეს ქართველური ფუძე ირანული წარმოშობისაა (ანდრონიკაშვილი 1966: 325).

მ. ანდრონიკაშვილი **ზღაპრისათვის** მიიჩნევს საშ. ირანულ სავარაუდებელ ფორმას *zaxbar „თქმულებას“. Zax-//sax იგივე ფუძეა, რაც სახ-ელსა და ზახ-ილში გვაქვს. მნიშვნელობით „თქმა, ძახება“+სუფიქსი -bar, ძვ. ირ. bara. შეადარეთ сказ-ка. zaxbar>ზახბარ>ზღაპარ-ი (მაჭავარიანი1965:28).

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მზია ანდრონიკაშვილი ქართულ-ირანული ენობრივი ურთიერთობების კვლევისას ნასესხებ სიტყვებში ადგენს ისეთივე ბგერათშესატყვისობებს, როგორიც მონათესავე ენებს შორის შეიმჩნევა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის გიორგი წერეთლის მოლოდინი 60-იან წლებში, რადგან „კავკასია არის ენათა მაკროკოსმოსი და ერთმანეთის მონათესავე ენათა გარდა აქ მრავალი სხვადასხვა სისტემის (ინდოევროპული, თურუქული, სემიტური) ენა იყრის თავს, ამიტომ მათი სტრუქტურული მოდელების დადგენა, პირვანდელი არქეტიპების რეკონსტრუქცია და ურთიერთმიმართებების გარკვევა მნიშვნელოვანია არა მარტო თითოეული მათგანის შესწავლისათვის, არამედ ენათა განვითარებისა და ურთიერთობის ზოგადი საკითხებისა და უნივერსალიების პრობლემების კვლევისათვის. შემთხვევითი არ არის, რომ ცნება „ენობრივი კავშირი“ პირველად კავკასიური ენების შესწავლისას ჩამოყალიბდა“ (წერეთელი 1965:027).

თანდათანობით უფრო ნათელი გახდა მიმართება მონათესავე ენათა ოჯახსა და ენობრივ კავშირს შორის. 1968 წელს გიორგი წერეთელი წერდა: „გენეტიკური ჰიპოთეზა და ენათა კონვერგენციული განვითარების თეორია არ უნდა წარმოვიდგინოთ ურთიერთგამომრიცხავ თვალსაზრისებად, პირიქით, ისინი ავსებენ ერთმანეთს და საშუალება გვეძლევა უფრო სრულად და ყოვლისმომცველად შევისწავლოთ ენათა განვითარების რთული პროცესები, რადგან ნათესაობის დადგენა კონვერგენციული განვითარებით (ერთ შემთხვევაში) არ იძლევა საფუძველს, რომ უარვყოთ სხვა შემთხვევებში მონათესავე ენათა წარმოქმნა ერთი ფუძეენიდან, რომლის დაშლა იძლევა დამოუკიდებელ მონოლითურ ერთეულებს.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი X და Y ენების არსებობა, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ, გარდა ზოგიერთი იზომორფული მოვლენისა (უნივერსალიის ფარგლებში).

ეს ენები შეიძლება დაიყოს დივერგენციის პროცესში სხვადასხვა ჯგუფად, მაგალითად X>A, B და Y>C, D. ეს ენები თავის მხრივ იყოფიან E, F; G, H, შემდეგ კი E_1და E_2; F_1 და F_2; H_1 და H_2 და ასე შემდეგ. მეორე მხრივ, Yენის ჯგუფი იყოფა K, L, M; და შემდეგ შესაბამისად – K_1 და K_2; L_1 და L_2; M_1 და M_2; N_1 და N_2. განვითარების პროცესში, ერთ-ერთ სტადიაზე, K_1 ენის განშტოება R შეიძლება განიცდიდეს ძლიერ გავლენას H_2 ენისაგან. ამდენად, R ენა არის შედეგი Y > C > K > K_1 სწორხაზოვანი განვითარებისა და იმავდროულად განიცდის H_2 ენის ინვენტარის დაფენებას. H_2 კი, თავის მხრივ, H_2, H და B ენების გავლით მიდის X ენამდე.

შედეგად, R ენას ნაწილობრივ ან მთლიანად ექნება რეგულარული შესატყვისობები, ერთი მხრივ, Y ჯგუფის ენებთან, ხოლო მეორე მხრივ, ექნება გარკვეუ-

ლი კანონზომიერი კავშირები X ჯგუფის ენებთან. მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე, მიუხედავად ორმხრივი კავშირებისა, ჯერ არ შეიძლება საუბარი R ენის ორმხრივ ნათესაობაზე. შემდეგი დაფენებები, რომლებიც ნასესხები იქნება H_2 ენიდან, ადვილად შეიძლება გამოცალკევდეს იმ პირველადი ინვენტარისაგან, რომელიც მიდის Y ენამდე და ავლენს რეგულარულ შესატყვისობებს ამ ჯგუფის ენებთან... მაგრამ R ენისაგან გამოყოფილ ენებს მეორე (S) და განსაკუთრებით მესამე (T) ისევე, როგორც ყველა სხვა მომდევნო თაობებში ყოველთვის იქნება გარკვეული რეგულარული შესატყვისობები X ჯგუფის ენებთან, თუ, რა თქმა უნდა, R ენისაგან ნასესხები მასალა დარჩა ამ ენებში და არ გაქრა განვითარების პროცესში... ენებს, რომლებიც პირდაპირი ხაზით მიდიან ენათა გარკვეულ ჯგუფთან, კონვერგენციული განვითარების შედეგად უყალიბდებათ ისეთივე ან თითქმის ისეთივე კანონზომიერი მიმართებები ენათა სხვა ჯგუფთან ან ჯგუფებთან როგორიც მშობლიურ ჯგუფთან. ამ გზით ეს ენები ერთმანეთის მიმართ არიან მრავალმხრივ გენეტიკურ კავშირში, რომლებსაც ჩვენ **ალოგენეტურს** ვუწოდებთ (ფრანგ. allogénétique, ინგლ. allogenetic).

ბუნებრივია, რომ ისეთი ენების ინვენტარი, რომლებიც ალოგენეტურ კავშირს ამჟღვანებენ ორ განსხვავებულ ენობრივ ჯგუფთან, ერთ ნაწილში ერთ წყაროსთან კავშირს აჩვენებენ, მეორე ნაწილში კი – მეორე წყაროსთან... მოცემული ენის თითოეული შემადგენლის შესწავლის შემდეგ ხშირად რჩება მასალა, რომელიც არ მომდინარეობს არცერთი ნავარაუდევი წყაროდან. ასეთი მასალა შეიძლება აიხსნას როგორც დამოუკიდებელი განვითარების შედეგი ან რაღაც მესამე შემადგენელი, რომელიც უცნობი წყაროდან იღებს სათავეს“ (უფრო დაწვრილებით იხ. წერეთელი 1968:12-15). გ. წერეთელს შემოაქვს შეძენილი ანუ „ალოგენეტური ნათესაობის“ ცნება, რომელსაც ვ. ივანოვი სამართლიანად თვლის წერეთლის ტერმინად (ივანოვი 1987:415). ქვემოთ მითითებულია გიორგი წერეთლის სქემა, რომელიც გამოყენებული გვაქვს წიგნის ყდაზეც. ოღონდ იგი კიდევ უფრო ინტენსიურ ენობრივ ურთიერთობებს აღწერს და აჩვენებს მონათესავე ენათა ოჯახებისა და ენობრივი კავშირების თანარსებობას (წერეთელი 1968:13).



ენობრივი კავშირების ფარგლებში შექმნილი ნარევი ენების ნათესაობის დადგენა რომელიმე ენასთან ან ენათა ჯგუფთან არ არის მარტივი. ამ საკითხზე სპეციალურად მსჯელობს არნოლდ ჩიქობავა. რა თქმა უნდა, იგი აღიარებს საკითხის პრობლემატურობას, რადგან „...შეუძლებელია წამოვაყენოთ ისეთი შესატყვისობანი, რომელთაც ძალა ექნებოდა მთელი ენობრივი მასივისათვის. მთლიანი ენობრივი მასივი ასეთ შემთხვევაში არც გამოიყოფა. ნარევ ენაში სიმძიმის ცენტრი ცალკეულ ფენთა გამოვლენაზე გადადის. ესაა ერთადერთი გზა, თუ გვინდა ვიპოვოთ შედარებისათვის საჭირო წინაპირობა, გავითვალისწინოთ შესადარებელ ოდენობათა ისტორია“ (ჩიქობავა 1945:226). ამის საჩვენებლად ჩიქობავა განიხილავს სვანურის შედგენილობას, რომელშიც იგი გამოყოფს რამდენიმე „ფენს“, როგორც თვითონ უწოდებს. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახლანდელ სვანურში საკუთრივ სვანური ფენის გამოვლენის საკითხი ყველაზე ნაკლებადაა დამუშავებული. „შეუძლებელი არაა, ეს ფენი აღმოჩნდეს რამდენიმე სხვა ფენის ტრანსფორმაციის შედეგი. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, სვანურს – ქართველურ ენათა ისტორიის თვალსაზრისით – ცალკე ერთეულად ვერ მივიჩნევდით: ის აღმოჩნდებოდა სხვადასხვა უკვე ცნობილ ფენთა ნაერთი: 1. ზანური ფენი, 2. ძველი ქართულის ერთს ინგრიდიენტს დამთხვეული ფენი, 3. ადიღეური ფენი და 4. რაღაც სხვა ფენი, რომელიც თითქოს კანონზომიერ შესატყვისობაშია ქართულთან და ზანურთან: ამ ფენის არსებობაა საფუძველი იმისათვის, რომ ქართველურ ენათა წრეში სვანური, როგორც ცალკე წევრი, გამოვყოთ. ყველა სხვა ფენი სათანადო ერთეულებთან – ზანურთან, სვანურთან, ადიღეურთან – დაკავშირებით უნდა იქნეს შესწავლილი“ (ჩიქობავა 1945:226). როგორც ვხედავთ, არნ. ჩიქობავა სულაც არ ცდილობს საკითხის სირთულის, უფრო მეტიც, საკითხის ბუნდოვანების მიჩქმალვას, ღიად საუბრობს იმ პრობლემაზე, რაც სვანური ენის ქართველურ ენათა მონათესავე ოჯახისათვის მიკუთვნებას ახლავს. სწორედ ნარევ, უფრო ზუსტად ნაჯვარ ენად განიხილავდა სვანურს ნიკო მარი და ამის აღსანიშნავად იყენებდა ტერმინს „ენა – აგრეგატი“ (მარი 1916).

ენათა ნარევობის საკითხს არნ. ჩიქობავა აკავშირებს ენათა განვითარების ინტეგრაციისა და დიფერენციაციის გზებთან და ორივეს თვლის „ენის განვითარების მაგისტრალურ ხაზად“. „ნარევ ენებში უნდა განვასხვაოთ ის შემთხვევები, როცა სხვადასხვა ოჯახის ენა ერევა ერთმანეთში იმ შემთხვევათაგან, როცა შერევას ადგილი აქვს თვით მონათესავე ენებს შორის. ამ ტიპის ნარევი ენის ანალიზს განსაკუთრებული სიძნელე ახლავს. წინანდელი ისტორიული ვითარების გათვალისწინება ჭირს. როგორიც უნდა იყოს ვითარება, ერთი რამ ცხადია: ნარევი ენის შესწავლა ისტორიულ-შედარებითი გზით უნდა წარმოებდეს. ეს ძნელია, მაგრამ სიძნელე აუცილებლობას კი არ აქარწყლებს, არამედ მეტი სიმწვავით სვამს საკითხს და მიზნის შესაფერ ხერხთა დამუშავებას მოითხოვს“ (ჩიქობავა 1979:227).

ერთი მხრივ, პრობლემატურია ნარევი ენების ნათესაობის დადგენა, მაგრამ, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ნარევობა ზოგჯერ არც ენობრივ კავშირს ქმნის და არც ალოგენეტურ ურთიერთობებს, ანუ არც შეძენილ ნათესაობას არ ავითარებს. ამიტომ საჭიროა ენობრივი კავშირისა და შეძენილი ნათესაობის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. როგორც გიორგი წერეთელი წერს, „გარკვეულ ეტაპზე X ჯგუფის T_1 და T_2 ენებს შორის ენობრივი შემადგენლის ერთ ნაწილში ლინგვისტური იერარქიის სხვადასხვა დონეზე უნდა დამყარდეს რეგულარული შესატყვისობები და იმავდროულად ენობრივი შემადგენლის სხვა ნაწილში უნდა იყოს რეგულარი შესატყვისობები Y ჯგუფის ენებთან. თუ ეს პირობა არ სრულდება, თუნდაც იყოს კონტაქტებით მიღებული გარკვეული მსგავსება, მხოლოდ ენობრივი კავშირისთვის დამახასიათებელ ურთიერთობებზე შეიძლება საუბარი, რომელიც წარმოიქმნა სიახლოვის სხვადასხვა ხარისხის გამო და არა ალოგენეტურ ნათესაობაზე. ენობრივი კავშირები შეიძლება დასრულდეს ალოგენეტური მიმართებებით, მაგრამ შეიძლება იარსებონ ან დაიშალონ ალოგენეტური მიმართებების ჩამოუყალიბებლადაც“ (წერეთელი 1968).

ნ. ტრუბეცკოი ერთ-ერთი პირველია იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც ჩრდილო- და სამხრეთკავკასიური ენების ნათესაობას არ ემხრობა. როგორც უკვე აღინიშნა, ქართველი ენათმეცნიერებიც ხშირად დავობდნენ კავკასიური ენების მიმართების საკითხზე. ამ პრობლემას შეეხო გიორგი წერეთელი, რომელიც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ აფხაზურ-ადიღეურ და ნახურ-დაღესტნურ ენათა ოჯახების სტრუქტურული მოდელები დადგენამდე, ქართველურ ენებთან შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით მსგავსება-განსხვავებების გამოვლენამდე და ამ ოჯახებს შორის შორის კანონზომიერი და რეგულარული მიმართებების გარკვევამდე, საკითხი ქართველურ ენათა გენეტური ურთიერთობისა მთის კავკასიის ენებთან იქნება უფრო მეტად საგანი რწმენისა, ვიდრე ცოდნისა (წერეთელი 1965:027).

სამხრეთკავკასიური (ქართველური) და ჩრდილოეთკავკასიური ენების ურთიერთობის შესახებ დღესაც არსებობს ორი, უკიდურესად განსხვავებული დამოკიდებულება: მეცნიერთა ერთ ნაწილს სადავოდ მიაჩნია ეს ნათესაობა, რადგან იგი ეყრდნობა მხოლოდ ამ ენათა ნათესაობის რწმენას და არა ისტორიულ-შედარებით გრამატიკას, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. არ არის გასაკვირი, რომ ჩრდილოეთ და სამხრეთკავკასიურ ენათა ნათესაობის მტკიცებას დიდ ნაკლად უთვლიან შედარებით-ისტორიული გრამატიკის არარსებობას. თუმცა ამის საპასუხოდ, არნ. ჩიქობავას ასეთი არგუმენტი მოჰყავდა: „თუკი სპეციალისტი საკვლევი ენის მასალას ფლობს (ამ შემთხვევაში იბერიულ-კავკასიური ენების მასალას), მას გარკვეული რწმენა შეიძლება გაუჩნდეს (და უნდა გაუჩნდეს!) ამ ენათა კვლევის პროცესში – ჯერ კიდევ შედარებით-ისტორიული გრამატიკის შექმნამდე. ენათა გენეტიკური კავშირების (ენათა ნათესაობის) შესწავლა შედარებითი გრამატიკების შედგენით კი არ იწყება, არამედ თვით გრამატიკა წარმოადგენს

შემაჯამებელ შედეგს ამგვარი კვლევისათვის და ენათა ნათესაობა ამით ამ ენათა არმცოდნე სპეციალისტებისათვის აშკარა ხდება“ (ჩიქობავა 1979:263). ამის საილუსტრაციოდ ჩიქობავა იმოწმებს ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობის კვლევის საკითხს: „ინდო-ევროპულ ენათა ნათესაობა დამტკიცებულად ითვლება 1816 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა ფ. ბოპის ნაშრომი, ...თუმცა ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა (1816) წელს არ არსებობდა. „ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკა“ 1833-1852 წლებში გამოიცა,... „ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ინდოევროპულ ენათა ნათესაობის საკითხი გადაწყდა 1852 წელს“. არნ. ჩიქობავას აზრით, ეს ამას არ ნიშნავს. „ენათა ნათესაობა მეცნიერულად სარწმუნო ფაქტად შეიძლება იქცეს კვლევის პროცესში, შედარებითი გრამატიკის შექმნამდე. და, პირიქით, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ შედარებითი გრამატიკა შეადგინონ, მაგრამ ნათესაობა მეცნიერულ ფაქტად არ იქცეს (შდრ. მაგალითად, მელერის ცდა, დაემტკიცებინა ინდო-ევროპული და სემიტური ენების ნათესაობა. ნ. მარსაც სემიტურ-იაფეტურის (ქართულის) შედარებითი გრამატიკა ჰქონდა შემუშავებული, ათასამდე საერთო ძირიც გამოვლენილი, მაგრამ ამ ენათა ნათესაობა არ დადასტურდა (ჩიქობავა 1979:264) ...ეჭვს გამოთქვამენ ხოლმე ჩრდილოკავკასიური ენების სამხრეთკავკასიურ ენებთან ნათესაობის შესახებ. ხშირად იმეორებენ ამა თუ იმ სახით ნ. ტრუბეცკოის მიერ ჯერ კიდევ 1924 წელს გამოთქმულ მოსაზრებას“ (ჩიქობავა 1979:266), რომ კავკასიური ენები „ორ დიდ ოჯახს ქმნიან: ჩრდილო-კავკასიურ ენებს და სამხრეთ-კავკასიურ ენებს. ხშირად ვარაუდობენ ამ ენათა ნათესაობას, მაგრამ რამდენადაც ეს ნათესაობა სრულებითაც არაა ცხადი და არც ვისმე დაუმტკიცებია ჯერჯერობით ჭეშმარიტად მეცნიერული წესით, ამიტომ უკეთესი იქნებოდა ტერმინი „კვკასიური ენები“ გვეხმარა მხოლოდ როგორც გეოგრაფიული ცნება და არ გაგვეერთიანებინა ის ოჯახი ერთ გენეალოგიურ ჯგუფში“ (ტრუბეცკოი 1924).

არნ. ჩიქობავა იწუნებს იმ ლინგვისტურ მახასიათებლებს, რომლებსაც ნიკოლოზ ტრუბეცკოი მოიხმობს ჩრდილოკავკასიური ენების ნათესაობის დასამტკიცებლად. ტრუბეცკოი ჩრდილოკავკასიური ენების სიახლოვეს აფუძნებს შემდეგ თვისებებზე: თანხმოვანთა სიმრავლე, აქტიური და პასიური ბრუნვების არარსებობა, ზმნური ძირის ერთთანხმოვნიანობა, ლექსიკაში საერთო ელემენტების სიმრავლე (ტრუბეცკოი 1924:328, 339).

არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ამ თვისებებით თუ შეიძლება ენათა ნათესაობის მტკიცება, მაშინ ჩრდილო- და სამხრეთკავკასიური ენების ნათესაობა საეჭვო აღარ უნდა იყოს. ტრუბეცკოის აზრს იმეორებდა ჟ. დიუმეზილიც, მიუხედავად იმისა, რომ მათ ყოველთვის არ ჰქონდათ მშვიდი ურთიერთობა: „თუ ყველა ჩრდილო-კავკასიური ენის ნათესაობა სავსებით აშკარაა, ამ ენების ნათესაობა სამხრეთ-კავკასიურ ენებთან მხოლოდ სავარაუდოაო“ (დიუმეზილი 1952:228. უფრო დაწვრილებით იხ. ჩიქობავა 1979:264-267).

სამხრეთ- და ჩრდილოეთკავკასიურ ენათა ურთიერთობის ასახსნელად შეიძლება მნიშვნელოვანი საშუალება აღმოჩნდეს ინდოევროპეიზმების გამოვლენა ენათა ორივე ჯგუფში, რადგან სწორედ ინდოევროპეიზმთა არსებობა-არარსებობა გამოიყენება ერთ-ერთ კრიტერიუმად სამხრეთ- და ჩრდილოეთკავკასიურ ენათა მიმართებების დასადგენად. სწორედ ინდოევროპეიზმების კვლევამ წარმოშვა თანამედროვე ნოსტრატული თეორია, რომელიც აღადგენს ენათა მაკროოჯახებს, ხოლო ამ მაკროოჯახებს შორის ყოველთვის ნათელი არ არის (და ვერც იქნება ძალიან ძველი ვითარების გამო), რა სახის ურთიერთობა არსებობს – მხოლოდ არეალური, თუ ნამდვილად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ენობრივი კავშირის არსებობაზე, რომლის შიგნით წმინდა არეალური კონტაქტებიც არის და, მეორე მხრივ, ენობრივი კავშირისათვის დამახასიათებელმა ურთიერთობებმა წარმოშვა ნათესაობაც, რომელიც თავიდან იყო შეძენილი ანუ ალოგენეტური ნათესაობა, მაგრამ ხანგრძლივმა დრომ იგი თავდაპირველ ნათესაობას დაამსგავსა.

ინდოევროპეიზმების კვლევა ქართველურ ენებში

ინდოევროპეიზმების ძიებას ქართველურ ენებში ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ ამ კვლევას სისტემური ხასიათი მიეცა მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან და ყველა ის შეცდომა, რომელიც იქამდე სხვადასხვა მიზეზით იყო გამოწვეული, ამ პერიოდიდან მკაცრად აკადემიური მეთოდებით სწორდება. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ახალი მასალების აღმოჩენამ შესაძლოა სურათი შეცვალოს, თუმცა ეს ალბათ არ იქნება ძირეული ცვლილება, რადგან უკვე დაგროვილი მასალა ეჭვმიუტანლად აჩვენებს, რომ ქართველურ-ინდოევროპული ურთიერთობები ძალიან ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. რა თქმა უნდა, საინტერესოა, რა სახისაა ეს ურთიერთობა – მხოლოდ ნასესხობებით შემოიფარგლება თუ შეიძლება უფრო ღრმა კავშირებზე საუბარი.

გიორგი კლიმოვი იმ მეცნიერებს შორის, რომლებიც ქართველურ ენებში უძველეს ინდოევროპეიზმებს ეძებდნენ, მარი ბროსესა და ფრანც ბოპის შემდეგ ასახელებს ა. გლეის. მან 1902 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ქართველი ხალხის და მისი ენის წარმოშობა“; ამ სტატიაში ა. გლეი აფიქსურ მორფემებთან ერთად ასახელებს ოცდასამ ლექსიკურ ერთეულს, რომლებიც შეიძლება იყოს უძველესი ინდოევროპეიზმები ქართველურ ენებში. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან დაკვირვებასთან ერთად სტატიაში გვხვდება შემთხვევითი თანხვედრების მაგალითებიც, რომლებიც ზოგჯერ ბგერწერის უნივერსალური კანონზომიერებითაა გამოწვეული და შეიმჩნევა მსოფლიოს ენათა სხვადასხვა ოჯახში.

ა. გლეიმ გააკეთა ძალიან სერიოზული დასკვნა, რომ უშორეს ისტორიულ წარსულში ქართველურ ენებს ჰქონდათ ურთიერთობა რომელიღაც ინდოევროპულ ენასთან, რომელიც ძალიან ახლოს დგას ბალტურ-სლავურთან და იტალიურ-კელტურთან. მკვლევარი ქართულ ენაში ხედავდა სლავური და ლიტვური ენები-

სათვის დამახასიათებელ სიტყვებს, რაც ვერ აიხსნება ამ ენათა ისტორიული კავშირით, რადგან მათ ისტორიულად ურთიერთობა არ ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, ა. გლეი ასკვნის, რომ ქართულ ენასთან შავი ზღვის სანაპიროზე ან თვით მცირე აზიაში მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონოდა რომელიმე ისეთ ენასთან, რომელიც, თავის მხრივ, ახლოს არის სლავურთან და ლიტვურთან (გლეი 1902).

ა. გლეის შრომასთან ერთად ქართველურ ენებში უძველესი ევროპეიზმების კვლევის თვალსაზრისით გიორგი კლიმოვს საყურადღებო ნაშრომად მიაჩნია მოსე ჯანაშვილის სტატია „ქართული ენა და სლავური რუსული: ამ ენებს შორის შეხვედრის წერტილები“ (1902). ამ წერილში საილუსტრაციო მაგალითებად დასახელებულია უფრო გვიანდელი ევროპეიზმები, თუმცა საყურადღებოა ძველი ინდოევროპეიზმებიც (კლიმოვი 1994).

როგორც ჩვენმა სპეციალურმა კვლევამ აჩვენა, ქართველური და ინდოევროპული ენების ურთიერთმიმართების საკითხით უფრო ადრე დაინტერესდნენ ქართველი მოაზროვნეები. შეიძლება ითქვას, რომ მეცხრამეტე საუკუნეში უკვე არსებობდა ქართველური ენების ინდოევროპულთან ნათესაობის თეორია. რა თქმა უნდა, ტერმინი „თეორია“ არ შეესაბამება იმ აზრს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოუყალიბდა ქართველ ინტელექტუალთა ერთ ნაწილს ამ ენათა უძველესი ურთიერთობების შესახებ, მაგრამ ჩანასახობრივად ეს იდეა უკვე არსებობდა და სპეციალური სტატიები იბეჭდებოდა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პრესაში. თვით ილია ჭავჭავაძეც მხარს უჭერდა ქართული ენის, თანამედროვე ტერმინები რომ გამოვიყენოთ, ინდოირანულ და ინდოგერმანიკულ ენებთან ნათესაობის იდეას. მან დაიწუნა ალექსანდრე ცაგარლის თეორია, რომელიც უპირისპირდებოდა ფრანც ბოპის მოსაზრებას ქართული ენის ინდოევროპული წარმოშობის შესახებ და ქართველურ ენათა ჯგუფი გამოაცხადა დამოუკიდებელ ენათა ოჯახად. ამ იდეაში ილია ჭავჭავაძე ხედავდა, ერთი მხრივ, კუთხური სეპარატიზმის საფრთხეს საქართველოს შიგნით (ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ბოლქვაძე 2010:220-317) და, მეორე მხრივ, იწუნებდა ქართულის ჩამოცილებას ინდოგერმანიკულ და ინდოირანულ ენებთან. სწორედ ამ ორი მიზეზით უნდა იყოს განპირობებული ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დაბეჭდა ნიკო მარის სტატია „ბუნება და თვისება ქართულისა ენისა (მცირე შენიშვნა)“, რომელშიც ავტორი აკნინებდა ცაგარლის შრომას ქართველურ ენათა შესახებ, რომ მას ახალი არაფერი უთქვამს. თვითონ ნ. მარი კი იმ დროს ავითარებდა ქართულის სემიტურ ენებთან ნათესაობის იდეას (მარი 1888). მან შემდეგ შეიცვალა აზრი ქართველურ ენათა სხვა ენობრივ ოჯახებთან ურთიერთობისა და ნათესაობის შესახებ. ილია ჭავჭავაძე „ივერიაში“ დიდ ადგილს უთმობდა სტატიებს ქართველურ ენათა ინდო-ირანულ და ინდო-გერმანიკულ ენებთან ურთიერთობის თაობაზე. ამ მხრივ საინტერესოა იაკობ გოგებაშვილის წერილი (გოგებაშვილი 1901:2), ასევე თვით ილია ჭავჭავაძის სპეციალური წერილი, რომელშიც, ფაქტობრივად, ილია პროსპექტული და რეტროსპექტული ენათმეცნიერების შესახებ

მსჯელობს (რა თქმა უნდა, ამ ტერმინების გამოუყენებლად) და ქართული ენის აღმოსავლეთის ძველ ენებთან ურთიერთობის საჩვენებლად იმოწმებს ისეთ ძირებსაც, რომლებიც თანამედროვე ნოსტრატულ თეორიაში ქართულ-ინდოევროპულ უძველეს ურთიერთობათა დამადასტურებელ ძირებად ითვლება (ჭავჭავაძე 1889).

ქართველურ ენათა ურთიერთობისა და მათი სხვა ენებთან ნათესაობის თვალსაზრისით საინტერესოა პ. მირიანაშვილის სტატია, რომელიც განიხილავს ქართველურ ენათა სხვა ენებთან ნათესაობის სამ თეორიას: ინდოევროპული წარმომავლობის, თურანულ ენებთან ნათესაობისა და ივერიულ ენათა ჯგუფის დამოუკიდებლობისა. თავად პეტრე მირიანაშვილი იცავდა ქართველურ ენათა ინდოევროპულიდან მომდინარეობის თეორიას. ამიტომ ძირითადად ამ საკითხს ეძღვნება მთელი ნაშრომი. იგი მსჯელობს სიტყვათა ენიდან ენაში მოხვედრის გზებსა და ენათა ლექსიკური მსგავსების შესაძლო მიზეზებზე.

ამჯერად, ადგილის სიმცირის გამო, ვერ გავაგრძელებთ დაწვრილებით მსჯელობას ქართველური ენების ინდოევროპულ ენებთან ისტორიული კავშირ-ურთიერთობის შესახებ რა თვალსაზრისებს ავითარებდნენ ქართველი ინტელექტუალები მეცხრამეტე საუკუნეში. ამ საკითხს სპეციალურად ვეხებით ჩვენს ნაშრომში (ბოლქვაძე 2010:220-239). თუმცა ერთს აუცილებლად აღვნიშნავთ, რომ ძალიან საინტერესოა პ. მირიანაშვილის გამოვლენილი ლექსიკური ერთეულები (რა თქმა უნდა, ეს ყველა მის მიერ დამოწმებულ მაგალითზე არ ითქმის) თანამედროვე ნოსტრატული თეორიის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ პეტრე მირიანაშვილს სწორად ესმოდა, ენათა ნათესაობის დადგენა რა საფუძვლებს უნდა დაყრდნობოდა.

ცალკე მსჯელობის ღირსია ნ. მარის დაკვირვებები, რომლის მოსაზრება ფუძეენის წარმოქმნის შესაძლო გზებთან დაკავშირებით უკვე განვიხილეთ ნ. ტრუბეცკოის ენობრივი კავშირის თეორიასთან სიახლოვის გამო. მისი დაკვირვებები ასახულია გიორგი კლიმოვის ქართველურ ენებში დადასტურებული ინდოევროპეიზმების შემაჯამებელ ცხრილებში (იხ. ქვემოთ). აშკარაა, რომ ის შეცდომა, რომელსაც უშვებდა ფრანც ბოპი ქართული ენის ინდოევროპული წარმოშობის თაობაზე, დიდწილად განპირობებულია თავად ენობრივი მასალით, რომლის სწორად დიფერენცირება იმდროინდელი მეთოდოლოგიით შეუძლებელი იყო. საერთო ინდოევროპული ლექსიკა, რომელიც ქართულ და ქართველურ ენებში მოიპოვება, სხვადასხვა პერიოდისაა და სხვადასხვა გზით არის ქართულში შემოსული, რომელთა დიფერენცირების საკითხში დიდი წვლილი მიუძღვის გიორგი კლიმოვს (ამის შესახებ იხ. ქვემოთ). სწორედ ქართველურ ენებში გამოვლენილი ინდოევროპული მასალის ანალიზმა მიიყვანა იმ დასკვნამდე გიორგი მელიქიშვილი, რომ ეს მონაცემები სცდება ქართული ენის ურთიერთობებს ისეთ ინდოევროპულ ენებთან, როგორიცაა ბერძნული, სომხური, სპარსული და სხვადასხვა ირანული დიალექტები, რადგან ამ ენებთან ქართულს ჰქონდა ურთიერთობა ბოლო 2000-

2500 წლის მანძილზე. გამოკვლელული ლექსიკური მასალა უფრო ძველ ურთიერთობებზე მიუთითებს. გ. მელიქიშვილი ვარაუდობდა, რომ ინდოევროპული ჯგუფის რომელიღაც ენამ სუბსტრატის როლი შეასრულაქართველურისათვის (მელიქიშვილი 1965:242, 245).

ინდოევროპულ-ქართველური ურთიერთობების კვლევებს ნამდვილად დიდი ბიძგი მისცა თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის ერთობლივმა კვლევამ ინდოევროპული და ქართული მორფოლოგიური სისტემების გაკვეული სტრუქტურული იზომორფიზმის შესახებ, რამაც დააყენა საკითხი ამ ორ ენობრივ ოჯახს შორის ენობრივი კავშირებისათვის დამახასიათებელი ურთიერთობების შესწავლისა (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965). ეს კვლევა არ დასრულებულა მხოლოდ ქართველური და ინდოევროპული მასალის შედარებით, არამედ ლოგიკურად მივიდა უძველესი ინდოევროპელების საცხოვრისის ძიებამდე წინა აზიის სამხრეთით, ქართველური ენების გავრცელების არეალში (გამყრელიძე, ივანოვი 1984:859-957. ამ საკითხზე სპეციალურად ვიმსჯელებთ ქვემოთ), რაც, თავის მხრივ, დაემთხვა არქეოლოგიურ აღმოჩენებს, რომლის მიხედვით ცენტრალური და აღმოსავლეთი ანატოლია იყო ის ძირითადი ადგილი, სადაც ინდოევროპული ენის ყველაზე ადრეულ სახეობას იყენებდნენ ჩვენს წელთაღრიცხვამდე 6500 წლის წინანდელ ეპოქაში (რენფრუ 1986:205). ქართველური და ინდოევროპული არეალები ნამდვილად კვეთენ ერთმანეთს მითითებულ პერიოდში.

გ. კლიმოვი გამოყოფს სამი სახის ინდოევროპეიზმებს ქართველურ ენებში (ქვემოთ მოცემული სქემები ეყრდნობა კლიმოვის გამოვლენილ საერთო ქართველურ-ინდოევროპულ ლექსიკურ ერთეულებს. კლიმოვი 1994):

I. საკუთრივ ფუძექართველური პერიოდის ინდოევროპეიზმები:

ფუძექართველური	ინდოევროპული
*berg ბარვა	*bherĝ
*guga ნაყოფის გული, თვალის გუგა	*gugā
*diγom- /diγwam შავი მიწა	*dheĝhom
*eks[1]w ექვსი	*u̯eks
* lag- :lg დალაგება, დარგვა მცენარის), მიმაგრება	*legh
*mḳeṛd-: mḳṛd- მკერდი	*k̑erd- : k̑ṛd-
*otxo ოთხი	*ok̑to
*usx (a) ხარი (შესაწირავი)	*uks
*ɣweb ღობვა, ქსოვა	*(H)u̯ebh
*ūɣ უღელი	*i̯uɣ
*ɣwed ღვედი, ქამარი	*(H)u̯edh
*ɣel-: ɣw დაგრეხა	*(H)u̯el
*ɣwi ღვია	*u̯ei- (*Hu̯ei)

*ɤwino ღვინო	*u̯ei
*cxwi ისარი	*sk(h)u̯i (i̯)-

II. ქართულ-ზანური ფონდის ინდოევროპეიზმები:

ქართულ-ზანური	ინდოევროპული
*band- ბანდვა, ქსოვა	*band-
*bandɤ- ბანდვა, ქსოვა	*bandh-
*gwal- გვალვა, დგომა(სიცხის, გვალვის)	*gu̯al-
*guda- бурдюк, გუდა	*guda-
*diqa- თიხა, ფესვი	*deiĝha
*dola- ურქო ხარი	*dōlo-
*dɤweb- გადღვება	* dheubh-: dhubh
*wel- ველი	*u̯el-
*wenaq- ვაზი	*u̯ein-āg- (*u̯ein-āk-)
*werʒ¹- ვერძი, ცხვარი	*u̯ers-
*ʒ¹webu- ბაყაყი, ჟვაბუ	*gu̯ēb(h)u-
*tel- გოჭი	*tel- (*thel-)
*txaz- : txz- თხზვა, ქსოვა	*teks
*ḳaḳab- კაკაბი	* ḳaḳab-
**ḳwer- კვერი, მრგვალი (არტეფაქტი)	*ku̯er-
*ḳreb- : ḳṛb- მოკრეფა,შეგროვება (ნაყოფის)	*(s)kerb(h)- / (s)kreb(h)
*liṗ- ლიპი, გალიპვა, გალიპული	*leip-
*mēl- მელია	*(s)mēl-
*mṭwer- მტვერი	*tu̯er-
*o(m)ṗe-ჭიპი	*ombh-
*opop- ოფოფი	*opop- / epop-
* ṗlenʒ¹- სპილენძი	*(s)plend-
*rabo- თხრილი, არხი	*ghrābho-
*sxal- : sxl- სხვლა, მოწყვეტა	*skal-
*s¹uš- შუშვა, შრობა	*suš-
*ṭep- : ṭp თბობა, გათბობა	*tep-
*pōlo- ჩლიქი	*pōlo-
*pruṭ- : pṛṭw- ფრუტუნი (ცხენის)	*preu-t(h)-: pru-t(h)-
* puṭuṛo- ლპობა, დამპალი	*pū-tro-
*kursl- ქუსლი (ცხოველის)	*kurs-ni-

*ɣerɣ- ღერღვა, ფქვა (მსხვილად)	*ghergh-
*ɣor- ღორი	* ĝhor-
*ɣoɣo- ზაქი	*ĝhoghu-, *ĝhagu̯h-
*ɣṛma- ღრმა, სიღრმე, არხი, თხრილი	*r(u)ghma-
*ɣru(n)t- ღრუტუნი	*grund-
*qu(w)a- ტარი (ნაჯახის)	*ko u̯ā-
*cḳend- : cḳṇd- გამოჩენა, გამოყოფა	*skendh-
*çumb-/ çumṗ- გაჟღენთა (წყლით)	*su̯omb(h)o-
*c[1]ero- წერო	*ger(ōu)- (*k'er-)

III. გვიანდელი ფონდის ლექსიკური ერთეულები

ქართული//ქართველური	ინდოევროპული
* anḳara- ანკარა	*angu̯or-, *angu̯ur-
* anḳes- ანკესი	*ankes-
*ačua- ჭაკი ცხენი	*ču̯a-
*bere- ბიჭი, ვაჟიშვილი	*ber-
*bol- ბოლი (ღია)	*bholo
*breg- ბექი, მცირედ ამაღლებული ნაწილი	*bherĝh
*gemo(r)-, gemr- გემო, გემრ(იელი)	*gām[u]r
*gogra- გოგრა, კვახი	*ga(r)gra-
*gora- პატარა მთა, გორა	*gu̯or-
*dag- დაგვა, წვა	*dagh
*dro- დრო	*ṛtu
*dube- დაბალი ადგილი	*duobe-, dōubē
*zutx- ზუთხი	*ĝhdū-
*ḳera-, ḳira- კერა	*ker(ə)-
*ḳvet- კვეთი	*kuat(h)-
*ḳrazana- კრაზანა	*kṛs-en-
*ḳṛko- რკო, მუხა	*kuerkuu
*ḳrox-, ḳṛux- კრუხი	*krok-
* ḳəla- გასაღები, ჩაკეტვა (მეგრ.) ḳəla-, (ლაზ.)ḳola-	*klā(u)-
*ḳund- (მეგრ.-ლაზ.) ექსკრემენტი	*kudh-
*leṭa- (მეგრ.-ლაზ.) ტალახი	*lat-
*lex- (მეგრ.) ავადმყოფი	*leik-, leig-

*madl- მადლი	*mald-
*nigoz- ნიგოზი	*ni-gauza
*ṗirvel- პირველი	*pṛ̥u̯(o)-
*saraǯ (a)- ფუტკრის ფიჭა	* sāragha-
*sila- ქართ., მეგრ. ქვიშა	*śilā-
*sruṭe- არხი	*sru-to-
*sqwen- სხვენი, ჭერი	*sḱēin, sḱāin-
*ṭrp- სიამოვნება, დაკმაყოფილება	*trp-
*pard-, prd- გაყიდვა, ვაჭრობა (რომელი იგი ტრედსა ფრდიდეს (ფარდ-ულ- (სავაჭრო ადგილი); მე-ფარდ-ულ-ე)	*para-dā-
*parto-ქართ., მეგრ. ფართო	*prthu
*prta- ფრთა, ბუმბული	*patra-
*kabula- მეგრ. ხბო (ერთი წლის)	*kalba-
*rka- ქართ. რქა, მეგრ. ქა-, ლაზ. ქრა	*ḱrā-
*ɤwäse- სვან. ბადექონი	*u̯asā-
*ɤwer- სვან. იცი//დაფიცება	*u̯er-
*(š)lam- ლამი	*lāmā
*ʒalua- ბიცოლა	*ĝlōu̯-
*çurbel- ქართ. მეგრ.: çurvel- წურბელი	*surb-el-
*xendro- მარწყვი	*ḱu̯endh-ro

თამაზ გამყრელიძისა და ვიაჩესლავ ივანოვის ერთობლივ ნაშრომში აღდგენილია „ფუძეინდოევროპული ლექსიკის სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფები. კერძოდ, ფლორის, ფაუნის, მეურნეობისა და მატერიალური კულტურის აღმნიშვნელი ძირების რეკონსტრუქცია საშუალებას გვაძლევს, – წერენ ავტორები, – რომ მიახლოებით წარმოვიდგინოთ ის გეოგრაფიული გარემო, სადაც იყო ფუძეინდოევროპული სამშობლო და საიდანაც დაიწყო ინდოევროპული ტომების მიგრაცია და მათი განსახლება ევრაზიის უფართოეს ტერიტორიაზე. სულიერი კულტურის ელემენტები, რომელთა აღდგენა შესაძლებელია ენობრივი მონაცემებით, ასევე ლექსიკური ნასესხობები და ინდოევროპულის გავლენა სხვა ენებზე, გვაძლევს საშუალებას, მოვხაზოთ ინდოევროპელთა შესაძლო „წინარესამშობლოს“ გავრცელების არეალი. ასეთ არეალად უნდა ვივარაუდოთ ის ადგილი, სადაც ფუძეინდოევროპული ეკონტაქტებოდა სემიტურ და ქართველურ ენებს, რადგან ამ ენებში არის ნასესხობათა მთელი პლასტი და შეიმჩნევა საერთო სტრუქტურული ნიშნები, რომლებიც უნდა ჩამოყალიბებულიყო ამ ენათა ხანგრძლივი ურთიერთგავლენის დროს. ინდოევროპულის ქართველურსა და სემიტურზე გავლენის ფაქტორი გვავარაუდებინებს, რომ ინდოევროპულის წინარესამშობლო უნ-

და იყოს ახლო აღმოსავლეთის კონკრეტული არეალი, სადაც შესაძლებელი იყო ასეთი კონტაქტები. ამით გამოირიცხება ბალკანეთის მიჩნევა იმ ტერიტორიად, სადაც თითქოს პირველად გავრცელდა ინდოევროპული ფუძეენა (გამყრელიძე, ივანოვი 1984:870-871).

რომან იაკობსონი გამყრელიძე-ივანოვის ერთობლივი ფუნდამენტური ნაშრომისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში აღნიშნავდა, რომ „შედარებითი ენთმეცნიერების ამოცანად აღარ ითვლება მხოლოდ ნათესაობრივი შედარება, მის ინტერესთა სფეროში შედის რეკონსტრუირებული ენების აღწერითი დახასიათება. უკვე გააზრებულად ფართოვდება ლინგვისტური შედარების საზღვრები და სპეციალური კვლევის საგანი ხდება ენათა შორის ენობრივი კავშირისთვის დამახასიათებელი მიმართებებისა და თვით ისეთი ენების სისტემების კვლევა, რომლებიც არც მონათესავენი არიან და არც გეოგრაფიული სიახლოვე აქვთ. ასეთმა კვლევამ საჭირო გახადა ენათა ტიპოლოგიური კლასიფიკაცია, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს რეკონსტრუირებული ფუძეენის რეალურობის ხარისხის შესამოწმებლად“. ამ მეთოდების სწორად გამოყენებამ აქცია წარსულში შექმნილი ფუძეინდოევროპული ენის სტატიკური და ერთფეროვანი სურათი დინამიკურ სურათად, რომელშიც ჩანს როგორც ფუძეინდოევროპული ენის დიალექტების ურთიერთმიმართება, ისე ფუძეინდოევროპულის ურთიერთობა გეოგრაფიულად მეზობელ ფუძეენებთან (იაკობსონი 1984:XIII-XIV).

მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან ძალიან სწრაფი ტემპით დაიწყო როგორც მონათესავე ენათა ჯგუფის, ისე ენობრივი კავშირისა და ენათა საერთო ტიპოლოგიური მახასიათებლების გამოვლენა და კვლევა, რამაც ოთხმოციან წლებში შედეგად მოიტანა ის, რომ ენათმეცნიერების ძველ კითხვებზე გაჩნდა, როგორც რომან იაკობსონი ამბობს, საოცარი პასუხები, დადგა სრულიად ახალი პრობლემები და ძალიან გაფართოვდა თემატური ჰორიზონტი.

როგორ გახდა ფუძეინდოევროპული ენის სტატიკური და ერთფეროვანი სურათი დინამიკური? უპირველეს ყოვლისა იმით, რომ

1) აღდგენილი ფუძეინდოევროპული ენა ტიპოლოგიურად სანდო სურათს იძლევა და შეიძლება ასეთი ენის არსებობის დაშვება როგორც ფონოლოგიურად, ისე გრამატიკულად და ლექსიკურად: „ფუძეინდოევროპულში სავარაუდებელია ხშულთა სამეულებრივი სერია, რომელსაც ქმნის „გლოტალიზეული“ (resp. ფარინგალიზებული) მჟღერი და ყრუ თანხმოვნები. უნდა აღინიშნოს, ასეთი ფონოლოგიური თვისებები სხვა ენათა ჯგუფებსაც ახასიათებს, რომლებიც ერთ ენობრივ კავშირში შედიან. გლოტალიზებული ხშულების სერიის მიხედვით ინდოევროპულ, ქართველურ და სემიტურ ფუძეენების ტიპოლოგიური მსგავსება შეიძლება ვნახოთ აგრეთვე ამერინდიელთა ენებში, რომლებსაც ასევე ახასიათებთ გლოტალიზებული სერია. ქართველურსა და ინდოევროპულს ახასიათებს: სონანტთა მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტები სიტყვაში მათი პოზიციის მიხედვით; ძირისა და აფი-

ქსების მიმართების ერთნაირი სქემა; ძირისა და აფიქსების შეერთების ერთნაირი წესები მრავალმორფემიან თანამიმდევრობაში ძირეული ხმოვნის ცვალებადობის მექანიზმით (აბლაუტი). ასეთი მსგავსება ენობრივ სტრუქტურათა გაფორმებაში შეიძლებოდა ყოფილიყო ხანგრძლივი ენობრივი ურთიერთობის შედეგი ერთი არეალური მთლიანობის – ენობრივი კავშირის შიგნით და მათ შორის ალოგენეტური მიმართებების დამყარებით (წერეთელი 1968).

2) აღდგენილი ინდოევროპული ფუძეენა მარტო არ არის იმ გეოგრაფიულ არეალში, რომელიც ითვლება ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის პირველსაცხოვრისად. მას აქვს ურთიერთობები სხვა ფუძეენებთან: „ამაზე მეტყველებს უამრავი ლექსიკური ნასესხობა, რომლებიც ახასიათებს ქართველურ, ინდოევროპულ და სემიტურ ენათა **ისტორიულად საერთო არეალურ კავშირს** („исторический общий ареальный союз языков“). ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ქართველურ-ინდოევროპული ენობრივი ურთიერთობების შედეგად ვლინდება ნასესხებ სიტყვათა ფართო სემანტიკური სპექტრი, რომლებიც მოიცავენ არა მხოლოდ კულტურულ ტერმინებს, არამედ ძირეული ლექსიკური ფონდის სიტყვებსაც, რაც უნდა მიუთითებდეს ერთი ენობრივი კავშირის ფარგლებში ენათა ურთიერთგავლენაზე. ამით უნდა აიხსნას ქართველურსა და ინდოევროპულს შორის არსებული სტრუქტურული იზომორფიზმი. **დიფერენციაციამდე საერთო-ქართველური ტერიტორიულად გავრცელებული უნდა ყოფილიყო მცირე კავკასიონის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილების მთიანეთში. საერთო-ქართველურის ერთ-ერთ დასავლურ დიალექტზე მეტყველთა პირველი მიგრაციის ტალღა კოლხეთის დაბლობისაკენ უნდა დავუშვათ ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში. სწორედ მაშინ დაედო სათავე სვანურ ენას, რომელიც დაეფინა აქ გავრცელებულ ადგილობრივ ენებს. სავარაუდოა, რომ ეს იყო ჩრდილო-დასავლურკავკასიური ტიპის ენები, რომლებიც, თავის მხრივ, სვანურისათვის სუბსტრატის როლს ასრულებდნენ** (შდრ. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი სვანური ენის ნარევობის შესახებ. იხ. ზემოთ).

სვანური ენა თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ გადასწია საერთო-ქართველური მიგრაციის მეორე ტალღამ, რომელმაც მიაღწია შავ ზღვამდე. ეს უნდა ყოფილიყო საერთო-ქართველურის დასავლური დიალექტი, რომელმაც სათავე დაუდო კოლხურ, იგივე ზანურ ანუ მეგრულ-ლაზურ ენას, რომელიც იყო ძველი კოლხეთის ერთ-ერთი ენა. საერთო-ქართველურის ის დიალექტები, რომლებიც დარჩნენ დასავლეთ მცირე კავკასიონის არეალში, სადაც იყო ფუძე ქართველურის გავრცელების ძირითადი კერა, საფუძვლად დაედო ქართულ ენას. ამ ენაზე მეტყველნი უკვე ისტორიულ პერიოდში დაიძრნენ დასავლეთისაკენ და ქართული ენა დაეფინა კოლხურ ენას, რამაც გამოიწვია მისი გაყოფა მეგრულ და ლაზურ (ჭანურ) ნაწილებად. ქართულ ენაზე მეტყველნი განსახლდნენ ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებითაც და შეავიწროეს აქ აღმოსავლურკავკა-

სიური ტიპის ენების გავრცელება. სწორედ ამ მიგრაციებმა გამოიწვია საერთო-ქართველური ენის დაშლა და მისი დიალექტების ექსპანსია პირველსაცხოვრისის საზღვრებს გარეთ (გამყრელიძე, ივანოვი 1984).

გამყრელიძე-ივანოვის „გლოტალობის თეორიის“ შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდა კვლევა როგორც ენობრივი კავშირების, ისე მაკროენობრივი ოჯახების გამოვლენის თვალსაზრისით. ნოსტრატული თეორია, ილიჩ-სვიტიჩის შემდეგ, სტაროსტინისა და ალან ბომჰარდის სახელებს უკავშირდება. ნოსტრატული თეორიის შედეგებისა და კლიმოვის დასკვნების შეუთავსებლობაზე (ამას თვით გ. კლიმოვიც აღიარებს) მსჯელობს ვიაჩესლავ ვ. ივანოვი 2007 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში დაბეჭდილ წერილში. იგი აღნიშნავს, რომ თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის ერთობლივ ნაშრომში შესულია კლიმოვის გამოვლენილი ძველი ინდოევროპეიზმები ქართველურში, მაგრამ თუ პროტოინდოევროპულსა და პროტოქართულს საერთო ნოსტრატული წარმოშობა აქვთ, მაშინ ინდოევროპეიზმებად შერაცხული ძირები უნდა მივაკუთვნოთ ადრეულ პროტონოსტრატულ პერიოდს. სტაროსტინი შეეცადა, შეეკრიბა ის ინდოევროპული ელემენტები ქართველურში, რომლებიც, მისი აზრით, ნოსტრატული წარმოშობის უნდა იყოს. იგი თავის თანაავტორთან ერთად 2001 წელს ნოსტრატულ ენებში მოიაზრებს ექვს ჯგუფს (უფრო დაწვრილებით იხ. ბურლაკი და სტაროსტინი 2001:178-181), რომელთა შორის არის ქართველური ინდოევროპულთან, ალათაურთან, დრავიდულთან, ურალურთან და ესკალეუტურ ენათა ოჯახებთან ერთად. სტაროსტინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინდოევროპულსა და ქართველურს შორის (იმის მიუხედავად, მათ მონათესავე ნოსტრატულ ენებად ჩავთვლით თუ ერთი ფუძეენდიან მეორე ფუძეენაში ნასესხობად) აშკარაა შესატყვისობები: **ქართველური გლოტალიზეული : ინდოევროპული ყრუ, ინდოევროპული „გლოტალიზებული“ : ქართველური ყრუ თანხმოვანი.** მაგალითებად სტაროსტინი ასახელებს შემდეგ ძირებს: **p’:** ***p’ir-** „მხარე“ – ინდოევრ.***per-**„წინა მხარე“ (შდრ. მაგალითად, რუსული: перед); **t’:** ***lt’w-**„დასველება“ – ინდოევრ. ***lat-** „ტენიანი, სითხე“ (შდრ. მაგალითად, ლათ. latex „ტენი, სითხე“); ***mat’l-** „მატლი“ – ინდო.ევრ. ***mat-** „მატლი“ (შდრ. მაგალითად რუსული: мотыль); **k’:** ***k’wer-**„მრგვალი“ – ინდო. ევრ. ***kwel** „ბრუნვა“ (ქართველური **რ** შეიძლება შეესაბამებოდეს ინდოევროპულ ლ-ს); *mkʼerd- „მკერდი“ – ინდო.ევრ. *kʼerd (არსებობს მონაცემები, რომლებიც მიუთითებს, რომ უფრო ადრეული ფუძე ინდოევროპული ფორმა იყო: *kʼerdh) „გული“ (შდრ. მაგალითად, რუსული сердце ბერძნ. Kardia); **q’:** *qʼur- „ყური“ – ინდო.ევრ. *kʼleu „მოსმენა“ (შდრ. მაგალითად, რუსული слушать, слышать); **t’:** *tx- „დასხმა, დათხევა“ – ინდო. ევრ.*dē- „სითხე, დინება, წვეთობით დინება“ (შდრ. მაგალითად, ინდოირანული წარმოშობის მდინარეთა სახელები – დონ, დნ-ეპრ და ასე შემდეგ); **k:** *kwal-/kwel- „ცივი“ – ინდო.ევრ.*gʼel- „ცივი“ (შდრ. მაგალითად. ლათ. gelidus, გერმანული: kalt).

ს. სტაროსტინისა და მისი თანაავტორის მოსაზრებით, შესაძლებელია ფუძეინდოევროპული სისტემა ჰგავდა უდიურს (ლეზგიური ენების ერთ-ერთი წევრი) და შედგებოდა ყრუ, მჟღერი და „ძლიერი“ თანხმოვნებისაგან (უფრო დაწვრილებით იხ: ბურლაკი და სტაროსტინი 2001:118-121):

p	(p:)	b
t	t:	d
k	k:	g

სტაროსტინი მხარს უჭერს ტრუბეცკოის მოსაზრებას ჩრდილოეთ კავკასიური ერთობის შესახებ (ტრუბეცკოი 1930). ამ თვალსაზრისს სტაროსტინი ამყარებს ოცდათხუთმეტი (35) ბაზისური სიტყვის (სიტყვების სია შემუშავებულია ს. იახონტევის მიერ) ბგერათშესატყვისობების დაძებნით აღმოსავლურ-კავკასიურ (ნახურ-დაღესტნურ), დასავლურკავკასიურ (აბხაზურ-ადიღეურ) და სამხრეთკავკასიურ (ქართველურ) ენებში. შესადარებლად აღებული სიტყვების ჩამონათვალი ასეთია (დაყოფა ჩვენია, – **თ.ბ**): **ზოგიერთი ბაზისური არსებითი სახელი:** სახელი, ქვა, ცეცხლი, თევზი, ძაღლი, წელი (წელიწადი), მატლი, ტილი, კვერცხი; **სხეულის ორგანოთა სახელები:** თვალი, ყური, კბილი, ცხვირი, ხელი, კუდი, ენა, ძვალი, რქა, სისხლი; **ციურ სხეულთა აღმნიშვნელი სახელები:** მზე, მთვარე; **ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი სახელები:** ქარი, წყალი; **ზედსართავი სახელები:** სრული, ახალი; **რიცხვითი სახელები:** ერთი, ორი; **ნაცვალსახელები:** ვინ, რა, ეს, მე, შენ; **ძირეული ზმნები:** მიცემა, ცოდნა, კვდომა (სიკვდილი). სიტყვათა ეს ჩამონათვალი გამოცდილია ბევრ ენაზე, მაგალითად, ინდოევროპულ, ალათაურ, ურალურ, დრავიდულ, ჩინურ-ტიბეტურ, ავსტრონეზიურ და სხვა ენებზე. ამ ჩამონათვალიდან მონათესავე ენებში, ჩვეულებრივ, ემთხვევა ოცი (20) ერთეული. ამ სიტყვებში დადასტურებული ბგერათშესატყვისობები შეესაბამება დივერგენციის 5-7 ათას წელს (სტაროსტინი 2007ა:529).

ზემოთ ჩამოთვლილი ოცდათხუთმეტი (35) სიტყვის შედარებამ სტაროსტინს ასეთი შედეგი მისცა: ფუძეაღმოსავლურ-კავკასიურსა და ფუძედასავლურ-კავკასიურს შორის არის ოცდაოთხი (24) დამთხვევა, ხოლო ფუძეაღმოსავლურ-კავკასიურს, ფუძედასავლურ-კავკასიურსა და ფუძექართველურს შორის არის მხოლოდ ორი (2) დამთხვევა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ს. სტაროსტინი ასკვნის: აღმოსავლურკავკასიური (ნახურ-დაღესტნური) და დასავლურკავკასიური (აფხაზურ-ადიღეური) ენები ახლო მონათესავე ენები არიან. ფუძეაღმოსავლურ-კავკასიურსა და ფუძედასავლურ-კავკასიურს საერთო ლექსემების ძალიან დაბალი პროცენტი აქვთ ფუძექართველურთან (მხოლოდ ორი ლექსიკური ერთეული), რასაც სტაროსტინი იმით ხსნის, რომ ქართველური და კავკასიური ენები არ ქმნიან საერთო ოჯახს. ეს მცირე დამთხვევა შეიძლება აიხსნას ან სესხებით ან ნოსტრატულზე ძველ პერიოდში ნათესაობით. საყურადღებოა, რომ ქართველურის ნოსტრატულ ენებთან (ინდოევროპულთან, ურალურთან, ალათაურთან) საერთო ლექსიკის სტაბი-

ლურად მაღალი პროცენტი ახასიათებს, ხოლო ჩრდილოკავკასირი ენები ასეთ სიახლოვეს ამჟღავნებენ ჩინურ-ტიბეტურთან და ენისეურთან, რაც, სტაროსტინის აზრით, ამტკიცებს იმას, რომ კავკასიური ენების ორი ოჯახი სამხრეთ კავკასიური და ჩრდილოეთ კავკასიური ევრაზიის სხვადასხვა მაკროოჯახებს მიეკუთვნებიან (სტაროსტინი 2007ა:546). ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ძალიან ფასეულ შედეგს მოგვცემს არნოლდ ჩიქობავასა და ს. სტაროსტინის მოსაზრებების შედარება. მთავარი სხვაობა ის არის, რომ არნოლდ ჩიქობავა იმთავითვე გამორიცხავდა ისტორიულ წარსულში ქართველურ და ინდოევროპულ ენებს შორის ნათესაობრივ ან ღრმა ენობრივ კონტაქტებს. იგი ხაზგასმით და დაბეჯითებით აღნიშნავდა იბერიულ-კავკასიური ენების გენეტური კავშირს შესახებ წინა აზიის ძველ მკვდარ ენებთან. „ჩვენის აზრით, – წერდა ჩიქობავა, – ობიექტურ ვითარებას ასახავს ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც იბერიულ-კავკასიური ენები ისტორიულად უკავშირდებიან იმ ძველ ენებს, რომლებიც, თავის მხრივ, არც ინდოევროპულნი არიან, არც სემიტურნი და არც ურალურ-ალათაური წრისა. ეს ენებია: პროტოხეთური (ანუ საკუთრივ ხეთური), ურარტული, ხურიტული, ელამური. ბუნებრივი ჩანს თანამედროვე კავკასიის ცოცხალი, არაინდოევროპული, არასემიტური ენები და წინა აზიის ძველი ინდოევროპული, არასემიტური ენები მონათესავე ენათა ერთ წრეში იყოს მოქცეული. ამ წრეს სხვადასხვაგვარი სახელი შეიძლება ეწოდოს (მაგალითად, ალაროდიული, აზიანურ-კავკასიური ენები); ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნდა გვეხმარა ტერმინი „ხეთურ-იბერიული ენები“ (უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა: „პროტოხეთურ-ურარტულ-იბერიულ-კავკასიური ენები“, ამგვარი რთული ტერმინის ხმარება რომ შესაძლებელი იყოს). ამასთან, არნ. ჩიქობავას ესმის ის სიძნელეები, რომლებიც თან ახლავს ცოცხალი ენების (კავკასიის ენების) მკვდარ ენებთან (წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის ენებთან) ისტორიული ურთიერთობის კვლევას (ჩიქობავა 1979:278-279).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ძალიან ძველ, უკვე აღდგენილ ფუძეენებამდელ ურთიერთობებზე ერთ პერიოდში ფიქრობენ სხვადასხვა ქვეყნის ენათმეცნიერები. მაგალითად, ტრუბეცკოის აზრი, რომ ინდოევროპული ენები ყოველთვის არსებობდნენ და ისინი ერთმანეთს დაემსგავსნენ ურთიერთობის გამო, ნოსტრატული თეორია, რომელიც ფუძეინდოევროპულზე შორის იყურება და მის ადგილს სხვა ენათა ოჯახებთან ერთად ეძებს უფრო დიდი მაკროოჯახში, რომელსაც ნოსტრატულს უწოდებს.

ნიშანდობლივია, რომ მერაბ ჩუხუამ სწორედ არნოლდ ჩიქობავასთვის მისაღები ტერმინი – ალაროდიული ენა – გამოიყენა იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის აღსანიშნავად, რომელიც თავიდან დაიყო ხუთ დიდ ჯგუფად: 1) ბასკური, კორსიკული, კელტიბერიული; 2) ხათურ-აფხაზურ-ადიღური ერთობა; 3) ჰურიტულ-ურარტულ-ნახური ერთობა; 4) ლელეგურ-ალბანურ-დაღესტნური ერთობა; 5) შუმერულ-იბერიულ-ეტრუსკულ-პელაზგური ერთობა. ამ ენობრივი ერთობების დაყოფის შედეგები ავტორს ასახული აქვს სპეციალურ სქემაზე (ჩუხუა 2000-

2003:7), რომლის მიხედვით, შუმერულ-იბერიულ-ეტრუსკულ-პელაზგური ერთობის დაშლის შედეგად არის მიღებული: შუმერული, წინარექართველური (იბერიული ენა) და ეტრუსკულ-პელაზგური ენა. ასეთი დაყოფის გარდა, ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა ის დასკვნაც, რომელსაც მ. ჩუხუა აკეთებს სვანური ენის ძირითადი ლექსიკური ფონდის განხილვის შედეგად. მას ეჭვი შეაქვს გიორგი კლიმოვის რამდენიმე მოსაზრებაში სვანურთან დაკავშირებით: „თითქოს სვანურში არ მოიპოვებოდეს ბინადარ მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული კულტურული ტერმინები, რომლებიც საერთო იყოს სხვა ქართველურ მონაცემებთან“ და რომ „თითქოს სვანურს არ ჰქონდეს სხვა ქართველურ ენებთან საერთო ძირები არა მხოლოდ სპილენძის, ბრინჯაოს, არამედ ... რკინის, ცხენისა და სხვა მსგავსი მნიშვნელობების აღსანიშნავად“. მ. ჩუხუა დიდძალი ენობრივი მასალის ანალიზის შემდეგ აკეთებს დასკვნას, რომ „სვანური ლექსიკის ძირითადი ფონდი, ისევე როგორც ქართული და მეგრულ-ჭანური, გამოირჩევა საკმაო ერთფეროვნებითა და მონოლითურობით. მართალია, აქ გამოიყოფა სიტყვათა მთელი წყება, რომელიც ნასესხებია აფხაზურ-ადიღური, მეგრულ-ჭანური (ზოგჯერ სომხური) ენებიდან, მაგრამ ამის საფუძველზე ვერანაირად ვერ კეთდება დასკვნა სვანური ენის ნარევობის, მით უფრო, ნაჯვარობის შესახებ (ნ. მარი). სვანურის ძირითადი ლექსიკური ფონდი საერთოქართველური წარმოშობისაა და რეგულარულად იძლევა კანონზომიერ ფონეტიკურ-სტრუქტურულ-სემანტიკურ შესატყვისობებს სხვა ქართველური ენა-კილოების სათანადო მონაცემთა მიმართ“ (ჩუხუა 2000-2003:428).

მიუხედავად კვლევის მეთოდების სხვადასხვაობისა, სვანურის ნარევობაზე ერთნაირად მიუთითებდნენ ნიკო მარი და არნოლდ ჩიქობავა (ამის შესახებ იხ. ზემოთ), რომლის თეორიის გაგრძელება ჩანს მერაბ ჩუხუას სქემა წინარეიბერიულ-კავკასიური (ალაროდიული) ენის აღდგენით დაწყებული ამ ენის დივერგენციის შედეგად მიღებული ენობრივი ერთობებით დამთავრებული. არნ. ჩიქობავა უშვებდა წინა აზიის ძველი (არაინდოევროპული, არასემიტური) ენების კავკასიის ამგვარსავე (არაინდოევროპულ, არასემიტურ) ენებთან გენეტურ კავშირს. ეს თვალსაზრისი მას წარმოდგენილი აქვს როგორც ჰიპოთეზა, რომელსაც დასაბუთება სჭირდება და ამავე დროს აღნიშნავდა ამ ჰიპოთეზის დასაბუთების სიძნელის მიზეზებსაც, თუმცა არნ. ჩიქობავა კავკასიური ენების გენეტური ერთობის საკითხს განიხილავდა მხოლოდ არაინდოევროპული ენების მიმართ. იგი ასევე დაინტერესებული იყო კავკასიური ენების არაინდოევროპულ მკვდარ ენებთან მიმართების პრობლემითაც. მაგალითად, ალბანურ ენასთან, უფრო სწორად, ალბანურ ენებთან, რომლებიც ძველად თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე იყო გავრცელებული. ეს ეხება აგრეთვე იმ არაინდოევროპულ ენას, რომლის ინდოევროპულ ენასთან შერწყმის შედეგად მივიღეთ ძველი სომხური ენა, ინდოევროპული ენა (ჩიქობავა 1979:280, 294-295). საყურადღებოა, რომ არნ. ჩიქობავას სომხური არაინდოევროპული წარმოშობის ენად მიაჩნია, რომელიც მერე გახდა ინდოევროპული. ბოლოდროინდელი კვლევები საწინააღმდეგო მიმართულებას ანუ

ინდოევროპული ენისათვის კავკასიური მახასიათებლების შეძენის შესაძლებლობას უჭერს მხარს.

არნ. ჩიქობავა სადავოდ თვლის სახელწოდების „ხეთური ენის“ გამოყენებას ინდოევროპული ენის აღსანიშნავად. „ეჭვს გარეშეა, რომ „ხათური“ წარმოადგენს არაინდოევროპული ენის სახელწოდებას მაშინ, როდესაც „ხეთური“ ამავე სახელის გვიანდელი (ებრაული) ფორმაა. მაგრამ ტერმინი „ხეთური“ უკვე გაბატონდა როგორც ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის ინდოევროპული ენის სახელწოდება, ენისა, რომლის ზუსტი სახელი, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის.“ არნ. ჩიქობავას აზრით, ხეთური სწორედ არაინდოევროპული ენაა. ასევე წინა აზიის არაინდოევროპული, არასემიტურ ენებია: ურარტული, ხურიტული, პროტოხეთური და ელამური. იგი საჭიროდ მიიჩნევდა ამ ენების ნათესაური კავშირის კვლევას ცოცხალ იბერიულ-კავკასიურ ენებთან. რაც შეეხება საკითხს ბასკური ენის იბერიულ-კავკასიურ ენებთან ურთიერთობის შესახებ, არნ. ჩიქობავას მიაჩნია, რომ იგი უთუოდ დადებითად წყდება. თვით ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები“, ჩიქობავას გაგებით, „იბერიული“ „ქართველურის“ სინონიმია (პირინეის ძველ „იბერებს“ იგი არ გულისხმობას. სხვაგავარად რომ ვთქვათ, ჩიქობავა არ ეთანხმება ამ საკითხში ნიკო მარის მოსაზრებას. იგულისხმება ნ. მარის წერილი „პირინეის გურიიდან“ (მარი 1937:3-52) – **თ.ბ.).** „ტერმინში „იბერიულ-კავკასიური ენები“ ხაზი ესმის იმას, რომ დადებითად წყდება ე.წ. „ჩრდილო-კავკასიური ენების“ სამხრეთ-კავკასიურ ენებთან ნათესაობის საკითხი (ამას კი ხშირად სადავოდ ხდიან)“ (ჩიქობავა 1979:301-305. იხ. აგრეთვე ჩიქობავა 1952). ნათელია, რომ არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებებთან სრულ თანხმობას ავლენს მერაბ ჩუხუას „წინარეიბერიულ-კავკასიური (ალაროდიული) ენის“ დაშლის სქემა.

ამ საკითხზე სპეციალურად მსჯელობს ტარიელ ფუტკარაძე, რომელიც აკეთებს დასკვნას, რომ „ჯერ კიდევ XIX საუკუნის მკვლევართა მიერ ნავარაუდევ წინარებერძნულ-წინააზიურ-ქართველურ-ჩრდილოკავკასიურ ენობრივ-ეთნიკურ ნათესაობას, რომელიც სამეცნიერო პრობლემად აქციეს ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, ს. ჯანაშიამ, არნ. ჩიქობავამ და სხვებმა, უფრო და უფრო მეტი არგუმენტი უჩნდება. კავკასიურ-წინააზიური (ახლოაღმოსავლური) ენობრივ-ეთნიკური ერთობის დივერგენციის სავარაუდო ქრონოლოგია, ტარიელ ფუტკარაძის აზრით, ასე გამოიყურება: ძვ.წ. VII-IV ათასწლეულები – ახლოაღმოსავლური ენობრივი სამყარო; ძვ.წ. IV-II ათასწლეულები – იბერიულ-კავკასიური, ხურიტული, ხათური... ენობრივ-კულტურული ველების წარმოქმნა-არსებობა; ძვ.წ. I ათასწლეული – ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყაროს ჩამოძერწვა“. ამას გარდა, იგი აღნიშნავს, რომ შიდაენობრივი დივერგენციის პარალელურად, ყველა დროში მიმდინარებოდა „ენათა მრავალწახნაგოვანი კონვერგენციული პროცესები, რომლებიც პირდაპირპროპორციულია ეთნოსთა შერევის ხარისხისა. ძველ თუ თანამედროვე კავკასიურ და წინააზიურ ენებში (ინდოევროპული და სემიტური ენების ჩათვლით) შთამბეჭდავია სუპერსტრატული, სუბსტრატული და ადსტრატული ფენე-

ბი“ (ფუტკარაძე 2005:257-258). იბერიულ-კავკასიური და წინააზიური ძველი ენების მიმართების საჩვენებლად ტ. ფუტკარაძე ადგენს სქემას, რომლის მიხედვით, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური ენობრივი კონტინუუმის“ დიფერენცირების შედეგად მიღებულია „შუმერული ენობრივი ველი, ხურიტულ-ურარტული ენობრივი ველი, იბერიულ-კავკასიური ენობრივი ველი (რომელიც საფუძველს უდებს „საერთოქართველურ კოინეს“) და ხათურ-პელაზგური ენობრივი ველი“. იმ ძალიან დიდი ენობრივი სივრცის შესახებ მსჯელობა, რომელიც „ენობრივ კონტინუუმად“ იწოდება, ხოლო მისი დაშლა „ენობრივ ველებს“ იძლევა, შეუძლებელია ენობრივი კავშირის ცნების გამოყენების გარეშე.

კავკასიურ ენათა ბოლო პერიოდის ქართველ ლინგვისტთა თეორიებში არ არის მითითება ან არ არის გაზიარებული ენობრივი კავშირის ცნება, თუმცა მათ მიერ შექმნილი სქემები სწორედაც რომ ამის საშუალებას იძლევა. მიხეილ ქურდიანი ნაშრომში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ სრულ უნდობლობას უცხადებს ნოსტრატულ თეორიას. ფაქტობრივად, ნოსტრატული თეორია ხვდება „არათუ დილეტანტურ, არამედ, საერთოდ, მეცნიერებისაგან განსმდგომი ჰიპოთეზების“ რიგში, რომლებმაც, მიხეილ ქურდიანის შეხედულებით, შემოაღწიეს სამეცნიერო მიმოქცევაში, მეტიც, ისინი ზოგჯერ სპეციალური სახელმძღვანელოების გვერდებზეც ხვდებიან“ (ქურდიანი 2007:96).

რა თქმა უნდა, ენათა ოჯახებს შორის ნათესაობის დადგენა ადვილი არ არის, მაგრამ ნოსტრატული თეორიის „ლინგვისტიკისათვის საბედისწერო საფრთხედ“ და „კატასტროფად“ გამოცხადებისაგან (იხ. ქურდიანი 2007:100, 102) თავის შეკავება ძალიან სასურველია. სულაც არ არის გულისმომკვლელი ის ფაქტი, რომ „გამოკვლევების რიცხვი განუხრელად იზრდება, ისევე როგორც მათი გავლენა თანამედროვე ენათმეცნიერებაზე“. ნამდვილად გადაჭარბებულია აზრი, რომ ეს ზუსტი და მკაცრი მეცნიერული მეთოდების დისკრედიტაციისა და თვით ლინგვისტიკის, როგორც მეცნიერების დარგის, პროფანაციის სერიოზულ საფრთხეს ქმნის (ქურდიანი 2007:102). ჩრდილო- და სამხრეთკავკასიურ ენათა ნათესაობის მტკიცებასაც არანაკლები დაბრკოლებები ხვდება. საქმეს არ აადვილებს ბასკურის შემოყვანა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში, მაგრამ ეს თეორია პატივისცემას იმსახურებს, როგორც ყველა მეცნიერული აზრი.

ასევე უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღვანებს მიხეილ ქურდიანი ალოგენეტური ანუ შეძენილი ნათესაობის თეორიის მიმართ და ამგვარი დივერგენციის დაშვებას გადაჭრით ეწინააღმედეგება: „ამ დედუქციურ და აპრიორულ მიდგომას ენათა „დანათესავების“ შესაძლებლობისადმი მხარს არ უჭერს და არც შეიძლება უჭერდეს ემპირიული მონაცემები (ქურდიანი 2007:198). მართალია, მიხეილ ქურდიანი აღიარებს, რომ ფუძე-ენის ქრონოლოგიური დონის ნასესხობები ორგანულად ჯდებიან მსესხებელი ფუძე-ენის დიფერენციაციის შემდგომ წარმოქმნილ ბგერათშესატყვისობათა მწყობრ სისტემაში“, მაგრამ რადგან სიტყვათა სესხება არასისტემური და არალეგალური ხასიათისაა, ეს მწყობრი სისტემა არც ერთ ცნობილ შემთხვევაში

არ ავლენს, და არც არის მოსალოდნელი, რომ ავლენდეს კანონზომიერ და რეგულარულ ბგერათშესატყვისობათა სისტემას გამსესხებელი ფუძე-ენის დიფერეინციაციის შემდგომ წარმოშობილ ენათა მწყობრ სისტემასთან“ (ქურდიანი 2007:219).

სწორედ მაშინ, როცა ქართველი მკვლევრების ერთი ნაწილი იწუნებს სამხრეთ- და ჩრდილოეთკავკასიურ ენებში ინდოევროპეიზმების ძიების გზას, რომელიც საბოლოოდ ნოსტრატული თეორიის ერთ-ერთი საყრდენი ხდება, ალან ბომჰარდისეული ნოსტრატული მაკროოჯახი ასეთი სქემის სახეს იღებს (ბომჰარდი 2008:28. შდრ. ნოსტრატულ ენათა სტაროსტინისეულ ჩამონათვალს (სტაროსტინი 2007ა:178-181).



პროტოქართველური ენის დაშლა ემთხვევა ქართველურ ენათმეცნიერებაში მიღებულ სქემას (ბომჰარდი იყენებს არნ. ჩიქობავას ტერმინს – ზანური, ბომჰარდი 2008). საინტერესოა ერთმანეთთან თეორიულად დაპირისპირებული სამეცნიერო თეორიების გადაკვეთის წერტილების კვლევა.



ნოსტრატული თეორია ითვალისწინებს გლოტალობის თეორიას. ალან ბომჰარდი გამყრელიძე-ივანოვის გლოტალურ თეორიას „ხელახალ აღმოჩენას“ უწოდებს. მისი მტკიცებით, „გლოტალურ თეორიას“ ორი წყარო აქვს: ერთი მხრივ,

ეს არის ბრიტანული წარმოშობის ამერიკელი გერმანისტი პოლ ი. ჰოპერი, რომელმაც პროტოინდოევროპულში გლოტალური ხშულების („გლოტალიზებული ხშულების“ – glottalized stops) არსებობა ივარაუდა ჯერ კიდევ ტეხასის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს, როცა ა. კუპერთან ყაბარდოულის კურსს ისმენდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის სხვა საქმეს გაჰყვა და ხუთი წელი დასჭირდა, სანამ თავის იდეებს წერილობით სახეს მისცემდა. მეორე მხრივ, ქართველმა ინდოევროპეისტმა თამაზ გამყრელიძემ, რომლისთვისაც მშობლიურია გლოტალური თანხმოვნების მქონე (ქართული) ენა, იკვლია ტიპოლოგიური მსგავსება პროტოქართველურსა და პროტოინდოევროპულს შორის (გამყრელიძე 1966, 1967). ცოტა ხანში მისთვის ნათელი გახდა, რომ პროტოინდოევროპულს შესაძლოა გლოტალური ხშულებიც ჰქონდეს. მან რუს ინდოევროპეისტ ვიაჩესლავ ვ. ივანოვთან ერთად გამოაქვეყნა სტატია 1972 წელს. ჰოპერი მათ ნაშრომის გამოქვეყნებას დაასწრებდა, ჟურნალ „ენას“ (“Language”); უარი რომ არ ეთქვა მისთვის. მან დაიწყო სხვა გამომცემლობის ძებნა, რომ გამოექვეყნებინა თავისი ნაშრომი, რომელიც ბოლოს დაიბეჭდა 1973 წელს. სწორედ ამ წელს გამოაქვეყნეს გამყრელიძემ და ივანოვმა 1972 წლის სტატიის გერმანული თარგმანი (ბომჰარდი 2008:54).

არ ჩანს დამაჯერებელი ალან ბომჰარდის მტკიცება, რომ მხოლოდ ჟურნალის რედაქციის უარმა შეუშალა ხელი ჰოპერს ყოფილიყო პირველი გლოტალობის თეორიის განვითარების საქმეში. თამაზ გამყრელიძე და ვიაჩესლავ ივანოვი ნამდვილად არ მისულან შემთხვევით ამ იდეამდე. მათ ერთობლივ ორტომეულს წინ უძღოდა ხანგრძლივი და მიზანმიმართული შრომა. ზოგიერთი მისი ნაშრომი ჩვენ უკვე განვიხილეთ ქართველური, ინდოევროპული და სემიტური ენების მიმართების საჩვენებლად ერთსა და იმავე გეოგრაფიულ არეალში (იხ. დაწვრილებით ზემოთ). ამას გარდა, საკითხს ნათელს ჰფენს თავად პოლ ჰოპერის შენიშვნა, რომელიც მან დაურთო ამ საკითხზე 1973 წელს გამოქვეყნებულ წერილს, სადაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს იდეა დამოუკიდებლად განავითარეს გამყრელიძე-ივანოვმა და მან. პოლ ჰოპერმა წერილი დაბეჭდვამდე გაუგზავნა თამაზ გაყრელიძეს და მისგან პასუხად მიიღო ერთი წლით ადრე დაბეჭდილი სტატია, რომელშიც მისი მოსაზრების მსგავსი იდეებია განვითარებული. ჰოპერისთვის სასიამოვნოა, რომ ორივე დამოუკიდებლად მივედნენ ერთნაირ დასკვნებამდე და იმედოვნებს, რომ მისი შრომა ხელს შეუწყობს საბჭოთა (რუს და ქართველ) ენათმეცნიერებს პოზიციის ჩამოყალიბებაში და მათი ნაშრომის ინგლისურენოვანი სამყაროსთვის გაცნობაში (უფრო სრულად იხ. პოლ ჰოპერი 1973).

ბომჰარდი ამტკიცებს, რომ სამივე მეცნიერმა ცალკ-ცალკე მოახდინა ლემანის მიერ აღდგენილი პროტოინდოევროპული თანხმოვანთა სისტემის რეინტეპრეტაცია. კერძოდ, ლემანის სქემა (ლემანი 1952; ბომჰარდი 2008:55) ასე გამოიყურება გამყრელიძე-ივანოვთან:

ლემანი				გამყრელიძე-ივანოვი		
b	b^h	p	=	p’	bh/b	ph/p
d	d^h	t	=	t’	dh/b	th/t
g	g^h	k	=	k’	gh/b	kh/k

ჰოპერმა (ჰოპერი 1973, 1977) კი ლემანის (ლემანი 1966; ბომჰარდი 2008:57) აღდგენილი კონსონანტური სისტემა ამგვარად გარდაქმნა:

ლემანი				ჰოპერი			
t	**k**	**k^w**	=	**p**	**t**	**k**	**k^w**
d	**g**	**g^w**	=	**p’**	**t’**	**k’**	**$k’^w$**
d^h	**g^h**	**g^{wh}**	=	**<u>b</u>**	**<u>d</u>**	**g**	**g^w**

ამ საკითხს ხსნის თავად ვინფრიდ ლემანის 2002 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი, რომლითაც მან აღიარა გლოტალური თეორია (ლემანი 2002).

1977 წელს ჯონ კეტფორდმა გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი კავკასიური ენების შესახებ. მან მოძებნა 15 სხვადასხვა ლინგვისტური ნიშანი, რომელიც შეიძლება გამოდგეს კავკასიაში გავრცელებული ენების ერთმანეთთან და სხვა ენათა ჯგუფებთან შედარებისათვის. კავკასიურ ენებს იგი ყოფს ოთხ ჯგუფად (კეტფორდი 1977:284). ეს ენები ერთმანეთს უდარდება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფონოლოგიური, მორფოლოგიური და სინტაქსური მახასიათებლების მიხედვით, ხოლო შემდეგ ყველა ერთად უდარდება ინდოევროპულს (IE)[2]. ამ თხუთმეტი თვისებიდან ყველა კავკასიური ენისათვის დამახასიათებელ ნიშნად დასახე-

[2] კეტფორდის მიერ კავკასიურ და ინდოევროპულ ენებში გამოვლენილი თხუთმეტი თვისება (1977:308).

	Kart	NWC	Nakh	Dag	IE
1. Glottalic consonants	+	+	+	+	very rare
2. Uvulars	+	+	+	+	rare
3. Pharyngals	–	+	–	+	–
4. Labialized consonants	–	+	–	(+)	very rare
5. Non-approximant laterals	–	+	(+)	+	very rare
6. “Harmonic complexes” of CC	+	+	+	–	–
7. Minimal vowel system	–	+	–	–	–
8. Noun classes	–	(+)	+	+	(+)
9. More than 2 or 3 “grammatical cases”	+	–	+	+	+
10. Numerous local cases	–	–	(+)	+	–
11. Directional preverbs	(+)	+	–	(+)	(+)
12. “Orientator” and “direction” separately expressed	–	+	–	+	–
13. Unusual semantic distinctions of *on* and *in*	–	+	–	+	–
14. Ergative construction					
a. funtional	–	+	+	+	–
b. formal	+	–	–	–	(+)
15. Conjoining, Relativization etc by verb	–	+	+	+	(+)

ლებულია მხოლოდ სამი: უვულარული თანხმოვნები, გლოტალიზებული თანხმოვნები და ერგატიულობა (იხ. ცხრილი სქოლიოში). ამ სამი თვისებიდან, კევინ ტუიტის აზრით, კავკასიურ ენებს, როგორც ლინგვისტურ არეალს, მხოლოდ გლოტალიზებული თანხმოვნების არსებობა აერთიანებს. არც უვულარული კონსონანტები და არც ერგატიულობა კავკასიური ენობრივი კავშირის არსებობის დასამტკიცებლად არ გამოდგება. კევინ ტუიტი ფიქრობს, რომ კავკასიურ ენებში გავრცელებული ერგატიულობა ყველა ენაში ან დამოუკიდებლად არის აღმოცენებული, ან ლინგვისტური ტიპოლოგიის ფარგლებს არ სცილდება. კავკასიური ენების კავშირზე კ. ტუიტს არადამაჯერებლად მიაჩნია მსჯელობა. იგი წერს: კავკასია მთლიანობაში არ არის და, როგორცა ჩანს, არასოდეს არ ყოფილა ენობრივი კავშირი ნიკოლოზ ტრუბეცკოის გაგებით (ტუიტი 1999:25). თუმცა იგი მხარს უჭერს კავკასიაში ენათა მინიკავშირების გამოვლენას. ასეთ ენობრივი მინიკავშირის მაგალითად დამოწმებულია: 1) აბხაზურისა (როგორც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიურ ენათა ჯგუფის წევრისა) და ზანურის (როგორც სამხრეთ-კავკასიური ჯგუფის წევრის) ურთიერთობა. ორივე ენას ბევრი ლექსემა აქვს ერთმანეთისაგან ნასესხები. ამას გარდა, კონვერგენციის ნიშნები ჩანს მორფოლოგიაში. 2) ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიური ანუ ნახურ ენათა ოჯახის (ჩეჩნური, ინგუშური და ბაცბური) კავშირი აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებთან – ხევსურულთან და თუშურთან, რომლებსაც საერთო ნასესხები ლექსიკური ერთეულების გარდა ახასიათებთ მსგავსება აქცენტუაციაში (ბოლო სეგმენტის დაკარგვა). ამ ენობრივი მინიკავშირის მახასიათებლად თვლის ასევე პირის ნიშნის გაჩენას ჩეჩნურის მთიან დალექტებსა და ბაცბურში, ალბათ ქართულის გავლენით. 3) ხინალუღური ენა, რომელიც გალეზგიურებული ჩანს ხანგრძლივი კონტაქტების წყალობით, თუმცა ნათესაური მახასიათებლებით ჭირს მისი ჩრდილო-დასავლეთ კავკასიური ენებისათვის მიკუთვნება (ტუიტი 1999:25).

კევინ ტუიტისაგან განსხვავებით, ვ. ჩირიკბას, რომელმაც სპეციალურად იკვლია კავკასიურ ენათა საერთო მახასიათებლები, მიაჩნია, რომ ათასწლეულების განმავლობაში ჩრდილოკავკასიურ და სამხრეთკავასიურ (ქართველურ) ენათა კონტაქტებმა კავკასიაში ჩამოაყალიბა „ენობრივ ოჯახთა კავშირი“ ნიკოლოზ ტრუბეცკოის გაგებით. ქართველური ენების ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ მახასიათებლებს შორის ერგატიულობასაც ამის დასტურად თვლის. ეს ის ნიშანია, რომელიც, ტუიტის აზრით, კავკასიური ენობრივი კავშირის (Caucasian Sprachbund) არსებობის მითს ანგრევს (ტუიტი 1999). მართალია, ვ. ჩირიკბა აღნიშნავს, რომ ერგატიულობა ნამდვილი სახით წარმოდგენილია ჩრდილოკავკასიურ ენებში, ქართველურს კი ზოგჯერ ერგატივის მსგავსი კონსტრუქციები ახასიათებს, მაგრამ ეს არ აყენებს ეჭვქვეშ კავკასიური ენობრივი კავშირის არსებობას. საერთოდ, ქართველური ენები, ჩირიკბას აზრით, განიცდიან, ერთი მხრივ, გაკავკასიურების და, მეორე მხრივ, ინდოევროპეიზაციის პროცესს, რაც

განპირობებული უნდა იყოს ქართველურ ენათა ტერიტორიული მდებარეობით. ამ ორი პროცესის ერთდროულობის მიუხედავად, ქართველური ენები საბოლოდ ყალიბდება ენათა კავკასიური „კლუბის“ ნამდვილ წევრებად (ჩირიკბა 2008:80-81). საერთო-კავკასიური ენობრივი კავშირის გვერდით არსებობს ქვერეგიონალური ენობრივი კავშირები, რომლებშიც უფრო მცირე რაოდენობის ენები ახდენენ სხვადასხვა სახის გავლენას ერთმანეთზე. ასეთია, მაგალითად, ჩრდილოცენტრალურ-კავკასიურ – დაღესტნური კონტაქტებისა (ჩირიკბა 2008:70) და ჩრდილოდასავლურკავკასიური კონტაქტების არეალები (იქვე:69), რომელშიც ძალიან სადავოა, ყოველ შემთხვევაში წერილობითი მონაცემებით ეს ვერ მტკიცდება, რომ VII-XII საუკუნეებში მეგრული იყო მარგინალური ენა აფხაზურის მიმართ და რომ მხოლოდ ახლა შეიცვალა მდგომარეობა აფხაზურზე მეგრულის გავლენის სასარგებლოდ (ჩირიკბა 2008:74). აფხაზურ-მეგრულ ურთიერთობები ჩამოყალიბების დროიდან (საწყისი პერიოდი სადავოა) ურთიერთგავლენა თანაბარია, რადგან სწორედ ამ თვალსაზრისს უჭერს მხარს ენობრივი მონაცემები. ასეც არის ეს ენობრივი ურთიერთობა წარმოდგენილი ვ. ჩირიკბას მიერ გამოყოფილი კავასიურ ენათა გავლენის ზონების სქემაში, რომელშიც აფხაზური და მეგრული დონორი ენებია ერთმანეთის მიმართ (ჩირიკბა 2008:71; შდრ. იქვე:69).

ქართველური კონტაქტების არეალი (ჩირიკბა 2008:70)

კონტაქტში მყოფი ენების რაოდენობა	*ძირითადი ენები*	*ჰერიფერიული ენები*	*მარგინალური ენები*	*დომინანტური ენა ან ლინგვა ფრანკა*	*სუპერსტრატული ენები*
15+	ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური, ბაცბური, ქისტური (ჩეჩნური), სამხრეთ ოსური	სომხური, უდური, მეზობელი დაღესტნური ენები/დიალექტები, აფხაზური, თურქულის ზოგიერთი ფორმა	ბალყარული, აბაზური, აზერბაიჯანული, ქურთული, ახალი არამეული	ქართული, თურქული (სამხრეთ საქართველოს არეალში)	არაბული, თურქული, სპარსული

ცალკ-ცალკეა განხილული კავკასიურ და არაკავკასიურ ენათა გავლენის ზონები, რომლებშიც გამოყოფილია დონორი და მიმღები ენები (ჩირიკბა 2008: 73-74). ამ საკითხზე სპეციალურად არ შევჩერდებით, თუმცა უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ვ. ჩირიკბას მიერ გამოვლენილი „ისტორიული ენობრივი ალიანსები“ კავკასიაში (ჩირიკბა 2008:75).

რამდენიმე ისტორიული ალიანსი კავკასიაში
(ჩირიკბა 2008:75)

ისტორიული ალიანსი	**დომიმანტი იდიომ(ებ)ი**	**პერიოდი**
ლაზურ-პონტოური ბერძნული	პონტოური ბერძნული	? – ადრეული XX საუკუნე
ლაზურ-ქართული	ქართული	ძვ.წ. V საუკუნე – XVII საუკუნე
ძვ. ოსურ-ყარაჩაულ-ბალ-ყარული	ძვ. ოსური	ძვ.წ. VI საუკუნე – XIII საუკუნე
კავკასიის ალბანურ-ქარ-თულ-სომხური	ქართული, სომხური	ძვ.წ. IV საუკუნე – XI საუკუნე

ამ ალიანსების ცხრილში სადავოა ლაზურ-ქართული ურთიერთობის მხოლოდ ენობრივ ალიანსად წარმოდგენა, რადგან ეს ურთიერთობა ნამდვილად სცილდება, მაგალითად, ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობებს ან თუნდაც ლაზურისა და პონტოური ბერძნულის ურთიერთობებს. ლაზურისა და ქართულის ურთიერ-თობა ისტორიულად განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ქართველური მონათესავე ოჯახის ფარგლებში და მისი გატოლება ზემოთ მოცემული ცხრილის რომელიმე ენობრივ ურთიერთობასთან შეცდომაა. ქართველურ ენები და დიალექტები, ვ. ჩი-რიკბას აზრით, ქმნიან ენობრივი კავშირის მსგავს ურთიერთობას (Sprachbund-type relationship). ასეთი შეფასება ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ ჩირიკბა ლაზურს ქართველურ სამყაროსთან მხოლოდ ისტორიულად დაკავშირებულ ენად მიიჩნევს (ჩირიკბა 2008:68). ქართველურ ენათა ენობრივი კავშირის მსგავს ურ-თიერთობად შეფასებას ჩირიკბას მხრიდან ისიც უწყობს ხელს, რომ იგი მეგ-რულ-ქართულ, სვანურ-ქართულ, მეგრულ-სვანურ ენობრივ ურთიერთობებს აღ-წერს ბილინგვიზმის ტერმინით და არსობრივად უთანაბრებს სომხურ-ქართულ ან ოსურ-ქართულ ბილინგვიზმს (ჩირიკბა 2008:31). მეგრულ-ქართული და სვანურ-ქართული ენობრივი ურთიერთობებისათვის ვიყენებთ ტერმინს **ქართველური დიგ-ლოსია** (ბოლქვაძე 1910:294-317).

ასევე სადავოა ალბანურ-ქართული და სომხურ-ქართული ენობრივი ურთი-ერთობების ერთ დონეზე დაყენება ან ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობე-ბის შემოსაზღვრა ძვ.წ. IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის XI საუკუნით. ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობები შეწყდა არა XI საუკუნეში, არამედ მხოლოდ საბჭოთა პერიოდში (მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვ. ჩირიკბა აღ-ნიშნავს, რუსული მთელ კავკასიაში ვრცელდება მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ამ პერიოდში ქართულ-სომხური ენობრივი ურთიერთობები კვლავ ინტენსიურია), ანუ მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან, როცა სსრკ-ის მთელ

ტერიტორიაზე ლინგვა ფრანკა ხდება რუსული და ყალიბდება ძირითადად ვერ-ტიკალური ენობრივი ურთიერთობები: რუსულ-ქართული და რუსულ-სომხური; ყველა სხვა ენობრივი ურთიერთობა ტერიტორიულად ვიწროვდება, ინტენსივობის თვალსაზრისით კი სუსტდება ან საერთოდ ქრება.

ლიტერატურა:

აბულაძე 1944: ი. აბულაძე, *ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში,* თბილისი.

ანდრონიკაშვილი 1959: მ. ანდრონიკაშვილი, ფალაურ-ქართული ლექსიკური შეხვედ-რები, *თსუ შრომები, 71, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1-6,* თსუ გამომცემ-ლობა.

ანდრონიკაშვილი 1966: მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, I,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ბოლქვაძე 2010: თ. ბოლქვაძე, *ქართული ნაციონალური იდენტობის წრთობა: ილიას „ივერია“,* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ბომჰარდი 2008: A. Bomhard, Recent Trends in Nostratic Comparative Linguistics, *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე,* ტ. 2, №4, გამომცემ-ლობა „მეცნიერება“, თბილისი.

ბურლაკი, სტაროსტინი 2001: С. А. Бурлак, С. А. Старостин, *Введение в лингвистическую компаративистику,* Московский государственный университет им. М. В. Ломоносова, филологический факультет, Российский государствен-ный гуманитарный университет, институт восточных культур, центр компаративистики, эдиториал УРСС, Москва.

გამყრელიძე 1966: Th. V.Gamkrelidze, A Typology of Common Kartvelian, *Language, №2,* 69-83.

გამყრელიძე 1967: Th. V. Gamkrelidze, Kartvelian and Indo-European: A typological Comparision of Reconstructed Linguistic Systems, In: *To Honour Roman Jakobson,* The Hague: Mouton, vol. 1, 707-717.

გამყრელიძე, ივანოვი 1972: Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Лингвистическая типология и реконструкция системы индоевропейских смычных, *Конференция по сравнительно-исторической грамматике индоевропейских языков,* 12-14 декабря, Москва, 15-18.

გამყრელიძე, ივანოვი 1972: Th. V. Gamkrelidze, V. V. Ivanov, Sprachtypologie und die Rekonstruktion der gemeinindogermanischen Verschlüss, *Phonetica,* 27, 150-156.

გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტიპოლოგია,* გ. წერეთ-ლის რედაქციითა და წინასიტყვაობით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

გლეი 1902: А. Глей, О происхождении грузинского народа и его языка, *СМОМПК,* вып. 31, Тифлисъ.

გოგებაშვილი 1901: ი. გოგებაშვილი, ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭი (დაწერილი პარიჟის გამოფენისათვის), „ივერია“, №2,3.

დიუმეზილი 1952: G. Dumézil, Langues caucasiennes, კრებულში: *Les Langues du mond*, Paris, 1952

იაკობსონი 1931: R. Jacobson, Über die phonologischen Sprachbünde, *Travaux du cercle linguistique de Prague*, Prague, IV, v. 32, part. 3 (№97):7.

იაკობსონი 1984: Р. О. Якобсон, Вместо предисловия, в книге: Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *Индоевропейский язык и индоевропейцы: Реконструкция и историко-типологический анализ проязыка и протокультуры,*т. I, II, Издательство Тбилисского университета, Тбилиси.

ივანოვი 1987ა: Вяч. Вс. Иванов, Коментарии к статье Н. С. Трубецкого, Проблема родства между большими языковыми семьями, в книге: Н. С.Трубецкой *Избранные труды по филологии,* составление В. А. Виноградова, В. П. Нерознака, Переводыс разных языков под общей редакцией Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванова, В. Р. Нерознака и Н. И. Толстого, Прогресс, Москва, 419-420.

ივანოვი 2007: V.V. Ivanov, The Indo-European Homeland in the Near East: New Evidence, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე,* ტ. 175, №3, 2007, გვ. 127-137.

კეტფორდი 1977: J. C.Catford, Mountain of Tongues: the Languages of the Caucasus. Annual reviews, In: *Anthropology* 6:283-314.

კლიმოვი 1994: Г. А. Климов, *Древнейшие индоевропеизмы картвельских языков,* "Наследие", Москва.

ლემანი 1952: W. P. Lehman, *Proto-Indo-European Phonology*, Austin, Texas.

ლემანი 1966: W. P. Lehman, The Grouping of the Germanic Languages, In: *Ancient Indo-European Dialects: Proceedings of the [1963] Conference on Indo-European Linguistics*, ed. by Henrik Birnbaum and Jaan Puhvel, University of California Press, Berkeley.

lemani 2002: Pre-Indo-European, In*: Journal of Indo-European Studies Monograph Series,* Volume 41, Washington, DC: Institute for the Study of Man.

მარი 1888: ნ. მარრი, ბუნება და თვისება ქართულისა ენისა (მცირე შენიშვნა), *„ივერია“* №86.

მარი 1937: Н. Я. Марр, Из Пиренейской Гурии (К вопросу о методе), : Н. Я. Марр, *Избранные работы, Т. IV, Основные вопросы истории языка*, Л., 3-52.

მაჭავარიანი 1965: გ. მაჭავარიანი, *საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

მელიქიშვილი 1965: გ. მელიქიშვილი, *საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის,* ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ენთოგრაფიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

რენფრუ 1986: C. Renfrew, *Archeology and Language: The Puzzle of Indo-European Origins,* London.

სტაროსტინი 2007: S. Starostin, Indo-European among other Language Families: Problems of Dating, Contacts and Genetic Relationships, *Труды по языкознанию, Языки Славянских культур*, Москва, 806-820.

სტაროსტინი 2007ა: С. А. Старостин, Проблема генетического родства и класификации кавказских языков с точки зрения базисной лексики, *Труды по языкознанию, Языки Славянских культур*, Москва, 529-546.

ტრუბეცკოი 1924: N. Troubetzkoy, Langues Caucasiques septentraionales, In: *Les Langues du monde,* A. Meillet et M. Cohen (eds.), Paris.

ტუიტი 1999: K. Tuite, The myth of the Caucasian Sprachbund : the case of ergativity, In: *Lingua,* 108, 1-29.

ფუტკარაძე 2005: ტ. ფუტკარაძე, *ქართველები, ნაწილი I, ქრისტიანობამდელი ეპოქა,* ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ქუთაისი.

ქურდიანი 2007: მ. ქურდიანი, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჩირიკბა 2008: V. A. Chirikba, The Problem of the Caucasian Sprachbund, In: *From linguistic areas to areal linguistics,* No 90, P. Muysken (Ed), Studies in Language Companion Series (SLCS), John Benjamins, Amsterdam, 25-93.

ჩიქობავა 1945: არნ. ჩიქობავა, *ზოგადი ენათმეცნიერება,* II ტომი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა 1979: *არნ.* ჩიქობავა, *იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჩუხუა 2000-2003: მ. ჩუხუა, *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი,* თბილისი.

წერეთელი 1965: გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში (წინასიტყვაობა), წიგნში: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო სტრუქტურული ტიპოლოგია,* გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 09-053.

წერეთელი 1968: Г. В. Церетели, О языковом родстве и языковых союзах, *Вопросы языкознания,* №3, Институт языкознания, Академия наук СССР, Издательство Академии наук СССР, Москва, 3-18.

ჭავჭავაძე 1889: ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, წერილი მეორე, *„ივერია“,* №77, ტფილისი.

ჰოპერი 1973: P. J. Hopper, Glottalized and Murmured Occlusives, In: *Indo-European, Glossa,* №7: 141-166.

ჰოპერი 1977: P. J. Hopper, Indo-European Consonantism and the ‘New look’, In: *Orbis*, XXVI, №1: 57-72.

Tinatin Bolkvadze

"Language Union" in Soviet Linguistics Part II: From the Idea of Allogenetic Relation of Languages to the Nostratic Theory

Summary

Attitudes toward structuralism in the Soviet Union changed from the 1960s onward, which is when the concept of originally unconnected languages becoming allogeneic related entered into the realm of Soviet linguistics. The paper is focused on the research of the history of linguistic thought from the establishment of the notion of Language Union to the modern Nostratic Theory, which restores the language macro-families. It is not always clear, however, what kind of relationship exists among these macro-families. There are both purely random contacts and characteristic relationships that have resulted in linguistic similarities, which were initially acquired through genetic kinship, but after a prolonged period of time will closely resemble the original kinship. In this part it is concerned specifically with the research of Indo-Europeanisms in the Kartvelian languages. Given this context, it is shown how the idea of a linguistic union can participate either visibly or on a deeper level in the interpretation of historic linguistic relationships – even in opposing and, at times, contradictory linguistic theories such as Ibero-Caucausian Linguistics and Nostratic Theory.

მარინე ივანიშვილი

ეტიმოლოგიური ძიებანი: ლაგოდეხი, მაჭი[1]

1. *ლაკუასტი, ლაკუათი, ლაგოეთი, ლაგოდეხი*

1.1. იხსენიება შემდეგ წყაროებში: „მატიანე ქართლისა“ (ქც 1:295,17), ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც 4: 544,1), XI ს-ის ისტორიული საბუთი (ქართ. ისტ. საბუთ. კორ., 1984: 26), ასევე, არჩილ II-ის (1647-1713) „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1960:239), მოგვიანებით, გრიგოლ ორბელიანის წერილები (გრ. ორბ. წერ., II: 8,30; 9,14; 9,34; 18,2; 20,33; 23,10).

პირველად დამოწმებულია VIII ს-ში (ადმ. ერთეული ლაკუასტის ხევი), როცა ქართლის ერისმთავარმა არჩილმა, სტეფანოზის ძემ (ჯუანშერის მატიანეში მოხსენიებულია მეფედ (668-718)) აქ ციხესიმაგრე ააგო (ქც 4:544,1). XI საუკუნეში, აქვე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მელქისედეკ I-ს დაუარსებია ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონასტერი: „კათოლიკოს-პატრიარქმან მელქისედეკ მოიგო ... ჰერეთის მონასტერი დიდითა ძალითა და *ლაგოდეხი*[2] (ქც 1: 295,17; ქართ. ისტ. საბუთ. კრ., 1984: 26). ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით: ტრაწაყალის ციხის ზევით, ჩრდილოეთით „ველსა ზედა“ არის „ციხე *ლაკუათისა* ... მეფის არჩილისგან ქმნული, და აწ *ლაგოეთად* წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოხერი“ (ქც 4:544,1).

ისტორიულად ლაგოდეხის უძველესი ტერიტორია ჯერ ალბანთა ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა, ამას მოჰყვა მისი ჰერეთის ადრეფეოდალური ხანის ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულში გაერთიანება, შემდეგ კი დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროდ ჩამოყალიბება. მოგვიანებით ჰერეთის სამთავრო რანთა და კახთა სამეფოს შემადგენლობაშია, კახეთის სამეფოსთან ერთად ერთიანი ფეოდალური საქართველოს ორგანულ ნაწილს წარმოადგენს.

შაჰ-აბასის შემოსევებისა და მოძალებული ლეკიანობის შედეგად ჰერეთის უძველესი მიწა, დღევანდელი ლაგოდეხის ტერიტორია, ქართველებისგან სრულიად დაიცალა. მეფის რუსეთის ბრძანებით, 1831 წელს აქ დაარსდა სამხედრო დასახლება, რომელიც 1857 წელს სამოქალაქო დაბად იქცა. რუსეთი გეგმაზომიერად

---

[1] ეძღვნება მაჭის ციხის ლაგოდეხელ რესტავრატორებს. წაკითხულია მოხსენებად გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 130-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის სხდომაზე 2017 წლის 5 აპრილს.

[2] შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტისა და თესაურუსის კომიტეტის ფონდში *ლაგოდეხი*-ს ნაცვლად *ლაგოდეკი* ფორმაა დადასტურებული.

ახორციელებდა არაქართველი მოსახლეობის ჩამოსახლების პოლიტიკას, ერთიმეორის მიყოლებით იქმნებოდა რუსული სოფლები: სლობოდკა, რომანოვკა, მოგვიანებით: კალინოვკა, ბუდიონოვკა, ულიანოვკა...

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია კარგად ხედავდა, რომ ქართული ფუძის ყოფნა-არყოფნის საკითხი საფრთხის ქვეშ იდგა. ილია ჭავჭავაძის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და სათავადაზნაურო ბანკის აქტიური მოღვაწეობის შედეგად იწყება იმერეთის, რაჭისა და კახეთის რაიონებიდან ქართველთა მასობრივი ჩამოსახლება ლაგოდეხში. სწორედ ილიასა და მისი თანამოაზრეების ღვაწლის შედეგია ის, რომ ლაგოდეხს ქართული სული შეუნარჩუნდა. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია 1917 წლამდე თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში შედიოდა. 1921 წლიდან საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სიღნაღის მაზრაში, 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია (მუსხელიშვილი 1980; უკლება, კაკაბაძე 1983).

1.2. რაც შეეხება ზემოთ წარმოდგენილი ტოპონიმების ეტიმოლოგიას:

ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით, *ლაკუა* ნიშნავს – წყლის საცავს, აუზს, ჭას: „წარვიდა იგი უდაბნოს აღმოვსებად წყლისა *ლაკჳსაგან*“ მ.ცხ. 422v; „ვინ უკუე ჯდა ზედა *ლაკუასა* მას და ... წყალსა ცხორებისასა ვინ მისცემდა?“ საკ. წიგნ. II 17,18; ამავე ფუძეს უკავშირდება *ლაგჳნ*-ი – საწყლეს, დოქის, ჭურჭლის მნიშვნელობით: „*ლაგჳნითა* წყალი ზე ედგას მჴართა“ მრ. 14,13; „დავდგი ... *ლაგჳნები*, სავსჱ ღჳნითა“ I, იერემ. 35,5; „*ლაგჳნითა* თაფლი“ O, III მფ. 14,3; „დაყო ორმეოც დღე კნინსა ზედა ოსპნსა და *ლაგჳნსა* ერთსა წყალსა“ მ.ცხ. 116r; „*ლაგჳნი*, სავსჱ ზედაშითა“ Sin. 11, 318r. ასევე, *ლაგჳნტარ*-ი – საწყლე, დოქი: „ორი *ლაგჳნტარი* აქუნდა წყლისათჳს“ მ. ცხ. 199r; „აღავსო *ლაგჳნტარი* ერთი ფოლითა“ მ. ცხ. 171r.

სულხან-საბას განმარტებით, *ლაკვა* – ჯურღმული ნაგები ZAB. *ლაკვა* ლათინთა ენითა წ ყ ა ლ ს ეწოდების, ხოლო ჩვენთა წერილთა შინა *ჯურღმულად* უჩენიათ (+რომელი ნაგები იყოს C) CD; E. შდრ. *ლაყვა* – წვიმის გუბე ZABCb. აქვე, მთხრებლის სახეთა ჩამოთვლისას, ვკითხულობთ: ჭა არს მთხრებლი კლდისა ანუ ნაგები წყალთათვის სადგომლად, ვიეთნი *ლაკვას* უხმობენ.

ლაგუანი (*ლაგვანი* DE) პირ-ფართო სარწყული, გინა ქოცო CD. დიდი ქილა ... E. საინტერესოა, რომ გურულში ლაგინა პატარა საღვინე დოქს ჰქვია (ღლონტი 1984), იგივე ფუძე *ლაგვან*-ი, როგორც ჩანს, ქართულიდან მეგრულშიც არის შესული, „ქვევრის“, „ჭურის“ მნიშვნელობით (ქაჯაია 2002).

ლაგოდეხი მდიდარია მდინარეებით, ხევებით, წყაროებითა და ნაკადულებით, ამიტომ გასაკვირი არ არის ამ წყალუხვი მხარისთვის *ლაკუასტი* > *ლაკუათი* (*ლაგუათი* > *ლაგოეთი*), ანუ „წყლიანი ადგილი“, „წყლეთი“ დაერქმიათ. ადვილი ასახსნელია *ლაკუასტ*- ფუძიდან *ლაკუათ*-ის და შემდეგ *ლაგოეთ*-ის მიღება.

ლაკუა/ლაგუა რომ სემანტიკურად „წყალთან“ არის დაკავშირებული, ცხადია (იხ. ზემოთ მაგალითები), მაგრამ რა არის *-სტ* დაბოლოება *ლაკუასტში?* „ინვერსიულ ლექსიკონში“ *სტ*-ზე დაბოლოებული სულ რამდენიმე სახელია დადასტურებული: *მესტი, წულა-მესტი, ნესტი, ქისტი, ყისტი, ხისტი* – ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ბოლო მაგალითი, ზედსართავი სახელი, რომელიც პასუხობს კითხვაზე – როგორი? მაგ., *ხისტი წყალი* (კირიანი მარილებით მდიდარი წყალი; ხამი წყალი)... *ლაკუასტი* – როგორი? – წყლიანი. როგორც ჩანს, *სტ > სთ > თ*, ანუ *ლაკუასტი > *ლაკუასთი > ლაკუათი*; *უა > ო* გადასვლა, ასევე, *კ/გ* ველარების მონაცვლეობა ფონეტიკურად ადვილად ასახსნელია, ანუ **ლაკოეთი > ლაგოეთი.*

გეოგრაფიულ სახელთა უძველესი სპეციალური მაწარმოებელია სუფიქსი *-ეთ* (მაგ., *ტბ-ეთ-ი,* შდრ. *ლაგო-ეთ-ი, იგო-ეთ-ი*), რომლის ვარიანტია *-ით* (მაგ., *მოლ-ით-ი*). ეს *-ეთ* შეიძლება გაძლიერებულ იქნეს დანიშნულების პრეფიქსით (*სა- -ეთ*) (მაგ., *სა-ქაშ-ეთ-ი*).

უფრო ძნელია საკვლევ ფუძეში *-ეხ/-ახ* და *-დ-* ელემენტების წარმომავლობის გარკვევა (*ლაგოდ-ეხ-ი/ლაგოდ-ახ-ი*): „*ლაგოდახად* წაეწივნენ, გარსევან ჰყვა ხელშეკრული“ (არჩილი 1960:239).[3]

საიდან ჩნდება *ხ*-ანიანი ფორმები? ეგებ *-ეთ*-თან ერთად *-ეხ/-ახ*-იც ტოპონიმების და წარმომავლობის მაწარმოებელი აფიქსები იყო? ამას გვაფიქრებინებს შემდეგი მაგალითების არსებობა: *კატ-ეხ-ი, კარდან-ახ-ი, გუდარ-ახ-ი, წინარ-ეხ-ი, ზოდ-ეხ-ი, სომ-ეხ-ი, ჯავ-ახ-ი*... გარდა ამისა, *ხანი* დასტურდება სავარაუდოდ მცირე აზიური წარმომავლობის უძველეს ტოპონიმიკაში (მაგ., *კარდუ-ხ-ი, დიაო-ხ-ი, კოლ-ხ-ი* და სხვ.), რაც კიდევ უფრო ამყარებს ზემოთ გამოთქმულ ვარაუდს.

რაც შეეხება *-დ-* ელემენტს, *-ო- -ე-* ხმოვანთგასაყარია (*ლაგოეთი>ლაგო-დ-ეხი*)? თუ ვითარებითი ბრუნვის ნიშნის ანალოგიით გაჩენილი (შდრ. „*ლაგოდა-ხად* წაეწივნენ“)? ცალსახა პასუხის გაცემა ჭირს.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული სირთულისა, განხილული მასალის მიხედვით საკვლევი ფუძის მნიშვნელობა, როგორც „წყლიანი ადგილისა“, მისაღებ ვერსიად მიგვაჩნია.

2. *მაჭი (თოლა)*

2.1. იხსენიება შემდეგ წერილობით წყაროებში: ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (ქც: 543,16,17), 1606 წ. ისტორიული საბუთი (მასალები საქ. ისტ. გეოგ. 1964:107), არჩილ II-ის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“ (არჩილი 1960:169, 183), XVI-XVII სს-ის რუსი ელჩების ცნობები (რუს. ურთ. კავკ. 1889:24, 156, 170-173, 186, 190-192, 300, 312, 388, 416,

[3] *ლაგოდ-ახ-ი* დიალექტური ფორმაა, დღესაც ამბობენ გაღმა კახელები: *ლაგოდ-ახ-ში მივდივარო.*

418, 424, 483, 487, 488, 493), თეიმურაზ I-ის მოსკოვში ელჩობის საოქმო ჩანაწერები (ჩანაწერები ... 1965:447; მასალები რუსეთ-საქართველოს ... 1965:462).

ვახუშტი ბაგრატიონი გადმოგვცემს: „ბელაქნის წყლის შესართავს ზეით მიერთვის ალაზანს *მაწის* წყალი... ამ ხევზედ არს, მთასა შინა, თოღა, სასახლე მეფეთა ფრიად მშუენვარე ზაფხულს. ამას ეწოდა *მაჭი*“ (ქც:543, 13-17). მისივე ცნობით, *მაჭის* წყლის (*მაწის* წყლის) ხეობა მჭიდროდ ყოფილა დასახლებული (ქც 4:543,20). ამ ხეობით ჰერეთის ბარიდან გზა გადიოდა შუა დაღესტანში, ხუნძახში. ამდენად, *მაჭის (თოღას)* ციხე მდებარეობდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას და კონტროლს უწევდა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის გარკვეულ ნაწილს (მუსხელიშვილი 1980:94,126).

წყაროების მიხედვით, *მაჭი* საერისთავო ცენტრი ჩანს VII ს-ის ბოლოდან. გვიან შუა საუკუნეებში *მაჭის* საერისთავო ქრება, ხოლო მისი ცენტრი *მაჭი*, რომელსაც ამიერიდან *თოღა* ეწოდა, კახეთის მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციად იქცა (ჭილაშვილი 1980:222). ვახუშტი ბაგრატიონი *მაჭის (თოღას)* ციხის დაცემას შაჰ-აბასისა (1587-1629) და ლეკების შემოსევებს უკავშირებდა (ქც 4:543,20).

მაჭის ციხე-დარბაზი აგებულია მაღალ და ფლატენაპირიან ხერთვისზე, რომელიც შექმნილია *მაჭის (მაწის)* წყლითა (ქც 4:543,13; 543,20) და მისი მარჯვენა შენაკადის *თორღვას* ხევით. ტოპონიმი „თორღვას ხევი“ იგივე „თოღას ხევი“ ზუსტად მიუთითებს ციხე-დარბაზის ადგილმდებარეობას.

თორღვა (თოღა) მამაკაცის გავრცელებული სახელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში (შდრ. *თორღვა პანკელი* ქართველი ფეოდალი, კახეთის გამგებელი XIII საუკუნის 40-იან წლებში. კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე. ცნობილია *თორღვას აბანო* თელავში, აგრეთვე, *თორღვას ბრძოლა* 1578 წელს კახეთის ტახტის პრეტენდენტებს შორის და სხვ.) (ქც 4:451,5; 451,7; 451,13; 548,14; 548,15; 553,23; 554,3; 576,19; 584,8; სამართ. 5:518,17 [1791]; 69,12; შაჰნავაზ 121,1; 711,1; გაბ. თ. და რუსთ. 292,1; 377,1; საქ. სიძვ. 1, 169,24 (1691)).

ამჟამად *მაჭის (თოღას)* ციხე-დარბაზიდან მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ კედელ-ბურჯებით შემოზღუდული ყოფილა დაახლოებით 3 ჰა (სიგრძე 230-240 მ; სიგანე 110-130 მ). ამ ვრცელი კომპლექსიდან დღეისათვის მეტ-ნაკლებად კარგად იკითხება დარბაზი, ეკლესია, დილეგი, ჭა (წყალსაცავი, აბანო?), სათვალთვალო კოშკისა და გალავნის ფრაგმენტები. შენობები ნაგებია რიყის ქვით კირხსნარზე, კედლები ამოყვანილია სადად, ჩუქურთმებისა და ორნამენტების გარეშე. 1978-1979 წწ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი) დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა *მაჭის* ტერიტორიაზე, ზედაპირულად აკრეფილი საინტერესო მასალა ინახება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (ჭილაშვილი 1980:230). ამჟამად ადგილობრივ ენთუზიასტთა მონაწი-

ლეობით და ძეგლთა დაცვის კომიტეტის თანადგომით მიმდინარეობს ძეგლის გამაგრების სამუშაოები.

2.2. რას უნდა ნიშნავდეს *მაჭი*?

ძველი ქართული ენის ძეგლებში ჩვენ ამ ფუძეს ვერ მივაკვლიეთ. სულხან-საბა ორბელიანთან დასტურდება *მაჭი* – ერქვ(ა)ნის საჴელური ZABCD. *მემაჭე* – ერქვანთ მჭირავი ZABCD. *ერქუანი* (*ერქვანი* CabDE) არს, რომელსა სომეხნი გუთანს უწოდებენ, საჴნველსა ჴნულთასა. მაჭის სვანური შესატყვისია – ქ̂ᲨᲐ̈Ჯ (ზს.) ქ̂ᲨᲐᲯ (ლშხ.) – სახელური (კოტა, *მაჭი*), *მერჩილს ხოჩა ქ̂ᲨᲐ̈Ჯ ოხსყე* (ბზ.) – ცულს კარგი კოტა (სახელური) გაუკეთა. რა მიმართება შეიძლება ჰქონდეს *მაჭ*-ს – ერქვ(ა)ნის საჴელურს ციხესიმაგრის სახელთან?

ძიებამ მიგვიყვანა ორ ძალიან საინტერესო ფაქტთან, კერძოდ:

ა). *ცაცხვის* მოხევურ სახელთან – *მაჭი* (მაყაშვილი 1961). ავთანდილ არა-ბულის ცნობით, მოხევეები, ხევსურები დღესაც ამბობენ: *მაჭის* (*ცაცხვის*) შეშა კარგად იწვისო. ამდენად, ეს ფუძე დიალექტებში ცოცხალია. არც ის არის გა-მორიცხული, რომ ერქვანის (გუთნის) სახელურად, დამჭერად, სწორედ *ცაცხვის* მაგარმერქნიანი რიკები გამოეყენებინათ. შდრ. ზემო აჭარული *მაჭვა* – ჯილღის ბუდეში ჩარჭობილი მრგვალი ხე, რომელსაც უერთდება გვერდით გამოშვერილი სახელური, კოტა (შ. ნიჟარ.) (ღლონტი 1984). კოტას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა (ზ. იმერ., ზ. აჭ.) კედელზე ან სვეტ-ზე მისული ხის რიკი საკიდლად (ბ. წერეთ., შ. ნიჟარ.); (ლეჩხ.) ურემზე დასა-სობი ბოძი (მ. ალავ., 1); (გურ., იმერ.) ხის სოლი, რომელსაც აჭედებენ ფიც-რებში ფიცრის კედლების სწორად ასაყვანად (ს. ჟღ.); იატაკისა და კედლის ფიცრებში ჩაყენებული რიკები სიმაგრისთვის (ვ. ბერ.); უღლის შუაში ჩასმული რიკი (სულ ორია), რომელთა შორის ტყავის რგოლია ურმის ან მარხილის ხე-ლის მოსაბმელად (დიალექტ., 685). როგორც ვხედავთ, ყველა ეს მნიშვნელობა ხისგან გამოთლილ ნაკეთობას გულისხმობს, სავარაუდოდ, *ცაცხვის* ხისგან, და ამ სახელის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი – *მაჭი* – ქართულის სხვა დიალექ-ტებისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო.

მაჭის ციხის *ცაცხვის* ხის სახელთან დაკავშირებას ტიპოლოგიური მონაცე-მებიც უჭერს მხარს. საქმე ისაა, რომ ქართული ციხესიმაგრეების სახელებად, გარდა *ფრინველების* (მაგალითად, ბულბულის ციხე (ფეოდალური ხანა, ხაშური), ორბ(ეთ)ის ციხე (ფეოდალური ხანა, თეთრიწყარო), მწყერის ციხე (VIII ს., ზე-სტაფონი)...), *ცხოველების* (მაგალითად, მელის ციხე (იმერეთი), საღორეთის ციხე (XIV-XV სს., ქედა), მგელციხე (ტაო-კლარჯეთი), კალმახის ციხე (ტაო-კლარჯეთი)), *ადამიანთა საკუთარი სახელებისა და გვარებისა* (მაგალითად, მეფე-თა, გმირთა: თამარის, თოღას, მამუკას, ბაკურის, გნოლიძეების, ბეგოშვილების, ხუბაშვილების...), ხშირად გვხვდება *მცენარეთა* სახელები, მაგალითად, არყის ციხე (XI ს., ახალციხე), ნიახურას (ჩაილურის) ციხე (XVI ს., საგარეჯო), ვარ-

დის ციხე (1595, ახალქალაქი), ღომის ციხე (შუა საუკუნეები, ჩოხატაური), სხლების ციხე (ფეოდალური ხანა, ქარელი), შინდის(ის) ციხე (XVIII ს., გორი), რკონის ციხე (XVIII ს., კასპი).

ბ). ა. შანიძის კლასიკურ ნაშრომს „ქართული კილოები მთაში“ (შანიძე 1984) ერთვის მთის კილოთა ლექსიკონი, სადაც დასახელებულია – *მაჭი* – თუშური (ძველადო) წვერი, თუმცა თავად ტექსტებში ეს ფუძე არ დასტურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ა. შანიძე ამგვარ კომენტარს ურთავს ხოლმე მაშინ, როდესაც მთქმელს ზუსტად არ ახსოვს სახელის მნიშვნელობა, ამიტომ სანდოობის ხარისხი ასეთ შემთხვევაში კლებულობს. *მაჭი* არ დადასტურდა არც თუშურის ლექსიკონებში.

ამდენად, ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე, ყველაზე უფრო მისაღებ ეტიმოლოგიად *მაჭის* ციხის *ცაცხვის* სახელთან დაკავშირება მიგვაჩნია.

მაჭის ციხე ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ულამაზესი ფოთლოვანი ტყით დაფარულ მაღალ გორაზე მდებარეობს, ვფიქრობთ, ციხის სახელწოდებამ დაიცვა და დღემდე შემოგვინახა „ცაცხვის“ სახელის ერთ-ერთი უძველესი ვარიანტი. საინტერესოა, რომ ამ ვერსიას არა მარტო მთის კილოთა, არამედ მათგან დაშორებული აჭარულის ლექსიკასთანაც მივყავართ, რაც საკვლევი ფუძის არქაულობაზე მიუთითებს.

ლიტერატურა:

აბულაძე 1973: ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

არჩილი 1989: არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა, *ქართული მწერლობა,* ტ. VI, თბილისი.

გამყრელიძე, მინდორაშვილი, ბრაგვაძე, კვაჭაძე 2013: გ. გამყრელიძე, დ. მინდორაშვილი, ზ. ბრაგვაძე, მ. კვაჭაძე, *ქართლის ცხოვრების ტოპონარქეოლოგიური ლექსიკონი,* ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

თოფურია, ქალდანი 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, *სვანური ლესიკონი,* გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი.

ინვერსიული ლექსიკონი 1967: *ინვერსიული ლექსიკონი*, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

მაყაშვილი 1961: ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი.

მუსხელიშვილი 1980: დ. მუსხელიშვილი, *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები,* ტ. II, თბილისი.

ნიჟარაძე 2007: ბ. ნიჟარაძე, *ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი,* გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი.

ორბელიანი სულხან-საბა 1991: ორბელიანი სულხან-საბა, *ლექსიკონი ქართული*, I, გამომცემლობა „მერანი“, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1995: *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი.

ქართლის ცხოვრება 1973: *ქართლის ცხოვრება,* ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბილისი.

ქართ. ისტ. საბ. კორ. 1984: *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი,* I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.

ქაჯაია 2002: ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი,* ტ II, გამომცემლობა „ნეკერი", თბილისი.

ღლონტი 1984: აღ. ღლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა,* გამომცემლობა „განათლება", თბილისი.

შანიძე 1973: ა. შანიძე, *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1976: ა. შანიძე, *ძველი ქართული ენის გრამატიკა,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

შანიძე 1984: ა. შანიძე, *ქართული კილოები მთაში,* ტ. I, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, *სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში,* საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი.

ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა, ტფილისი.

ჭილაშვილი, კიკნაძე, აფხაზავა, ბახტაძე 1978: ლ. ჭილაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. აფხაზავა, ნ. ბახტაძე, არეშის ნაქალაქარის გათხრები (1978-1979 წწ.), *სსმე,* ტ. VI, თბილისი, გვ. 97-113.

ჭილაშვილი, კიკნაძე, აფხაზავა, ბახტაძე 1980: ლ. ჭილაშვილი, გ. კიკნაძე, ნ. აფხაზავა, ნ. ბახტაძე, არეშის ნაქალაქარის გათხრები (1978-1979 წწ), *სსმე,* ტ. VII, თბილისი, გვ. 64-79.

ჯავახიშვილი 1992: ივ. *ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა,* ტ. X, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

Нижарадзе 1910: И. И. Нижарадзе, *Русско-Сванский Словарь*, Изд. Управл. Кавказ. Учебн. Округа, Тифлис.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" აკადემიური ტექსტისა და თესაურუსის კომიტეტის ფონდი.

Marine Ivanishvili

Etymological Investigation: Lagodexi, Mač'i

Summary

Lak'uast'i, Lak'uati, Lagoeti, Lagodexi is witnessed in ancient sources. For the first time it is mentioned in VIII century (admin. unit Lakuasti Ravine), when Archil the ruler of Kartli (668-718) built a castle there (K.Ts. 4: 544,1). In XI century Melkisedek I, Patriarch of Georgia, founded one of the most important monasteries of Hereti here.

The etymological investigation of the abovementioned stems leads us to the meanings: Latin *lak'ua* - water storage, pond, well; *lagwni* - water vessel, jug. *lak'uast'i* > *lak'uati* > *lagoeti* > *lagodexi* transformations gave us today's name of one of the administrative centers of Kakheti.

Lagodekhi territory is rich in affluent rivers, ravines, brooks and springs; therefore, it is natural that it was given the name *Lagodexi* - a *watery place*.

According to historical sources, *Mač'i* (*toγa*) seems to be *saeristavo* center since the end of VIII century. In the late Middle Ages *Mač'i saeristavo* disappears, and its center *Mač'i*, which since then was called *Toγa*, became one of the residences of the Georgian Kings. Vakhushti Bagrationi relates the fall of the *Mač'i* (*Toγa*) castle to the invasions of Shah Abbas (1587-1629) and Avars (K. Ts. 4: 543, 20).

The etymological investigation of *Mač'*- stem led us to the dialectical, in particular, Mokhevian name of linden. This version is also supported by typological data. In Georgia castles are often given plant names, *Mač'i (linden)* castle is exactly such kind of toponym.

Gia Kvashilava

ON READING THE VESSEL NAME – KA-TI OF LINEAR A INSCRIPTION ON TABLET HT 63

1. Reading the sequence [ka-ti]

Below the reading of the *vessel* name – signs [ka-ti] of the LA inscription on tablet HT 63 (HM 57) is presented. The tablet was found on Crete, in Hagia Triada, dated back to the LM IB period (Gorila 1985, V:85).

The inscription on clay tablet HT 63 (HM 57).
According to Gorila 1976, I:118



The inscription on clay tablet HT 63 (HM 57).
According to Gorila 1976, I:119

The sign LA305 is immediately followed by a punctuation mark – *a dot*, the sign LA004/*TE* and the sequence of the signs: LA077/*KA*+LA037/*TI*. Only three next signs can be identified: LA058/*SU*, LA029/*PU*$_2$ and LA079/*ZU* (see Younger 2000-2011). In this inscription the whole numbers: – *1* (twice) and – *2* are given (see Gorila 1985, V:XLVI, XXVIII). The signs LA305 and LA004/*TE* are syllabic signs. They will be specially studied later by me.



The inscription on clay tablet HT 63 (HM 57)

The sequence of the signs LA077 ⊕ and LA037 ⋂ in line one of HT 63 (HM 57) clay tablet are read by me identically to M. Ventris's reading of the corresponding signs of LB: ⊕ as [ka] and ⋂ as [ti] (see Chadwick 1970:165; Kvashilava 2011:252). The signs are given in the following table:

LA	⊕ ⊕	ka / *kwa	⋂ ⋂ ti
LB	⊕ ⊕ ⊕	ka	⋂ ⋂ ti

© 2014 Gia Kvashilava

Comp. Evans 1952, II:8, 11, 24; CoMIK 1986, I:19, 36; 1990, II:5;
GORILA 1985, V:XXXIV, XL; 1982, IV:8-9, 76; Douros 2008:27, 29

E. Peruzzi (1956, IV:166), G. Neumann (1961:175) and D. Packard (1974:153) connected LB (Mycenaean) ⊕⋂ [ka-ti 206^{VAS}][1] – '*hydria*, *a water vessel*' to LA (Minoan) inscription ⊕⋂ [ka-ti] (see PH 9b and PY Tn 996.3 tablets; GORILA 1976, I:298; 1985, V:50-53, 412; Chadwick 1970:117; Jorro, Adrados 1999, I:331).



LA 412 LB 206

Hydria

According to E. Peruzzi (1956, IV:166) and G. Neumann (1961:176-177; SOS 1976:100; comp. Puhvel 1997, IV:142) ⊕⋂ [ka-ti] is of non-Indo-European origin.

E. Furnée (1972:352, 199; comp. Chadwick, Baumbach 1963:209; Neumann 1961:175; Jorro, Adrados 1999, I:331; Gordeziani 2007, II:187, 198) and R. Beekes

[1]. ⊕⋂ [ka-ti] form could be compared to Pre-Greek κύαθος – '*ladle for drawing wine*'; κάθιδοι· ὑδρίαι – '*vessels (Arcadian)*' (Neumann 1961:175; Beekes 2010, I:792, 615); Cypriot syllabary (Greek) 𐠊𐠟𐠧 [ka-to-se] – '*cup for water or wine*'.

(2010, I:684-685, 812) connected 𐌚𐌰 [ka-ti] to Pre-Greek κηθίς ‘*ballot box*, *dicebox*’, and Pre-Greek (?) κώθων ‘*name of Laconian drinking utensils*’, ‘*drinking-bout*, *feast*’; and to κώθων the Georgian კუტ-ო-ჲ [ḳuṭ-o-j] (Tushetian dialect) – ‘*a small iron flagon*’ (comp. Chukhua 2000-2003:131; Fähnrich 2007:260) as well as Megrelian კოტ-ო [ḳoṭ-o] – ‘*cley pot*’ (comp. Kipshidze 1914:261(465)) are connected.

LA inscription 𐌚𐌰 [ka-ti/*kwa-ti] is connected to Common Kartvelian (CK) archetype *კუ̂ატ-ი [*ḳwaṭ-i]. The material is given below.

2. Reconstruction of the CK *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] archetype

Th. Gamkrelidze and G. Machavariani’s theory (1965:366-367; Gamkrelidze 1966:80, 3.2) of the morphonological structure of Kartvelian stem allows the reconstruction of the Later CK *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] archetype[2], meaning ‘*a small clay vessel*’[3].

---

[2] According to Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:367-372, 318, 318[4, 5]), the Kartvelian words given below allow the reconstruction of Later CK *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] – ‘*small*; *little*, *not many*; *short*’:

- ➤ Georgian კოტ-აკ-ი [ḳoṭ-aḳ-i] (Kartlian dialect) – ‘*a small hill*’; კოტ-ორ-ი [ḳoṭ-or-i] (Mtiuletian dialect) – ‘*a small estate*’; კოტ-ორ-ა [ḳoṭ-or-a] (Khevsurian dialect) – ‘*a small arable land*’ (Ghlonti 1984:305).
- ➤ Megrelian კოტ-ოლ-ი [ḳoṭ-ol-i] – ‘*small*; *little*’ (Kobalia 2010:373); კუ̂იტ-ა [ḳwiṭ-a] – ‘*small and distended*’ (comp. Kobalia 2010:361); კუტ-ა/კუნტ-ა [ḳuṭ-a/ḳunṭ-a] – ‘*short*; *little*’ (Kajaia 2002, II:167, 171); კუტ-ალ-ა [ḳuṭ-al-a] – ‘*shortness’* (Kajaia 2002, II:171); კუტ-ალ-ია [ḳuṭ-al-ia] – ‘*short*; *small’* (Kobalia 2010:376). Megrelian კოტ-ორ-/კუტ-ურ- [ḳoṭ-or-/ḳuṭ-ur-] with suffixes -ია [-ia] and -უა [-ua] produce Megrelian diminutive forms: კოტ-ორ-ია [ḳoṭ-or-ia] – ‘*small and distended*’; კუტ-ურ-ია [ḳuṭ-ur-ia], კუტ-ურ-უა [ḳuṭ-ur-ua] – ‘*small* and *stocky*’ (Dzadzamia et al 2007, II:605).
- ➤ Laz კუტ-ულ-ა [ḳuṭ-ul-a] (Hopan dialect) – ‘*child*’ (Marr 1910:160).
- ➤ Svan კოტ-ᲠᲚ [ḳoṭ-ōl] (Upper Bal and Lashkhian dialects); კუ̂ეტ-ᲠᲚ [ḳweṭ-ōl] (Upper Bal dialect); კუ̂ეტ-ოლ [ḳweṭ-ol]; კოტ-ოლ [ḳoṭ-ol] (Lower Bal and Lentekhian dialects) – ‘*small*, *little*, *not much*’ (Topuria, Kaldani 2000:761-762; comp. Liparteliani 1994:160, 167).

Comp. Hamito-Semitic (Afro-Asian) *kat-; *ḳotir-/*ḳotur- – ‘*be small*’ (Orel, Stolbova 1995:314, №1438; 347, №1596); Late Egyptian 𓎡𓏏𓅱𓈖 [kṯ] – ‘*(vessel) cup, goblet*’ (Lesko 2004, II:180). It should be noted that A. Bomhard (2015, II:573-574, №502) reconstructed the Proto-Nostratic nominal form *k’ut’-a – ‘*shortness*, *smallness*’; also adjective *k’ut’-a – ‘*short*, *small*’ (Hear k’ = ḳ, t’ = ṭ).

[3] Early CK *კუ̂ᲒᲢ- [*ḳwəṭ-] > Later CK *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] ‘*a small clay vessel*’ could be compared to Proto-North Caucasian *ḳwəd-V – ‘*a big vessel*, *jar*’; Proto-Nakh *ḳuṭ-al – ‘*1. big brass water jar; 2. small jar*’: Chechen ḳud-al; Ingush ḳud-al; Batsbi ḳuṭ-al; Proto-Lezghian *ḳ^{w}ad – ‘*1. measure for flour; 2. big metal cauldron; 3. barrel*’: Agul ḳ^{w}at *1*; Kryz ḳäd-ir *2*; Archi ḳad-i *1*; Udi k:ud *3* (Nikolayev, Starostin 1994:734).

In the Later CK root morpheme {*ჳუ̂ეტ-/*ჳუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} the sonant *უ̂ /*w/ is manifested as a non-syllabic *უ̂ [*w] allophone in #C–V position. The vowels *ე/*ა [*e/*a] that follow *უ̂ [*w] are syllabic[4].

As well known, a non-syllabic allophone of the labial *უ̂ /*w/ – a phonologically independent unit – closely follows and is adjusted to simple *ჳ [*ḳ] ensuring the most frequent and absolutely natural complex *ჳ+უ̂ [*ḳ+w] that – according to morphophonological pattern of stems – equals to a one-consonant phoneme *ჳ /*ḳ/ functionally (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:198, 306, 368; Gamkrelidze 2008:52; Gamkrelidze 1966:80, 3.3).

The nominal root {*ჳუ̂ეტ-/*ჳუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} and its suffixal-morpheme structures are discussed here.

3. The two states of CK nominal stems

According to Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:309, 243), the structures of root morphemes and suffixal morphemes are regulated by the ablaut rules of CK[5]. The general rule of the ablaut alternation is called the principle of monovocalism of stems by Th. Gamkrelidze and G. Machavariani.

According to this principle, CK nominal stems display two basic states (Gamkrelidze, Machavariani 1965:259, 181, 279; Gamkrelidze 1966:78; 2008:34):

State 1: Root of the full vocalic grade is regularly followed by non-vocalic/zero-graded suffixal morpheme.

State 2: Root of zero-vocalic grade is regularly followed by a full vowel suffixal morpheme.

The two ablaut nominal-states are characteristic of CK period.

Such ablaut alternations of nominal states must have been conditioned by the addition of case suffixes of full- or zero-vocalic variants, which conditioned the paradigmatic alternation of vocalic/non-vocalic variants of the nominal state (Gamkrelidze, Machavariani 1965:283).

Such variation is the supposed features of the nominal paradigm in CK (ibid).

According to the principle of monovocalism, only one morpheme can be fully vocalic in polymorphemic stems (Gamkrelidze, Machavariani 1965:309, 243).

---

[4] According to Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:366 ff., 146, 307 ff.), the Later CK vowels *ე [*e] and *ა [*a] were much more frequent than *ო [*o] that is not attested in CK affixal morphemes; *ო /*o/ is extemely rare in root-morphemes, playing an unimportant role in the CK ablaut system. Th. Gamkrelidze and G. Machavariani (1965:367, 43, 232; comp. Zhghenti 1956:218-220) suggest that *ო /*o/ is of comparatively later origin in CK and is, in most cases, received from *უ̂ე/*უ̂ა [*we/*wa] sequence.

[5] Kartvelian ablaut is much better preserved in verbal structures than in nominal structures, and is clearly seen in Old Georgian. For details see Th. Gamkrelidze and G. Machavariani 1965:175-276.

4. Two states of the CK root morpheme *კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]

In accordance with the rules of the CK ablaut system, two types of nominal root *კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-] are presented below:

Normal-graded root
*კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]

Zero-graded root
*კუ̂Øტ- [*ḳwØṭ-]

Root allomorphs {*კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} and {*კუ̂Øტ- [*ḳwØṭ-]} display regular alternation in the CK case paradigm, conditioned by zero- (≈ reduced-) or normal-vocalic case suffixes added to the root; this means that full-/normal-grade of the root was manifested in Nominative and Dative cases, but zero-/non-vocalic allomorph of the root was manifested in Accusative and Allative (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:285, 301).

State 1: *კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]

According to the principle of monovocalism (see Gamkrelidze, Machavariani 1965:309, comp. 243; Gamkrelidze 1966), normal-grade nominal root {*კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} is followed by the reduced-grade suffixal morpheme {*-ი̯ [*-ij]}, where the sonant *ი̯ /*j/ is manifested as non-syllabic *ი̯ [*j] allophone in V–# position. {*-ი̯ [*-ij]} is considered by me as the reduced grade of morpheme {*-ე̯ [*-ej]}; it is formally equal to the zero-grade suffixal variant (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:229 ff., 307; 284 ff.). The suffixal allomorph *-ი̯ [*-ij] > *-ი [*-i] is considered by me to be the nominative case ending.

The reconstructed root morpheme {*კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} and *-ი̯ [*-ij] suffixal morpheme are the phonemic forms of the main canonical structure CVC- and –VS for the CK morphemes (Gamkrelidze, Machavariani 1965:304, 318, 368).

The CK prototype *კუ̂ატ-ი [*ḳwaṭ-i] as normal-grade is attested in the first line of the LA HT 63 (HM 57) clay tablet as ⊕∩ [ka-ti/*kwa-ti] – '*a small clay vessel*'.

As mentioned above, the principle of monovocalism (Gamkrelidze, Machavariani 1965:309, comp. 243; Gamkrelidze 1966) is also valid for the polymorphemic sequences, e.g.:

{*კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} is followed by the zero-vocalic suffixal allomorph {*-Øუ̂ [*-Øw]} and the suffixes {*-ილ [*-il]} and {*-ი̯ [*-ij]} in their reduced forms; *კუ̂ეტ-/*კუ̂ატ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-] > *კოტ- [*ḳoṭ-], and the result is კოტ-უ̂-ილ-ი [ḳoṭ-w-il-i][6]. The form is attested in Georgian (Mtskhetian

[6] Georgian კოტ-ჷ-ლ-ი/კოტ-უ̂-ილ-ი [ḳoṭ-w-il-i] '*measure of capacity*' could be compared to Pre-Greek κοτύλη, κότυλος (see Odyssey XV.312) – '*bowl*, *dish*, *small cup*, *goblet*' (see Beekes 2010, I:763); '*measure of capacity*' (see Chadwick 1976:105, 106); Latin catillus – *'bowl, dish'*; Proto-Germanic *katilaz; Proto-Slavic *kotьlъ > Russian котёл; Old English cetel; English kettle.

Manuscript 1981, №922, Ezekiel 45.14) – '*a measuring jug*' (comp. Orbeliani 1991, I:386; Abuladze 1973:201; DGL 1955, IV:1349).

Later CK *კუ̂ეტ-/*კუ̂ატ-უ̂-ლ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-w-l-] is manifested in Georgian-Zan as *კოტ-ულ- [*ḳoṭ-ul-] with *უ̂ [*w] > *უ [*u] in C–S position; the historically attested Megrelian and Georgian forms are:

➤ Megrelian კოტ-ულ-ა [ḳoṭ-ul-a] – '*a pot-line vessel*' (Kajaia 2002, II, 161; IV, 282);
Megrelian კოტ-ულ# [ḳoṭ-ul#] > *კოტ-უუ̂# [*ḳoṭ-uw#] > კოტ-უ [ḳoṭ-u] – '*a clay pot*';
Megrelian კოტ-უ-ეფ-ი [ḳoṭ-u-ep^{h}-i] (pl.) – '*clay pots*' (Chikobava 1936:59; Kajaia 2002, II:160, 161); კოტ-ო-ამ-ი/კოტ-უ-ამ-ი [ḳoṭ-o-am-i/ḳoṭ-u-am-i] – '*having a pot*' (Kipshidze 1914:126(178)); მე-კოტ-უ-ე [me-ḳoṭ-u-e] – '*potter*' (Kipshidze 1914:261(465));
Megrelian კოტ-ო [ḳoṭ-o][7] – '*a clay pot*' (Kipshidze 1914:261(465); Chukhua 2000-2003:131; Fähnrich 2007:260);
Megrelian კოტ-ო-შ-ი [ḳoṭ-o-š-i] – '*of a pot*' (Kobalia 2010:373);

➤ Georgian კოტ-ო [ḳoṭ-o] (Imeretian dialect) – '*a little round jar*' (DGL 1955, IV:1350; Ghlonti 1984:305);
Georgian კოტ-ო-შ-ი [ḳoṭ-o-š-i] – '*a small jar for medical treatment*' (Orbeliani 1991, I:385 ff.), '*pot*' (DGL 1955, IV:1350, 1351);
Georgian კოტ-ო-შ-ი [ḳoṭ-o-š-i] (Ingiloan dialect) – '*a wine paddle*; *calabash*, *Lagenaria siceraria* (*Lagenaria vulgaris*)' (comp. Ghlonti 1984:306).
The above-mentioned forms are of nominal state 1.

Nominal root of state 2: *კუ̂Øტ- [*ḳwØṭ-]

According to the principle of monovocalism (Gamkrelidze, Machavariani 1965:309, comp. 243; Gamkrelidze 1966), the normal-vocalic suffixal morpheme conditions the falling out of the root vocalic element *ე/*ა [*e/*a], thus ensuring {*კუ̂Øტ- [*ḳwØṭ-]} nonvocalic root {*კუ̂ტ- [*ḳwṭ-]}; in this case the *უ̂ /*w/ of the root functions as syllabic *უ [*u] (comp. Gamkrelidze, Machavariani 1965:63, 311, 296).

The CK archetype *კუØტ-ალ-იჲ [*ḳuØṭ-al-ij] of root-state 2 is attested in Georgian and Svan forms:

➤ Georgian კუტ-ალ-ი [ḳuṭ-al-i] – '*a small pot*' (DGL 1955, IV:1445; comp. Orbeliani 1993, II:409);
Georgian კუტ-ალ-ი [ḳuṭ-al-i] (Kartlian, Meskhian, Pshavian and Mokhevian dialects) – '*a clay or wooden water pot*' (see Ghlonti 1984:318);

---

[7] Megrelian კოტ-ო [ḳoṭ-o] could be compared to Pre-Greek (?) κῶθ-α '*drinking-cups*' (comp. Beekes 2010, I:812).

➤ Svan კუტ-ᲝᲚ [ḳuṭ-äl] (Upper Bal dialect), კუტ-ᲐᲚ [ḳuṭ-al] (Lashkhian dialect) – '*wine vessel, a wine jug, a clay pitcher*' (Topuria, Kaldani 2000:765, 823; Chukhua 2000-2003:131; Fähnrich 2007:260); კუტ-ᲐᲚ [ḳuṭ-al][8] (Cholur dialect) – '*vessel*' (Liparteliani 1994:169).

According to the principle of monovocalism, adding the morphemes of the zero-grade {*-Øუ̂ [*-Øw]} and lengthened-grade {*-ē̞ᲘᲐ [*-ēj]} to the normal-grade {*კუ̂ᲔᲢ-/*კუ̂ᲐᲢ- [*ḳweṭ-/*ḳwaṭ-]} root morpheme in the Later CK *კუᲢ-უ̂-ē̞ᲘᲐ [*ḳuṭ-w-ēj] results in the Georgian form:

➤ Georgian კუᲢ-ᲝᲘᲐ [ḳuṭ-oj] (Tushetian dialect) – '*a small iron flagon*' (Ghlonti 1984:318; Chukhua 2000-2003:131; Fähnrich 2007:260).
Such is State 2 nominal form.

References:

Abuladze 1973: ი. აბულაძე, *ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები),* გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი (I. Abuladze, *Dictionary of the Old Georgian Language (Materials)*, Metsniereba Publishers, Tbilisi).

Beekes 2010: R. Beekes, *Etymological Dictionary of Greek*, I and II Volumes, with the assistance of L. van Beek, Brill, Leiden and Boston.

Bomhard 2015: A. R. Bomhard, *A Comprehensive Introduction to Nostratic Comparative Linguistics: With Special Reference to Indo-European,* 4 Volumes, Charleston, SC, USA.

Chadwick 1970: J. Chadwick, *the Decipherment of Linear B,* Cambridge University Press.

Chadwick 1976: J. Chadwick, *the Mycenaean World*, Cambridge University Press.

Chadwick, Baumbach 1963: J. Chadwick, L. Baumbach, *the Mycenaean Greek Vocabulary*, Glotta, 41, Bd., 3/4 H., 157-271.

Chikobava 1936: არნ. ჩიქობავა, *ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტექსტებითურთ,* სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამოცემა, ტფილისი (A. Chikobava, *the Grammatical Analysis of Chan with Texts,* Metsniereba Publishers, Tbilisi).

Chukhua 2000-2003: მ. ჩუხუა, *ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისათვის,* გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი (M. Chukhua, *Comparative Lexicon of Kartvelian Languages and Dialects, Additional Material for the Historical-Etymological Dictionary,* Universali Publishers, Tbilisi).

---

[8] CK *კუᲢ-ᲐᲚ-ᲝᲘᲐ [*ḳuṭ-al-ij] > Pre-Svan *კუᲢ-ᲐᲚ-Ო [*ḳuṭ-al-i] > Svan კუᲢ-ᲐᲚ-Ø [ḳuṭ-al-Ø]. In this case only in Upper Bal dialect of Svan Ა [a] gets the umlaut form Ო [ä] influenced by the final suffixal Ო [i] that is lost; in identical cases the umlaut is not attested in Lashkhian and Cholur dialects (comp. Shanidze 1981:322, 323; Zhghenti 1949:98-99; Gamkrelidze, Machavariani 1965:151, 153, 33, 155, 156).

CoMIK 1986, 1990, 1997, 1998: J. Chadwick, L. Godart, J. T. Killen, J.-P. Oliver, A. Sacconi, I. A. Sakellarakis, *Corpus of Mycenaean Inscriptions from Knossos,* I-IV Volumes, Vol. I (1-1063): Cambridge, London, New York, New Rochelle, Melbourne, Sydney, Rome, Cambridge University Press and Edizioni dell'Ateneo; Vol. II (1064-4495): Cambridge, London, New York, Port Chester, Melbourne, Sydney, Rome, Cambridge University Press and Edizioni dell'Ateneo; Vol. III (5000-7999), IV (8000-9947): Cambridge, London, New York, Port Chester, Melbourne, Pisa, Rome, Cambridge University Press and Istituti Editiorali e Poligrafici Internationali.

DGL 1950, 1951, 1953, 1955, 1957, 1960, 1962, 1964: *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქვეკლი)*, I-VIII ტ., არნ. ჩიქობავას რედაქციით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი (*Dictionary of the Georgian Language*, 8 Volumes, Ed. A. Chikobava, Metsniereba Publishers, Tbilisi).

Douros 2008: G. Douros, *a Font for Ancient Script in the Greater Aegean Vicinity*, Electronic Publishing, Version 2.0, 1-82.

Dzadzamia, et al 2007: მ. ძაძამია, ც. ძაძამია, ვლ. ვახანია, *მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა*, 1-7 ტ. თბილისი (M. Dzadzamia, T. Dzadzamia, V. Vakhania, *Lexicon of the Megrelian Language and Lineage of Words*, 7 Volumes, Tbilisi).

Evans 1909, 1952: A. J., Evans, *SM = Scripta Minoa, the Written Documents of Minoan Crete with Special Reference to the Archives of Knossos*, Vol. I: The Hieroglyphic and Primitive Linear Classes with an Account of the Discovery of the Pre-Phoenician Scripts, their Place in Minoan Story and their Mediterranean Relations, with Plates, Tables and Figures in the Text, Vol. II: The Archives of Knossos, Clay Tablets Inscribed in Linear Script B, Edited from Notes, and Supplemented by John L. Myres, Oxford, at the Clarendon Press.

Fähnrich 2007: H. Fähnrich, *Kartwelisches Etymologisches Wörterbuch*, Brill Academic Publishers, Leiden, Boston.

Furnée 1972: E. J. Furnée, *Die wichtigsten konsonantischen Erscheinungen des Vorgriechischen, Mit einem Appendix über den Vokalismus,* Mouton Publishers, Den Haag.

Gamkrelidze 1966: Th. V. Gamkrelidze, *A Typology of Common Kartvelian*, Language, Vol. 42, №1, Jan.-Mar., 69-83.

Gamkrelidze 2008: თ. გამყრელიძე, *ენა და ენობრივი ნიშანი (სტატიების კრებული)*, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისი (Th. V. Gamkrelidze, *Language & the Linguistic Sign (Selected Writings),* Georgian National Academy of Sciences, Tbilisi).

Gamkrelidze, Machavariani 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, *სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში: საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია,* გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი (Th. V. Gamkrelidze, G. I. Machavariani, *The System of Sonants and Ablaut in Kartvelian Languages, A Typology of Common Kartvelian Structure,* Metsniereba Publishers, Tbilisi; Th.V. Gamkrelidze, G.I. Mačavariani 1982, *Sonantensystem und Ablaut in den Kartwelsprachen. Eine Typologie der Struktur des Gemeinkartwelischen*. Ins Deutsche übersetzt, bearbeitet und mit einem Nachwort versehen von W. Boeder, Gunter Narr Verlag Tübingen).

Ghlonti 1984: ა. ღლონტი, *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*, გამომცემლობა განათლება, თბილისი (A. Ghlonti, *Dictionary of Georgian Dialect Words*, Ganatleba Publishers, Tbilisi).

Gordeziani 2007, 2008: რ. გორდეზიანი, *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები: საწყისები; წინაბერძნული; ეტრუსკული, დასკვნითი კომენტარები; რეზიუმე, ინდექსი,* წიგნი I-IV, გამომცემლობა ლოგოსი, თბილისი (R. V. Gordeziani, *Mediterranean-Georgian Relations: Beginnings; Pre-Greek; Etruscan, Concluding Commentaries; Summary, Indexe*s, In 4 Volumes, Logos Publishers, Tbilisi).

Gorila 1976[I, III], 1979, 1982, 1985: L. Godart, J.-P. Olivier, *Recueil des Inscriptions en Linéaire A*, In 5 Volumes, École Française d'Athènes, Études Crétoises XXI, XXI.1-5, Librairie Orientaliste P. Geuthner, Paris.

Jorro, Adrados 1999: F. A. Jorro, F. R. Adrados, *DMic = Diccionario Griego-Español,* Diccionario Micénico, I, II Volumes., Redactado por F. A. Jorro, Bejo la dirección de F. R. Adrados, Salamanca.

Kajaia 2001, 2002, 2009: ო. ქაჯაია, *მეგრულ-ქართული ლექსიკონი*, თ. გამყრელიძის რედაქციით, I-IV ტ., გამომცემლობა ნეკერი და ინოვაცია, თბილისი (O. Kajaia, *Megrelian-Georgian Dictionary*, In 4 Volumes, edited by Th. V. Gamkrelidze, Nekeri and Inovacia Publishers, Tbilisi).

Kipshidze 1914: И. А. Кипшидзе, *Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка съ хрестоматіею и словаремъ, Матеріалы по яфетическому языкознанію,* VII, Типографія императорской Академіи наукъ, Санкт-Петербургъ (I. A. Kipshidze, *Grammar of the Megrelian (Iberian) Language with a Reader and Dictionary*, St. Petersburg).

Kobalia 2010: ა. ქობალია, *მეგრული ლექსიკონი*, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი (A. Kobalia, *Megrelian Dictionary*, Artanuji Publishers, Tbilisi, 2010).

Kvashilava 2011: გ. კვაშილავა, *A ხაზოვანი და მისი მონათესავე დამწერლობებით შესრულებული წარწერების ამოკითხვა პროტო-ქართველურ-კოლხურ ენაზე*, ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIII ტ., ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 161-226 (G. Kvashilava, *Decipherment of the Inscriptions of Linear A and its Related Scripts in the Proto-Kartvelian-Colchian Language*, In: Studies in History and Ethnology,Vol. XIII, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 227-310).

Kvashilava 2012: გ. კვაშილავა, *ფესტოსის დისკოსა და მისი მონათესავე დამწერლობების ნახატ-ნიშნების ამოკითხვის შესახებ (3), ფრინველი,* ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი, XIV ტ., ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, 142-164 (G. Kvashilava, *On Reading Pictorial Signs of the Phaistos Disk and Related Scripts (3), Flying Bird*, In: Studies in History and Ethnology, Vol. XIV, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Tbilisi, 165-209).

Lesko 2002, 2004: *L. H. Lesko, B. S. Lesko, A Dictionary of Late Egyptian, Vol. I: 2002, Vol. II: 2004, Edited L. H. Lesko and B. S. Lesko, Brown University's Department of Egyptology, B. C. Scribe Publications.*

Liparteliani 1994: ა. ლიპარტელიანი, *სვანურ-ქართული ლექსიკონი, ჩოლურული კილო,* თბილისი (A. Liparteliani, *Svan-Georgian Dictionary, Cholur Dialect, Tbilisi*).

Marr 1910: Н. Я. Марръ, *Грамматика чанскаго (лазскаго) языка съ хрестоматіею и словаремъ, Матеріалы по яфетическому языкознанію,* II, Санкт-Петербургъ (N. Y. Marr, *Grammar of the Chan (Laz) Language with a Reader and Dictionary,* St.-Petersburg).

Mtskhetian Manuscript 1981: *ბიბლიის მცხეთური ხელნაწერი,* ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. დოჩანაშვილმა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი (*Mtskhetian Manuscript of the Bible,* Ed. by H. Dochanashcili, Metsniereba Publishers, Tbilisi).

Neumann 1961: G. Neumann, *Weitere mykenische und minoische Gefäßnamen*, In: Glotta, Zeitschrift für griechische und lateinische Sprache, Band 39, Heft ¾. Vandenhoeck & Ruprecht in Göttingen, 172-178.

Nikolayev, Starostin 1994: S. L. Nikolayev, S. A. Starostin, *a North Caucasian Etymological Dictionary*, Asterisk Publishers, Moscow.

Orbeliani 1991, 1993: ს.-ს. ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული,* I, II ტ., გამომცემლობა მერანი, თბილისი (S.-S. Orbeliani, *Georgian Lexicon,* I, II, Volumes, Merani Publishers, Tbilisi).

Orel, Stolbova 1995: V. E. Orel, O. V. Stolbova, *Hamito-Semitic Etymological Dictionary: Materials for a Reconstruction,* E. J. Brill, Leiden, New York, Köln.

Packard 1974: D. W. Packard, *Minoan Linear A,* University of California Press, Berkeley, Los Angeles, London.

Peruzzi 1956: E. Peruzzi, *L'iscrizione PY Tn 996*, Revista de Filología Egea, La Universidad de Salamanca, Minos Vol. IV, 165-166.

Puhvel 1997: J. Puhvel, *Hittite Etymological Dictionary*, Berlin, New York, Amsterdam, Vol. IV, K.

Shanidze 1981: ა. შანიძე, *თხზულებანი თორმეტ ტომად,* ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი (A. Shanidze, *Works in Twelve Volumes,* Vol. II, Tbilisi State University, Metsniereba Publishers, Tbilisi).

SOS 1976: *ТДП = Тайны древних письмен, Проблемы дешифровки*, Сборник статей, Перевод с английского, немецкого, французского и итальянского языков, Издательство Прогресс, Москва (*SOS = Secrets of Old Scripts, Problems of Deciphering*, Papers translated from English, German, French and Italian, Progress Publishers, Moscow).

Topuria, Kaldani 2000: ვ. თოფურია, მ. ქალდანი, *სვანური ლექსიკონი,* თბილისი (V. Topuria, M. Kaldani, *Dictionary of Svan*, Tbilisi).

Younger 2000-2011: J. G.Younger, *Linear A Texts in Phonetic Transcription & Commentary, the University of Kansas, http://people.ku.edu/~jyounger/LinearA.*

Zhghenti 1956: ს. ჟღენტი, *ქართული ენის ფონეტიკა,* თსუ გამომცემლობა, თბილისი (S. Zhghenti, *The Phonetics of Georgian,* Tbilisi University Press, Tbilisi).

გია კვაშილავა

ka-ti – ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელის ამოკითხვა HT 63 თიხის ფირფიტის A კლასის ხაზოვან წარწერაში

რეზიუმე

1. კუნძულ კრეტაზე, ჰაგია ტრიადის მინოსური ხანის სასახლის გათხრების დროს აღმოაჩინეს A კლასის ხაზოვანი წარწერებით შესრულებული HT 63 (HM 57) თიხის ფირფიტა, რომელიც დაათარიღეს LM IB პერიოდით ანუ ძვ.წ. 1500-1450 (?) წწ-ით;
2. ამ წარწერაში წარმოდგენილი ⊕Λ LA077+LA037 ნიშნების მიმდევრობა ამოიკითხება როგორც ka-ti/*kwa-ti ფორმა;
3. ka-ti/*kwa-ti ფორმის სემანტიკური ინტერპრეტაცია წარმოდგენილია როგორც საერთო-ქართველური *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ-ი [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-i] არქეტიპი, რომლის მნიშვნელობაა „პატარა, მცირე ზომის თიხის ჭურჭელი“;
4. საერთო-ქართველურ *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] სახელურ ფუძეს გაჩნია ორი მდგომარეობა:

ნორმალური გახმოვანების საფეხური
*კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-]
ნულოვანი გახმოვანების საფეხური
*კუ̂Øტ- [*ḳwØṭ-].

ამ სახელურ ფუძეზე მოქმედებს აბლაუტურ ხმოვანთმონაცვლეობათა საერთო-ქართველური მექანიზმი. სახელურ ფორმებში ამგვარი აბლაუტის არსებობის თაობაზე მოსაზრება ჯერ კიდევ 1965 წელს გამოთქვეს თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა (1965:282 შმდ., 301);

5. თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის (1965/1982) მიერ საერთო-ქართველური ენისთვის დადგენილი „მონოვოკალიზმის პრინციპით“ აიხსნება ის კანონზომიერი გარდაქმნები, რომლებიც საერთო-ქართველური *კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-] არქეტიპიდან იძლევა შესატყვის ქართულ, მეგრულ, ლაზურ კოტ- [ḳoṭ-] და ქართულ, სვანურ კუტ- [ḳuṭ-] ფორმებს;
6. რეკონსტრუირებული {*კუ̂ატ-/*კუ̂ეტ- [*ḳwaṭ-/*ḳweṭ-]} მორფემა განეკუთვნება CVC- სტრუქტურულ ტიპს, რომელიც საერთო-ქართველურ ენაში ძირითად კანონიკურ ფორმას წარმოადგენს;
7. ქართველური ენობრივი მასალის შესწავლა ადასტურებს A კლასის ხაზოვან წარწერაში ⊕Λ [ka-ti/*kwa-ti] მიმდევრობის საერთო-ქართველურ ენაზე ამოკითხვის მართებულებას.

ივანე ლეჭავა

აბრუპტივები ქართველურ ენებში[1]

გიორგი ახვლედიანი საქართველოში ექსპერიმენტული ფონეტიკის ფუძემდებელია. ჯერ კიდევ 1922 წელს გიორგი ახვლედიანმა გამოაქვეყნა ქართული ენის აბრუპტივების პირველი ექსპერიმენტულ-ფონეტიკური გამოკვლევა – „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, სადაც დადგენილია დენტალურ ხშულთა სამეულის – მკვეთრი, ფშვინვიერი და მჟღერი ბგერების წარმოთქმის კანონზომიერებები მაგარ სასასთან ენის შეხების თავისებურებათა გათვალისწინებით. კერძოდ, მკვეთრის წარმოთქმის ხშვის არე უფრო ფართოა, ვიდრე ჰომორგანული მჟღერისა და ფშვინვიერის შემთხვევაში, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მკვეთრის დახშვა უფრო ძლიერია.

გლოტალიზაციის დიქოტომიური კლასიფიკაციის მიხედვით (კინგსტონი 2005, ლინდაუ 1984, რაიტი 2002) აბრუპტივების ორი ტიპი არსებობს: სუსტი (slack) და ხისტი (stiff):

აკუსტიკური პარამეტრები	ხისტი (stiff)	სუსტი (slack)
Voice onset time (VOT)[2]	*გრძელი*	*მოკლე*
ხშვის გრძლივობა + VOT	*გრძელი*	*მოკლე*
ხშვის გრძლივობა / VOT	*მცირე*	*დიდი*
სკდომა	*ინტენსიური*	*საშუალო*
ხმოვნის F0-ის ცვლილება	*დადებითი (მაღალი)*	*უარყოფითი (დაბალი)*
ხმოვნის ინტენსივობის მატება	*სწრაფი*	*ნელი*
ხმოვნის საწყისი ფონაციის ტიპი	*ჩვეულებრივი ან პერიოდული*	*„ჭრიალა“ (creaky)*

გლოტალიზებული ხშულები – იგივე აბრუპტივები (გიორგი ახვლედიანის ტერმინი), ejectives, მკვეთრები, რეკურსიულები, ყელხშულები გავრცელებულია მსოფლიოს ყველა კონტინენტის 60-მდე ენაში. გლოტალიზებულ ხშულ ფონემათა არსებობა ქართველურ ენათა ფონოლოგიური სისტემების მნიშვნელოვან ტიპოლოგიურ მახასიათებელს წარმოადგენს. ეს ნიშანი საერთოა აგრეთვე კავკასიური ენობრივი არეალისათვის. გლოტალიზებული ხშულები რთული არტიკულაციით გამოირჩევა: მათთვის დამახასიათებელია ხშვა ან შევიწროება სახმო სიმე-

[1] წაკითხულია მოხსენებად აკად. გიორგი ახვლედიანის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე (5 აპრილი, 2017, თბილისი).

[2] დროის მონაკვეთის გრძლივობა ორალური სკდომიდან სახმო სიმების რხევის (resp. ჟღერის) დაწყებამდე.

ბის არეში, დაჭიმული არტიკულაცია, ხორხის აწევ-დაწევა, მაღალი ინტრაორალური წნევა და ინტენსივობის სწრაფი მატება, განხშვის მცირე გრძლივობა, უბგერო ინტერვალი.

ქართველური ენების ხშულმსკდომი თანხმოვნების ციფრული აკუსტიკური ანალიზი შესრულებულია კომპიუტერული პროგრამებით – Praat-ითა და WaveSurfer-ით.

საკვლევი ერთეულებია: თანამედროვე ქართული ენა, ქართული ენის გურული და ხევსურული დიალექტები; სვანური ენის ბალსზემოური და ლენტეხური დიალექტები; მეგრულ-ლაზურის ზუგდიდურ-სამურზაყანული და ხოფური კილოკავები.

ხმოვნების მეზობლად თავკიდურ და ინტერვოკალურ პოზიციაში წარმოთქმული ხშულმსკდომი (პ-ტ-კ) გლოტალიზებული ბგერების თავისებურებათა დასადგენად განხორციელდა აკუსტიკური ანალიზი შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

1. ხშვისა და სკდომის გრძლივობა;[3]
2. სკდომის მომდევნო უბგერო ინტერვალის გრძლივობა (Post burst silent interval);
3. მონაკვეთის გრძლივობა ორალური სკდომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე (Voice onset time - VOT);
4. ხშვისა და სკდომიდან ჟღერის დაწყებამდე მონაკვეთის გრძლივობათა ჯამი.
5. ხშვისა და სკდომიდან ჟღერის დაწყებამდე მონაკვეთის გრძლივობათა შეფარდება.
6. სკდომის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე (დეციბელებში);
7. მომდევნო **ხმოვნის:**
   ა) თრთოლის ხარისხი (Jitter perturbation);[4]
   ბ) F0-ის ცვლილება (F0 perturbation);
   გ) ინტენსივობის მატება (Amplitude rise time);
   დ) საწყისი ფონაციის ტიპი (Voice quality-onset of vowel).

ზოგჯერ გლოტალიზებული ბგერა ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი – სკდომის მომდევნო უბგერო ინტერვალით და მის გარეშე. გლოტალიზებულების ფაზათა საშუალო გრძლივობები გამოთვლილია ორივე შემთხვევისათვის ცალ-ცალკე და შემდეგ არის გასაშუალოებული. მაგალითად, თუ იმ გლოტალიზებული თანხმოვნის ჩქამის საშუალო გრძლივობა, რომელიც წარმოთქმულია უბგერო ინტერვალის გარეშე, უდრის T_1-ს, მაშინ დროის მონაკვეთი (VOT) ამ ბგერის

---

[3] გრძლივობის მონაცემები ყველგან მოცემულია მილისეკუნდებში.

[4] ძირითადი ტონისა (F0) და სახმო სიმების თრთოლის საშუალო მნიშვნელობები გამოთვლილია ხმოვნის დაწყებისა და ხმოვნის შუა ნაწილის სამპერიოდიან მონაკვეთზე. F0-ის ცვლილებისა და თრთოლის რაოდენობრივი მნიშვნელობები წარმოადგენს სხვაობას ხმოვნის დაწყებასა და ხმოვნის შუა ნაწილს შორის.

სკდომის დაწყებიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება აგრეთვე T_1; უბგერო ინტერვალით წარმოთქმული თანხმოვნის დროის მონაკვეთი თანხმოვნის სკდომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე იქნება ორი სიდიდის ჯამი T_2+S_2 (T_2 – სკდომის გრძლივობა, S_2 – უბგერო ინტერვალის გრძლივობა).

ორივე ტიპის (ნაირსახეობის) გლოტალიზებული თანხმოვნის სკდომის საშუალო გრძლივობა იქნება – (T_1+T_2)**:**2, ხოლო სკდომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე პერიოდის (VOT) საშუალო გრძლივობა – $(T_1+T_2+S_2)$**:**2; ამიტომ ცხრილებში ჩქამისა და უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობათა ჯამი ყოველთვის შეიძლება არ უდრიდეს დროის მონაკვეთს სკდომიდან სახმო სიმების რხევის დაწყებამდე. ოდენ უბგერო ინტერვალის საშუალო გრძლივობები გამოთვლილია მხოლოდ უბგეროინტერვალიანი გლოტალიზებული ბგერებისათვის.

ქართველური ენების ხშულმსკდომი აბრუპტივების აკუსტიკური ანალიზის შედეგები:

1.1. გაანალიზებულ მასალაში ქართველური ენების ხშულ თანხმოვანთა ხშვის ფაზის გრძლივობის შემდეგი თავისებურება გამოვლინდა: მჟღერი თანხმოვნის ხშვის გრძლივობა მცირეა ყრუს გრძლივობასთან შედარებით, ხოლო გლოტალიზებულის ხშვა, როგორც წესი, აღემატება ფშვინვიერისას. ამასთანავე, მსკდომის ხშვა უფრო გრძელია, ვიდრე აფრიკატის.

ინტერვოკალური **პ, ტ, კ** აბრუპტივების ხშვის საშუალო გრძლივობები კლებადი თანმიმდევრობით ასე დალაგდება:

ბალსზემოური (81) > ხევსურული, ლენტეხური (78) > გურული (75) > ხოფური (71) > ზუგდიდურ-სამურზაყანული (68) > **თან. ქართული** (62).

1.2. თავკიდური და ინტერვოკალური ხშულმსკდომი აბრუპტივების სკდომის საშუალო გრძლივობები ასე განაწილდება:

ბალსზემოური (22) > ხევსურული(21) > თან. ქართული, გურული (18) > ზუგდიდურ-სამურზაყანული (17), > ლენტეხური (15), **ხოფური** (14).

2. თავკიდური და ინტერვოკალური ხშულმსკდომი აბრუპტივების სკდომის მომდევნო უბგერო ინტერვალის გრძლივობა:

ბალსზემოური (23) > ზუგდიდურ-სამურზაყანული (17) > ხევსურული, ლენტეხური (16) > გურული (15) > თან. ქართული, (13) > **ხოფური** (11).

3. თავკიდური და ინტერვოკალური გლოტალიზებული ხშულმსკდომი თანხმოვნების სკდომიდან ჟღერის დაწყებამდე დროის მონაკვეთის (VOT-ის) მიხედვით ასეთი კლებადი მიმდევრობა გვექნება:

ბალსზემოური (44) > ხევსურული (32) > ზუგდიდურ-სამურზაყანული (28) > ლენტეხური (26) > თან. ქართული (25) > გურული (24) **ხოფური** (23).

დიქოტომიური კლასიფიკაციის თანახმად, ამ პარამეტრის მიხედვით მხოლოდ ბალსზემოურის აბრუპტივები შეიძლება ჩაითვალოს „ხისტ გლოტალიზებულთან“ მიახლოებულად.

4. ინტერვოკალური **პ, ტ, კ** აბრუპტივების ხშვისა და სკდომიდან ჟღერის დაწყებამდე მონაკვეთების გრძლივობათა ჯამი:

ბალსზემოური (121) > ხევსურული (106) > ლენტეხური (101) > გურული (97) ხოფური (93) > ზუგდიდურ-სამურზაყანული (92) > **თან. ქართული** (88).

5. სუსტ და ხისტ გლოტალიზებულებს განასხვავებენ აგრეთვე ხშვისა და სკდომიდან ჟღერის დაწყებამდე მონაკვეთის გრძლივობათა შეფარდების მაჩვენებლის მიხედვით; სუსტი გლოტალიზებულებისთვის ეს მაჩვენებელი დიდია, ხოლო ხისტებისთვის – მცირე.

ინტერვოკალური ხშულმსკდომი აბრუპტივებისთვის ამ პარამეტრის მაჩვენებლებია:

ბალსზემოური 2,16; თან. ქართული 2,69; ზუგდიდურ-სამურზაყანული 3,15; ხევსურული 3,25; ლენტეხური 3,47; ხოფური 3,52; **გურული** 3,75.

6. თავკიდური სკდომის ინტენსივობის მატებისა და კლების ჯამური სიდიდე (დეციბელებში):

ბალსზემოური (48) > თან. ქართული (44) ხევსურული (39) > გურული (36) > ლენტეხური, ხოფური, **ზუგდიდურ-სამურზაყანული** (35).

ამ პარამეტრის მნიშვნელობები მიუთითებს როგორც ჩქამის ინტენსივობაზე, ისე უბგერო ინტერვალის არსებობაზე – ინტენსივობის კლების დიდი მნიშვნელობა, ფაქტობრივად, პროპორციულია უბგერო ინტერვალის გრძლივობის.

7.1. თავკიდური გლოტალიზებული თანხმოვნების მომდევნო ხმოვნის ჟღერის დაწყების აპერიოდულობის მაჩვენებელი – **თრთოლის ხარისხი** მერყეობს 4,5-8,5%-ის ფარგლებში; ის ყოველთვის მაღალია მჟღერისა და, – განსაკუთრებით, ფშვინვიერის მაჩვენებელთან შედარებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად განსხვავება არცთუ ისე დიდია.

7.2. გლოტალიზებულთა გამიჯნვის მეორე კრიტერიუმი არის მომდევნო **ხმოვნის ძირითადი ტონის ცვლილების სურათი.** სამეცნიერო ლიტერატურაში სახმო სიმების მოქმედების დაწყება მაღალი ძირითადი ტონით ახსნილია სახმო სიმების ზომიერი შეკუმშვითა და გასწვრივი დაჭიმულობით, ხოლო დაბალი ძირითადი ტონით დაწყება – მხოლოდ ძლიერი მედიალური კუმშვით.

ამრიგად, ხმოვნის დასაწყისში მაღალი F0 ძლიერი გლოტალიზაციის ნიშანი უნდა იყოს. ამ პარამეტრის მიხედვით არ არის ერთგვაროვანი სურათი ქართველური ენების გლოტალიზებულ თანხმოვნებში. უფრო ხშირად F0-ის ცვლილება უარყოფითია, ანუ ხმოვანი იწყება დაბალი ტონით, რაც ნიშნავს სუსტ გლოტალიზაციას.

ერთსა და იმავე საკვლევ ერთეულში, როგორებიცაა ახალი ქართული, ლენტეხური და ხოფური (თურქეთის მხარე), სურათი განსხვავებულია დიქტორების მიხედვით. ქართულსა და ხოფურში ხმოვნის მაღალი F0-ით დაწყება მამაკაცებისთვის არის დამახასიათებელი, ლენტეხურში კი – ქალებისთვის, აღსანიშნავია,

რომ სწორედ ხოფურშია საგრძნობი განსხვავება მამაკაცებსა და ქალებს შორის ამ ნიშნის მიხედვით.

7.3. ერთ-ერთი კრიტერიუმი, რომელიც განასხვავებს გლოტალიზებული ბგერების ორ ტიპს, არის მომდევნო **ხმოვნის ენერგიის მატების დინამიკა;** ინტენსივობის სწრაფი მატება დამახასიათებელია ხისტი (stiff) გლოტალიზებულებისათვის, ხოლო მდორე, ნელი მატება – სუსტებისათვის (slack).

ქართველური ენების გლოტალიზებულებში ამ ნიშნის მიხედვითაც არ არის მკაფიოდ გამოხატული ესა თუ ის ტიპი, რადგან უმეტეს საკვლევ ერთეულში გლოტალიზებულებისათვის დასაშვებია ინტენსივობის მატების როგორც ნელი, ისე ზომიერი ან სწრაფი მატება.

7.4. კიდევ ერთი პარამეტრი, რომლის მიხედვითაც განასხვავებენ სუსტ (slack) და ხისტ (stiff) გლოტალიზებულებს, არის **ხმოვნის საწყისი ფონაციის ტიპი.** ამ თვალსაზრისით, ქართველურ ენებში გლოტალიზებულის მომდევნო ხმოვნის დაწყება შესაძლებელია როგორც აპერიოდული ჟღერით, ისე ჭრიალა ხმით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ხშვის, სკდომის, უბგერო ინტერვალის გრძლივობებისა და VOT-ის, მომდევნო ხმოვნის – F0-ის ცვლილების, თრთოლის ხარისხის, ინტენსივობის მატებისა და საწყისი ფონაციის მონაცემთა გათვალისწინებით, ქართველური ენების აბრუპტივები საკმაოდ „სუსტები“ არიან, თუმცა მკაცრი დიქოტომიური კლასიფიკაციით ისინი არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნებიან. ანალიზი გვიჩვენებს, რომ გლოტალიზებული თანხმოვნების ბინარული დაპირისპირება (სუსტი – ხისტი) არ ასახავს რეალობას და ამ ენებში გლოტალიზაციის ნიშანი განსხვავებულ, შერეულ სურათს იძლევა.

ამასთანავე, ქართველური ენების აბრუპტივი მსკდომები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: **ბალსზემოური** – ყველაზე უფრო დაჭიმულები, **ხევსურული, ლენტეხური და ზუგდიდურ-სამურზაყანული** შედარებით ზომიერები, და უფრო სუსტები – **თანამედროვე ქართული, გურული და ხოფური.**

ცხრილი 1.

გლოტალიზებული ხშულ-მსკდომი p’-პ, t’-ტ, k’-კ თანხმოვნების დროითი (მილისეკუნდებში) მონაცემები

ენები Languages		**სკდომა Burst**	**უბგ. ინტ. PBSI**	**VOT**
ქართული Georgian	**1.** ახალი ქართული (Standard Georgian)	18,4	10,6	25,1
	2. გურული დიალექტი (Gurian Dialect)	16,8	15,1	26,2
	3. ხევსურული დიალექტი (Khevsurian Dialect)	19,7	18,0	36,0
სვანური Svan	**4.** ბალსზემოური დიალექტი (Upper Bal Dialect)	23,8	26,1	49,1

	5. ლენტეხური დიალექტი (Lentekhian Dialect)	16,1	16,9	28,9
მეგრულ-ლაზური Megrelian-Laz	**6**. ზუგდიდურ-სამურზაყანული კილოკავი (Northwest Dialect)	18,2	19,5	31,4
	7. ხოფური კილოკავი (საქართველო, Khopa Dialect)	14,0	13,9	23,0
	8. ხოფური კილოკავი (თურქეთი, Khopa Dialect)	16,3	14,9	29,9



ცხრილის დიაგრამა



ლიტერატურა:

ახვლედიანი 1999: გ. ახვლედიანი, *ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები,* თბილისი.

ლეჟავა 2007: ი. ლეჟავა, დისტანციური დისიმილაციური გამჟღერება სვანურ ენაში *„ენათმეცნიერების საკითხები“,* 1-2, 2007, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჟღენტი 1956: ს. ჟღენტი, *ქართული ენის ფონეტიკა,* თსუ გამომცემლობა, თბილისი.

კეტფორდი 1982: J. C. Catford, *Fundamental Problems in Phonetics,* Indiana University Press, Bloomington.

კინგსტონი 1985: J. Kingston, *The Phonetics and Phonology of the Timing of Oral and Glottal Events,* PhD dissertation, University of California, Berkley.

ლინდაუ 1984: M. Lindau, Phonetic Differences in Glottalic Consonants, *Journal of Phonetics* 12, 147-155.

ნელსონი 2010: K. Nelson, Ejectives in Nez Perce, *Santa Barbara Papers in Linguistics,* Volume 21, Proceedings from the 13th Annual Workshop on American Indigenous Languages.

რაიტი... 2002: R. Wright, S. Hargus, K. Davis, On the Categorization of Ejectives: Data from Witsuwit'en, *Journal of the International Phonetic Association* 31(2), 43-78.

ჩიტორანი... 2002: I. Chitoran, L. Goldstein & D. Byrd, Gestural Overlap and Recoverability: Articulatory Evidence from Georgian. In: *C. Gussenhoven&N. Warner (eds.) Laboratory Phonology* 7, Mouton de Gruyter, 419-447, Berlin-New York.

Ivane Lezhava

Abruptives (Ejectives) in Kartvelian Languages

Summary

The Feature of glottalization is an important characteristic of the phonemic systems of Kartvelian Languages. This feature is a common characteristic of the languages of Caucasian linguistic area.

Ejectives (resp. abruptives – by G. Akhvlediani) have a complex articulation – they are characterized with the glottal closure or constriction, rapid upward raise of the larynx, articulator tension, high intraoral pressure and abrupt release. Kingston (1985, 2005) proposed a stiff/slack dichotomy for ejectives, the classic type of ejective, termed "stiff ejective" by Kingston is characterized by a silent period between consonant release and vowel onset, resulting in long voice onset time (VOT), sharp rise in the amplitude of the vowel (fast rise time), relatively long total duration (closure duration + VOT) and relatively small closure duration/VOT ratio. Other characteristics of stiff ejectives are: relatively intense burst, high f0 at vowel onset and modal or tense voice quality at vowel onset. Another type of ejective – the so-called "slack ejective" – has a relatively short VOT, creaky voice quality at vowel onset, slow rise times, relatively shorter total duration, and relatively larger closure duration/VOT, include normal burst and F0 lowering at vowel onset (R.Wright, S. Hargus, K. Davis).

The digital acoustic analysis of the stops of Kartvelian languages is made by the following computer programs: Praat and WaveSurfer. The graphic pictures of the analyzed audio material (the oscillogram, spectrogram and the curve of intensity) are visualized by WaveSurfer.

The units under study are: Modern Georgian, the Gurian and Khevsurian dialects of the Georgian language; the Upper Bal and Lentekhian dialects of the Svan language; the Zugdidi-Samurzaqano (Northwest) and Khopa dialects of Megrelian-Laz.

Identifying the peculiarities of the ejective plosives surrounded by vowels, an acoustic analysis has been made taking into account the following parameters:

1. The duration of the closure and noise of release;
2. The duration of the post burst silent interval;
3. Voice onset time (VOT);

4. Total duration (stop closure + VOT);
5. Ratio stop closure/ VOT;
6. The total value of increase and decrease of the release intensity (in the decibels);
7. Of the following vowels:
   - Jitter perturbation [5]
   - F0 perturbation
   - Amplitude rise time
   - Voice quality-onset of the vowel.

Very often the glottalized (ejective) plosive is also presented in two variants – with and without the post burst period. The average duration of the phases of the glottalized consonants is calculated separately for both cases and then the average is found. For example, if the average duration of the burst of the glottalized consonant, uttered in the post burst period, equals to T_1, then the period from the burst of this sound till the voice onset time will also be T_1; the period of the same consonant, uttered in the post burst period will be the sum of two magnitudes T_2+S_2 (the sum total of average durations of the burst and the post burst period) from the burst of the consonant before the voice onset time. The average duration of the burst of the glottalized consonant of both types (variants) will be (T_{1+} T_2) : 2, and the average duration of the period from the burst to the voice onset time will be (T_{1+} $T_{2+}S_2$) : 2. The average duration of the post burst period is calculated only for the glottalized sounds of the post burst period.

In conclusion, taking into account all parameters of glottalization, the ejective plosives of the Kartvelian languages are quite "slack", but they are not categorized by rigorous dichotomy. The acoustic analysis shows that the binary classification of the ejectives (slack – stiff) does not reflect the reality, and the feature of glottalization presents a compound (mixed) picture in the analyzed languages.

At the same time, Kartvelian ejective plosives can be conditionally divided into three groups: the Upper Bal ejectives – comparatively tense ones; the ejectives of Khevsurian, Lentekhian, and Megrelian – comparatively moderate ones; the ejectives of Modern Georgian, Gurian and Khopa – comparatively slack ones.

[5] The average data of the fundamental pitch (f0) and the jitter of the vocal cords are calculated at the three period sections at the onset of the vowel and at its middle part.

დანართი



სურ. 1. [კაკალი] – თანამედროვე ქართული ენა (მამაკაცი)
Fig. 1. [k'ak'ali] – Modern Georgian language (male)



სურ. 2. [კაკალი] – ახალი ქართული ენა (ქალი)
Fig. 2. [k'ak'ali] – Modern Georgian language (female)



სურ. 3. [კაპუეტი] – ქართული ენის გურული დიალექტი (ქალი)
Fig. 3. [k’ap’uɛt’i] – Gurian dialect of the Georgian language (female)



სურ. 4. [კიკაბო] – ქართული ენის გურული დიალექტი (მამაკაცი)
Fig. 4. [k’ik’abɔ] – Gurian dialect of the Georgian language (male)



სურ. 5. [კაპარჭი] – ქართული ენის ხევსურული დიალექტი (მამაკაცი)
Fig. 5. [k’ap’artʃ’i] – Khevsurian dialect of the Georgian language (male)



სურ. 6. [კაპარჭი] – ქართული ენის ხევსურული დიალექტი (ქალი)
Fig. 6. [k’ap’artʃ’i] – Khevsurian dialect of the Georgian language (female)



სურ. 7. [ᴘᴇᴘ] – სვანური ენის ბალსზემოური დიალექტი (მამაკაცი)
Fig. 7. [pʼɛpʼi] – Upper Bal dialect of the Svan language (male)



სურ. 8. [ᴘᴇᴘ] – სვანური ენის ბალსზემოური დიალექტი (ქალი)
Fig. 8. [pʼɛpʼi] – Upper Bal dialect of the Svan language (female)



სურ. 9. [კეტოლ] – სვანური ენის ლენტეხური დიალექტი (მამაკაცი)
Fig. 9. [k’ɛt’ɔl] – Lentekhian dialect of the Svan language (male)



სურ. 10. [კეკეფა] – სვანური ენის ლენტეხური დიალექტი (ქალი)
Fig. 10. [k’ɛk’ɛpa] – Lentekhian dialect of the Svan language (female)



სურ. 11. [ტკაპალი] – ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტი (მამაკაცი)
Fig. 11. [t’k’ap’ali] – Northwest dialect of Megrelian-Laz (male)



სურ. 12. [ტაბაკუა] – ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტი (ქალი)
Fig. 12. [t’abak’ua] – Northwest dialect of Megrelian-Laz (female)



სურ. 13. [პიპერი] – ხოფური დიალექტი (მამაკაცი – საქართველო)
Fig. 13. [p’ip’ɛri] – Khopa dialect of Megrelian-Laz (male)



სურ. 14. [კატუ] – ხოფური დიალექტი (ქალი – საქართველო)
Fig. 14. [k’at’u] – Khopa dialect of Megrelian-Laz (female)



სურ. 15. [კაპეტი] – ხოფური დიალექტი (მამაკაცი – თურქეთი)
Fig. 15. [k’ap’ɛt’i] – Khopa dialect of Megrelian-Laz (male)



სურ. 16. [პაპული] – ხოფური დიალექტი (ქალი – თურქეთი)
Fig. 16. [p’ap’uli] – Khopa dialect of Megrelian-Laz (female)

ნიკოლოზ ოთინაშვილი

სოფელ ჭარების ონომასტიკა

სოფელი მდებარეობს ისტორიულ გვერდისძირზე. ეს პროვინცია სახელდებულია, როგორც სოფლების ჯარიაშენიდან ვანათამდე ტერიტორია, რომელიც მთა ორბოძალას დასავლეთით არის ლოკალიზებული. სოფლის მთავარი ჰიდროარტერიაა მდინარე ჭარებულა, რომელიც სათავეს იღებს ნასოფლარ გოგიანთკარის ხევისა და ჭარების წმინდა გიორგის ხევის შეერთების ადგილიდან. მდინარე ჭარებულა პატარა ლიახვის მარცხენა შენაკადია და სწორედ ამ ადგილიდან აღმოსავლეთით მდებარეობს ორი – ზემო და ქვემო – ჭარები. სოფლები შედიოდა ცხინვალის რაიონში. სოფელს ასევე ეწოდება ლაფაჩი ან ლაფაჩები ამ გვარის აქ სახლობის გამო. ვახუშტი ბაგრატიონი თავის „საქართველოს გეოგრაფიაში“ აღნიშნავს: „კულბითს ქვეით მიერთვის ამ ხევს ლაფაჩების ხევი, გამოსდის ორბოძალას“... (ვახუშტი 1997:77). მეცნიერს თავის მიერ შედგენილ რუკაზე საკულტო ნაგებობის ნიშნით აღნიშნული აქვს სოფელი ლაფაჩი ჭარებულას მარჯვენა მხარეს (ვახუშტი 1745). ამავე სახელწოდებით ვხვდებით სოფელს შრომას დართული სოფლების სიაში (ვახუშტი 1997:206).

სოფელს, როგორც „მოსახლეს“, აღნიშნავს ასევე XVIII საუკუნის ცნობილი ენციკლოპედისტი იოანე ბაგრატიონი (ბაგრატიონი 1986:38).

სოფელში რამდენიმე სიძველეა, მათ შორის აღმოსავლეთის მხარეს ორი თავდასაცავი ციხე, შუა სოფელში (ზემო ჭარებში ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია, ცოტა აღმოსავლეთით მთავარანგელოზის ეკლესია, ტყეში წმინდა გიორგის სახელზე აგებული ეკლესია უკვე დანგრეულია.

ქვემო ჭარებში მნიშვნელოვანი ძეგლია ღვთისმშობლის ბაზილიკური ეკლესია, რომლის აფსიდში რუხი ფერის ბრტყელ ქვაზე ასომთავრული წარწერაა. ეს წარწერა ერთობლივად ვნახეთ ისტორიკოს ჯონდო გვასალიასთან ერთად და ის მეათე საუკუნით თარიღდება. შეტანილია ლაპიდარული წარწერების პირველ ტომში, რომელიც გამოსცა ნუკრი შოშიაშვილმა. წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე ექმენ მეოხ წინაშე ღმრთისა, ცოდვილთა განუსუენე სულსა გაბრიელისა ბაკურ ურდუხტის მიქაელის სულსა სტეფანესი და გიორგის ხარაისძეების“ (შოშიაშვილი 1980:156).

სოფელი ამჟამად ოკუპირებულია. ადრე ჩაწერილი მასალები გადავამოწმეთ და შევავსეთ დევნილების დასახლებებში, სადაც ჭარებიდან წამოსულები ცხოვრობენ. სულ ასზე მეტი ტოპონიმი და ანთროპონიმი დავაფიქსირეთ, რომლებიც შევუდარეთ და შევაჯერეთ ისტორიულ ცნობებთან.

მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ცხინვალის დავთარში აღწერილია ცხინვალისა და მისი შემოგარენის მოსახლეობა. მათ შორის არის ჭარები და იქ მცხოვრები გვარები, ესენია: ლაფაჩი ქიტესა, ლაფაჩი გოგია, ლაფაჩი ბერი, ლაფაჩი გაბრიელი, ქიტესაშვილი გოგია, შალიკაშვილი ბერი.

აღნიშნული აღწერებიდან დღეს სოფელში აღარ გვხვდება გვარი შალიკაშვილი, მაგრამ ზემო ჭარებში, სოფლის აღმოსავლეთით არის ტოპონიმი „შალიკაანთ ტყე“, რომელიც ძველ გვართან არის დაკავშირებული. დღეს ორი ჭარებია – ზემო და ქვემო, ზემოში გვარი ლაფაჩია, ქვემოში კი რაზმაძეები.

გვარის წარმოების დროს დაჩნდება **-ან**//-**ანთ** სუფიქსები, რომელთაგან პირველი აღნიშნავს კრებითობას, მეორე კი საკუთრებას. სანდრო, შიო, აბრა, არჩილი, შოთა, ვანო ლაფაჩები ერთი შტოს ადამიანები არიან და ხადელაანი არიან, კუთვნილების მიხედვით კი ხადელაანთი.

შიო, ტუხი, ვიქტორი, შოთა, ვიგენტი, ვანო, მიშიკო პეტრიაანი და პეტრიაანთები არიან.

სანდრო, სიკო, რომანი, ბაგრატი, ქიტა, ესენიც ლაფაჩები სამიტაანი და სამიტაანთი არიან.

ჟორა, მეორე ჟორა, გიგო, სოსე, ზემოთ დასახელებული XVIII საუკუნის დავთარში აღნუსხულ ქიტესას ჩამომავლები არიან და აქედან ქიტესაანი და ქიტესაანთებია.

ქვემო ჭარებში შემდეგი შტოგვარებია: ჩიტა, ვახო, გურამ რაზმაძეები კიკოაანი – კიკოაანთები არიან.

ჟორა, შოთა, გია ალღუზაანი – ალღუზაანთებია.

გიგა რაზმაძის შთამომავლობა იწოდება ბერკეტაანი – ბერკეტაანთი.

ბერო რაზმაძის შთამომავლობა ბეროაანი – ბეროაანთებია.

ანთროპონიმები რთული წარმოების სახელებშიც ჩანს, კერძოდ კომპოზიტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი საკუთარი სახელია ან გვარი: სანდროს წისქვილი, ცხვირას (ზედმეტი სახელი) წყარო, სიკოს ნაჩეხი, ტუხას სათიბი, ვანეს ჩირდილი, შიოს ბაღი, ლაფაჩების მინდორი.

სოფლის მცხოვრებთა სახელების უმეტესობა – როგორც ძველით, ისე ახალი დროის სახელები ძირითადად დაბოლოებულია **ა** ხმოვანზე. მიგვაჩნია, რომ ესენი ნორმირებული სახელებია და დამამცირებელი ელფერი არ უნდა დაჰკრავდეს: გაბრიელა, ქიტესა, არჩილა, აბრა, შოთა, ვიქტორა, ჟორა, ჩიტა, ამირანა, სანდრა და სხვები. სახელებში **ა** ხშირად რთული სუფიქსის –იკა/უკა-ს კომპონენტია და მაშინ ენიჭება ზედმეტი სახელის ფუნქცია: სანდრიკა, ჩობიკა, ლექსუკა, ჟორიკა ან ჟორიკო.

ტოპონიმებიდან კომპოზიტურ სახელთა მეორე კომპონენტებად გვხვდება წყალი, წყარო, მიწა, ხევი, მთა, ქედი: წმიდა წყალი, ღვრია წყალი, მლაშე წყალი, თეთრწყლები, ცივ წყარო, უკანამხრის წყარო, ჭარებისწყარო, ნაფეტვარის

წყარო; ხატის მიწა, სანდროს მიწა, ბერის მიწა, ფაცოს მიწა, ღვდლის მიწა; ჭინჭარა ხევი, სნეკვის ხევი, გოგიაანთ ხევი, ჭარებულას ხევი, პატარა ხევი, გძელხევი; რეხის მთა, საძოვარი მთა, ორბოძლის მთა; წინა ქედი, იქითა ქედი, გამოღმა ქედი, გაღმა ქედი.

აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭარებს ვრცელი მამულები ჰქონდა, რომლებიც კოლმეურნეობაში იყო გაერთიანებული. მოჰყვადათ სხვადასხვა კულტურა და სწორედ ეს მოვლენა აისახა ტოპონიმიაში. სოფლის ჩრდილოეთით ნასოფლარ რეხის მიმართულებით, სოფელს ჰქონდა 500 ჰექტარი მიწის სავარგულები, სადაც დავადასტურეთ შემდეგი სახელები: ნაპურალი, ნაფეტვარი, ნაქერალი, ნაკარტოფილარი, ნაზვრევი, ნაკაფი. ორი ტოპონიმი გვხვდება **სა**- პრეფიქსით ნაწარმოები: სატყეო მამულები, საქერე ახოები.

ჰიდრონიმთა წარმოებისას ძირითადად დაჩნდება **-ურა** (დისიმილაციით **-ულა**) სუფიქსები: ჭარებულა, სნეკურა, ასევე ეწოდება სნეკულა, ასევე გვხვდება ჭარებულები, რომელიც წყაროებისა და მინდვრების სახელებს აღნიშნავს. კანკრა არის ბუჩქნარის სახელი და წყაროს სახელიც.

მრავლობითში გვხვდება ტოპონიმები, რომლებიც ადგილის სიდიდეს აღნიშნავს, თვით ჭარები, ლაფაჩები ასეთი ცნების გამომხატველი უნდა იყოს. ასევე ნასახლარებს ანუ ძველ საცხოვრისს, სადაც ადრე სოფელი იყო გაშენებული, ეწოდება უკანაუბნები, მის დასავლეთით ველები, ორხეები, მლაშეები, დიდმიწები, ხიჭები, რაზმაძეების ადგილი, ველები (რაზმაძეების უბნის დასავლეთით) და სხვა.

ტოპინიმ ჭარების ფუძე „ჭარ“ დაკავშირებული უნდა იყოს „ჭვარ“ ფუძესთან, საიდანაც მჟღერი ნაპრალოვანი **ვ** ხშირად იკარგვის, ან სხვა ადგილას გადაისმის. თვით ტოპონიმი ჭვარები გვხვდება თრიალეთში, ასევე ტაოში. მიგვაჩნია, რომ ის უფრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ლიტერატურა:

ვახუშტი 1997: ვ. ბაგრატიონი, საქართველოს გეოგრაფია, თბილისი.
ვახუშტი 1745: ვ. ბაგრატიონი, რუკები, თბილისი.
ბაგრატიონი 1986: ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბილისი.
ლაპიდარული წარწერები I: ლაპიდარული წარწერები, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი.
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (Hd-1606)

Nikoloz Otinashvili

Onomastics of the Village "Charebi"

Summary

The village is situated in Shida Kartli Region near the villages Jariasheni and Vani and its length is more than 25 kilometers. It lies to the west of Orborbala mountain, where over 20 former villages are situated.

Vakhushti Bagrationi mentions this village in his records and Ioane Bagrationi writes about its inhabitants. Today the village is occupied by the Russians. The material was confirmed by the refugees from Shida Kartli.

The 18th century Tskhinvali document mentions the village Charebi and the family names of its inhabitants, among them are: Lapachi, Kitesashvili, Shalikashvili. From the aforesaid surnames, we no longer come across the last name Shalikashvili in this village, but there is a toponym *Shalikaant Forest* directly connected with this name. There are surnames in Zemo Charebi such as Khadelaanti, Petriaanti and others.

In the village names, as the second component of composites, are used such words as - water, stream, land, gorge, hill, mountain ridge: e.g. Tsmida Tskali, Tsiv Tskaro, Chinchara Khevi, etc.

Hydronyms are often formed by using the suffix **-ura** (or **-ula** by means of dissimilation), e.g. Snekura, Charebula.

There also exist toponyms expressed by the plural forms, for example, Lapachebi, Khichebi and others.

ლალი ქეცბა-ხუნდაძე

ტექსტი და დისკურსი ეპისტემური კონტექსტუალიზაციის პერსპექტივიდან

აკა მორჩილაძის მოთხრობის
„თოლია ბუ ვისრამიანი შინ ბრუნდებოდა“
(რომანიდან *„სანტა ესპერანსა“)* მასალაზე

1. შესავალი და თეორიული საფუძვლები

კონტექსტუალიზაციის ბუსეს თეორია (ბუსე 2007) უფრო მეტად უახლოვდება ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის (1836:418) ენის როგორც εργον-ის (ergon) ანუ როგორც ნაწარმოების ან უკვე შექმნილის, რეზულტატის და როგორც ενέργεια-ს (energeia) ანუ როგორც ქმედების განსხვავებას. ბუსეს აზრით (ბუსე 2007), შესაძლებელია ჰუმბოლდტის დიქოტომიის გადმოტანა ტექსტის სემანტიკის კვლევაში: ერთი მხრივ, როგორც „ტექსტის, როგორც საკუთარი არსებობის [Existenz, საკუთარი წყობის ან თანმიმდევრობის (Ordnung) ერთიანი] ან მთლიანი პროდუქტის“ ცნება, რომელიც დამოუკიდებელია რეციპიენტისა და პროდუცენტის როლსა და შეხედულებებზე (“Text als fertiges Produkt eigener Existenz und eigenen Rechts, unabhängig von Betrachtungen der Rolle von Rezipienten und Produzenten einerseits”), და მეორე მხრივ ტექსტის „როგორც კომუნიკაციური ხდომილების ნაწილი, როგორც დინამიკური პროცესი, განხორციელებული კომუნიკაციური ინტერაქციის აქტებში პროდუცენტსა და რეციპიენტს შორის (“Text als Teil eines kommunikativen Geschehens, als dynamischer Prozess in Akten kommunikativer Interaktion zwischen Produzenten und Rezipienten‘ andererseits”).

ეს განსხვავება მეტად მნიშვნელოვანია და ტექსტისა და დისკურსის სემანტიკურ ანალიზზე (ანუ მნიშვნელობის/აზრის გამოვლენაზე) ახდენს ზეგავლენას იმ დონით და ხარისხით, რამდენადაც განსხვავებულია თვით ტექსტის ანალიზის მიდგომები: 1. თუ ანალიზს ავტორის ინტენციის, მისი მიზნებისა და განზრახვების გათვალისწინების გარეშე ვახორციელებთ და დროის ჰორიზონტების/პერსპექტივებისგან დამოუკიდებლად ვახდენთ, მაშასადამე, არც ისტორიულ და ეპისტემურ კონტექსტებს ვითვალისწინებთ და 2. თუ ტექსტს ვაანალიზებთ როგორც კომუნიკაციური ხდომილების ნაწილს, მაშინ მნიშვნელოვანი ხდება ტექსტის პროდუცენტის/ემიტენტის როლი, თავისი განსაზღვრული კომუნიკაციური მიზნებით და ინტერესებით, რაც თავისთავად და აუცილებლად დროით განპირობებულ და ეპისტემურად ლოკალიზებულ ცოდნას გულისხმობს. ამავე დროს თუ გავი-

თვალისწინებთ ტექსტის რეციპიენტის/რეციპიენტების აქტიურ როლსაც, რომლებსაც ასევე გარკვეული ინტერესები აქვთ, ისინი გარკვეულ ცოდნას ფლობენ და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მათ აქვთ გაგების უნარი ("schlussfolgerndes Verstehen"), გამოიტანონ დასკვნები ინფერენციის სახით, და გამოიყენონ ეს ყოველივე მათ წინაშე არსებული ნიშნების თანმიმდევრული რიგების ინტერპრეტაციისთვის.

თანამედროვე ლიტერატურის თეორიაშიც არსებობს სრულიად ავტონომიური, თუ შეიძლება მას ეწოდოს, ტექსტის სემანტიკის პერსპექტივის მრავალფეროვანი ამოსავალი დებულებები, რომელთა რადიკალურ მაგალითად გამოდგება ჟაკ დერიდას შეხედულებები (ბუსე 2014:304-305) ტექტსების, შრიფტის ავტორის ინტენციისგან აბსოლუტური დამოუკიდებლობის შესახებ, ისევე როგორც ფსიქოანალიზური ლიტერატურული წიაღსვლები, რომლებიც ტექსტების ავტორის ექპლიციტურად გამოხატული ინტენციების საწინააღმდეგო ინტერპრეტაციებსაც კი გვთავაზობენ. ამგვარი პოზიციიდან ტექსტებს განიხილავენ, როგორც წმინდა სახის სიმპტომებს, რომელთა ინტერპრეტაცია აღარ უკავშირდება შესაძლებელ ან სავარაუდო კომუნიკაციურ მიზნებს და, რაც უფრო მნიშვნელოვანი და პრობლემატურია, ასევე ტექსტის პროდუცენტების ექსპლიციტურ და მათი სამიზნე რეციპიენტების ჯგუფების სავარაუდო შესაძლებელ ცოდნას.

მნიშვნელობის ამგვარი ავტონომიური, ზედროული, კონტექსტისა და ავტორისგან დამოუკიდებელი ტექსტის მოდელის საპირისპიროა ტექსტის სემანტიკის და ანალიზის ისეთი გაგება, რომელიც ტექსტებს განიხილავს როგორც კომუნიკაციური პროცესების ანუ დროისა და ეპისტემური სიტუაციის შემადგენელ ნაწილებად, რომლებშიც ენობრივი ნიშნები მუდამ ნიშნების სახით ფუნქციონერებენ, ე.ი. მიანიშნებენ ცოდნის აქტივიაციის იმგვარ პროცესებზე, რომლებმაც ტექსტის პროდუცენტებს უბიძგეს, განეხორციელებინათ მოცემული ნიშნების სწორედ ამგვარი მიმდევრობის ფორმულირება და ამგვარი კომუნიკაციური არტიკულაცია სწორედ ამ კონტექსტში.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ენობრივი კომუნიკაცია ემყარება ძირითადად ცოდნას ფართო გაგებით, რაც საკმაოდ სცდება ენის ცოდნის ტრადიციულ გაგებას ე.წ. „სისტემურ ლინგვისტიკაში"; ამ ფაქტის აღიარება ხდება ლინგვისტურ ნაშრომებში „ენციკლოპედიურ" ან, როგორც ბუსე აღნიშნავს, „სამყაროსეულ ცოდნაზე" საკმაოდ სუსტი მინიშნებით. ტექსტის ლინგვისტიკაში „ტექსტის სამყაროდ" მიჩნეულია ცოდნის კონსტელაცია, რომელიც საფუძვლად უდევს ტექსტს და ამით შესაძლებელს ხდის მის გაგებას. ამიტომ ის შეიცავს არა მხოლოდ იმ მნიშვნელობას, რაც „ტექსტის ზედაპირზეა" (ანუ გამოხატულია სიტყვებში და მათ სინტაქსურ კავშირებში), არამედ „ყოველდღიურ ცოდნასაც", რაც კომუნიკაციის პარტნიორების მიერ არის გააქტიურებული ტექსტში მოხსენიებულ მოვლენებთან, სიტუაციებთან, ვითარებებთან და საგნებთან დაკავშირებით.

უფრო მეტიც, დ. ბუსეს აზრით, ცნობილი „სემანტიკური მიმართებების“, ენობრივი ნიშნების პოზიციის განსაზღვრა „კონცეპტუალურ სისტემებში“, ანუ რელაციონალურობა არ არის მხოლოდ „ენობრივი“, ესე იგი „ენობრივი სისტემისთვის“ დამახასიათებელი, არამედ ფაქტობრივი დიფერენციაციის საკითხიც არის, რომელიც ყოველთვის ცოდნასთანაა დაკავშირებული.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ამ პოზიციას ასე ხსნის: ტექსტის შემადგენელი ნიშნები და ამით თვით ტექსტი რეციპიენტისთვის პროდუცენტის ხელთ არსებული ან სავარაუდო კომუნიკაციური ინტენციის და ფონური ცოდნის (Wissenshintergründe) სიმპტომი/ნიშანია. ტექსტის მნიშვნელობის ამგვარი ინტერპრეტაცია, რომელსაც ბუსე გაგებაზე ორიენტირებულ სემანტიკას უწოდებს, შესაძლოა ახალი ლინგვისტიკის ნაწილადაც მოიაზრებოდეს, თუნდაც ის არ იყოს ამ ლინგვისტიკის მეინსტრიმისთვის მეტად რეპრეზენტაციული.

2. ინტრატექსტუალობა და ტრანსტექსტუალობა დისკურსში – ტექსტის სემანტიკის პერსპექტივიდან

2.1. ტექსტის ლინგვისტური და სტილისტიკური ინტერპრეტაცია

ფიქციონალური ტექსტის ლინგვისტურად და სტილისტურად ინტერპრეტირება პირველ რიგში ნიშნავს ტექსტის სამყაროს სტრუქტურისა და მასში შემავალი კონოტაციების შესაბამისად ეპისტემური კონცეფციის კვლევას. ტექსტის სტილისტიკური კვლევა პირველ რიგში ტექსტის ზედაპირზეა ორიენტირებული, ეს ნიშნავს იმას, რომ მისი მიზანია ტექსტის ფორმის, სტილისა და აგებულების კვლევა. ეპისტემური ელემენტების, დაფარული იმპლიციტური მნიშვნელობების კვლევა, რომლებიც ტექსტის რეცეფციის დროს მის სემანტიკურ და კონოტაციურ სტრუქტურას განსაზღვრავენ სტილისტიკური კვლევის უმაღლესი საფეხურია.

ლინგვისტური ინტერპრეტაციის მიზანი, ერთი მხრივ, სტატიკური ფაქტორებითაა განპირობებული, როგორიც არის რეციპიენტის ცოდნა და ცოდნის სისტემები, რომლებიც ინტერპრეტაციის პროცესის პირველ საფეხურს განსაზღვრავენ, ხოლო მეორე მხრივ, იგი განსაზღვრულია თვით ტექსტზე და, ბუსეს ტერმინით, ტექსტით მუშაობის დინამიკური ფაქტორებით (შდრ. ბუსე 1991:165-166).

ამ თეორიული დებულებების ეგზემპლიფიკაციისთვის საკმარისია თუნდაც ერთი კონკრეტული ტექსტის (ბუსეს ტერმინით „დისკურსის ამონაჭერის“) ინტერპრეტაცია აკა მორჩილაძის პოსტმოდერნული რომანიდან „სანტა ესპერანსა“, რომლის გერმანული თარგმანი განახორციელა ნათია მიქელაძე-ბახსოლიანმა. ამ თარგმანის საფუძველზე გერმანიაში გამოქვეყნდა სტატია „სივრცის ინსცენირება ქართულ პოსტმოდერნულ რომანში აკა მორჩილაძის რომანის „სანტა ესპერანსა“ მასალაზე“ (ლალი ქეცბა-ხუნდაძე 2012).

2.2. ტრანსტექსტუალური ანალიზი

ამ რომანში, რომელიც პოსტმოდერნული დისკურსის კორპუსს წარმოადგენს, ეპისტემური კონტექსტუალიზაციის ანალიზს პრესუპოზიციის სახით წინ უნდა უძღვოდეს საქართველოში რეალური, ისტორიული სიტუაციის, ისტორიული ფაქტების ჩარჩოების ცოდნა: საბჭოთა კავშირის დაშლისა და გლობალიზაციის პროცესში ჩაბმის შემდეგ, ქართველები ეძებენ სივრცეს – რათა გაემიჯნონ შინა წაგებულ ომებს, გადარჩნენ და ამავე დროს გლობალიზაციის პროცესს ეზიარონ – შეიცნონ მსოფლიო და „სანატრელ უცხოეთში" ახალი წარმატებული ცხოვრება დაიწყონ. ამისათვის ისინი სასწავლებლად ან ემიგრაციაში მიდიან.

მაგრამ ახალ ცხოვრებაზე ოცნება ხშირად არ განხორციელებულა – და წასულებს სამშობლოში იმედგაცრუებულებს უწევთ დაბრუნება. ამიტომ არის, რომ თვით თემა – გაქცევა და წასვლა აქედან (ეხმიანება კაფკას და სხვა თანამედროვე ევროპელი მწერლების ტექსტებს) და შემდგომ კი დაბრუნება – სანტა ესპერანსას დისკურსში ინტეგრირებულია როგორც სოციოკულტურული კონტექსტი: ტექსტის ნაწილები, აზრების მსვლელობა, გაქცევის და დაბრუნების, საკუთარის და უცხოს იდეოლოგემების აფექტური კონოტაციები არის ეპისტემური კონტექსტუალიზაციის ჩარჩოები, რომლებიც ინტერპრეტაციის დროს უნდა იქნეს გათვალისწინებული. ანუ ეს არის უპირატესად ნაციონალური ცნობიერება, ტრადიციებზე, ავტორიტეტზე ექსტრემალური დამოკიდებულება და მათი ირონიული კონოტირება. არქიპელაგის ჯადოსნური, განსხვავებული სამყარო, რომელიც ტექსტების ან მათი ნაწილების ქსელით არის წარმოდგენილი, აღიქმება როგორც ჰიპერტექსტი, რომელშიც უამრავი აქტორია ჩართული.

ანალიზის ტრანსტექსტუალური დონე სცდება ტექსტის შიდა სტრუქტურებს, თუმცა ტექსტის ინტრატექსტუალური დონის გათვალისწინება ამ პროცესის აუცილებელი პირობაა.

ტრანსტექსტუალური ანალიზის დონეზე დაკვირვებას ვაწარმოებთ გლობალურად ტექსტებს შორის ურთიერთმიმართებებზე, იმაზე, თუ რა სახით უკავშირდებიან ისინი ერთმანეთს და რა შედეგს იძლევა ამგვარი მიმართებები ტექსტებს შორის.

2.3. რომანის ვიზუალური სტრუქტურა: მატერიალობა, ტიპოგრაფია და ტექსტისა და სურათის ურთიერთმიმართება

რაც შეეხება მატერიას, აქ წიგნის ნაცვლად თექის ხურჯინია, რომელიც წარმოადგენს ტექსტების უნივერსუმს, კოსმოსს, რომელსაც მკითხველი გადაჰყავს სანტა ესპერანსას წარმოსახვით სამი კუნძულისგან შემდგარ ჯადოსნურ არქიპელაგზე შავ ზღვაში. შესავალ რვეულში, რომელშიც ავტორი მიესალმება მკითხველს და წიგნის შინაარსს, როგორც თამაშის წესებს, სთავაზობს, მიუთითებს ინტერნეტმისმართზეც: www.santaesperanza.de როგორც უსასრულო მო-

ცულობის სივრცეზე, სადაც დასაშვებია, რომ, სავარაუდოდ, ნებისმიერი რაოდენობის ტექსტის განთავსება იქნებოდა შესაძლებელი.

სანტა ესპერანსა აერთიანებს უამრავი სასიყვარულო, ომის თავგადასავლების, მითების, თქმულებებისა და უძველესი ქრონიკების ფრაგმენტებს, ისევე როგორც იმეილებს, საგაზეთო სტატიებს. თანდართულია სანტა ესპერანსას რუკა, საქართველოდან არც ისე შორს, დაახლოებით 15 კმ დაშორებით მდებარეობს და საქართველოს რუკის სიმულაციური სახით არის წარმოდგენილი.

36 ფერადი რვეული მასში შემავალი რამდენიმე, ძირითადად, 4, 9 ან 18, მოკლე მოთხრობა მისი სხვადასხვა სახით რეციპირების საშუალებას იძლევა ბოლოდან, შუიდან, თავიდან, რადგან ისინი თემატურ ფრაგმენტებს წარმოადგენენ, მიუხედავად დახვეწილი ერთიანობისა. შესავალი რვეული სწორედ ამ კულტურული უნივერსუმის წაკითხვის, როგორც კარტის თამაშის, წესებს გვთავაზობს, რომელთა ხურჯინიდან ამოღება ისეთსავე ალბათობას ეყრდნობა, როგორც ცალკეული კარტის ამოღებისა თამაშის დროს.

ტიპოგრაფია დამწერლობისა და შრიფტის თავისებურებები, ყოველივე ეს საბოლოოდ ფერადოვან პოსტმოდერნულ დისკურსს ქმნის, რომელშიც მკითხველს თავისუფლად შეუძლია გადაადგილება. რადგან ზოგიერთი რვეული ავტორის მიერ განზრახ ისეა აწყობილი, რომ დასასრული როგორც დასაწყისი ისე უნდა წაიკითხოს ადამიანმა, და მას შემდეგ, რაც ალბათ გამონაკლის შემთხვევაში ყველა ტექსტი ექნება წაკითხული, იქმნება ტექსტების ერთმანეთთან ტრანსტექსტუალური მიმართების შთაბეჭდილება, განსაკუთრებით იმ რვეულებში, რომელთა ჩაკეტილ და საკმაოდ დამოუკიდებელ ისტორიებში მთავარი მოქმედი გმირი გვხვდება როგორც უპირატესად ნაცნობი, ასე ვთქვათ, რეფერენციული ინტერტექსტუალობის ფიგურა Referenzfigur, მაგალითად, მოთხრობაში „ლუკას ახალი თავგადასავალი“ (Heft “*Säbel*” N8 mit dem gemeinsamen Titel: “*Bärenfell mit Säbeln behängt*”).

რვეულები ავტორის მიერ უმეტესად უცნაური ნახატებითა და ციტატებითაა ილუსტრირებული, ისე რომ სურათსა და ტექსტს ინტერტექსტუალობითა და „ინტერპიქტურალურობით“ (შდრ. როზე 2006:75-76) განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეწერება.

ტექსტი არის კულტურის ურიცხვი ადგილიდან წამოღებული ციტატების კონა (ბარტი 2000:185-186); ასეა სანტა ესპერანსაში: ციტატების გამოყენება და უმეტესად რეკომბინაცია, ექსტრატექსტუალური ან ინტრატექსტუალური მითითებები უკვე დიდი ხნის წინ არსებულ ლიტერატურულ პრეტექსტებზე, რომლებიც ლიტერატურულ კანონს მიეკუთვნებიან (როგორიც არის „რომეო და ჯულიეტა“ ან რიჩარდ ბახის „თოლია ჯონათანი“), ასევე ქართული თქმულებები და ზღაპრები ან ქართულად თარგმნილი გადმოცემები, „ექსპლიციტურად ინტერტექსტუალური კავშირები ფართო გაგებით“ (ფიქსი 2008:407).

სანტა ესპერანსას დისკურსის სივრცეში მოკლე ტექსტები გამიზნულად წარმოჩინდება როგორც თამაში, როდესაც მათში საზოგადოებრივი ცვლილებები, უფრო დაზუსტებით კი ცვლილებები საქართველოში უმეტესად ირონიული კონოტაციის არის და ასეთად აღიქმება.

ქართველი მკითხველისთვის ძველი და გავლენიანი ოჯახის „ვისრამიანის" სახელის ეტიმოლოგია ექსპლიციტურად აიხსნება: რომ ის (მოლოდინისამებრ) ქართველი მკითხველის ცოდნის ნაწილს – ცნობილ აღმოსავლურ, მე-17 საუკუნეში სპარსულიდან თარგმნილ ახალგაზრდა ქალისა და კაცის, ვისისა და რამინის სასიყვარულო ეპოსსზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ ქართულ კითხვით ნაცვალსახელებზე: ვისი? რამდენი? რაც თარგმანის შემთხვევაში ცალკე ასახსნელი იყო მთარგმნელის, ნათია მიქელაძის, მიერ. ეს არის სანტა ესპერანსას კუნძულზე მცხოვრები საძულველი, ძლიერი ოჯახის გაუნათლებელ წინაპარზე ირონიული მითითება, რომელიც, როგორც ერთ-ერთი მშენებლობის ხელმძღვანელი, მუდმივად კითხვებს სვამდა: ვისი? რამდენი? (ქვებს და ფულს გულისხმობდა). ამასთანავე გვარი ვისრამიანი საქართველოში ე.წ. „ახალი მდიდრების" პაროდიული ალუზიაც არის, რომლებიც დღესაც დიდგვაროვნობისკენ ისწრაფვიან.

დასავლეთევროპულ ლიტერატურასა და ფილმებზე მითითებები შთაბეჭდილებას ახდენს განათლებულ მკითხველზე და მის ცოდნას ააქტიურებს.

ამრიგად, სანტა ესპერანსა მოითხოვს თამაშში ჩართვას, მკითხველებს, რომლებიც ნამდვილად შეუძლიათ თამაში, კრეატიულად მოქმედება – ზოგიერთ რვეულში ცარიელი ადგილებია დატოვებული, რათა მკითხველმა გაგრძელების დაწერა შეძლოს. ასე წარმოადგენს თამაში სანტა ესპერანსას მთელი დისკურსის და მისი შემადგენელი ნაწილების ერთ-ერთ წამყვან თემას.

რომანში არის აგრეთვე ჟანრობრივი ინტერტექსტუალობის მაგალითები, როცა ვხვდებით ტექსტის სახეობებით თამაშს, მაგალითად, ტექსტში ("Die Geschichte von Wachtang Awaliani, nachdem seine Tochter zur Übergangskomissarin ernannt worden war. E-Mail des Advokaten Sampson Brass an den Schriftsteller Jerry Barton"), რომელიც იმეილის ტექსტის სახეობას არის მიმსგავსებული – საქმე ეხება უცნაურ ადამიანს, კაცს სახელად ბუ ვისრამიანი, რომელიც, როგორც ჩანს, იმეილის ადრესატის, ჯერი ბარტონისის, ვილას, საკუთარი სურვილით ყარაულობს. ჩვენ ეგზემპლარულად, როგორც „დისკურსის ამონაჭერს", გავაანალიზებთ ტექსტს „თოლია ბუ ვისრამიანი შინ ბრუნდებოდა", რომლის ინიციაციაში ანუ უკვე სათაურში ჯადოსნური მეტამორფოზის შედეგს, ჩიტად გადაქცეული ადამიანის სახელს, სიტყვათშემოქმედების ნიმუშს ვხედავთ. მას ადამიანის ყველა თვისება აქვს, სახელიც ისეთივე უცნაურია, როგორც გვარი. მას ჰქვია ბუ – ვისრამიანი (თარგმანშიც "Eule" როგორც სახელი, მაგრამ მოულოდნელი, გასაკვირი და მეტად ეფექტურია, რომ ჩიტის სხვა სახეობით – თოლი-

ათი არის წარმოდგენილი). აქ ტექსტის პროტაგონისტი და მთელი დისკურსის აქტორი გამოყვანილია როგორც მარტოსული ადამიანი, რომელსაც ცნობილი მიზეზების გამო (ქვეყანაში ომის და ომის შემდგომი სიტუაციის) როგორც ბუს მხოლოდ ღამით შეუძლია ფრენა და აქტიურობა. სურათების საშუალებით ხდება სივრცისა და ქმედების კოორდინაცია. ლურჯი რვეულის მეშვიდე სერიის საერთო სათაური ემთხვევა ნახატებს: ქისა, მათრახი და *ხმალი* – სამი ელემენტი დისტანცირებული პერსპექტივიდან სტატიკურად არის წარმოდგენილი – მათ შორის ასევე სათვალიანი თოლია ქუდით და ულვაშით. სურათებს აქვთ ცისფერი ფონი, როგორც მითითება შავ ზღვაზე ან ცაზე, რომლებიც ტექსტში ქმნიან ანტითეტურ სივრცით მიმართებებს. ჩამოთვლილი საგნების გარეთ იმავე თოლიას სხვა ნახატის ინტერპრეტაციით შეიძლება გააქტიურდეს ცოდნა მოვალეობისგან გაქცევის ან ასევე ბრძოლის შესახებ. ქისა ჯადოსნური სუნგალების (არქიპელაგის მოსახლეობის ერთი ნაწილის) განძის სიმბოლოა, რომლებიც ოქროს მთების გამოქვაბულებში მალავდნენ. მათრახი და ხმალი მიუთითებენ სამხედრო სამსახურზე (თოლიას ორივე სურათი კაცის სახით სტატიკურია. მინიატიურული სურათი ჩარჩოთი წინა გვერდის მარცხნივ, დაბლა გვიჩვენებს საპირისპირო პერსპექტივაში იმავე სათვალიან, მაგრამ ახლა უკვე მფრინავ თოლიას, ფონად მაღალი მთები, შიშველი კლდეებია – სავარაუდოდ კავკასია. ქვემოთ მოკლე ტექსტის სათაური გვხვდება, როგორც ქვესათაური, მოდიფიცირებული, ზმნაში „თოლია, სახელად ბუ ვისრამიანი შინ ბრუნდებოდა“ პროცესუალურად გააწმყოებული „ქმედება“ – სივრცეში უკან გაფრენით: ბუ ვისრამიანს სახლში დაბრუნება სურს და ჰაერშია, გზაშია. ჩარჩოს გარეთაა ციტატა ტექსტიდან (ფილმის კომენტარის ფორმით), როგორც ემოციური აღმასვლა წარმოდგენების სივრცეში, როგორც მეტაფორული მოწოდება მოძრაობისკენ, თავისუფლებისკენ, ამავე დროს სუქცესიური და იკონიკური ჰაერის გემოს შეგრძნებების გადმოცემით – ტექსტის სუბიექტის თავისუფლებით ტკბობაზე მინიშნება, რომელიც ასევე ააქტიურებს მკითხველის ცოდნას ქართველთა ისტორიული მისწრაფების შესახებ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ.

სანტა ესპერანსას დისკურსის პერფორმაციობის გადატანა შიდატექსტუალურ დონეზე აწმყოს ვერბალური საშუალებებით ხდება პანორამული პერსპექტივის თანად-

როული გამოხატვის მეთოდით. ეს პერსპექტივა შეიძლება შევადაროთ ფილმის სცენებს, კამერას და მონტაჟს. ის გვიჩვენებს ტექსტის სუბიექტის აქტუალური სივრცითი პოზიციონირების მონაცვლეობას, მის ლოკაციებს. ამგვარი სივრცე ცალკე არც ვერბალური და არც ვიზუალური ტექსტების ნაწილით იქნებოდა გასაგები.

ტექსტი, შპილნერის აზრით, „სურათის საშუალებით ენობრივი ნიშნის ამბიგუირების ან რელექსიკალიზების“ საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს (შპილნერი 1995:85). ამბიგუირება სანტა-ესპერანსაში იქმნება ფრინველის ერთ-ერთი სახეობის, კერძოდ, თოლიას სახელის იდენტიფიცირებით, სანტა ესპერანსას ანუ ამ მოკლე ისტორიის ცნობილი პროტაგონისტის საკუთარი სახელით. აქ ლაპარაკია არქიპელაგის ძირითადი მოსახლეობის სამეფო ოჯახის სიძეზე – დისკურსის ეს აქტანტი შინაარსობრივად ერთმანეთთან აკავშირებს სანტა ესპერანსას რამდენიმე ტექსტის სამყაროს, მაგრამ მოქმედების ნარატიული თანმიმდევრობის გარეშე, ამავე დროს არაა გამოხატული სიუჟეტი, რადგან სანტა ესპერანსას დისკურსში არ არის ნამდვილი პრე- ან მომდევნო ტექსტები. ბუ ვისრამიანი, როგორც მეფის ქალიშვილის, კაია ვისრამიანის მეუღლე, *სანტა ესპერანსადან გაქცეული, გვხვდება არა მარტო ზემოთ დასახელებულ ლურჯ რვეულში* „ხმლის რვეული“ როგორც პროტაგონისტი, არამედ შემდეგ ტექსტებშიც: მწვანე N7 და ყვითელ N7/N9 რვეულებში. ამ ტექსტებში გამოიყენება გრაფოსტილისტური საშუალებები და შესაძლებლობები, რომელთა სტილსემიოტიკური მინიშნება შემდეგია: არ აღიქვა სერიოზულად ეს ლექსემები, აღიქვი ისინი არა პირდაპირ, არამედ ირონიულად, მოახდინე ინტერპრეტაცია!“ (შპილნერი 1995:78). ირონია წარმოიქმნება მოძველებულ ტრადიციებზე მითითებით – პრეტექსტებზე მიმართებებით, ფუნქციის შეცვლით (Umfunktionierung) ან წინარე ცოდნით, ტექსტის სუბიექტის შეხედულებებით და ირონიული თვითშეფასებებით – მათ შორის როგორც ქართველი ხალხის წარმომადგენლისა.

სათაურში, რომელიც ტექსტის აბსოლუტურ ინიციაციას წარმოადგენს, მინიშნებაა მეტამორფოზაზე, საიდანაც ლექსიკური მეტაფორის ამბიგუირებისგან სტილური ეფექტი – თოლია ბუ ვისრამიანი – წარმოიქმნება. შემდეგ ტექსტში ნაწილობრივ ხდება მეტაფორული სახელის დიზამბიგუირება. მაგრამ პროტაგონისტის ხედვის უჩვეულო განვითარებები საშუალებას არ იძლევა, ტექსტის სუბიექტთან დაკავშირებული ბუნდოვანება განეიტრალდეს, ისე რომ, ეს სიცარიელე რეციპიენტმა უნდა შეავსოს. ეს დავალებასავით არის – სიცარიელეები ნებისმიერად ამოავსოს და დასასრული თვითონ, თავის ცოდნაზე დაყრდნობით წარმოიდგინოს. რეციპიენტმა მისი წარმოდგენის სივრცის ვიზუალური აღქმის ფარგლებში უნდა გადაწყვიტოს, რაგვარია ხედვა – ტექსტის სუბიექტის, თოლიას, ჰიბრიდული სიმბოლური ფიგურის პერსპექტივითა და ცაში მოძრაობის სტრატეგიით არის განპირობებული თუ სამშობლოსკენ მიმავალი მგზავრისა, თუ კიდევ

კაცის, რომელსაც თავისი ოთახის კედლები არც კი დაუტოვებია, ეს მოგზაურობა იქით და აქეთ მხოლოდ მის წარმოდგენაშია და ის კედლებს, როგორც ციხის კედლებს ან გადაულახავ კლდეებს, ეხეთქება – რომ თოლიას მთელი გზა გაქცევაა რეალობიდან და მისი ფანტაზიის ნაყოფი.

3. ინტრატექსტუალური ანალიზი DIMEAN-ის მიხედვით

ინგო ვარნკემ შემოიტანა **დისკურსიულობის** (Diskursivität) ცნება, როგორც ტექსტუალობის დისკურსის კუთხით გაფართოების აღმნიშვნელი კრიტერიუმი.

ასე რომ, დისკურსი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ტექსტებზე მაღლა მდგომ, ტექსტების მომცველ სიდიდედ, რომელიც ტექსტებისთვის ვირტუალურ ეპისტემურ კონტექსტებს ქმნის (ვარნკე/შპიცმიულერი 2011), რომელთა კვლევის მიზნით და თვით კვლევის ობიექტის კომპლექსურობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შემოგთავაზოთ დისკურსის ლინგვისტიკის მრავალდონიანი ახალი მეთოდის გამოყენების მცდელობა ვარნკესა და შპიცმიულერის ინტეგრალურ მოდელზე DIMEAN (დისკურის ლინგვისტური, მრავალდონიანი ანალიზი) დაყრდნობით (ვარნკე/შპიცმიულერი 2011:197).

ეს მოდელი რამდენიმე ქვეკატეგორიას მოიცავს. ესენია **სიტყვებზე ორიენტირებული ანალიზი, პროპოზიციებზე ორიენტირებული ანალიზი და ტექსტზე ორიენტირებული ანალიზი** (ვარნკე/შპიცმიულერი 2011).

პროპოზიციებზე ორიენტირებული ანალიზი მოითხოვს ტექსტების ენობრივი სტრუქტურის/აქტების, პრესუპოზიციებისა (რომლებიც ჩვენ ნაწილობრივ გავაანალიზეთ) და იმპლიკატურების (ენობრივი აქტების და იმპლიკატურების), ისევე როგორც ტექსტუალობის ისეთი ფენომენების ანალიზს, როგორიც არის სიტყვებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამეორების სტრუქტურები, მთავარი და დაქვემდებარებული თემები, თემა/რემატიული სტრუქტურების, იზოტოპური ჯაჭვის ანალიზი, რაც ამ სტატიის ფარგლებს გასცდება.

სიტყვის კონტექსტუალიზაცია ფიქციონალურ ტექსტში ცხადყოფს, თუ როგორ ხდება სიტყვის, როგორც ტექსტის ერთეულის, კონტექსტუალიზაცია. ამიტომ ახლა **სიტყვებზე ორიენტირებული ანალიზი საკმარისი იქნება ინტრატექსტუალურ დონეზე ეგზემპლიფიკაციისთვის:**

ვარნკე და შპიცმიულერი სახელთა შემდეგ ცენტრალურ კლასებს გამოყოფენ: Nomina propria, Nomina appelativa, Nomina continuativa, Schlüßelwörter, Schlagwörter, Okkasionalismen (ვარნკე/შპიცმიულერი 2011:140).

ანალიზისათვის შედგენილი ტექსტების კორპუსიდან სახელთა შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა:

Nomina propria**:** ტერმინი მოიცავს სახელებს, რომლებიც დისკურსის ლინგვისტიკაში ტრანსტექსტუალური კონტექსტების მრავალფეროვნებას გულისხმობს. ეს ეხება კონკრეტულ და აბსტრაქტულ არსებით სახელებს, მათ შორის დისკუ-

რსისთვის მნიშვნელოვან საკუთარ სახელებს, ანთროპონიმებს – პიროვნებათა სახელებს, ასევე ტოპონიმებს, როგორც დისკურსის ლოკალურ მარკერებს (ვარნკე/შპიცმიულერი 2011:141):

თოლია, სახელად ბუ-ვისრამიანი, ფრთები, ხმა, ჩიტები, ნათესები, კლდეები, შაშვი, თვითმფრინავი, დედამიწა, ტალღის ხმა, რუკა და სხვ. თევზები, ქათმები, ფრთა, მიწა, საჭმელი, საკენკი, სოფლები, ნაპერწკლები, გემები, სინათლეები, კუნძულები, კლდეები, კედლები, ციხის კედლები, ტალღა, ნაპირი, ციხის კედელი, დუმილი, ზეიმი, ტაშისკვრა, ჯანდაბა და სხვ.

ტოპონიმები: ჯადოსნური არქიპელაგი სანტა-ესპერანსა, საქართველო, შავი ზღვა, (იოჰანიტების) წმინდა იმედის კუნძული.

Nomina collektiva: საკუთარი სახელების გვერდით განსაკუთრებული ინტერესის ცენტრში ექცევა ჯგუფებისა და ნაკრებთა კოლექტიური აღნიშვნები. აქ საინტერესოა გამონათქვამთა უნარი და სემანტიკური ფუნქცია, გენერალიზებული სახით წარმოადგინონ ადამიანთა კოლექტივები (ვარნკე/შპიცმიულერი 2011:141):

ქართველები, ქართველი, იოჰანიტები, მულტინაციონალური მოსახლეობა.

Nomina continuativa: აქ იგულისხმება სახელი, რომელიც დაუნაწევრებად ნივთიერებას, მასას ან მასალას აღნიშნავს: ჰაერი, წყალი, რიჟრაჟი, საჭმელი, საკენკი. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ასეთი სახელები ყოველთვის მხოლობით რიცხვშია მოცემული და არ განისაზღვრებიან კვანტორებით. „ამგვარი სახელების ფუნქცია სუბსტანციების აღნიშვნაა“ (ვარნკე/შპიცმიულერი 2011: 142).

Schlüsselwörter, Schlagwörter: ე.წ. ამოსავალ სიტყვებს, როგორც დისკურსის მარკერებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ (ვარნკე/შპიცმიულერი 2011:143).

ამგვარ სიტყვებში ფრიც ჰერმანსისა (1994) და ლიბერტის (1994) მიხედვით იგულისხმება ისეთი ერთეულები, რომლებიც კონკრეტული ჯგუფისა თუ ეპოქის თვითგაგებასა და იდეალებს გამოხატავენ, აზროვნების თავისებურებებს ასახავენ, რომელთა კონტექსტუალური და კონოტაციური მნიშვნელობები დომინანტურია (ვარნკე/შპიცმიულერი 2011:142):

შინ, სამშობლოში დაბრუნება, ცოდნა, ფრენა, დუმილი – ოქრო, ქართველები ჯერ ჩიტები, მერე ქათმები, საკენკი – ყველაფერი, საქართველოს ნაპირზე კლდე – ციხის კედელი და ა.შ.

ამ სიტყვების კონოტაციური და კონტექსტუალური მნიშვნელობა დომინანტურია გლობალიზაციის, ემიგრაციის და შინ დაბრუნების კონფლიქტის დისკურსში. ისინი გამოხატავენ აღნიშნული დისკურსის მთავარ თემებსა და პრობლემატიკას, იდეალებს, ეპოქის სულს, რომლებსაც ემოციურ-ექსპრესიული კონოტაციების სახით გვაწვდიან.

ამავე კატეგორიაში (Schlagwörter) გამოყოფენ ორ ქვეკატეგორიას: სტიგმატურ (Stigmawörter) და მაღალი შეფასების სიტყვებს (Hochwertwörter). სტიგმატური სიტყვებით ხდება ადამიანთა, საგნებისა და მოვლენების სტიგმატიზება.

ლექსიკური პეიორაცია შეფასების გავრცელებული მექანიზმია დისკურსებში: სხვისი დაბალი შეფასებით იმპლიციტურად ხდება საკუთარი ღირსებების ხაზგასმა. ასეთებია: ქართველების მტრები – თევზები, ქართველები/ საკენკის მოყვარული ქათმები. საპირისპირო მნიშვნელობის მატარებელია მაღალი შეფასების სიტყვები (Hochwertwörter). ესენია ლექსემები, რომლებიც კომპარატივისა და სუპერლატივის (შედარების და აღმატების ხარისხების) სტრუქტურების გარეშეც გამოხატავენ დადებით შეფასებას დისკურსებში თავიანთი სემანტიკური დატვირთვიდან გამომდინარე დადებითი კონოტაციის მატარებელი (ლიბერტი 1994:67): ქართველები/ფრენის, თავისუფლების მოყვარე ჩიტები.

ცივი და გემრიელი ჰაერი/მოძრაობა თავისუფლებისკენ და შინ დაბრუნების სიხარულის მოლოდინი

ოკაზიონალიზმები – ad-hoc-წარმონაქმნები, ესენია, კონტექსტუალური და პრაგმატულად განსაზღვრული ე.წ. დროებითი ნეოლოგიზმები. ისინი აღნიშნავენ რეფერენტებს, რომელთათვისაც ან საერთოდ არ არსებობდა აღმნიშვნელი, ან არსებობდა მხოლოდ არასრულყოფილი სახით. ასეთი ნეოლოგიზმები მოსაუბრისა თუ მწერლის დამოკიდებულებასა და პოზიციას გამოხატავს და, გარდა ამისა, ტექსტის სტილისტიკურ მხარეს განსაზღვრავს. მათი მახასიათებელი ის არის, რომ ისინი ერთჯერადად ან ძალიან იშვიათად გამოიყენებიან. ოკაზიონალიზმები, როგორც სიტყვაწარმოების პროდუქტები, განსაკუთრებით საინტერესოა დისკურსის ლინგვისტიკისათვის, რადგანაც ისინი პოზიციებს ძირითადად ირონიულად ავჯამებენ, ესთეტიკურ თამაშზე მიანიშნებენ და ამით მნიშვნელობის კონტექსტუალურ და პრაგმატულ განზომილებას ახასიათებენ.

თვით სათაურები სანტა ესპერანსა და ბუ-ვისრამიანი ამგვარი ad-hoc-წარმონაქმნები და ამავე დროს ფიქციონალური დისკურსის ძირითადი მარკერებია.

3.1. პროპოზიციები

პროპოზიციებზე ორიენტირებული ანალიზი ვარნკე/შპიცმიულერის მიხედვით. საანალიზო კატეგორიები:

– სამეტყველო აქტები
– იმპლიკატურები
– პრესუპოზიციები
– რიტორიკული ტროპები და ფიგურები
– სინტაქსური ნიმუშები/სტრუქტურები (Muster)

პროპოზიციების ანალიზისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია საანალიზო ტექსტის შემოკლებული ვარიანტის სეგმენტებად დაყოფა:

თოლია, სახელად ბუ ვისრამიანი, შინ ბრუნდებოდა

(1) ეს რა ფრთებია, ეს რა ხმა არის, რა ხმა ჰქონია ჰაერს? ჰაერს კი არა ჰქონია და ფრთის ტყლაშუნს. ჰაერს გემო ჰქონია, ყველაზე კარგი გემო ჰქონია ცივსა და გემრიელ ჰაერს, რამდენი ჰაერი ყოფილა მაღლა. იქ კიდევა, იმ მყაყეში, სად

არი ასეთი ჰაერი? სიუხვით გათრობს. გაჰკვეთე ჰაერი, გაჰკვეთე და მიირთვი. იფ, იფ, იფ, მეტად გემრიელი ჩანს. [...] აჰა, რას ვხედავ, რა მორკალული და ერთგული ფრთები მქონია. ყველაფერი კი თავისთავად გამოდის. ჰე-ჰეეი, ფრენას ცოდნა არ სჭირვებია, თავისთავად გამოდის. აი, საქმე. აი, რას გვიმალავდნენ ჩვენ, ქართველებს. ჩიტები ვყოფილვართ და გვიმალავენ. ჩვენ, ქართველები, ჩიტები ვყოფილვართ. [...] ამას მიმალავდნენ ამდენ ხანს და ახლა მივხვდი. ოღონდ შეიძლება ისე გამოვიდეს, რომ მთელი ცხოვრება ვერ მოიფიქრო, რომ ჩიტი ხარ და ფრთები არ დაიქნიო, იმიტომ რომ ფრთები ხელები გგონია. [...] ყოველ ქართველს შეუძლია, დადგეს კლდის კიდეზე და კლდეების მეტი რა არის ჩვენთან, დაიქნიოს სამჯერ ხელები და აფრინდეს. არაფერი ცოდნა არ უნდა. აფრინდება და გაფრინდება, იფრენს, რამდენიც უნდა. მთავარია, მოიფიქრო. მე რომ საქართველოდან გამოვიქეცი, დიდად ვიწვალე. გემიდან გადმოვხტი წყალში და ცურვით მივაღწიე ამ ოხერ ნაპირამდე. [...] რა უბედურებაა, რა უნდა ქართველს წყალში? ქართველის ადგილი ცაშია. [...]

(2) *ესეც შევიტყვე: ჩვენ, ქართველები, ადრე ჩიტები ვყოფილვართ და დედამიწამ ისე მოგვიტყუა, როგორც ყველა სხვა ჩიტი, საკენკი დაგვიყარა, მოგვეფერა, მოგვიშინაურა და ქათმებად ქე არ გადაგვაქცია? [...] გაერიდე იმ მუქთა საკენკს და ისევ ისწავლი ფრენას შენ, ქათამო. [...] ზღვის ბოლოს მიწა რომ გამოჩნდება, სწორედ ის არის საქართველო. რამსიშორეს მეგონა. იმდენ ხანს მოცურავდი იქიდან და რა უცებ მივფრინდი! ეეეხ, ეს ამბავი ადრევე რომ მცოდნოდა. [...] ეს რო მცოდნოდა... რა ვიცოდი მე, რო საჭმელი არ უნდა ჭამო იმათი და დანარჩენი კი კარგად გამოვა ყველაფერი. [...] მსუქანი ჩიტი ქათამია.*

(3) *ახლოს ყოფილა, ხო იცი... რა ახლოს ყოფილა და რამსიშორეს მეგონა. [...] უხ, წამოსვლა რა დიდხანს არი და მიბრუნება რა მალე ყოფილა. ადრე პირიქით მეგონა. [...] მარა რა არი ეს, მაინც ვერ გავიგე. როდის იყო, საქართველოს ნაპირს კლდე ქონდა. სად იყო კლდიანი ნაპირი ჩვენთან? ეს აქეთ არი კუნძულებზე, კლდეები რო იყურება საქართველოს მხარეს, მარა იქედან სად იყო კლდე? რა ჯანდაბის კლდეებია, თუ დასწყევლოს ღმერთმა, მხარი ხო არ მეცვალა? [...] ჩიტმა იცის, ქართველი კიდევ ჩიტია. სწორედ ვარ წამოსული, ლაპარაკი არ უნდა, უხ... უხ... ეს რა... ეს ვერ დავინახე, რას დაინახავ... ვაიმე... ვაი, ეს რა მომივიდა... [...] რას მივასკდი? რაღაცას შევასკდი... ფრთა, ჩემი ფრთა. ჩემი მარჯვენა ფრთა. [...] ხო კლდეები იყო. მაგრამ რა უნდა საქართველოს ნაპირზე კლდეს? კედლები იყო, ციხის კედ... უხხხ... ა, აა, კიდეა ა... უუუუჰ... რა მწარე ყოფილა... დამსვი სადმე... დამსვი სადმე... რა მჭირს ეს, დაბლა მივდ... რა უნდა მომხდარიყო, ასე... არაااااااااااااااა... დგ...*

საანალიზო ტექსტის **პირველი სეგმენტი** შედგება 11 გამონათქვამისაგან და შეიცავს შემდეგ პროპოზიციებს:

1. [ეს ფრთების და ჰაერის ხმაა]
2. [ფრთის ტყლაშუნს ხმა ჰქონია]
3. [მაღლა ბევრი ცივი და გემრიელი ჰაერია]

4. [მყაყეში ცუდი ჰაერია]
5. [უხვი ჰაერი გათრობს]
6. [მიირთვი ჰაერი]
7. [ის(=ჰაერი) მეტად გემრიელია]
8. [მე მორკალული და ერთგული ფრთები მქონია]
9. [ყველაფერი თავისთავად გამოდის]
10. [ფრენას ცოდნა არ სჭირდება]
11. [ქართველებს ჩიტებად ყოფნას გვიმალავდნენ]
12. [ამას ახლა მივხვდი]
13. [მთელი ცხოვრების მანძილზე ჩიტად ყოფნას ვერ ხვდები]
14. [ფრთები ხელები გგონია]
15. [ყოველ ქართველს შეუძლია კლდიდან აფრინდეს]
16. [ამას ცოდნა არ უნდა]
17. [ქართველი იფრენს სურვილისამებრ]
18. [მთავარი მოფიქრებაა]
19. [საქართველოდან გამოქცევისას ბევრი ვიწვალე]
20. [გემიდან ცურვით მივაღწიე ნაპირამდე]
21. [ქართველის ადგილი წყალში კი არა და ცაშია]

მეორე სეგმენტი შედგება 9 გამონათქვამისაგან:

გამონათქვამების შინაარსი წარმოდგენილ სეგმენტში შეიცავს შემდეგ პროპოზიციებს:

22. [ეს(=ამბავი) შევიტყვე]
23. [ქართველები ადრე ჩიტები ვყოფილვართ]
24. [დედამიწამ სხვა ჩიტებივით მიგვიტყუა მუქთა საკენკით]
25. [საკენკის გარეშე ისევ ისწავლი ფრენას]
26. [საქართველო ზღვის ბოლოსაა]
27. [უფრო შორს მეგონა]
28. [ფრენას ცურვაზე ნაკლები დროს სჭირდება]
29. [ნეტა ეს ადრე მცოდნოდა]
30. [იმათი საჭმელი არ უნდა ჭამო]
31. [დანარჩენი ყველაფერი კარგად გამოვა]
32. [მსუქანი ჩიტი ქათამია]

მესამე სეგმენტი შედგება 14 გამონათქვამისაგან:

გამონათქვამების შინაარსი წარმოდგენილ სეგმენტში შეიცავს შემდეგ პროპოზიციებს:

33. [(საქართველო) ახლოს ყოფილა]
34. [წამოსვლას დიდი დრო სჭირდება]

35. [მიბრუნებას უფრო ნაკლები დრო სჭირდება]
36. [ადრე პირიქით მეგონა]
37. [საქართველოს ნაპირს ადრე კლდე არ ჰქონია]
38. [კლდეები კუნძულებზეა]
39. [იმედია სწორედ მივფრინავ]
40. [ჩიტმა(=ქართველმა) იცის გზა]
41. [ნამდვილად სწორედ მოვდივარ]
42. [ეს რაღაც(=კლდე ან კედელი) ვერ დავინახე]
43. [რაღაცას(=კლდეს ან კედელს) მივასკდი]
44. [მარჯვენა ფრთა დავიზიანე]
45. [კლდეები იყო]
46. [მაგრამ საქართველოს ნაპირზე კლდეები არ არის]
47. [ეს ციხის კედლებია]
48. [რა მწარედ მეტკინა]
49. [დაბლა ვვარდები]

გამონათქვამები მიანიშნებენ თემაზე, რომელიც რომანის პოსტმოდერნული დისკურსის კორპუსს წარმოადგენს (კერძოდ გლობალიზაციაში ჩაბმა, სივრცეში გადაადგილება, სამშობლოს დატოვებისა და უკან დაბრუნების პრობლემა). მათში ის ფაქტები დასტურდება, რომლებიც საქართველოში რეალური სიტუაციის, ისტორიული მოვლენების ფონზე მიმდინარეობდნენ.

3.2. პროპოზიციათაშორისი კავშირები

პროპოზიციათაშორისი კავშირები სემანტიკური ხასიათის მიმართებებია, რომლებიც ძირითადად გადმოცემულია საკავშირებელი სიტყვების მეშვეობით (მაერთებელი კავშირები „და“, „მაგრამ“, „ოღონდ“; მაქვემდებარებელი კავშირები „რომ“, „იმიტომ“; მიმართებითი ნაცვალსახელი „ის“) და უკავშიროდაც. პროპოზიციებს შორის ასევე სახეზეა განმსაზღვრელი/დამაკონკრეტებელი (მსუქანი ჩიტი ქათამია), განმარტებითი (ჩვენ, ქართველები, ადრე ჩიტები ვყოფილვართ და დედამიწამ ისე მოგვიტყუა, როგორც ყველა სხვა ჩიტი, საკენკი დაგვიყარა, მოგვეფერა, მოგვიშინაურა და ქათმებად ქე არ გადაგვაქცია? [...]), იმპლიციტურად გადმოცემული, არარეალური სურვილის/ნატვრის აღმნიშვნელი (ეეეხ, ეს ამბავი ადრევე რომ მცოდნოდა. [...] ეს რო მცოდნოდა...) და კითხვა-პასუხის აღმნიშვნელი (ეს რა ფრთებია, ეს რა ხმა არის, რა ხმა ჰქონია ჰაერს? ჰაერს კი არა ჰქონია და ფრთის ტყლაშუნს) მიმართებები.

პროპოზიციები შეიცავს ნომინალურ სიტყვებსა*(ფრთები, ცივი და გემრიელი ჰაერი, მყაყე, ქართველები, ჩიტები, კლდე, გემი, წყალი, ცა, დედამიწა, საკენკი, ზღვა, საქართველო, კუნძული, გზა, კედელი, ერთგული ფრთები, ხელები, საქართველო, საჭმელი, საკენკი, ციხის კედლები და სხვ.)* და პრედიკაციებს *(ტყლა-*

შუნს ხმა ჰქონია, ჰაერი გათრობს, თავისთავად გამოდის, ახლა მივხვდი, შეუძლია აფრინდეს, ბევრი ვიწვალე, მიგვიტყუა მუქთა საკენკით, დრო სჭირდება, სწორედ მივდივარ, კედელს მივასკდი და სხვ.)

3.3. სამეტყველო აქტები

ტექსტის წარმოდგენილ სეგმენტებში სახეზეა დირექტიული, ასერტიული და ექსპრესიული სამეტყველო აქტების ურთიერთმონაცვლეობა.

ტექსტის ავტორი ცდილობს, შეტყობინების ადრესატებს გარკვეული ქმედებებისაკენ უბიძგოს (=დირექტიული სამეტყველო აქტები) და ამას აკეთებს ა) კონკრეტული შეკითხვების საშუალებით, თუმცა უმეტესობა კითხვებზე თვითონვე პასუხობს („რა ხმა ჰქონია ჰაერს? ჰაერს კი არა ჰქონია და ფრთის ტყლაშუნს.“ ან „მხარი ხო არ მეცვალა? [...] „ ან „რას მივასკდი? რაღაცას შევასკდი... ფრთა, ჩემი ფრთა“) და ბ) სახეზეა ავტორის სურვილი, რომ შეტყობინების ადრესატები მის თხოვნას თუ მოთხოვნას დაემორჩილონ („ყოველ ქართველს შეუძლია, დადგეს კლდის კიდეზე და კლდეების მეტი რა არის ჩვენთან, დაიქნიოს სამჯერ ხელები და აფრინდეს.

არაფერი ცოდნა არ უნდა. აფრინდება და გაფრინდება, იფრენს, რამდენიც უნდა. მთავარია, მოიფიქრო“).

ასერტიული სამეტყველო აქტებით ავტორი წარმოადგენს კონკრეტულ მტკიცებულებებს („აჰა, რას ვხედავ, რა მორკალული და ერთგული ფრთები მქონია. ყველაფერი კი თავისთავად გამოდის. ჰე-ჰეეი, ფრენას ცოდნა არ სჭირვებია, თავისთავად გამოდის. აი, საქმე. აი, რას გვიმალავდნენ ჩვენ, ქართველებს. ჩიტები ვყოფილვართ და გვიმალავენ. ჩვენ, ქართველები, ჩიტები ვყოფილვართ. [...] ამას მიმალავდნენ ამდენ ხანს და ახლა მივხვდი“).

ექსპრესიული სამეტყველო აქტით ავტორი გამოხატავს თავის პოზიციას კონკრეტული ფაქტისა ან მოვლენისადმი („ეს რო მცოდნოდა... რა ვიცოდი მე, რო საჭმელი არ უნდა ჭამო იმათი და დანარჩენი კი კარგად გამოვა ყველაფერი [...]).

3.4. იმპლიკატურები

ტექსტის წარმოდგენილ მონაკვეთში შემდეგი აზრია იმპლიცრებული:

- პირველი აბზაცის იმპლიკატურა: ქართველი თავისუფლების მოყვარეა და შეუძლია ლაღად ცხოვრება და თავისუფლებით ტკბობა.
- მეორე აბზაცის იმპლიკატურა: ძალიან მნიშვნელოვანია იცოდე სიმართლე და ადვილად დაძლევ ყველა პრობლემას.
- მესამე აბზაცის იმპლიკატურა: მთავარია ცხოვრებაში სწორ გზას არ გადაუხვიო და რეალობას ყოველთვის თვალი გაუსწორო.

3.5. რიტორიკული ტროპები და ფიგურები

ტექსტის წარმოდგენილ მონაკვეთში სახეზეა:

1. მეტაფორები:
   - [...] ჰაერს ხმა/გემო ჰქონია
   - ერთგული ფრთები
   - მუქთა საკენკი
   - ქართველი ჩიტია
2. ირონია:

ტექსტში არის მრავალი ირონიული განათქვამი, რაც ზოგადად ავტორის პოზიციის გამომხატველია, მათ შორის:

   - „ყოველ ქართველს შეუძლია, დადგეს კლდის კიდეზე და კლდეების მეტი რა არის ჩვენთან, დაიქნიოს სამჯერ ხელები და აფრინდეს. არაფერი ცოდნა არ უნდა. აფრინდება და გაფრინდება, იფრენს, რამდენიც უნდა. მთავარია, მოიფიქრო“.
   - მსუქანი ჩიტი ქათამია
   - „გაერიდე იმ მუქთა საკენკს და ისევ ისწავლი ფრენას შენ, ქათამო“.
3. ანაფორები:
   - „ეს რა ფრთებია, ეს რა ხმა არის, რა ხმა ჰქონია ჰაერს? [...]“
   - „ჰაერს გემო ჰქონია, ყველაზე კარგი გემო ჰქონია ცივსა და გემრიელ ჰაერს [...]“
   - „გაჰკვეთე ჰაერი, გაჰკვეთე და მიირთვი [...]“
   - „აი, საქმე. აი, რას გვიმალავდნენ ჩვენ, ქართველებს. ჩიტები ვყოფილვართ და გვიმალავენ. ჩვენ, ქართველები, ჩიტები ვყოფილვართ. [...] ამას მიმალავდნენ ამდენ ხანს და ახლა მივხვდი“.
4. ალეგორია:

თოლია ბუ ვისრამიანი-პროტაგონისტი სინამდვილეში ადამიანია, მთელი სანტა ესპერანსას დისკურსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტანტი, რომელიც მრავალ რვეულს გასდევს თან.

მთლიანად ტექსტში გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს ფონური სურათია.

5. ტექსტი, ასე ვთქვათ, რედუნდანტულია, ლექსიკური ერთეულების მრავალგზის გამეორებით განპირობებული:

   მაგ. ფრაზები „ქართველები ჩიტები ვყოფილვართ!“, „ქართველი ჩიტია!“
6. რიტორიკული შეკითხვები:
   - „იქ კიდევა, იმ მყაყეში, სად არი ასეთი ჰაერი?“
   - „რა უბედურებაა, რა უნდა ქართველს წყალში?“
   - „მოგვიშინაურა და ქათმებად ქე არ გადაგვაქცია?“
   - „სად იყო კლდიანი ნაპირი ჩვენთან?“
   - „მარა იქედან სად იყო კლდე?“

4. ტექსტის წარმოდგენილი მონაკვეთის სინტაქსური სტრუქტურა

ფრეიმები, დეიქტური ნაცვალსახელების გამეორებები, ასევე თანდებულები კითხვით-ძახილით წინადადებებში, შორისდებულები, წყვეტილი „მრავალწერტილიანი“ წინადადებები დამახასიათებელია ციტირებული ტექსტის ნაწყვეტისთვის. ტექსტისთვის დამახასიათებელი სინტაქსური ფორმა არის ელიპსი. ტექსტის სეგმენტებში ხშირად, დროისა და ადგილის გარემოებითი, მიმართებითი წინადადებების პარალელიზმი. ტექსტისთვის დამახასიათებელია ასევე თავისუფალი პუნქტუაცია.

ექსპრესიული წყვეტილი, შორისდებულებით გაჯერებული ელიფსური წინადადებები:

- „სიუხვით გათრობს“ – იგულისხმება ჰაერი
- „არაფერი ცოდნა არ უნდა“ – იგულისხმება ფრენა
- „ახლოს ყოფილა, ხო იცი... რა ახლოს ყოფილა და რამსიშორეს მეგონა“ – იგულისხმება საქართველო
- კედლები იყო, ციხის კედ... უხხხ... ა, აა, კიდეა ა... უუუუჰ... რა მწარე ყოფილა... დამსვი სადმე... დამსვი სადმე... რა მჭირს ეს, დაბლა მივდ... რა უნდა მომხდარიყო, ასე... არაااااااااااااა... დგ... – იგულისხმება პროტაგონისტის დაღუპვა, ფრენის/სიცოცხლის დასასრული.

5. დასკვნა

ჩვენ მიერ გამოყოფილი ლექსიკური ერთეულები ჩვენ დავაჯგუფეთ ისეთ ლექსიკურ ველებად, როგორიცაა ემოციების ველი, ლოკაციების ველი, დაპირისპირების ველი და სხვ. საყურადღებოა, რომ საკუთარი სახელების კატეგორიაში თითქმის მხოლოდ (ისევ ფუკოს თუ დავესესხებით) აქტანტები და ლოკაციები გვაწვდიან ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდებოდა 90-იანი წლების კონფლიქტის დისკურსში ემიგრაციის პროცესის დაწყება. ანალიზი გვაჩვენებს, რომელია ის ხმები (Stimmen), ისეთი სიტყვები, როგორიცაა შეფასების მქონე ლექსემები და ემოციურად დატვირთული სიტყვები, რომლებიც ამ დისკურსს ქმნიან და ცოდნის კონსტრუირებას ახდენენ სანტა ესპერანსას გარშემო მიმდინარე მოვლენათა შესახებ. გაანალიზებული ტრანსტექსტუალობის, ლექსემების და პროპოზიციების საფუძველზე ცალკეული ტექსტი აღიქმება როგორც სანტა ესპერანსას პოსტმოდერნული დისკურსის ნაწილი, რადგან იგი მიანიშნებს სხვაზე, რაც უკვე წაგვიკითხავს რომანის სხვა რვეულებში, რომელთა ტექსტების სამყარო ერთიან ცოდნის კომპლექსსა და, ამრიგად, დისკურსის გამაერთიანებელ ეპისტემურ კონტექსტუალიზაციას ეფუძნებიან. პროპოზიციები მიანიშნებს თემაზე, რომელიც რომანის პოსტმოდერნული დისკურსის კორპუსს წარმოადგენს (კერძოდ გლობალიზაციაში ჩაბმა, სივრცეში გადაადგილება, სამშობლოს დატოვებისა და უკან დაბრუნების პრობლემა). მათში ის ფაქტები დასტურდება, რომლებიც საქართველოში რეალური სიტუაციის, ისტორიული მოვლენების ფონზე მიმდინარეობდნენ.

ლიტერატურა:

ბარტი 2000: R. Barthes, Tod des Autors, In: Fotis, Janidis (Hg): *Texte zur Theorie der Autorschaft,* Stuttgart, 185-193.

ბუსე 1991: D. Busse, Textinterpretation, Sprachtheoretische Grundlagen einer explikativen Semantik, Westdt. Verl., Opladen.

ბუსე 2007: D. Busse, Diskurslinguistik als Kontexualisierung: Methodische Kriterien. Sprachwissenschaftliche Überlegungen zur Analyse gesellschaftlichen Wissens, In: Ingo Warnke (Hrsg.*): Diskurslinguistik nach Foucault. Theorie und Gegenstände (= Linguistik – Impulse und Tendenzen 25),* de Gruyter, Berlin / New York, 81-105.

ბუსე 2014: D. Busse, *Sprachverstehen und Textinterpretation. Grundzüge einer verstehenstheoretisch reflektierten interpretativen Semantik,* Springer VS (SpringerLink: Bücher), Wiesbaden.

ლიბერტი 1994: W.-A. Liebert, Das analytische Konzept "Schlüsselwort" in der linguistischen Tradition. Arbeiten aus dem Sonderforschungsbereich 245 "Sprache und Situation", Heidelberg/Mannheim.
http://www.psychologie.uni-heidelberg.de/institutsberichte/SFB245/SFB083.pdf.

ფიქსი 2008: U. Fix, Zugänge zu Textwelten. Linguistisch-literaturwissenschaftliche Möglichkeiten, in die Geschlossenheit eines Erzähltextes einzudringen, In: *Texte und Textsorten – sprachliche, kommunikative und kulturelle Phänomene,* Frank&Timme, Berlin. S. 379-415.

როზე 2006: M. A. Rose, *Parodie, Intertextualität, Interbildlichkeit,* Bielefeld.

ვარნკე/შპიცმიულერი 2011: I. H. Warnke & J. Spitzmüller, *Diskurslinguistik. Eine Einführung in Theorien und Methoden der transtextuellen Sprachanalyse*, de Gruyter, Berlin/New York.

შპილნერი 1995: B. Spillner, Stilsemiotik, In: G. Stickel (Hg.), *Stilfragen*, Berlin, 62-93.

ქეცბა-ხუნდაძე 2012: L. Kezba-Chundadse, Rauminszenierung im georgischen postmodernistischen Diskurs am Beispiel des Romans Santa Esperanza von Aka Morchiladze, In: Nadine Rentel/Elisabeth Venohr (edd.): *Text – Brücken zwischen den Kulturen,* Festschrift zum 70. Geburtstag von Bernd Spillner, Peter Lang, 331-350.

ჰერმანსი 1994: F. Hermanns, Linguistische Anthropologie. Skizze eines Gegenstandsbereiches linguistischer Mentalitätsgeschichte, In: D. Busse, F. Hermanns, W. Teubert (Hgg.): *Begriffsgeschichte und Diskursgeschichte. Methodenfragen und Forschungsergebnisse der historischen Semanti,* Westdeutscher Verlag, Opladen, S. 29-59.

ჰუმბოლდტი 1995/1836: W. von Humboldt, H. Steinthal, C. Hutton, *Über die Verschiedenheit des menschlichen Sprachbaues* (History of linguistics. 18th and 19th century German linguistics, 5), Routledge-Thoemmes Press, London.

საანალიზო ტექსტი/პირველადი ლიტერატურა

მორჩილაძე 2006: A. Mortchiladze, *Santa Esperanza,* Ein Kosmos aus vielen Romanen, Coverillustrationen: Aka Mortchiladze, Pendo Verlag GmbH &.KO, München und Zürich.

მორჩილაძე 2008: ა. მორჩილაძე, *სანტა ესპერანსა* [რომანი], მე-2 გამოცემა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი.

Lali Kezba-Chundadse

Text- und Diskursanalyse aus der Perspektive der epistemischen Kontextualisierung

(am Beispiel der Erzählung "Die Möwe Bu - Visramiani auf dem Heimweg" aus dem Roman Santa-Esperanza von Aka Mortshiladze)

Zusammenfassung

Als Grundlage der Textproduktion und Rezeption gilt die Textwelt (als Konstellation des Wissens). Sie enthält die Bedeutungen, die auf der Textoberfläche durch Wörter und ihre syntaktische Bezogenheit geäußert werden sowie durch das alltägliche Weltwissen, das im Kontext der erwähnten Ereignisse, Situationen, Umstände und Sachverhalte vom Autor/ Produzenten und dem Leser/Rezipienten bzw. Interpretanten aktualisiert wird.

So wurde am Beispiel der Analyse einer Erzählung aus dem Roman "Santa Esperanza" von Aka Mortshiladze gezeigt, dass der einzelne Text ein Bestandteil der kommunikativen Prozesse, der Zeit und der "epistemen Situation" (nach D. Busse) oder des Diskurses ist, in dem die sprachlichen Zeichen immer als Zeichen funktionieren und auf diejenigen Prozesse der Aktivierung des Wissens verweisen, von denen der Produzent und der Rezipient angeregt und/oder veranlasst wurden, diese Zeichen eben in dieser Ordnung zu formulieren und das Verstehen mit dieser kommunikativen Artikulation im Kontext zu verwirklichen.

Es wurde versucht, die impliziten epistemen Elemente zu erforschen, die im Prozess der Rezeption einer Erzählung aus dem ganzen Roman, ihre semantische und konnotative bzw. stilistische Struktur bedingen. Dafür wurde die Analyse ihrer transtextuellen und intratextuellen Strukturen durchgeführt.

Der georgische Roman "Santa Esperanza" von Aka Mortshiladze in der deutschen Übersetzung von Natia Mikeladze-Bachsoliani stellt einen Textkorpus des postmodernen Diskurses dar, in dem zunächst globale Zusammenhänge und Aufeinanderbezogenheit der Textnetze (dargestellt durch zahlreiche Heftchen mit verschiedenen Kurzgeschichten) innerhalb der transtextuellen Strukturen festgestellt wurden.

Selbst das Leitthema "Aufbruch, Flucht, Rückkehr" verweist intertextuell auf die Texte Kafkas und anderer europäischer Autoren. Die Rückkehr ist im Diskurs von Santa Esperanza als soziokultureller Kontext integriert: Texe und ihre Teile, Gedankengang, affektive Konnotationen der Ideologeme des Eigenen und des Fremden stellen epistemische Rahmen der Kontextualisierung bzw. der Kontexte der Äußerungen dar, die während der Interpretation berücksichtigt wurden. In transtextuellen Strukturen und ihren Aktanten wurde die extreme Abhängigkeit der multinationalen Bevölkerung der zauberhaften, fingierten Textwelt des Archipels Santa Esperanza im Schwarzen Meer vom nationalen Bewußtsein, Traditionen und Autoritäten festgestellt und zwar in ironischen Konnotationen, in Anspielungen auf die reale Situation in Georgien.

Da die transtextuelle Analyse eines fiktionalen Textes nicht nur auf einer Ebene durchgeführt werden kann, wurde bei der Analyse ein interdisziplinäres diskurslinguistisches Vorgehen benötigt. Durch die Analyse der Komponenten der visuellen Struktur

wie Materialität, Typographie und Piktoralität (Bild-Text-Relation) wurde die transtextuelle Struktur festgestellt. Zitate aus verschiedenen Texten, Literaturen, Epochen und ihre Rekombination, extra- und intratextuelle Bezüge auf vorher existierende Prätexte, die zum literarischen Kanon gehören sowie georgische Legenden, Märchen und Übersetzungen der orientalischen Texte, die in die georgische Literatur eingeflossen sind, weisen explizit auf die intertextuellen Bezüge hin, von denen einige analysiert wurden.

Die transtextuelle Relation der Hefte mit relativ unabhängigen und geschlossenen Geschichten in einzelnen Texten wurde in einem Protagonisten "Bu-Visramiani", Referenzfigur/Akteur manifestiert und als eine wichtige Voraussetzung der Kontextualisierung im Text und Diskurs beschrieben.

Die intratextuelle Analyse wurde auf den dynamischen Faktoren der Arbeit an und mit einem Text gestützt und durch das Wissen, die Wissenssysteme des Rezipienten bzw. des Interpretanten bestimmt. Für die Exemplifikation dieser theoretischen Ansätze wurde ein Kurztext als "Ausschnitt aus dem Diskurs" (nach D. Busse) analysiert. Aus der semantischen Perspektive wurde mit dem neuen Mehrebenen Modell von Warnke/ Spitzmüller (DIMEAN) gearbeitet, orientiert auf die Ebenen der Wörter, der Propositionen und des Textes.

Durch die Analyse der Wörter auf der intratextuellen Ebene wurden die konnotativen und kontextuellen Bedeutungen im Diskurs der Globalisierung, Emigration und der Rückkehr in die Heimat festgestellt.

Die Erforschung der Kontextualisierung der Wörter wurde im ausgewählten Text auf der innertextuellen Ebene durchgeführt. Dominant sind hier die Bedeutungen und Funktionen der Wörter im Kontext des inneren Konflikts des sich auf dem Rückflug befindenden Aktanten. Die Wörter weisen emotional-expressive Bedeutungen der Hauptthemen, Probleme, Ideen und des Zeitgeistes auf. Sie üben daher die Funktion der Kontextualisierung im Ganzen des Diskurses aus, indem sie auf der innertextuellen Ebene eine intertextuelle Funktion ausüben.

Analyse von Propostionen wurde nach folgenden Kategorien durchgeführt: Sprechakte, Implikaturen, Präsuppositionen, Frames, rhetorische Figuren und Tropen, syntaktische Strukturen, Redundanz von deiktischen Pronomen, Interjektionen, Ellipsen, Parallelismen und expressive Zeichensetzung. Die Aussagen wurden gruppiert als Felder der Emotionen und der Lokationen in der inneren Reflexion des fliegenden Aktanten. Sie verweisen auf das Hintergrundwissen der Geschichte, auf die Informationen der realen Konflikte – Kriege der neunziger Jahre in Georgien. Emotional geladene und einschätzende Lexeme konstruieren dieses Wissen (als "Stimmen") in Bezug auf geschilderte Ereignisse im konkreten Text sowie im ganzen Diskurs des Romans, der ein postmodernes Korpus von einzelnen Kurztexten mit den dominierenden Themen von Einbettung des Aktanten in die Globalisierung und deren Folgen darstellt.

Die Textwelt der zu analysierenden Kurzerzählung wird durch die epistemische Kontextualisierung spezifiziert und durch ein einheitliches Wissenskomplex im Diskurs des postmodernen Romans Santa-Esperanza mit anderen Bestandteilen zusammengefügt.

რამაზ ქურდაძე

სურამის ეტიმოლოგიისათვის

სურამის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. პროფ. ნ. ლომოური შრომაში „კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", ცნობები საქართველოს შესახებ" – იბერიის ქალაქებისა და სოფლების სახელების განხილვისას ყურადღებას ამახვილებს „სურა" სახელწოდებაზე. მკვლევრის აზრით, „სურა" შესაძლოა ახლანდელ სურამს დაუკავშირდეს (ლომოური 1955:46, 59). სხვა მოსაზრებით, სურამი მომდინარეობს „სირიუმიდან", რომელიც რომაულ-ბერძნულ წყაროებშია დადასტურებული (გოგოლაძე 1970: 5; ლაცაბიძე 1981). სურამის ეტიმოლოგია დაკავშირებულია სიტყვა „სურმასთანაც" (ქურდაძე 2001:11-12).[1]

აკადემიკოს ს. ჯიქიას აზრით, *სურამ* სპარსული Sohrāb საკუთარი სახელის კანონზომიერად გადმოქართულებული ფორმაა. ამავე მოსაზრების მიხედვით *სურამ-ი* და *ზურაბ-ი* ერთი და იმავე სპარსული (Sohrāb) საკუთარი სახელიდან მომდინარეა, თუმცა ისინი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით შემოსული ფონეტიკურად სახეცვლილი საკუთარი სახელებია. ავტორი აღნიშნავს, რომ *ზურაბის* სახით ეს სახელი დღესაც გავრცელებულია, თუმცა ძალზე იშვიათად *სურამსაც* ადასტურებს საკუთარ სახელად. ამავე ვარაუდით სურამის ციხის ლეგენდის მთავარი გმირის სახელი *სურამი* უნდა ყოფილიყო, რომელიც ციხესაც და მასთან მიმდებარე დასახლებულ პუნქტსაც დარქმევია (ჯიქია 1960:2-4, ჯიქია 1984:172-173).

სურამის ეტიმოლოგიის შესახებ ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. ვფიქრობთ, ტოპონიმ სურამის ჩამოყალიბება იმგვარადვე უნდა მომხდარიყო, როგორც სხვა რიგი ქართული ადგილსახელებისა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს წარმოების ერთგვარი წესი, რომელიც გარკვეულ ქართულ ტოპონიმებში გვხვდება. ეს არის ძირი+სუფიქსი. ამ წესის დემონსტრირებისა და *სურამ* ტოპონიმის მნიშვნელობის გაგებისათვის, ჩვენი აზრით, საინტერესოა ტოპონიმ *სურების* ანალიზი. მით უმეტეს, რომ ეს ტოპონიმი *სურამს* სწორედ ერთი შემადგენელი ნაწილის, **სურ**-ის, მიხედვითაც უკავშირდება.

ტოპონიმი *სურები* გურიაში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების სახელწოდებებში გვხვდება: *ზემოსურები, შუასურები,* ყოფილი *ქვემოსურები, ტობახჩა-თავსურები.* ეს სოფლები სურების მთებშია გაშენებული.

[1] საბას განმარტებით სურმა: „სხვათა ენაა, მოსაჭდომს სურმას ქართულად საოლავი ეწოდების…"; ხოლო საოლავს კი საბა „თვალის სურმას" უწოდებს (საბა 1928).

ტოპონიმ სურებში გამოყოფენ მრავლობითობის -ებ სუფიქსს და **სურ**-ს, რომელსაც წყლის აღმნიშვნელად მიიჩნევენ. მაშასადამე, სურები ნიშნავს წყლებს (ჭუმბურიძე 1982:241). თუმცა ნაშრომში მკვლევარს არ მიუთითებია, თუ რომელ ენაში უნდა ნიშნავდეს *სურ* წყალს. ამრიგად, აქ ადგილსახელების წარმოების ერთგავრი წესია: ძირი+სუფიქსი.

ვფიქრობთ, იგივე *სურ* ძირი უნდა გვქონდეს ტოპონიმ სურამშიც და აქაც წყალს უნდა ნიშნავდეს, ოღონდ ამჯერად ადგილსახელი *-ამ* სუფიქსითაა ჩამოყალიბებული. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიც წყლებს ან წყლიან ადგილს უნდა ნიშნავდეს ტოპონიმი სურამი? ამ კითხვას დადებითი პასუხი გაეცამა მაშინ, თუ *-ამ* სუფიქსის მნიშვნელობა იქნება ნათელი.

ქართულში არაა ცნობილი ამ ტიპის სუფიქსი, თუმცა სხვა ქართველურ ენაში, მეგრულში დასტურდება *-ამ* სუფიქსი, რომელიც ქონების სახელების აღმნიშვნელია: ჩილ-ამი[2] „ცოლიანი", ფარ-ამი „ფულიანი", ჯუმუ-ამი „მარილიანი" და სხვ. (Кипшидзе 1914:0125). სხვა აფიქსებთან შედარებით *-ამ* სიფიქსი პროდუქტიულია თანამედროვე მეგრულში (ცხადაია 2010:443-444).

თუ **სურამ** ტოპონიმში **-ამ** სუფიქსის ამ მნიშვნელობას ვიგულისხმებთ, გასაგები გახდება ტოპონიმ სურამის მნიშვნელობაც,[3] კერძოდ, ისიც წყლებს ან წყლიან ადგილს აღნიშნავს. სტრუქტურულადაც **სურამი** და **სურები** ერთგვარი წარმოებისანი გამოდიან:

ძირი	სუფიქსი	ბრუნვის ნიშანი
სურ	-ებ	-ი
სურ	-ამ	-ი

იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ენებში აღნიშნავს ეს ძირი წყალს, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა თურქული ენები. კერძოდ, სიტყვა SU „წყალი" დასტურდება თურქულ ენათა ოჯახის 40-მდე ერთეულში სხვადასხვა ვარიანტით (SU < SUĞ < SUB < SUV < SUW). მათგან Su დასტურდება თურქულში, აზერბაიჯანულში, თათრულსა და უიღურულში; Suv კი – ყაზახურში, უზბეკურსა და თურქმენულში; Suğ – ყუმუხურში; Suw– ყირგიზულში და სხვ. (გიულენსოი 2011:811).

---

[2] იოსებ ყიფშიძე ამ ტიპის სახელებში გამოყოფს -ამი სუფიქსს: *ჩილ-ამი „ცოლიანი"*, თუმცა მასში სახელობითი ბრუნვის ნიშანი –ი უნდა გამოცალკევდეს.

[3] *-ამ* სუფიქსი სხვა ტოპონიმებშიც გვხვდება: სურამის სადაბო თემში შემავალი დიდი და პატარა *ბეკ-**ამ**-ი,* კასპის მუნიციპალიტეტში – *ოკ-**ამ**-ი*, კასპის მუნიციპალიტეტშივე – მდინარის სახელი *თეძ-**ამ**-ი.* არ არის გამორიცხული აქაც *-ამ* სუფიქსს მქონებლობის მნიშვნელობა ჰქონდეს. თუმცა ამ ტოპონიმთა და ჰიდრონიმის მნიშვნელობანი ცალკე კვლევის საგანია.

ჩვენს საანალიზო *სურ* ძირთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი თავიანთ ფუნდამენტურ ნაშრომში „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“ ინდოირანულ კულტურაში ასახელებენ საღვთო რიტუალებისათვის განკუთვნილ დამათრობელ სასმელებს ***სომას*** და ***სურას*** და ორივესათვის საერთო წარმომავლობას ვარაუდობენ: «Названия обоих этих напитков образованы от индоевропейского корня *seu̯-/*su- в первоначальном значении ‘выжимать (жидкость)’, ‘давить сок’, ‘выгонять’...». ამავე ელემენტებს ცოტა ქვემოთ საერთო ინდოევროპულისათვის წვიმის, უფრო სწორად, წვიმის გამომწვევი ზმნისათვის აღდგენილ ძირებად ასახელებენ: «Общеиндоевропейское название ‘дождя’ или скорее глагол, обозначающий ‘вызывание дождя’, восстанавливается в виде основы *seu̯/*su (в первоначальном значении ‘выжимать’, ‘выдавливать’, см. выше, стр. 653). ‘Вызывание дождя’ мыслится тем самым как ‘выжимание, выдавливание (воды)’ некоторым активным началом – божеством...» (Гамкрелидзе, Иванов 1984:653, 679).

ამრიგად, *სუ* წყალს უკავშირდება. აქვე დასახელებულია *სურა-ც,* რაც დამათრობელ სასმელს ნიშნავს, თუმცა ასახსნელია ამ ძირში რ-ს გაჩენის საკითხი.

ძალზე საყურადღებო მასალას ვხვდებით მაქს ფასმერის რუსული ენის ეტიმოლოგიურ ლექიკონში. აქ უკვე მთლიანად *სურა* სიტყვა (და მისი ფონეტიკური ვარიანტები) გვევლინება წყლის აღმნიშვნელად, კერძოდ, ეს სიტყვა მდინარის შენაკადსა და მდინარესაც კი აღნიშნავს რუსეთის სხვადასხვა რეგიონში: **«Сурá** – приток Пинеги, в бывш. Арханг. губ.; название нескольких притоков Днепра, в бывш. Екатериносл. губ.; река в [бывш.] Гороховецк. у. Владим. губ.; река в бассейне Вятки; крупный правый приток Волги. Последний носит сл. названия: мар. Šur (Вихман, ТТ. 99), морд. э. Suro, Sura, морд. м. Surǎ (Паасонен, Mordw. Chrest. 131). Название этой реки, возм., иноязычного происхождения. Общую этимологию для первых четырех случаев, даже с условием привлечения и.е. материала, едва ли можно выдвигать**.** Ср. ***Суро́вый, сыро́й.»*** (Фасмер 1971).

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მასალა ცხადყოფს *სუ*-ს, *სურ*-ის და *სურა*-ს სითხესთან, წყალთან დაკავშირებას. შესაძლებელია, სწორედ ამ სიტყვებს უკავშირდებოდეს ქართულ ადგილსახელებში: *სურების* და *სურამის* შემადგენელი ნაწილი *სურ,* ხოლო შემდეგ ეს ტოპონიმები ქართული და ქართველური სუფიქსებით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, *სურები* მრავლობითობის ქართული *-ებ* სუფიქსით, ხოლო *სურამი -ამ* მქონებლობის აღმნიშვნელი სუფიქსით, რომელიც ამ მნიშვნელობით დღესაც აქტიურად გამოიყენება მეგრულში.

ლიტერატურა:

გოგოლაძე 1970: გ. გოგოლაძე, „ხაშურის რაიონი: გზამკვლევი“, 1970.

გიულენსოი 2011: *Türk Dil Kurumu Yayınları, Türkiye Türkçesindeki Türkçe Sözcüklerin Köken Bilgisi Sözlüğü, Etimolojik Sözlük Denemesi* , II, (O-Z) Prof. Dr. Tuncer Gülensoy, 2. Baskı, Ankara.

ლაცაბიძე 1881: თ. ლაცაბიძე, „ხაშურის რაიონის წარსულიდან“, 1981.

ლომოური 1955: ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ქურდაძე 2001: შ. ქურდაძე, სურამი, წიგნში: შ. ქურდაძე, *„დაუვიწყარი გაკვეთილები“,* გამომცემლობა „ქართლი“, გორი.

საბა 1928: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, გამომცემლობა „ქართული წიგნი“, ტფილისი.

ჭუმბურიძე 1982: ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“, გამომცემლობა „განათლება“, თბილისი.

ჯიქია 1960: ს. ჯიქია, აღმოსავლური წაროშობის სიტყვათა ისტორიიდან, I, *ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები, აღმოსავლურ ენათა სერია,* ტ. III, საქართველოს სსრ მენიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

ჯიქია 1984: ს. ჯიქია, აღმოსავლური წაროშობის სიტყვათა ისტორიიდან, II, *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია,* 4, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.

Кипшидзе 1914: И. Кипшидзе, *Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем*,Типография Императорской Академии Наук, С-Петербург.

ცხადაია 2010: თ. ცხადაია, ქონების აღმნიშვნელი სახელები, წიგნში: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, *„მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“*, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი.

Гамкрелидзе, Иванов, 1984: Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, *Индоевропейский язык и Индоевропейцы. Реконструкция и историко-типологический анализ праязыка и протокультуры* (с предисловием Р. О. Якобсона), Т. II, Издательство Тбилисского университета, Тбилиси.

***Фасмер 1971*:** М. Фасмер, *Этимологический словарь русского языка*, Перевод с немецкого и дополнения О. Н. Трубачева, Том III (Муза-Сят), издательство «ПРОГРЕСС», Москва.

Ramaz Kurdadze

On the Origin of “Surami”

Summary

This paper discusses the origin of the toponym *“**Surami**”*. Based on the theoretical literature dedicated to the issue, it is proposed that this toponym presents the case similar to another toponym*“**Surebi**”,* which consists of the root ***“Sur”*** and the plural suffix*“**-eb**”*.

It is proposed that the toponym *"**Surami**"* also contains the root *"Sur"* and the suffix ***"-am"*** which denotes possession in Megrelian. I agree with the theory that ***"Sur"*** is not of Georgian origin and means 'water'. Therefore, it is claimed in the paper that both ***"Surami"*** and ***"Surebi"*** mean water(s) or watery places. The formation of both toponyms follows a similar rule:

Root	Suffix	Case marker
Sur	-eb	-i
Sur	-am	-i

Besides ***"Surami", "-am"*** suffix can be found in other Georgian toponyms, namely in the names of villages in the community of Surami: ***"Didi Bek'-am-i"*** and ***"P'at'ara Bek'-am-i";*** also in the name of the village of ***"Ok'-am-i"*** located in the municipality of Kaspi and in the river's name of ***"Thedz-am-i"***, located in the same municipality. Supposedly, the suffix ***-am*** also denotes possession in all the above cases, but the origins of these place names and the name of the river must be studied separately.

ენათმეცნიერების ისტორიიდან

ლეონიდ ჩეკინი და მისი თარგმანი

ლეონიდ ჩეკინი დაიბადა 1960 წელს მოსკოვში. იგი საინტერესო პიროვნებაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი და გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორია, არამედ იმიტომაც, რომ მას, ერთი შეხედვით, ერთმანეთთან ძნელად დასაკავშირებელი კვლევის სფეროები აქვს: გერმანული ფილოლოგია და გეოგრაფიული წარმოდგენები კარტოგრაფიაში. ლ. ჩეკინის სადოქტორო დისერტაცია სწორედ ამ თემას ეხებოდა – „ჩრდილოეთის სახე ევროპული შუასაუკუნეების კარტოგრაფიაში. გეოგრაფიული კვლევის დასაწყისი რუსეთის ევროპული ნაწილის, სკანდინავიისა და არქტიკის კარტოგრაფირებაში“. ვატიკანის ბიბლიოთეკასა და დასავლეთი ევროპის სხვა ბიბლიოთეკებსა და არქივებში მან სპეციალურად შეისწავლა შუასაუკუნეების კარტოგრაფიული წყაროები; შეცვალა შუასაუკუნეების ყველაზე ადრეული რუკის დათარიღება (Vat. Lat. 6018); იკვლია ხაზარეთის ისტორიის წყაროები და, ყველა არსებული ისტორიული წყაროს შეჯერების საფუძველზე, გააანალიზა უძველესი ცნობა იუდეველობაზე ხაზართა გადასვლის შესახებ. იმავდროულად იკვლევდა ბიზანტიისა და დასავლეთი ევროპის მისიონრებს მეცხრე საუკუნის ჩრდილოეთ ევროპაში. ჩეკინმა აჩვენა კავშირი ადრეული შუასაუკუნეების მისიონერთა გეოგრაფიულ და ესქატალოგიურ წარმოდგენებს შორის.

1999 წელს ლ. ჩეკინმა გამოაქვეყნა წიგნი VIII-XIII საუკუნეების ქრისტიანული შუასაუკუნეების კარტოგრაფიაზე, რომელიც გაფართოებული, ხუთასგვერდიანი ნაშრომის სახით დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე 2006 წელს: “Northern Eurasia in Medieval Cartography: Inventory, text, translation, and commentary”, Turnhout: Brepols. წიგნში გაანალიზებულია 198 დასავლეთევროპული და ბიზანტიური რუკა. ისინი შეიცავენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას სკანდინავიის, აღმოსავლეთი ევროპის, რუსეთისა და შუა აზიის შესახებ. ამჟამად ლეონიდ ჩეკინი ნორვეგიის არქტიკული უნივერსიტეტის სამუშაო ჯგუფის – „რუსული სივრცე: კონცეფციები, პრაქტიკა და რეპრეზენტაციები“ – წევრია.

ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომების გარდა ლეონიდ ჩეკინი თარგმნის შვედურიდან და სხვა სკანდინავიური ენებიდან. რუსეთში მან პირველმა გამოაქვეყნა გამოკვლევა გრენლანდიის ლიტერატურაზე და სხვა მთარგმნელ-შემდგენლებთან ერთად შექმნა მხატვრული ნაწარმოებების კრებული „შორეული კუნძულის ხმა“ (1988). ამჟამად იგი რუსულად თარგმნის რასმუს რასკის ნაწერებს დანიის ხელოვნების ფონდის (“Statens Kunstfond”) ფინანსური მხარდაჭერით. გასაკვირი არ არის, რომ გერმანული ფილოლოგიისა და კარტოგრაფიის მკვლევარი, სკანდინავიური ენების მცოდნე რასმუს რასკის ნაწერების თარგმნით დაინტერესდა. ჩვენი

თხოვნით, ლეონიდ ჩეკინმა ცალკე ამოიღო რასმუსკ რასკის ჩანაწერებიდან ქართული ენის წარმოშობის, სხვა ენებთან მისი კავშირისა და თბილისში მოგზაურობის დროს გაგზავნილი წერილიდან ნაწყვეტები, რომელიც დაურთო თავის წერილს „რასმუსკ რასკი საქართველოში“ და გვთავაზობს გასაცნობად და სამსჯელოდ. რა თქმა უნდა, რასმუს რასკის მოსაზრებები ქართული ენის შესახებ და მისი შეფასებები აქაურ მოგზაურობაზე ახლა მხოლოდ ისტორიული ღირებულებისაა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, მკითხველი მაინც იპოვის არაერთ საგულისხმო ინფორმაციას.

თინათინ ბოლქვაძე

Леонид Чекин

РАСМУС РАСК В ГРУЗИИ

С приложением дневниковых записей за 1819-1820 гг.
и письма Расмусу Нюэрупу от 9 января 1820 г.

Специальных работ на тему «Раск и Грузия» мне не известно, но путешествие великого датского лингвиста в Тифлис является одной из основных сюжетных линий романа Ханны-Марии Свеннсен «Рудименты Р» (Svendsen 2009). Хотя книга Свеннсен не является научной биографией (сама писательница определила ее как «свободную фантазию», основанную на исследовательских трудах, дневниковых записях и письмах Раска), писательница верно уловила настроение Раска в один из лучших периодов его трудной жизни, когда он еще не знал пределов своим силам и возможностям и когда он, казалось, стоял на пороге величайших лингвистических открытий и обобщений.

Работу над прославившим его «Исследованием о происхождении древнескандинавского или исландского языка», одним из основополагающих текстов индо-европейского языкознания, Расмус Кристиан Раск (1787-1832) закончил уже в 1814 г. Публикация исследования в начале 1818 г. принесла Раску звание профессора, хотя и без соответствующей должности, и датскую королевскую стипендию, позволившую ему осуществить экспедицию в Южную Азию. Выехав в конце февраля 1818 г. из Швеции в Финляндию, прибыв в конце марта в Петербург и проведя там более года, он затем проехал через Москву, Коломну, Рязань, Тамбов, Сарепту, Астрахань и Моздок. Четырехмесячным пребыванием в Грузии (ноябрь 1819 – март 1820 гг.) Раск завершил свое длительное знакомство с языками и лингвистической наукой Российской империи, откуда он далее отправился в Персию, Индию и на Цейлон.

От занятий Раска грузинским языком сохранились выписки и черновые наброски, часть которых была опубликована посмертно (о единственной прижизненной публикации будет сказано ниже, в конце данной вступительной заметки). Самая ранняя рукопись, датирующаяся началом 1819 г., включает среди прочего выписки грузинских слов из неопубликованной статьи Х. Х. Стевена «Idées sur la population du Caucase et sur l’origine des Georgiens», кото-

Расмус Кристиан Раск. Гравюра в книге: *Edda Sæmundar hinns fróða, collectio carminum veterum scaldorum Sæmundiana dicta*, quam ex recensione Erasmi Christiani Rask curavit Arv. Aug. Afzelius, typis Elmenianis, Holmiae, 1818. На вклейке между титульным листом и введением.

рую тот представил в Академию наук в 1815 г. К выпискам из Стевена Раск делал собственные дополнения.[1] Эта рукопись Раска пока не публиковалась, так же и более поздние заметки (1820-1823 гг., не ранее нач. 1820 г.), включающие грузинские фонетические, лексические и грамматические материалы.[2]

Из посмертно опубликованных трудов следует назвать список грузинских слов в конце наброска «Исследование о родстве древнескандинавского или исландского языка с азиатскими наречиями», написанного в Тифлисе в конце 1819 г.[3] Как предполагал издатель, Л. Ельмслев, набросок, в котором Раск изложил сведения об изученных во время поездки языках и сообр ажения об их взаимосвязи, планировался в виде нового заключительного раздела его «Исследования о происхождении древнескандинавского или исландского языка» (Rask 1932-1937:175). Для грузинских слов из своего списка Раск предложил тюркские и финно-угорские соответствия. Например, для слова kva (ქვა, камень) подобраны венг. kő, фин. kivi, морд. kyev. Как объяснил Ельмслев (Rask 1932-1937: 201), эту и другие транслитерации (mta, მთა; kheli, ხელი) Раск позаимствовал из неопубликованной статьи Стевена, из которой он делал выписки в начале 1819 г., предпочтя такую транслитерацию передаче ქვა как khwa в книге Клапрота о кавказских языках (у Клапрота кроме сванской, грузинской и мегрельской форм есть также остякские и вогульские, т.е. хантыйские и мансийские параллели, см. Klaproth 1814:268).

Для Раска эти соответствия подтверждают отнесение грузинского языка к «скифской» общности, которая, согласно его классификации, объединяет также финно-угорские, самодийские, эскимосские, тунгусо-маньчжурские, монгольские, тюркские, баскский и другие языки (эту общность Раск назвал «скифской» по причине древности, широты и неопределенности термина, который в его время пока не связывался с восточно-иранскими языковыми свидетельствами). О том, что грузины являются «старейшим скифским племенем в этих краях», т.е. на Кавказе, он писал еще в письме П. Э. Мюллеру от 11 июня 1818 г. (*Breve...* 1941 I:315). Раск продолжал называть грузинский среди «скифских» языков, совершенствуя свою классификацию в дальнейшей переписке.

Еще один опубликованный набросок, оформленный как черновик письма Р. Нюэрупу от 20 декабря 1819 г., возможно, неотправленного, содержит рассуждение о желательной «европеизации» грузинского письма, которая позволит «сравнительно маленькому народу», у которого «два очень различных, можно даже сказать, три алфавита» с большей легкостью включиться в мировую культуру. «Но прежде всего надо обдумать, какое лучше выбрать письмо, русское, греческое или латинское». Раск склонялся к модифицированному латинскому письму (*Breve...* 1941 I:456-457). Орфография и транслитерация были для Раска важными темами, в частности, потому, что унификация алфавитов способствовала сопоставимости данных разных языков.

Но этот набросок также свидетельствует об отмеченном С. Н. Кузнецовым расширении «лингвистической парадигмы» Раска за счет новых задач, вставших перед ним во время его путешествия. Задачи эти уже не ограничены классификацией языков, прояснением их связей и древней истории говоривших на них народов. Новые созидательные задачи включали в себя и построение новых письменностей, и совершенствование датской орфографии, и незавершенный проект по конструированию нового общечеловеческого языка, «экстраполирующий прошлую историю в будущее и соединяющий ретроспективу с перспективой в единую линию исторического развития» (см: Кузнецов 2015:11).

Любопытно, что рассуждение о европеизации грузинского письма написано на смеси датского и немецкого языков. По-видимому, Раск формулировал эти мысли в беседах с немецкоязычными знакомыми в Тифлисе. В немецких фразах наброска мы слышим отголоски бесед за столом у губернатора Р. И. фон дер Ховена, у которого Раск нередко обедал (и где, в частности, познакомился с А. С. Грибоедовым).

Помимо научных выписок и набросков, сохранились и личные впечатления Раска о Грузии, которые предлагаются ниже в переводе на русский язык. При знакомстве с ними следует учитывать следующие обстоятельства. Во-первых, оценивая культурный уровень того или иного народа или города, Раск прежде всего сравнивал его со высоким стандартом Копенгагена, переживавшего тогда «золотой век» датской культуры и подъем интереса к филологии и отечественной истории.

Во-вторых, в дневнике и письмах тифлисского периода не сохранилось свидетельств о его непосредственном общении с грузинами, кроме разве что «жадного, сухого, неприятного» домовладельца; Раск явно передает стереотипы, сформированные в не-грузинской среде, в частности, в среде российско-немецких чиновников, из которых многие ощущали себя в ссылке, в «маленькой Сибири».

И, наконец, в-третьих, следует учитывать определенный литературный канон, на который ориентируется Раск в своих письмах, а именно канон скандинавской социальной сатиры. Это такие произведения, как ироикомическая

поэма Л. Хольберга «Педер Порс», которую Раск любил и знал наизусть, и цитатой из которой заканчивается публикуемое письмо.

Характерное для текстов грузинского периода настроение продержалось недолго. К начавшемуся на юге Ирана физическому недомоганию добавилось психическое расстройство, настигшее Раска в Индии. Тон писем поменялся, и после его возвращения в Копенгаген в 1823 г. соотечественники напрасно ждали рассказов Раска об экзотических странах.

О своих кавказских впечатлениях Раск позднее вспоминал, работая над древнееврейской хронологией, которая помогала ему другими путями приблизиться к решению проблем, поставленных в его работах по сравнительно-историческому языкознанию. Подтверждая историчность библейского рассказа о Ное, Раск заметил, что «как раз Грузия и окрестные земли и есть тот регион, где произрастает дикий виноград, что я сам видел. … Поэтому в высшей степени вероятно, что Ной у армян получил и попробовал (высушенные) виноградины…» (Rask 1828:56). Возможно, личный опыт также лежит в основе его попыток найти в рассказе о первых днях творения свидетельства о древнейшей истории человечества, спускавшегося с Кавказских или среднеазиатских гор в южные страны. Согласно Раску, слова Библии о создании зелени и травы на третий день могут свидетельствовать о разительном отличии южного пейзажа от северного высокогорья, «где, например, Арарат покрыт вечным снегом». «Может быть, даже первые два дня, когда разделились твердь и воды, напоминают о древнейшем переселении с более высокогорных мест, где небо, особенно в сильную метель, кажется слившимся с землей» (Rask 1828: Fortale 13-14).

Что же касается собранных во время путешествия кавказских лингвистических материалов, то к ним Раск вернулся в последний год своей жизни. Получив наконец постоянную профессорскую должность (экстраординарного профессора восточных языков), Раск написал и опубликовал «программную» работу в преддверии торжественного собрания Копенгагенского университета 10 ноября 1832 г., в котором он уже не смог принять участие. Она, по-видимому, оказалась одновременно как первой публикацией его грузинских материалов, так и последней прижизненной публикацией Раска, умершего 14 ноября (отпечатана она была между 1 и 10 ноября). В этой работе Раск разобрал вопрос о транслитерации грузинских и армянских текстов «европейскими буквами», т.е. латиницей, в целях этимологических и компаративистских изысканий (Rask 1832). И одно из последних воспоминаний о Раске также связано со вновь пробудившимися в нем кавказоведческими интересами. Его друг, филолог-классицист Р. Й. Ф. Хенриксен (1800-1871), застал Раска занятым грамматическими изысканиями «примерно за месяц до его смерти… насколько помнится, с грузинской Библией перед ним» (Henrichsen 1861, цитата по: Jespersen 1918:58).

Публикуемая работа является частью большего проекта, посвященного пребыванию Раска в Российской империи и поддержанного грантом Датского фонда искусств (Statens Kunstfond) (см. также: *Волшебная лампа* 2018).

1. Записи в путевом дневнике

Текст путевых записей Раска публикуется по рукописи, хранящейся в Копенгагене в Королевской библиотеке (Det Kongelige Bibliotek), NKS 8°, №389 ek., b. I. Путевой дневник охватывает 1816-1823 гг., с отплытия из Копенгагена в Швецию и до возвращения. Под тем же шифром в качестве второго тома (b. II) в библиотеке хранится дневник Раска с записями за 1823-1832 гг. В рукописи путевого дневника пагинация заканчивается на странице 16; всего страниц с записями в путевом дневнике 222. Публикуемый текст находится на страницах [116-124].

Путевой дневник полностью никогда не публиковался, хотя обширные цитаты из него использовались биографами, а также комментаторами трудов Раска. В последней трети прошлого века М. Бьеррум полностью переписала путевой дневник (за исключением текстов на языках с нелатинскими алфавитами), готовя его к изданию в качестве дополнения к трехтомнику писем. Издание осуществлено не было. Копия М. Бьеррум, на 283 страницах и с шестью страницами вступительных заметок, также сохранилась в Королевской библиотеке.

В настоящей публикации в угловые скобки заключены дополнения и пометки на полях, место которых в тексте (если Раск специально не указал его звездочкой) определяется предположительно. Разбивка текста на параграфы осуществлена переводчиком.

<1819, октябрь>

<15-е> Прибыли в Моздок на реке Терек, это городок, где в основном живут армяне и другие инородцы, в их числе осетины и пара черкесских семей. У меня были затруднения в поиске жилья, которое должна была мне определить полиция; наконец меня принял один армянин с больной ногой. Там хорошая армянская школа и красивая церковь. Полиция была далека от пунктуальности, когда нужно было вернуть мне паспорт. Но я его все-таки получил, чтобы выехать вместе с русским батальоном, отправлявшимся на войну с лезгинами.[4]

<Отъезд 24-го> Я нанял Грегория Романова, брата осетинского старосты,[5] за 150 рублей ассигнациями, чтобы он отвез меня в Тифлис. По пути я поучился у него осетинскому языку.

У Владикавказа начался настоящий подъем в гору. Но уже у Терека деревенщина-комендант не позволил нам ехать дальше, так как батальон немного ушел вперед. Два молодых русских офицера направили подразделение своих солдат для нашей охраны, и коменданту пришлось разрешить нам проезд. Я дал им 20 рублей поделить между собой, но комендант не получил ничего. Армянский купец, который последовал за мной, тоже немного заплатил офицерам.

Черкесов боятся чрезвычайно. На нас никто не напал; поздно вечером мы догнали батальон. Общество армянского купца было для меня важно, так как

он повсюду знал, где мы могли дешево поесть и выпить чаю. Сахар и чай у нас с собой, конечно, были, но нам требовался кипяток, хлеб и проч. Жителей мы не видели, так как русские заняли дороги, но не страну. На расстоянии от дороги, впрочем, виднелись пара селений, что вызывало страх и дрожь, хотя и говорилось, что тамошний народ был мирным. На самой же дороге были только русские военные поселения, иногда к ним прибивалось несколько крещеных туземцев. Местность была неровная и начала уже становиться гористой, с многочисленными красивыми пейзажами, но земля была не очень плодородна, по крайней мере не особенно возделана, и также не богата лесом.

После Владикавказа виды стали более дикими, а горы более крутыми. По правую сторону жили осетины; поселения, лежавшие вдоль дороги, мирные. По левую сторону дороги жили ингуши; они более дикие. Они привезли во Владикавказ одного осетина, захваченного, пока он спал, и продали его в рабство. Его выкупил осетин-христианин из Моздока.

Русские с большими трудами и усердием проложили дорогу через горы. Троицкие ворота[6] – интересное место, где дорога выдолблена в скале с правой стороны, но по левую руку оставлены три столба, так что все это выглядело как ворота. Прокладка этой дороги заняла три года, и работы были закончены к Троице (день Пятидесятницы).

Сколько осетин ни встречается или ни живет близ дороги, у них убожество и нищета. Вскоре после того, как мы проехали самые высокие горные вершины, начали показываться грузинские поселения. Грузины бежали с юга так высоко в горы, так как на них нападали персы.

<Ноябрь>. Поселения в основном расположены на крутых высотах, особенно церкви на горных пиках, казавшихся недоступными для людей, с узкими длинными окнами, устроенными как бойницы. Дома у них в восточном вкусе, построены из камня, с плоскими крышами, без окон, так что свет поступает только через дверь, в крайнем случае через несколько маленьких окошек в толстых стенах.

Когда мы спускались с гор в Грузии, прекрасный лес вдоль дороги был во многих местах уничтожен или сожжен, так как грузины устраивали в деревьях засады на русских и часто стреляли по войскам на марше.

Мы прибыли в Тифлис на реке Куре <8-го> после двух не очень мучительных остановок на несколько дней на карантин.

Главноуправляющий в Грузии, Кавк[азской] и Астраханской губерниях, Алексей Петрович Ермолов[7] отсутствовал; во время моего там пребывания он был занят войной с лезгинами и захватил Акушу.[8] Также и Александр Ардалионович[9] Шишков, к которому у меня было письмо из Петербурга от его отца, адмирала Шишкова, президента Российской академии.[10] Но адъютант-капитан и рыцарь, Карл Яковлевич фон Ренненкампф*[11] <*к которому у меня было письмо из Петербурга от барона Розенкампфа[12]> был приятный молодой человек, крайне занятый работой.

Вообще же многие из российских дворян, назначенных в Грузию, были отправлены в своего рода ссылку за то, что они или совершили проступок, или задели императора, так что Грузия является маленькой Сибирью.

Меня заподозрили в том, что я шпион.

Иду к губернатору собственно Грузии, немцу фон Ховену,[13] который, когда я показал ему мои бумаги, стал очень любезен и гостеприимен. Он познакомил меня с армянином мирзой Авраамом Ениколоповым,[14] два сына которого мне очень много помогали (живетъ въ 1й части города[15]).

Я нашел жилье у немца-портного, Фредрика Винтерфельдта,[16] который работал в Копенгагене и немного понимал по-датски. Он рассказывал о событиях последней войны[17] в Германии, был болезненным и неудачливым в своих делах.

Немец-трактирщик поблизости <Доленшалл>, его сын, свадьба сына. Наш домовладелец был грузинский князь, жадный, сухой, неприятный человек.

Мирза Мухаммед[18] – татарский господин, который долго прожил в Персии, учил меня персидскому и немного турецкому, я также немного занимался грузинским, но <декабрь> здесь не столь хорошие возможности, как в Астрахани,[19] так как здесь народ более обособлен от литературного мира. Есть типография с грузинскими и русскими шрифтами, которая принадлежит губернским властям, и казенное училище.

Поборы и притеснения полицмейстера.

Безопасность поддерживается сильными мерами фон Ховена в отношении турецкого паши и лезгинских разбойников. Турки украли двух мальчиков, одного [сделали] прислужником в серале паши. Так как они не хотели его вернуть, то губернатор приказал забрать сотню голов скота, которые перешли границу, и передать родителям. Лезгины похитили двух солдат; первые торговцы из той местности, которые появились в Тифлисе, были все почти посажены в тюрьму и сидели там до тех пор, пока солдат не вернули.

Я познакомился с армянским претендентом на престол из Лори,[20] который был очень суеверен и глуп; при отъезде он хотел одолжить мне лошадь до границы, чтобы я занес его имя и чин в свой дневник или путевые заметки, но так как я лошади не получил, то и не обязан назвать его по имени.

Немецкие переселенцы в 11 селах, из Швабии, Бадена <1820, январь> и т.д., суеверная, фанатическая секта, которые ждали начала Тысячелетнего царства через два года (некоторые называли двадцать, другие тридцать лет), в высшей степени заслуживали жалости; к ним относились почти как к казённым рабам.[21]

Я часто обедал у губернатора, познакомился с Грибоедовым, продолжал мои занятия.

Зима достаточно суровая, со снегом и морозом, но для меня и приятная, и полезная. Дрова и уголь привозят в город на ослах. Вино было 30 копеек за

кувшин. Виноград продавался почти все время. Фунт стоил 15 копеек. <Квартирная плата три рубля в неделю>.

Дворянский клуб во французском трактире, где в воскресенье вечером был бал. Старомодное платье и макияж у царевен.[22] Горячие бани, самая холодная из них была очень теплой и приятной.

<10 февраля>. Я начинаю подготавливаться к отъезду; много формальностей с разрешением на проезд и т.д., особенно для моего домохозяина, так как он решил поехать со мной в качестве сопровождающего и слуги.[23] Преподаватель в школе* <*Констанс> его брат – учитель танцев <19-го> часовщик.[24]

Масленичное попрошайничество ребятишек на улице. Покупаю саблю, плащ и т.д.

<28-е февраля>. Пишу Хельгесену,[25] Торстейнссону,[26] Ларсену,[27] Нюэрупу,[28] Делину,[29] Митчелу.[30]

Расположение города на склоне горы вполне приятно, однако дома маленькие и плохие, улицы узкие и кривые. Крыши плоские, и по краю первого этажа имеется что-то вроде прохода или проулка для тех, кто живет во втором. <Караван-сараи в довольно хорошем состоянии. Базар длинный, кривой, темный и грязный, вполне азиатский>. Дома, которые русские начали строить на равнине за городом в европейском стиле, красивы, но пока не составляют собственно части города. Больница. Дом губернатора.



Страница из путевого дневника Раска. Копенгаген, Det Kongelige Bibliotek, NKS 8°, № 389 ek.,b. I, s. [122].

<5-е марта>. Я отправился в путь вместе с татарским караваном из Тавриза. Извозчик оказался добродушным человеком. Погода в Грузии была мягкой и весенней, но в горах южной Грузии, где лежал глубокий снег, стала холодной и суровой, особенно в пограничных горах.

Следующий каравансарай был неплохим. Мы не заехали в Эчмиадзин,[31] но видели его; несколько дней был прекрасный вид на Арарат.

<1820, март> <13-е>. Наконец мы прибыли в Эривань, в 300 верстах от Тифлиса. Это первый персидский город. Улицы полны воды, дома скрыты за глинобитными стенами.

<1820, март>. Город хорошо укреплен. Отдаю мое письмо губернатору[32] от генерала Вельяминова,[33] который замещал Ермолова в Тифлисе, получаю от него свое разрешение на проезд. Переводчик – англичанин, почти пленный. Армянин, который делает вид, что хочет ехать в Калькутту, присоединяется к нам, но помощи от него мало. Он говорит по-русски, цель его только бесплатный проезд, о чем, однако, он ни словом не обмолвился.

<18-е> Нахичевань, где Ной вышел из ковчега. Сильный мороз и стужа в горах.

Прибыл <22-го> в Тавриз (Тебриз), <в 400 верстах от Эривани>, не могу найти ночлег ни в одном караван-сарае, встречаю многих грузин и армян, которые говорят по-русски. Отыскал российского посланника Симона Ивановича Мазаровича[34], принимают хорошо, <23-го> сперва поселяюсь у г-на Хамбургера, изучаю персидский, должен с трудом забрать деньги, которые одолжил своему извозчику.

<Апрель>. Задерживаюсь, чтобы вместе с Мазаровичем поехать в Тегеран, но так как ему пришли депеши, ехать он не может. Приехал Даниэль Рафаэль Бабум[35] из Мадраса. <Апрель>.

<22-е>. Выезжаю с Мехмандаром и Винтерфельдтом.

2. Письмо Расмусу Нюэрупу

Помимо записей в путевом дневнике, впечатления Раска отразились в письмах. Публикуемое письмо Расмусу Нюэрупу (1759-1829), директору библиотеки Копенгагенского университета с 1803 г. и старшему другу и покровителю Раска, вероятно, ориентировано на широкого читателя. Нюэруп начал в 1820 г. издавать «Журнал для путевых наблюдений», и Раск знал, что его письма могли быть опубликованы в этом журнале среди записок других путешественников. Нюэруп напечатал письмо не полностью, изменив орфографию и опустив обращение и заключительную часть, а возможно, и другие сведения личного характера. Оригинал письма не сохранился. На основе журнальной публикации (*Magazin for Rejseiagttagelser* 1820 II:331-335) письмо было издано под номером 414 в собрании писем Раска под редакцией Л. Ельмслева (*Breve...* 1941 II:1-3). Разрядка в переведенном ниже тексте дана согласно публикации Нюэрупа.

Сведения и оценки Раска отчасти повторены в письме на исландском языке Арни Хельгасону, датированном 7 февраля 1820 г. Оригинал был утрачен к 1939 г., но снятая с него копия хранится в Королевской библиотеке в Копенгагене, Ny kgl. saml. 2965 4°. Публикации: *Tímarit hins íslenzka bókmenntafélags* 1890 11:251-256; *Breve...* 1941 II:6-11 (письмо 418).

Тифлис, 9 января 1820 г.

Отсюда новостей у меня мало, так как здешние жители (грузины) не особенно разбираются в литературе; в этом столичном городе нет ни гимназии, ни частного пансиона[36], ни библиотеки, ни театра, ни протестантской церкви; единственное заведение такого рода – казенное училище,[37] но в нем не преподается никаких европейских языков, кроме русского.[38] Один армянин держит книжную лавку, где можно купить Новый завет на грузинском, турецком, новогреческом и армянском языках и восковые свечи; другой торгует русскими книгами и всевозможными фарфоровыми изделиями, ведет переписку с Москвой, но не далее. Одному немцу, владевшему небольшой пьесой (die Bruderliebe[39]) величиной с катехизис, предлагалось за нее два специя,[40] но он не захотел продавать. Ни за какие деньги здесь нельзя приобрести книгу на любом европейском языке, кроме русского. Типография, принадлежащая российской губернской администрации – единственная в городе. В ней есть крайне скверные русские и грузинские шрифты, но нет латинских или арабских, так что все, что нужно школе на татарском, персидском и т.п., приходится переписывать от руки. В этой типографии печатается газета на грузинском.[41] Кроме того, здесь в прошлом 1819 г. был издан русско-грузинский разговорник,[42] экземпляр которого я отправил в университетскую библиотеку в качестве раритета, с латинскими приписками, как на тех мелочах, которые я отправлял из Петербурга и Москвы.[43] Народ здесь думает не столько об учености и т.п., сколько о чистой материи;[44] заниматься описанием его характера я не буду, но вышесказанное может служить достаточно полной библиографией и историей словесности Грузии XIX века. К этому описанию можно еще прибавить, что в городе есть переплетчик, он немец и не самый аккуратный, у него также недостает инструментов, книжной позолоты, литер для заглавий и т.п. Он переплел мой экземпляр эленшлегеровского «Аладдина»,[45] который рассыпался от того, что я его одалживал, но это самый скверный из переплетов, которые когда-либо бывали у моих книг. Sed hæc hactenus[46].

Самая важная из светских новостей в этой стране состоит в том, что российский генерал-губернатор Ермолов одержал блестящую и не очень кровавую победу над лезгинами[47] и взял вольный город Акушу[48], который славился своей неприступностью. Но Вы, конечно, знаете об этом из газет, которые в состоянии описать Вам это лучше, чем мог бы я, находясь здесь. Но Вы, конечно, знаете об этом из газет, которые в состоянии описать Вам это лучше, чем мог бы я, находясь здесь. Год назад сюда прибыло много немецких колонистов, в основном из Вюртемберга и Швабии[49], они разделились примерно на 10 селений; все лютеране. Некоторые из них пребывают здесь в самом Тифлисе. Собственно, они приехали, чтобы встретить Господа Бога, который не позднее, чем через два года собирается сюда прибыть и начать тысячелетнее царствие. Ибо именно здесь обетованная земля и место собрания избранных. Духовенства у них нет, так как Бог скрыл от мудрых и высокоученых то, что

он открыл простому народу, так что в роли священника могут выступать крестьянин, школьный учитель и т.п. Особенно они ссылаются на немецкого писателя Штиллинга[50], которого боготворят. Несколько дней тому назад один добрый друг одолжил мне одну из его книг, Scenen aus dem Geisterreich[51]; там, где я ее наудачу открыл, говорилось о тощих духах; полистав ее, я нашел другой абзац о духах с ужасающе толстым брюхом.

У богатого человека, который исполняет что-то вроде обязанностей надзирателя над частью этих переселенцев, три хорошо воспитанные дочери, за которых сватались знатные люди; но он желает сохранить их непорочными до Царствия Христова, и ни они, ни его жена в город никогда не приезжают. Эти люди мало заботятся о том, чтобы строить жилье, пахать и сеять и т.п.; ибо прежде нужно добиться Царствия Божия и правды Его, а остальное все придет само.[52] Также не следует искать место с хорошей водой, хорошей почвой и проч.; ибо если только у вас есть вера, то можете силой молитвы все это изменить. Тем не менее многие из них умерли от своего рода эпидемии, причиной которой считаются скверная вода и плохие условия для жизни. Вместе с ними сюда из Одессы прибыл странный человек по фамилии Шелинский[53]. Он родился в Пруссии близ польской границы, но выехал собственно из Копенгагена, где прожил немало лет. Он архитектор, каменщик, чертежник, живописец и т.д. и т.п., но в общем безумец и такой же оригинал, как Арендт из Альтоны;[54] он чрезвычайно богомолен и ревностен. Некоторое время тому назад один добрый друг представил меня шведскому капитану, который много здесь путешествовал и долгое время провел на российской службе. Капитан меня очень любезно принял, а когда я ушел, он позвал того человека одного и сказал: «Ach Hr. N.N.! Es ist hier in der Stadt ein Narr aus Dänemark, der die Sonne und den Mond anbetet, er ist neulich hier angekommen, und der arme Mensch ist ganz verlohren; könnten Sie ihn nicht dem Professor empfehlen, dass er ihn zu sich nehmen könnte oder ihn zurückhelfen in sein Vaterland auf irgend eine Art»[55] и т.п. Как-то вечером Шелинский появился у меня, когда я играл в шашки с упомянутым выше добрым другом, и от этого он пришел в возбуждение и закричал: «Ihr wisset nicht was das bedeuted, aber er (т.е. der Teufel) wird euch schon alle hohlen!»[56]. Никто из присутствовавших в комнате не смог сдержать улыбки, и тогда он крикнул: «ja da ist Platz für euch alle, sie (т.е. die Hölle) ist gross genug»,[57] «и прочие любезности, мне их лень повторять».[58]

Продолжаю после перерыва. Я к сегодняшнему, 11-му числу,[59] всего побывал девять раз в конторе, в которой получают справку, что нет никаких препятствий к отъезду, так что я надеюсь, что до конца недели мой паспорт будет готов! Здесь сильный мороз и порядочно снегу, но днем солнце хорошо согревает; я тем временем достаточно хорошо снабдил себя оружием, два пистолета у меня уже были, у слуги моего[60] кремневое ружье, а у меня сабля, которая длинна, тверда, и в состоянии удерживать врага на расстоянии[61].

Литература:

Агеева 2000: Р.А. Агеева, *Какого мы роду-племени? Народы России: имена и судьбы. Словарь-справочник,* Academia, Москва.

Волшебная лампа Расмуса Раска. *Путешествие датского лингвиста по России в 1818-1820 гг.,* сост. Л. С. Чекина, Новое литературное обозрение, Москва (в печати).

Ениколопов 1954: И. Ениколопов, *Грибоедов в Грузии*, при участии М. Заверина, под редакцией О. Поповой, Заря Востока, Тбилиси.

Краткая Грузинская Грамматика 1802: *Краткая Грузинская Грамматика, сочиненная на Россійскомъ языкѣ*, при Императорской Академіи Наукъ, въ Санктпетербургѣ.

Кузнецов 2015: С.Н. Кузнецов, *Расмус Раск и его лингвистическая парадигма*, Современная наука, №3, с. 95-114.

Мѣсяцословъ 1821: *Мѣсяцословъ съ росписью чиновныхъ особъ, или общій штатъ Россійской Имперіи, на лѣто отъ Рождества Христова 1821*, при Императорской Академіи Наукъ, въ Санктпетербургѣ.

Собраніе Россійскихъ разговоровъ 1819: *Собраніе Россійскихъ разговоровъ, в общежитіи употребляемыхъ, съ пріобщеніемъ Грузинскаго перевода, въ пользу Благороднаго Юношества*, при Военно-походной Типографіи, въ Тифлисѣ.

Breve... 1941: *Breve fra og til Rasmus Rask*, udg. ved Louis Hjelmslev, Munksgaard, København.

Breve... 1968: *Breve fra og til Rasmus Rask.* B. III. *Brevkommentar og håndskriftkatalog*, ved Marie Bjerrum, Munksgaard, København.

Bruder-Liebe 1770: *Bruder-Liebe oder der verzeihende Joseph, ein Trauerspiel. Der Bruder Hass, oder Kain und Abel, ein Singspiel*, Scherer, [Solothurn].

Fiala 1881: F. Fiala, *Joseph Ignaz Zimmermann*, Geschichte der Schweizerischen Volksschule, hrsg. von Otto Hunziker, Schulthess, Zürich, 1881, B. 1, S. 268-271.

Henrichsen 1861: R.J.F. Henrichsen, *Rasmus Rasks Skoleliv*, Indbydelsesskrift til Afgangsexamen og Hovedexamen i Odense Cathedralskole i Aaret 1861, S. 3-21.

Jespersen 1918: Otto Jespersen, *Rasmus Rask*, Gyldendal, Kjøbenhavn og Kristiania.

Klaproth 1814: Julius von Klaproth, *Kaukasische Sprache. Anhang zur Reise in den Kaukasus und nach Georgien*, Buchhandlungen des Hallischen Waisenhauses, Halle und Berlin.

Magazin for Rejseiagttagelser 1820: *Magazin for Rejseiagttagelser*, udg. af R. Nyerup, Bummer, Kjøbenhavn.

Rask 1828: R. Rask, *Den ældste hebraiske Tidsregning indtil Moses*, Schultz, København.

Rask 1832: Erasmus Rask, *Nonnulla de pleno systemate Sibilantium in lingvis montanis, item de methodo Ibericam et Armenicam lingvam literis Europæis exprimendi*, typis Schultzii, Hauniæ.

Rask 1932-1933: Rasmus Rask, *Udvalgte Afhandlinger*, udg. ved Louis Hjelmslev, Levin & Munksgaard, København, b. II.

Rask 1932-1937: Rasmus Rask, *Ausgewählte Abhandlungen*, hrsg. von Louis Hjelmslev, Levin & Munksgaard, Kopenhagen, b. III.

Svendsen 2009: Hanne Marie Svendsen, *Rudimenter af R*, Gyldendal, København.

---

1 Копенгаген, Det Kongelige Bibliotek, Ny kgl. saml. 4° 149c[49] (Bemærkninger om de Kaukasiske Sprog ved R. Rask). См. Rask 1932-1937:200; *Breve* 1968 III. 2:550 (M91=RM95).

2 Копенгаген, Det Kongelige Bibliotek, Ny kgl. saml. 4° 149c[51] (Rasks Optegnelser angaaende det Georgiske Sprog). См. Rask 1932-1937:200; *Breve* 1968 III. 2:550-551 (M93=RM97).

3 *Undersøgelse om det gamle Nordiske eller Islandske Sprogs Slægtskab med de asiatiske Tungemaal*, см. Rask 1932-1933:1-45 (грузинские материалы на стр. 43-45).

4 Здесь этноним употребляется в качестве общего обозначения дагестанских народов (ср. Агеева 2000:197-200).

5 Слово написано по-датски (Opsynsmand) и по-русски в латинской транслитерации (starosta).

6 Troitskaya varota d.e. Treenighedsporten.

7 А.П. Ермолов (1777-1861), главноуправляющий гражданской частью и пограничными делами в Грузии и губерниях Астраханской и Кавказской (1817-1827), командир Отдельного Грузинского (с 1820 г. Кавказского) корпуса (1816-1827), генерал от инфантерии (1818), генерал от артиллерии (1837).

8 Село в Нагорном Дагестане, взятое российскими войсками в декабре 1819 г.

9 Eudalionovitsh.

10 Выше в дневнике (на с. 88) правильно говорилось о письме Шишкова не сыну, а племяннику в Тифлисе. А.А. Шишков (1799-1832), писатель и переводчик, был племянником Александра Семёновича Шишкова (1754-1841), президента Российской академии.

11 Этого офицера точно идентифицировать не удалось. На Кавказе служил барон Павел Яковлевич Ренненкампф (1790-1857), кавалер ордена Св. Анны 4-й степени; возможно, его имя спутано с именем его старшего брата Карла Яковлевича (1783-1854), адъютанта Августа Ольденбургского.

12 Густав Андреевич Розенкампф (1764-1832), правовед, член Комиссии финляндских дел (1811-1826).

13 Роман Иванович фон дер Ховен (1775-1861), исполняющий должность грузинского гражданского губернатора на правах и военного (1818-1829), генерал-майор.

14 Enakolopof. Мирза Авраам Георгиевич (Абрам Егорович, Априам Гургенович) Ениколопов, переводчик восточных языков при секретаре по пограничным делам канцелярии главноуправляющего в Грузии.

15 Слова в скобках написаны по-русски.

16 На письме Раску от Джона Митчелла из Астрахани от 22 января 1820 г. надписан по-русски следущий адрес: «Его благородію Милостивому Государю Господину Профессору *Раску* у нѣмецкаго портнаго Винтерфелта близь Русскои церкви на базарѣ. въ *Тифлисѣ*.» (Breve fra og til Rasmus Rask. B. II. S. 4).

17 Война «шестой коалиции» европейских держав против наполеоновской Франции и ее союзников, которая велась на территории Германии в 1813 г.

18 Возможно, мирза Магмад Садик Тушмалов (он же Садык Магмед Магмедович Тушмаков), учитель татарского языка Тифлисского благородного училища до 1826 г. Преподавание татарского и персидского языков было введено в училище с 1819 г. по результатам ревизии А.С. Грибоедова (1818) (Ениколопов 1954:95). Списки учителей Тифлисского благородного училища в российском месяцеслове (адрес-календаре) появляются с осени 1820 г.: см. *Мѣсяцословъ* 1821 1:644 (состояние чинов по 9 декабря 1820 г.); 2:548 (состояние чинов по 16 октября 1820 г.). Особой должности учителя

персидского языка в училище в период службы там мирзы М. (С.) Тушмалова не указано; по-видимому, Тушмалов совмещал преподавание обоих языков.

[19] В Астрахани Раск прожил с 13 августа по 1 октября 1819 г.

[20] По-видимому, на престол мелика (феодального правителя) Лори, исторической области, находившейся в составе Грузии.

[21] Kronslaver (букв. «рабы короны»). Раск имеет в виду государственных (казенных) крестьян и замечает, что колонисты не сильно отличались от них по статусу.

[22] Prinsesserne. Вероятно, Раск видел кого-то из дочерей Ираклия II или Георгия XII.

[23] Винтерфельдт сопровождал Раска до 6 июня, когда перешел на службу к другому путешественнику. «В основном он был мне полезен тем, что привлекал внимание людей, так что меня не замечали», – напишет Раск в своем путевом дневнике на с. 126.

[24] Во фразе недостает пунктуации. По-видимому, следует понимать, что брат школьного преподавателя Констанса – и учитель танцев, и часовщик. Танцевание было введено в училище в 1819 г. (Ениколопов 1954:95). Согласно российскому месяцеслову (адрес-календарю), осенью 1820 г. и до 1826 г. учителем танцевания служил коллежский регистратор (с 1822 г. губернский секретарь) Федор Ефимович Тонагель, но других учителей с той же фамилией или с именем Констанс в этот период в списках нет (списки для весны 1820 г. и более ранее времени мне доступны не были, см. выше, примеч. 18).

[25] Раск использует данизированную форму патронима Хельгасон. Вероятно, имеется в виду пастор Арни Хельгасон (1777-1869), председатель рейкьявикского отделения Исландского литературного общества

[26] Бьярни Торстейнссон (1781-1876), сооснователь Исландского литературного общества и его председатель его Копенгагенского отделения в 1816-1819 и 1820-1821 гг.

[27] Асмус Ларсен (1788-1842), торговец колониальными товарами в Копенгагене, одноклассник и доверенное лицо Раска в Копенгагене.

[28] См. введение к следующему разделу.

[29] Эрик Вильгельм Делин (1772-1822), пастор в евангелическо-лютеранском приходе в Астрахани в 1818-1822 гг.

[30] Джон Митчелл, миссионер Шотландского миссионерского общества в Астрахани.

[31] Монастырь, резиденция армянского католикоса.

[32] Хусейн-хан (Гусейнкули-хан) Каджар (1742 или 1743-1831), сердар Эриванского ханства (1807-1828).

[33] Алексей Александрович Вельяминов 3-й (1785-1838), начальник штаба Отдельного Грузинского (с 1820 г. Кавказского) корпуса (1816-1827), генерал-майор (1818), начальник Кавказской линии (1831-1838), генерал-лейтенант (после 1827 г.).

[34] Семён (Симон) Иванович Мазарович (ок. 1784-1852), российский поверенный в делах в Персии (1818-1826).

[35] Рафаэль Даниэль Бабум (Rafael Daniel Baboom, у Раска Daniel Rafael Babum) (ок. 1790-1832), торговец в Мадрасе, в 1820-е переехал в Манилу, один из основателей филиппинской текстильной промышленности, собиратель народного костюма.

[36] Intet privat Institut.

[37] En Kronskole. Имеется в виду Тифлисское благородное училище, учрежденное в 1804 г.

[38] Ревизия, проведенная А.С. Грибоедовым в 1818 г., показала, что «введенные прежде сего немецкий и латинский языки, за неимением учителей уже не преподавались» (Ениколопов 1954:95). Вероятно, сведения об училище Раск получил непосредственно от Грибоедова, с которым он, согласно дневнику, познакомился в январе 1820 г.

[39] По предположению М. Бьеррум, имеется в виду швейцарского педагога Й.И. Циммерманна «Братская любовь, или прощающий Иосиф», изданная анонимно

вместе с пьесой «Братская ненависть, или Каин и Авель» того же автора (*Breve* 1968 III.1:181). См. *Bruder-Liebe* 1770. Издание это крайне редкое: Ф. Фиала считал, что обе пьесы напечатаны не были, см.: Fiala 1881:270. Согласно каталогу Женевской библиотеки, формат книги в четверть листа, и в ней 12 страниц (Bibliothèque de Genève, Cote BGE Hgb 1393).

[40] Специй (ригсдалер специес) – датская серебряная монета с содержанием 4⁄37 кельнской марки (то есть 25,28 г) чистого серебра. Русский серебряный рубль содержал 18 г чистого серебра.

[41] Первая газета на грузинском языке выходила еженедельно с марта 1819 г. по конец 1821 г., сперва под названием საქართველოს გაზეთი («Газета Грузии»); в 1820 г. она была переименована в ქართული გაზეთი («Грузинская газета»).

[42] *Собраніе Россійскихъ разговоровъ* 1819.

[43] Список редких книг из этой посылки, надписанных Раском, опубликован Нюэрупом, *Magazin for Rejseiagttagelser* 1820 I:298-299. В список, в частности, вошла *Краткая Грузинская Грамматика* 1802, созданная архиепископом Варлаамом (Эристави) (1763-1830, с 1811 года – митрополит Мцхетский, первый экзарх Грузии).

[44] Разрядка в публикации Нюэрупа; по-видимому, цитата. Выражение может означать «золото» (в смысле «деньги»); ср. письмо Арни Хельгасону от 7 февраля 1820 г., в котором Раск называет грузин корыстолюбивыми (sérplægnir).

[45] Драма в стихах «Аладдин, или Волшебная лампа» к тому времени была напечатана во втором томе «Поэтических трудов» (1805) А.Г. Эленшлегера и в немецком переводе автора отдельной книгой (1808). На важность этой книги для Раска обратила внимание Х. - М. Свеннсен: сквозная тема ее романа «Рудименты Р» – идентификация с Аладдином героя, выявляющего с помощью своей «волшебной лампы» систему языка (Svendsen 2009:15, 50-51, 143, 160).

[46] Но довольно об этом (*лат.*).

[47] См. выше, примеч. 8.

[48] См. выше, примеч. 4.

[49] Исторические области на юго-западе Германии.

[50] Генрих Штиллинг (Иоганн Генрих Юнг-Штиллинг, 1740-1817), немецкий мистик, представитель пиетизма.

[51] Сцены из царства духов (*нем.*). Впервые изданная во Франкфурте на Майне в 1795 г., книга выдержала большое количество переизданий.

[52] Ср.: Матф. 6:33.

[53] Schelinski.

[54] Мартин Фридрих Арендт (1773-1823), датский ботаник, археолог и рунолог.

[55] Послушайте, господин N.N.! Здесь в городе есть один чудак из Дании, который молится солнцу и луне, бедняга только что сюда прибыл и совсем потерялся. Не могли бы Вы его порекомендовать профессору, чтоб тот его взял к себе или каким-то образом помог ему вернуться на родину (*нем.*).

[56] Вы не знаете, что творите, но он (то есть дьявол) уж вас всех заберет! (*нем.*).

[57] Есть там место для вас всех, он (то есть ад) достаточно велик (*нем.*).

[58] Заключительное двустишие из сатирического стихотворения Йохана Хермана Весселя (1742-1785) «Великодушное предложение».

[59] По-видимому, февраля, ср. дневниковые записи выше.

[60] Т.е. у Ф. Винтерфельдта, ср. дневниковые записи выше.

[61] Цитата из Л. Хольберга, «Педер Порс», кн. 1, песнь 2, стихи 459-460 (где, правда, описывается багор, вовремя попавшийся герою под руку).

თ ა რ გ მ ა ნ ი

ჰანს ფოგტი

სტალინი და ენობრივი დისკუსია საბჭოთა კავშირში[1]

ენის თეორიულ საკითხებზე კამათი უმეტესად სპეციალისტთა ვიწრო წრეში მიმდინარეობს ხოლმე და საერთაშორისო ინტერესის საგანი იშვიათად ხდება. თუმცა ვრცელმა სტატიამ, რომელიც ქართველმა ენათმეცნიერმა, არნოლდ ჩიქობავამ, გაზეთ „პრავდაში“ გამოაქვეყნა, უდავოდ ყველა დააინტერესა. სტატია მიმდინარე წლის 9 მაისს დაიბეჭდა. არნოლდ ჩიქობავა აკრიტიკებს საბჭოთა ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ მიმართულებას, რომელიც ენების კვლევას უკავშირდება. ჩიქობავას სტატია კარგა ხანს იბეჭდებოდა მსოფლიო პრესის მოწინავე გვერდებზე. ცხარე კამათი გაჩაღდა გაზეთ „პრავდასა“ და ისეთ კომუნისტურ ჟურნალებში, როგორებიცაა „ბოლშევიკი“ და „ლიტერატურნაია გაზეტა“. არნოლდ ჩიქობავას სტატიამ სამეცნიერო და პოლიტიკურ ინსტიტუციებშიც დაარღვია სიმშვიდე. დებატებში სტალინიც ჩაერთო. 20 ივნისს სტალინმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ სავსებით ეთანხმებოდა და იზიარებდა ჩიქობავას მოსაზრებას. იმ დღის შემდეგ კამათი დროებით ჩაცხრა. იბეჭდებოდა მხოლოდ ისეთი სტატიები, რომლებშიც ავტორები სტალინს ხოტბას ასხამდნენ, საკუთარ შეცდომებს აღიარებდნენ და ირწმუნებოდნენ, დიდი ბელადის მითითებებს უნდა მივყვეთო.

იმისთვის, რომ ზემოხსენებული დისკუსიის არსს ჩავწვდეთ, ორიოდე სიტყვით იმ ადამიანის შესახებაც უნდა მოგახსენოთ, რომელიც რევოლუციიდან მოყოლებული, 1934 წლამდე (ანუ გარდაცვალებამდე), რუსული ენათმეცნიერების წამყვან მკვლევრად ითვლებოდა. მისი გზა მოგვიანებით მისმა არანაკლებ გავლენიანმა მოწაფეებმა და თანამოაზრეებმა გააგრძელეს. ნიკოლაი იაკოვლევიჩ მარზე მოგახსენებთ.

მარი 1864 წელს, დასავლეთ საქართველოში დაიბადა. მამამისი შოტლანდიელი იყო. საქართველოში პატარა სასოფლო-სამეურნეო სკოლას ხელმძღვანელობდა. ასაკოვანი გახლდათ, როცა ქართველი გლეხის ქალიშვილი შეირთო ცოლად. ოჯახს ეკონომიურად უჭირდა, მაგრამ ნიკო მარმა გიმნაზია მაინც დაამთავრა.

[1] Hans Vogt, Stalin og den språkvitenskapelige diskjuson i sovjetsamveldet, „Samtiden“: tidsskrift for politikk, litteratur og samfunnsspørsmål, editor Jac S. Worm-Müller, 6th edition, Oslo, 74-85, 1951 (ჰანს ფოგტი, სტალინი და ენობრივი დისკუსია საბჭოთა კავშირში, ჟურნალი „ჩვენი საუკუნე“, პოლიტიკის, ლიტერატურისა და სოციოლოგიის ჟურნალი, რედ. ვორმ-მიულერი, მე-6 გამოცემა, ოსლო, გვ. 74-85, 1951).

მოგვიანებით სწავლა რუსეთში განაგრძო. საუკეთესო რუსი პედაგოგების ხელმძღვანელობით კლასიკურ და აღმოსავლურ ენებს ეუფლებოდა. იმ წლებში დაგროვილი ცოდნის წყალობით, პირველად სწორედ მარმა შეძლო IX-XII საუკუნეების უძველესი ქართული ლიტერატურული ძეგლების საკვლევად თანამედროვე მეთოდები დაემკვიდრებინა. მის მიერ გამოცემულმა სანიმუშო ხელნაწერებმა მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ამ ხელნაწერებზე მუშაობისას რწმუნდები, რომ მარი უდიდეს ცოდნას ფლობს, ამოუწურავ აზრთა და იდეათა საოცარი შეკავშირების უნარი აქვს, თუმცა იმასაც ხვდები, რომ მსჯელობისას გარკვეული თვითკრიტიკა და გაწონასწორებულობა აკლია. ეს სისუსტე განსაკუთრებით მარის ადრეულ ენათმეცნიერულ ნაშრომებში იკვეთება.

ძველი ქართული ენის გრამატიკაში, რომელიც 1925 წელს გამოიცა, ნიკო მარი ხელმძღვანელობს ჰიპოთეზით, რომ ქართული სემიტური ენაა. ბუნებრივია, მუშაობის პროცესში, გარკვეულწილად, ეს მოსაზრებაც მისაღებია, მაგრამ მარისთვის ეს ჰიპოთეზა დოგმასავითაა, რაც, ვფიქრობ, ქართული ენის გამორჩეულ სტრუქტურას არასწორად წარმოაჩენს. კიდევ უფრო ცუდი ისაა, რომ ავტორი მასალას ცვლის და ამახინჯებს, რათა თავის თეზისებზე მორგება გაუადვილდეს. ამ მიზეზით წიგნში წარმოდგენილი მასალა და თეორიული მსჯელობა, შეიძლება ითქვას, უფასურდება.

ამ ნაშრომში უკვე კარგად ჩანს მარის, როგორც მკვლევრის, თავისებურება. კერძოდ კი ის, რომ ენის ისტორიული განვითარების ქრონოლოგიურ სქემას სისტემებად შლის. მარის აზრით, მეშვიდე საუკუნის ქართულში ენის ორგვარი ფენა არსებობდა. ერთი იყო არისტოკრატული, რომლითაც უძველესი ლიტერატურული ძეგლები იქმნებოდა, მეორე კი ხალხური, რომელსაც თანამედროვე სამწერლობო და სამეტყველო ენით ვიცნობთ. ამ ორი ფენიდან, ხალხური გაცილებით ძველია. ამგვარად, თანამედროვე ქართული ენა, ბევრი თვალსაზრისით, გაცილებით უფრო ხანდაზმულია, ვიდრე ძველი ქართული. მოგვიანებით, სემიტური და კავკასიური ენების შედარებისას მარი სხვა ენებსაც (მათ შორის ნაკლებად ცნობილ ენებსაც) იშველიებს. ეს არ არის არც ინდოევროპული და არც სემიტური ენები. ეს ის ენებია (დაწყებული იბერიულით დასავლეთით და ელამურით აღმოსავლეთით), რომლებზეც უძველეს დროში, ინდოევროპელთა გამოჩენამდე, ხმელთაშუა ზღვის აუზის ხალხები მეტყველებდნენ. იმ უძველესი ენების ელემენტები გარკვეულწილად წარმოდგენილია ბასკურში (პირინეის ნახევარკუნძულზე) და თანამედროვე კავკასიურ ენებში, მაგრამ მარი ამ ყველაფერს თავისებურად ხსნის, პრობლემას სრულიად ახლებურად აყალიბებს. სწორედ ეს მოსაზრება უდევს საფუძვლად მის ნაშრომს „ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება“ (ოფიციალურად ცნობილია, როგორც „იაფეტური თეორია“).

დასავლეთევროპელი ენათმეცნიერები მივიჩნევთ, რომ ენებს შორის შეიძლება არსებობდეს როგორც ისტორიული ნათესაობა, ასევე ტიპოლოგიური მსგავსება.

მარი კი აღიარებს მხოლოდ ტიპოლოგიურ მსგავსებებს, რომლებიც იმავდროულად ნათესაობასაც ასახავს. მაგალითად, რომანული, გერმანიკული, ძველი ინდოევროპული, კავკასიური ენები სტრუქტურულად სხვადასხვა ტიპისაა. მისივე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ეს ენები წარმოადგენენ კანონზომიერი ენობრივი განვითარების საფეხურებს/სტადიებს, რომლებიც ყველა ენამ გაიარა, ან უნდა გაიაროს. ყოველი საზოგადოების ენა, როგორც მარქსი ამბობდა, დაშენებულია ამ საზოგადოების იდეოლოგიურ ბაზისზე. აქედან გამომდინარე, ენაც, ამ საზოგადოების სტრუქტურის შესაბამისად, ერთი კონკრეტული ტიპის იქნება.

მარქსი და ენგელსი განსაკუთრებულად იყვნენ დაინტერესებულები ადამიანთა სოციალური ისტორიით და ამ თემას უამრავი ნაშრომიც მიუძღვნეს. პრეისტორიული ხანის აღწერისას ენგელსი უმეტესწილად ამერიკელი ეთნოლოგის, მორგანის კვლევებს ეყრდნობოდა. მარქსისა და ენგელსის მოსაზრებები ნიკო მართან მყარ სქემად ჩამოყალიბდა. მისი სქემა ძირითადად მოიცავს კანონზომიერი განვითარების იმ სტადიებს, როცა ერთგვაროვანი მატრიარქალური ერთობლიობა პატრიარქალურ კლანად იქცა, მონათმფლობელური და ფეოდალური წყობა კი თანამედროვე კაპიტალისტურმა საზოგადოებამ ჩაანაცვლა. კაპიტალისტური საზოგადოება უკლასო კომუნისტურმა წყობამ შეცვალა, რომელიც საბოლოოდ საბჭოთა კავშირად ჩამოყალიბდა. განვითარების ყოველ საფეხურს, მარის თანახმად, ერთი კონკრეტული ენის ტიპი მიეკუთვნება. მარის დასკვნით, თანამედროვე კლასობრივ საზოგადოებაში, მაგალითად, საფრანგეთში, მუშათა კლასის ფრანგული, სტრუქტურულად გაცილებით ახლოს დგას სხვა ქვეყნების (მაგ., ნორვეგიის, ჩინეთის ან საბჭოთა კავშირის) მუშათა კლასის ენასთან, ვიდრე იმ ფრანგულთან, რომელზეც ფრანგი არისტოკრატები საუბრობენ. მარის ენობრივი ევოლუციის აღწერას ცნობილი ისტორიული ეპოქის მიღმა გავყავართ. თავის ბოლოდროინდელ ნაშრომებში მარი სულ უფრო მეტ ადგილს უთმობს ენის შექმნისა და, როგორც თვითონ უწოდებს, გლოტოგონიური პროცესის აღწერას. ამგვარად, მარის მოძღვრების ყველაზე უცნაურ ნაწილთან მივდივართ. ეს არის მოძღვრება იმ ოთხ საწყის ენობრივ ელემენტზე, ოთხ ძირძველ სიტყვაზე, რომელიც ყველა არსებული ენის სიტყვათა მარაგის საფუძველია. ამ თეორიის შინაარსობრივად აღქმა ძალიან რთულია. კიდევ უფრო რთულია მისი წარდგენა ისე, რომ ყველასთვის გასაგები იყოს. მით უმეტეს, რომ თავად მარს ეს თეორია დეტალურად არასოდეს აღუწერია.

ვფიქრობ, ამ მოსაზრების ძირითადი შინაარსი შემდეგია: საუკუნეების განმავლობაში ადამიანები ერთმანეთს მუნჯურად, ხელის ენით ესაუბრებოდნენ. იმ პერიოდში, როცა ადამიანებმა ხმოვანი ბგერების გამოთქმა დაიწყეს, დედამიწის დასახლებულ ნაწილში ოთხი ეთნიკური ელემენტი, ანუ ადამიანთა ოთხი ჯგუფი არსებობდა. თითოეული მათგანი მაგიურ კავშირში იყო ხალხის ტოტემურ კულტურასთან. ისინი ამ კულტურის სიმბოლოდ ითვლებოდნენ და სახელებიც შესა-

ბამისი ერქვათ. ეს სახელი მათი ენის ერთადერთ სიტყვას წარმოადგენდა და ამიტომ ყოვლისმომცველი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ კულტურათა ურთიერთობის საფუძველზე იმ ძირძველი სიტყვების გაცვლა-გამოცვლაც მოხდა და ახალი სიტყვები, ფრაზები, აბრევიატურები, სტრუქტურები გაჩნდა. ამგვარად, დღეს არსებულ ენათა ლექსიკა სწორედ იმ ოთხ სიტყვას ეფუძნება. მაგალითად, ელემენტი „ბერ", რომელიც მარის მოძღვრების თანახმად, გვხვდება სიტყვებში, როგორიცაა *შუ-ბერი* და *ი-ბერი*, საფუძვლად უდევს ლათინურ სიტყვას "portare" (ზიდვა), რუსულ სიტყვას "bratj" (აღება), ბასკურ სიტყვას "buru" (თავი) და ფრანგულ ენაში წინდებულს "pour" (-თვის). ფრანგული ფორმა, სავარაუდოდ, გაცილებით ძველი და პირვანდელი უნდა იყოს, ვიდრე ლათინური "pro", რომელიც ჩვეულებრივი „ბურჟუაზიული" აღქმით, მთელი რიგი ლინგვისტური პროცესების გავლის შემდეგ იქცა ფრანგულ წინდებულად "pour".

ეს გონივრულ თეორიად არ მიმაჩნია და ვერც მეცნიერულ აღმოჩენად ჩავთვლი. თუმცაღა, კიდევ უფრო უცნაურად მეჩვენება, რომ მარის მოსწავლეებმა და თანამოღვაწეებმა ზემოხსენებული მოსაზრებები დოგმებად ანდა, გნებავთ, აქსიომებად აღიარეს. არადა, მარს არასოდეს განუმარტავს, თუ რა პრინციპით ამოირჩია სწორედ ის ოთხი ენობრივი ელემენტი იმ ენების კვლევისას, რომლებსაც იცნობდა და თამამად დავამატებდი იმ ენებსაც, რომლებსაც არ იცნობდა, მაგრამ უკირკიტებდა.

მარის თეორიის თანახმად, კავკასიური (მისივე ტერმინით: იაფეტური) ენები იმ საზოგადოების ენებია, რომელიც ისტორიული განვითარების ერთ კონკრეტულ სტადიას წარმოადგენს. მოვა დრო, როცა ეს ენები ინდოევროპულ ენებად ჩამოყალიბდება. ინდოევროპული ენები გაცილებით მაღალი სტადიის ენებად მოიაზრება. ბოლოს კი მოხდება ენათა შერწყმა, ერთიან ენად ქცევა და შეიქმნება მომავალი კომუნისტური საზოგადოების სრულყოფილი ენა. მარის ბოლოდროინდელი კვლევები სწორედ ამგვარი ენობრივი სპეკულაციებითაა გაჯერებული. მან საბოლოოდ ვერ შეძლო შეესრულებინა ახალგაზრდობაში დადებული პირობა. კერძოდ, ის უზარმაზარი ცოცხალი ლინგვისტური მასალა, რომელიც კავკასიაში მცხოვრები ხალხებისგან და ტომებისგან მოიპოვა, ვერ გადაამუშავა (თუ არ ჩავთვლით მარის რამდენიმე ღირებულ მონოგრაფიას, ძველი ქართული ხელნაწერების საუცხოო ტექსტურ გამოცემებსა და კავკასიოლოგიურ ნაშრომებს, რომლებიც უდავოდ ფასდაუდებელია). სინამდვილეში, ენის აღწერისა და გადამოწმებული მასალის საფუძველზე დასკვნების გამოტანის ნაცვლად, ჩვენ ხელთ გვაქვს მხოლოდ გლოტოგონიური სპეკულაციები და ეტიმოლოგიური ფანტასმაგორიები. გარდა ამისა, გვხვდება არაერთი კვაზიმარქსისტული აბზაცი, სადაც ნათლად ჩანს, რომ მარი საკუთარი მოსაზრებების სისწორეში ავადმყოფურადაა დარწმუნებული და განსხვავებულად მოაზროვნე ყველა ენათმეცნიერი სძულს. ბუნებრივია, განსაკუთრებით დასავლეთევროპელ მეცნიერებს არ სწყალობს.

საკუთარი უცნაური მოძღვრების თავისებურ, რუსულ მარქსიზმთან შერწყმით, 1920-იანი წლების დასაწყისში მარმა, როგორც მარქსისტმა ენათმეცნიერმა, ერთგვარი არაოფიციალური მონოპოლია მოიპოვა. კომუნისტური საბჭოთა რუსეთის ენათმეცნიერების წარმომადგენლად იქცა და დაუპირისპირდა დასავლეთევროპულ და ამერიკულ ენათმეცნიერებში დამკვიდრებულ ყველანაირ ფორმალიზმს, კომპარატივიზმს, იდეალიზმს, კოსმოპოლიტიზმს, იმპერიალიზმსა თუ საერთო დეკადენტიზმს. ჭეშმარიტი მეცნიერული გამოცდილების მქონე რუსი ენათმეცნიერები მარის მოძღვრებას ვერ ეწინააღმდეგებოდნენ. დაპირისპირების შემთხვევაში, ერთი მხრივ, პოლიტიკური საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ, მეორე მხრივ კი, იცოდნენ, რომ მეცნიერული თეორიების დახმარებით მარის თეორიის უარყოფა პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა. ამგვარად, ენათმეცნიერულ დისკუსიებში ყველანაირი საღი არგუმენტი განხილვების მიღმა რჩებოდა. ზოგიერთი ენათმეცნიერი, საკუთარი პოზიციის შენარჩუნების მიზნით, ხოტბას ასხამდა მარსა და მის მოძღვრებას, თუმცა გამოქვეყნებულ ნაშრომებში მარის თეორიებს არც ახსენებდნენ. სხვები კი, მათ შორის არაერთი თაღლითი და პოლიტიკური ოპორტუნისტი, მარის მოსაზრებებს უპირობოდ იზიარებდნენ.

ნიჭიერმა რუსმა ენათმეცნიერმა პოლივანოვმა, 1931 წელს გამოსცა წიგნი „მარქსისტული ენათმეცნიერებისთვის". ავტორი თავს ესხმოდა მარს მარქსიზმის დამახინჯებული ფორმით წარმოდგენისა და ვულგარულ-მარქსისტული მოძღვრების შექმნის გამო. ამგვარად, გაჩნდა ბრძოლის დაწყების ერთადერთი საფუძველიც, მაგრამ მოკლე ხანში პოლივანოვი სცენიდან გაქრა და მალევე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა.

კავკასიელი კოლეგები მარის მოსაზრებებს ნაკლებად იზიარებდნენ. 1926 წელს არნოლდ ჩიქობავამ გამოაქვეყნა წერილი, სადაც სასტიკად გააკრიტიკა 1926 წელს მარის მიერ გამოცემული „ძველი ქართული ენის გრამატიკა". 1934 წელს მარის მიერ გამოცემულ მსგავსი ტიპის კრებულზე „სააზიო ჟურნალში" (*Journal Asiatique)* მეც დავბეჭდე კრიტიკული წერილი, მაგრამ ჩიქობავას კრიტიკა ბევრად ულმობელი იყო. მისმა კრიტიკამ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მარის მომხრეთა პროტესტი გამოიწვია.

მარის გარდაცვალების შემდეგ რუსული ენათმეცნიერება განვითარების ბევრად უფრო ჯანსაღ გზას უნდა დასდგომოდა. მარის მიმდევრები მარის მოძრვრების ყველაზე უფრო ფანტასტიკურ თეორიებს ნაკლებად ახსენებდნენ. სანაცვლოდ, ცდილობდნენ ყურადღება გაემახვილებინათ ტრადიციული შედარებითი ენათმეცნიერების, ხშირ შემთხვევაში, სამართლიან კრიტიკაზე და ტიპოლოგიური კვლევების აუცილებლობაზე. იმ ოთხ ელემენტზე სულ უფრო იშვიათად საუბრობდნენ. ისე ჩანდა, თითქოს ბევრი მათგანი მზად იყო ეღიარებინა, რომ მარის „ოთხელემენტოვანი ანალიზი" მცდარი აღმოჩნდა. ყველაზე მეტ სიფრთხილეს მარის ოფიციალური მემკვიდრე და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მარისტუ-

ლი დაჯგუფების ხელმძღვანელი, მეშჩანინოვი იჩენდა. ენათმეცნიერებს საშუალება მიეცათ, მარის თეორიებისგან თავი შორს დაეჭირათ და ნებისმიერი ნაშრომი ისე გაეკრიტიკებინათ, რომ მათთვის მავნებლობა და მტრობა არავის დაეწამებინა.

ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა და ფილოლოგმა, ივანე ჯავახიშვილმა, თავის უდიდეს ნაშრომში, სადაც კავკასიური ენების ნათესაური კავშირი და საწყისი სტრუქტურა აღწერა, მარის კავკასოლოგიური კვლევებიც ცალკ-ცალკე, საფუძვლიანად განიხილა. ჯავახიშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ მარის ძალისხმევა წარუმატებელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, მარის პოლიტიკური მდგომარეობიდან და ავტორიტეტიდან გამომდინარე, ეს ძალისხმევა ერთგვარ წინაღობად იქცა კავკასიური ენების საღი და სიღრმისეული კვლევა-განვითარების საქმეში. გლოტოგონიური თეორიები კი არა, პროცესების ძირეული და მიუკერძოებელი აღწერა გვჭირდებოდაო, – აღნიშნავდა ჯავახიშვილი.

ყველაფრის მიუხედავად, მარის მოძღვრება საბჭოთა მარქსისტული ენათმეცნიერებისთვის კვლავ სანიმუშოდ რჩება. 1945 წელს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ საიუბილეო ჟურნალში, მარის მოძღვრება ენის ერთადერთ მარქსისტულ მოძღვრებად განიხილება.

ომის მსვლელობისას და მისი დასრულების შემდეგაც მარის თეორიებს ენათმეცნიერულ დისკუსიებში ნაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ენათმეცნიერებს, რომლებსაც 1930-იან წლებში რთულ ვითარებაში უწევდათ მუშაობა და ზოგჯერ დუმილსაც აიძულებდნენ, მეტი თავისუფლება იგრძნეს. შესაბამისად, დასავლეთევროპულ და „ბურჟუაზიულ“ ენათმეცნიერებაზე შეტევებიც შერბილდა. თუმცა, მთელი რიგი პროცესებიდან გამომდინარე, 1946 წელს მიმართულება მთლიანად შეიცვალა. მარის თეორია კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა და მისი მოძღვრება ხელმეორედ აღიარეს მარქსისტული სულისკვეთების ერთადერთ ენათმეცნიერულ თეორიად. ყველა სხვა კვლევა, საბჭოურიც და უცხოურიც, დაიწუნეს და დაგმეს, როგორც ბურჟუაზიული იდეალიზმისა და ფაშისტური იმპერიალიზმის გამოვლინება. 1948 წელს, ჟურნალებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში გაჩაღებული ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მორიგი ანგარიშსწორების დრო დადგა. ენათმეცნიერებმა, რომლებსაც თავს ესხმოდნენ, საკუთარი ცოდვები აღიარეს და გამოტყდნენ, დასავლეთევროპული მეცნიერების ზეგავლენის ქვეშ მოვექეცით და მარი ჯეროვნად ვერ დავაფასეთო. ბოლოს გამოსწორების პირობა დადეს. მარმა სიკვდილის შემდეგაც უპირობო გამარჯვება მოიპოვა. ზუსტად ამგვარად განვითარდა მოვლენები ბიოლოგიისა და გენეტიკური კვლევის სფეროშიც, სადაც გამარჯვებული საბოლოოდ ლისენკო აღმოჩნდა. ზემოხსენებული პროცესებიდან გამომდინარე, იმ ადამიანებისთვის, ვინც მოვლენებს გარედან აკვირდებოდა, 9 მაისს გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი ჩიქობავას სტატია ნაღმივით იყო.

კავკასიოლოგებში ჩიქობავა ცნობილი სახელია. სამხრეთკავკასიური ენების შესახებ მას არაერთი ბრწყინვალე ნაშრომი აქვს შექმნილი. დოქტორის ხარისხი

თბილისის უნივერსიტეტში მიიღო. ამჟამად ამავე უნივერსიტეტის პროფესორია. ვრცელ, ორნახევარგვერდიან საგაზეთო სტატიაში ჩიქობავა დეტალურად გვიხსნის, რომ მარის მოძღვრება ლოგიკურად მიუღებელია; ჩვენს გამოცდილებას ეწინააღმდეგება, მეცნიერებისთვის უსარგებლოა. და ბოლოს, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, მარქსიზმთანაც არაფერი აქვს საერთო. პირიქით, მისი მოძღვრება მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მოძღვრებათა დამახინჯებულ, ვულგარულ-მარქსისტულ სახეს წარმოადგენსო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სტატიაში ჩიქობავა თავს არ ესხმის დასავლეთევროპულ ენათმეცნიერებას. დისკუსიას, რომელიც ზემოთ ხსენებულ სტატიას მოჰყვა, ბევრი არაფერი შეუცვლია, თუმცა აშკარა იყო, რომ მარის მიმდევრები ნელ-ნელა პოზიციებს თმობდნენ. ამ საკითხს აღარ ჩავუღრმავდები. მირჩევნია, იმ სტატიის ნაწყვეტები შემოგთავაზოთ, რომელიც სტალინმა 20 ივნისს, გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდა. სტატიის შინაარსის მოკლედ გადმოცემას ცალკეული ადგილების თარგმნა ვამჯობინე. მართალი გითხრათ, სტალინის ხედვა ნაკლებად მაინტერესებს. გაცილებით უფრო საინტერესოა ის ხერხები, რომლითაც თავისი მოსაზრებების ფორმულირებას ახდენს.

„ჩემმა ახალგაზრდა მეგობრებმა მაიძულეს, აზრი გამომეთქვა რამდენიმე ენათმეცნიერულ საკითხზე. განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში. მათ მთხოვეს, ამ ყველაფრის შესახებ პრესასთან მესაუბრა. ენათმეცნიერი არ გახლავართ და, ბუნებრივია, ყველა კითხვაზე პასუხი ვერ მექნება, მაგრამ მარქსიზმზე, ენათმეცნიერებასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ორიოდე სიტყვის თქმა ნამდვილად შემიძლია. რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემის სურვილი ამიტომაც გამოვთქვი“.

პირველი შეკითხვა: მართალია, რომ ენა ბაზისზე აგებული ზედნაშენია?

„არა, არ არის მართალი.

ბაზისს წარმოადგენს საზოგადოების განვითარების ერთ კონკრეტულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ეკონომიკური სტრუქტურა. ზედნაშენს საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური, შემოქმედებითი და ფილოსოფიური იდეები განსაზღვრავს.

ენა ამ შემთხვევაში ფუნდამენტურად განსხვავდება ზედნაშენისგან. მავალითისთვის რუსული საზოგადოება და რუსული ენა ავიღოთ. ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე რუსეთში ძველი კაპიტალისტური საფუძველი მოიშალა და ახალი სოციალისტური საფუძველი შეიქმნა. აქედან გამომდინარე, კაპიტალისტური ბაზისის ზედნაშენიც ჩამოიშალა და მის ნაცვლად შეიქმნა ახალი, სოციალისტურ საფუძველს მორგებული ზედნაშენი... მიუხედავად ამისა, რუსული ენა ისეთივე დარჩა, როგორიც ოქტომბრის რევოლუციამდე იყო.

ამ ხნის განმავლობაში რუსულ ენაში რა შეიცვალა? გარკვეულწილად შეიცვალა ლექსიკა, საკმაო რაოდენობის ახალი სიტყვებითა და გამოთქმით შეივსო...

ძირითადი ლექსიკა და გრამატიკული სტრუქტურა კი მთლიანად უცვლელი დარჩა. ეს არის, ასე ვთქვათ, ერთგვარი საფუძველი დღევანდელი რუსული ენისა...

ენა ერთ რომელიმე კონკრეტულ საზოგადოებრივ წყობას კი არ ეფუძნება, არამედ საუკუნეების მანძილზე ფეხდაფეხ მისდევს ამ საზოგადოების ისტორიულ და ეკონომიკურ განვითარებას. ენა არ შექმნილა ერთი რომელიმე კლასის მიერ. ენა მთლიანად საზოგადოების, მისი ყველა ფენის მიერ შეიქმნა და ამ პროცესში თაობები იყო ჩართული. ენა ერთი რომელიმე კლასის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ შექმნილა. ის მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა ფენის კუთვნილებაა... თუმცაღა, ამ შემთხვევაში ენა არ განსხვავდება საწარმოო საშუალებებისგან, ვთქვათ, სხვადასხვა დანადგარისგან, რომლებიც ერთნაირად გვემსახურება როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური საზოგადოების მოწყობაში. ეს ყველაფერი საკმაოდ მარტივი გასაგებია. ყოველი რევოლუციის შემდეგ ენის სტრუქტურა და ძირითადი ლექსიკა რომ მოგვეშალა და ახლით ჩაგვენაცვლებინა, რა სარგებელი გვექნებოდა...“

მეორე შეკითხვა: მართალია, რომ ენა ყოველთვის კლასობრივია და არ არსებობს ერთიანი სახალხო ენა, რომელიც საზოგადოების ყველა ფენისთვის საერთოა?

„არა. არ არის მართალი. იქმნება დიალექტები, ჟარგონული გამოთქმები, სალონური მეტყველება, რასაც ლიტერატურაში ენად მოიხსენიებენ: კეთილშობილთა ენა, ბურჟუათა ენა, რომელსაც პროლეტარული და გლეხური ენა უპირისპირდება. უცნაურია, მაგრამ ამ მიზეზით, ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა დაასკვნა, რომ ნაციონალური ენა ფიქციაა და სინამდვილეში მხოლოდ კლასობრივი ენა არსებობს.

ეს ადამიანები სულ მცირე ორ შეცდომას უშვებენ: ჯერ ერთი, ენას ზედნაშენად თვლიან. ვინაიდან ზედნაშენი კლასობრივი მოვლენაა, ჰგონიათ, რომ ენაც კლასობრივი ფენომენი უნდა იყოს. მეორე შეცდომა ისაა, რომ ბურჟუაზიულ და მუშათა კლასებს შორის არსებულ ინტერესთა წინააღმდეგობას ისე აღიქვამენ, როგორც საზოგადოების რღვევას. თითქოს მტრულად ურთიერთგანწყობილ კლასებს ყველანაირი კავშირი გაწყვეტილი აქვთ. ამგვარად, ყოველი ფენის კუთვნილ ენას საკუთარი, კლასობრივი, ასე ვთქვათ, პროლეტარული და ბურჟუაზიული გრამატიკა უნდა ჰქონდეს... მსოფლიოში ასეთი გრამატიკა არ არსებობს, მაგრამ ამ ჩვენს მეგობრებს ეს ამბავი უხერხულობაში არ აყენებს. ისინი ფიქრობენ, რომ მსგავსი გრამატიკები აუცილებლად გაჩნდება.

გრამატიკა (სინტაქსი და მორფოლოგია) მოიცავს უამრავ წესს, რომელიც სიტყვათა ცვალებადობას და სიტყვათა შეთანხმების საფუძველზე წინადადებების შედგენას განსაზღვრავს. შესაბამისად, ენა, სწორედ გრამატიკის დახმარებით საშუალებას გვაძლევს, ადამიანური აზრები მატერიალური ენობრივი სამოსით შევმოსოთ. გრამატიკა, ჩვეულებისამებრ, აყალიბებს წესებს სიტყვათა ცვალებადობის შესახებ, რაც რომელიმე კონკრეტულ სიტყვას კი არ ეხება, არამედ საყოველ-

თაოა. ასევე აყალიბებს წესებს წინადადების აგების შესახებ და ეს წესებიც საერთოა ნებისმიერი წინადადებისთვის და არა რომელიმე კონკრეტული ფორმისთვის... ამ შემთხვევაში გრამატიკას შევადარებდი გეომეტრიას, რომელიც კანონების ჩამოყალიბებისას უგულებელყოფს კონკრეტულ ობიექტებს. ამ ობიექტებს აბსტრაქტულ საგნებად აღიქვამს და მხოლოდ მათ შორის ურთიერთკავშირებს განსაზღვრავს... ზოგადად, საგანთა შორის ურთიერთკავშირებს ყოველგვარი კონკრეტიზაციის გარეშე. ნებისმიერი ენის გრამატიკული სტრუქტურა ბევრად უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მისი ლექსიკა...

ამბობენ, ენის ეტაპობრივი განვითარება მარქსისტულ თეორიას წარმოადგენსო, რადგან ეს თეორია აღიარებს, რომ ძველის ახლით ჩასანაცვლებლად მოულოდნელი აფეთქებები აუცილებელი წინაპირობაა. ეს, ბუნებრივია, არ არის სწორი, რადგან ამ თეორიაში რაიმე მარქსისტულის პოვნა რთულია".

(ასე რომ, სტალინი უარყოფს თეორიას ახალი ენების წარმოქმნისა და ძველი ენების შეჯვარების შესახებ)

„ენათა შეჯვარება ახალ, მესამე ენას არ ქმნის. შედეგად ერთ-ერთი ენა განვითარებას აგრძელებს, ინარჩუნებს სტრუქტურას, ძირითად ლექსიკას და თავისი შინაგანი კანონების მიხედვით განვითარების საშუალება ეძლევა".

მესამე შეკითხვა: სწორად მოიქცა თუ არა „პრავდა", როცა ენათმეცნიერულ საკითხებზე ღია დისკუსია წამოიწყო?

„სწორად მოიქცა.

ამ დისკუსიამ, უპირველესად, გამოააშკარავა, რომ ენათმეცნიერულ დაწესებულებებს, ყველა რესპუბლიკის მასშტაბით, ის რეჟიმი მართავდა, რომელიც არც მეცნიერებისთვის იყო ხელსაყრელი და არც მეცნიერ მუშაკთათვის. წამყვანი წრეების წარმომადგენლები გმობდნენ და აბათილებდნენ ყველანაირ კრიტიკულ აზრს, რომელიც ჩვენი ლინგვისტურ-კვლევითი საქმიანობისა და ეგრეთ წოდებული „ახალი მოძღვრების" წინააღმდეგ იყო მიმართული. მარის მემკვიდრეობისა და მისი მოძღვრებისადმი კრიტიკული მოსაზრებების მქონე ბევრი ღირსეული ენათმეცნიერი თანამდებობიდან გადააყენეს ან ჩამოაქვეითეს. ენათმეცნიერები თანამდებობებზე განათლებისა და გამოცდილების საფუძველზე კი არ ინიშნებოდნენ, არამედ იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად აღიარებდნენ მარის მოძღვრებას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ თავისუფალი კრიტიკისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარეშე მეცნიერება ვერ განვითარდება და გაიფურჩქნება. თუმცა, ეს საყოველთაო წესი დაუნდობლად უგულებელყვეს და ფეხქვეშ გათელეს. გამოჩნდა უცდომელ მეცნიერთა მოწინავე ჯგუფი, რომელმაც ჯერ ყველანაირი შესაძლო კრიტიკა აირიდა, შემდეგ კი მართვის სადავეები თვითნებურად ხელში ჩაიგდო და ბინძური თამაში წამოიწყო".

(სტალინი ამბობს, რომ მარის ლექციები, რომლებსაც თვითონ თავს არიდებდა, მარის მოსწავლეებმა წიგნად გამოსცეს და სტუდენტებს სახელმძღვანელოდ სთავაზობდნენ)

„ამხანაგ მეშჩანინოვისა და სხვა ენათმეცნიერთა პატიოსნებაში დარწმუნებული რომ არ ვიყო, მსგავს ქმედებას საბოტაჟად ჩავუთვლიდი...

მოკლედ, დისკუსია ძალიან სასარგებლო იყო, რადგან მან ზემოხსენებული რეჟიმი გააშიშვლა და ბოლომდე დაამსხვრია. ამასთანავე გამოავლინა უმნიშვნელოვანეს ენათმეცნიერულ საკითხთა საოცრად უწესრიგო აღქმა, რომელიც ამ პროფილის მეცნიერთა მოწინავე წრეებში იყო გაბატონებული. დღეს ის მეცნიერები აღიარებენ, რომ მარის მოძღვრებაში უამრავი ლაკუნა, შეცდომა, დაუზუსტებელი მოსაზრება და დაუმუშავებელი თეზისია. ადრე ამაზე რატომ არ დარდობდნენ? ადრე ამაზე ღიად და გულწრფელად რატომ არ საუბრობდნენ ისე, როგორც ნამდვილ მეცნიერებს შეეფერებათ?... მას შემდეგ, რაც მარის მოსწავლეებმა თავიანთი დიდი მასწავლებლის შეცდომები აღიარეს, ისე გამოდის, თითქოს საბჭოთა ენათმეცნიერება მხოლოდ მარის თეორიის საფუძველზე ვითარდება. მათ ეს თეორია მარქსისტულად მიაჩნიათ. არა, მარის მარქსიზმისგან თავი ნამდვილად უნდა დავიცვათ. მარს, ფაქტობრივად, უნდოდა და ყველანაირად ცდილობდა, მარქსისტი ყოფილიყო, მაგრამ ვერ შეძლო. ამასთანავე, მარმა ენათმეცნიერებაში კადნიერი, მკვეხარა და ამპარტავნული კილო დაამკვიდრა, რაც მარქსიზმისთვის უცხოა და რაც იმაზე მეტყველებს, რომ მარი უარყოფს მის გამოჩენამდე ენათმეცნიერებაში დამკვიდრებულ ყველა მოსაზრებას.

მარი ისტორიულ-შედარებით მეთოდს ლანძღავს და იდეალისტურს უწოდებს. მე კი შედარების მეთოდი, უამრავი ხარვეზის მიუხედავად, ბევრად უკეთესი მგონია, ვიდრე სწორხაზოვნად იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი. პირველი მეთოდი კიდევ უფრო მეტი მუშაობისა და ენების კვლევის საშუალებას გვაძლევს, მეორე კი ბევრს არაფერს გვიტოვებს, გულხელდაკრეფილნი უნდა ვისხდეთ და იმ სანაქებო ოთხ ელემენტით ყავაზე ვიმკითხაოთ...

მარისა და, განსაკუთრებით, მისი მოსწავლეების მოსმენისას, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ მანამდე არანაირი ენათმეცნიერული კვლევა არ არსებობდა და ენათმეცნიერებას მარის ახალმა მოძღვრებამ ჩაუყარა საფუძველი. მარქსი და ენგელსი ბევრად უფრო მოკრძალებულები იყვნენ და მიაჩნდათ, რომ მათი დიალექტური მატერიალიზმი საუკუნეთა განმავლობაში განვითარებული მეცნიერებებისა და ფილოსოფიის ერთგვარ პროდუქტს წარმოადგენდა. ჩემი აზრით, რაც უფრო მალე გათავისუფლდება ჩვენი ენათმეცნიერება მარის შეცდომებისგან, მით უფრო მალე დააღწევს თავს დღევანდელ კრიზისს“.

ჟურნალ „ბოლშევიკის“ მეთოთხმეტე ნომერში დაბეჭდილ წერილშიც სტალინი ერთ-ერთ სტატიას ეხმაურება. მე ბოლო აბზაცს შემოგთავაზებთ.

„მედავითნეები და თალმუდისტები მარქსიზმსა და ცალკეულ მარქსისტულ დასკვნებსა თუ ფორმულებს ისე უყურებენ, როგორც დოგმათა ერთიანობას, რომელიც, საზოგადოების განვითარების მიუხედავად, არასოდეს იცვლება. მათ ჰგონიათ, რომ დაზუთხული ფრაზების გამოყენებით ყველა საკითხის გადაჭრას შეძ-

ლებენ, რომ გაზეპირებული თეზისები და ფორმულები ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში გამოადგებათ. ასე მხოლოდ ის ადამიანები ფიქრობენ, რომლებიც მარქსიზმს ზედაპირულად უყურებენ და სიღრმისეულად ვერ აღიქვამენ. მარქსისტულ ტექსტებს იზეპირებენ, მაგრამ მათი შინაარსი არ ესმით...

მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, ერთ ადგილზე ნამდვილად არაა გაჩერებული. იგი გამუდმებით ვითარდება და იხვეწება. განვითარების პროცესში ახალი ცოდნითა და გამოცდილებებით მდიდრდება. აქედან გამომდინარე, ცალკეული მარქსისტული ფორმულები და, დასკვნები დროთა განმავლობაში შესაძლოა შეიცვალოს და ახალი ისტორიული გამოწვევის შესაბამისად, ახალი დასკვნები და ფორმულები გაჩნდეს. მარქსიზმი არ ცნობს უცვლელ დასკვნებსა და ფორმულებს, რომლებიც ყველა ეპოქისა და პერიოდისთვის სავალდებულოა. მარქსიზმი ყველანაირი დოგმატიზმის მტერია".

სტატიის სტილისტურ მხარეს თუ გავითვალისწინებთ, ყველანაირი მიზეზი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ის მართლაც სტალინის კალამს ეკუთვნის. თუმცა, არ გამოვრიცხავთ, რომ საჭირო ენობრივი მასალით სპეციალისტებმა უზრუნველყვეს. თუ არ ჩავთვლით იმ დეტალურ და მკაცრ ტერმინოლოგიას, რომელსაც, სხვათა შორის, სტატიის ავტორი გაცილებით მსუბუქად იყენებს, ვიდრე ჩვეულებრივ მარქსისტულ ეპიგონურ ლიტერატურაშია ხოლმე, სტალინის ფორმულირებები საკმაოდ ჯანსაღი და გონივრულია. ავტორს საკითხთა საღად განსჯის უნარი შესწევს. მის მიერ გამოთქმული შეხედულებებიდან ზოგიერთი იმდენად მყარი და მნიშვნელოვანია, დასავლეთევროპელ ენათმეცნიერებსაც რომ გააოცებდა. თუმცა, წინააღმდეგობებიც არაერთია. ბევრი ჩვენგანისთვის სტალინის შეხედულებები, ალბათ, შედარებით კონსერვატიული და ტრადიციულია. ქვეყანაში, სადაც, მსოფლიოს სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, უდავოდ ხელშესახები, მრავალმხრივი და ნაწილობრივ შეუსწავლელი ენობრივი მასალა არსებობს, ენათმეცნიერული კვლევის ყველანაირი საფუძველი უნდა შეიქმნას და ჩვენც კმაყოფილებისთვის მიზეზი გვექნებოდა... თუმცა, საკითხს თუ ჩავუღრმავდებით, ყველაფერი კარგად სულაც არ არის.

როცა აცნობიერებ, რომ მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში, ქვეყნის სამეცნიერო წრეებში ერთი მიმართულება იყო გაბატონებული, უნუგეშობის განცდა გიპყრობს. მერე ქვეყნის პოლიტიკური ლიდერის ერთი ფრაზა ამ მიმართულებას ერთ ღამეში აცამტვერებს.

მკვლევრები, რომლებიც მარის მოძღვრებას არასოდეს აღიარებდნენ, წესით, დღეს თავს ბევრად თავისუფლად უნდა გრძნობდნენ, მაგრამ მათ არანაირი გარანტიები არ გააჩნიათ. არავინ იცის, რამდენიმე წელიწადში დრო ვის სასარგებლოდ შემობრუნდება. გამორიცხული არ არის, ერთ მშვენიერ დღესაც, „არამეცნიერული მოტივით", ხელახალი წმენდა ჩაატარონ. ის მეცნიერები კი, რომლე-

ბიც რამდენიმე წლის წინ იძულებულები გახდნენ, საკუთარ მოსაზრებებზე უარი ეთქვათ და მარის მოძღვრება ეღიარებინათ, თავს ისე გრძნობენ, როგორც პაიკები, რომლებიც თამაშის წესებში ვერ გარკვეულან. მსგავსი სიტუაცია დიდად ვერავის წაახალისებს. ასეთი ატმოსფერო თავისუფალი კვლევისთვის ხელსაყრელი სულაც არ არის. მკვლევრები, ალბათ, ყველაფერს გარკვეული ცინიზმით უყურებენ, რასაც კარგი შედეგები ნამდვილად არ მოჰყვება და შესაბამისად, დროთა განმავლობაში ახალი სამუშაო ძალების მოზიდვაც გართულდება.

მსოფლიო პრესა ამ დისკუსიას უდიდესი ინტერესით ადევნებდა თვალს. ეს მოვლენა ისე აღიქვეს, როგორც ერთ-ერთი სიმპტომი იმისა, რაც სინამდვილეში კულისებს მიღმა ხდებოდა. როცა მიმართულება ასე მკვეთრად იცვლება, ბუნებრივია, გაცილებით სიღრმისეული მიზეზების პოვნაა საჭირო. რა თქმა უნდა, შეიძლება მარტივადაც ახსნა და დაიჯერო, რომ სტალინს უბრალოდ ენის კვლევა აინტერესებს. მანამდე იმდენად დაკავებული იყო, ამ საქმისთვის ვერ მოიცალა. ბოლოს და ბოლოს კი დისკუსიაში ჩაერთო, რომელიც რატომღაც „პრავდამ“ წამოიწყო. სამწუხაროდ, მსგავსი ახსნა-განმარტება საბჭოთა კავშირში მანამდე განვითარებულ მოვლენებს ეწინააღმდეგება. მაგალითად, ბიოლოგიის სფეროში პროცესები სრულიად საპირისპიროდ წარიმართა: ერთ-ერთ მიმართულებას, რომელიც დასავლეთ ევროპული მეცნიერების მოსაზრებებს ღიად იზიარებდა, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სანქცია დაადო.

მოკლედ, გაცილებით სწორი იქნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ენათმეცნიერული დისკუსიის მიღმა გარკვეული ხასიათის პოლიტიკური მოტივები იმალება. როგორც ჩანს, იმ ძალებს შორის, რომლებსაც ნაკლებად ვიცნობთ, ფარული ბრძოლაა გაჩაღებული. „პრავდა“ ამგვარ კამათს შემთხვევით არ წამოიწყებდა. არც სტალინის კამათში ჩართვაა შემთხვევითი. უამრავი მოსაზრება შეიძლება გაგიჩნდეს. მე მხოლოდ ერთ-ერთ მოსაზრებას გაგიზიარებთ, რომელსაც დანარჩენ მოსაზრებებთან საერთო ის აქვს, რომ რთული დასამტკიცებელია.

ჩემი აზრით, სტალინის გამოსვლა ერთგვარი განმეორებითი ბიძგია საყოველთაო კულტურული კონსერვატიზმისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირისთვის სულ უფრო დამახასიათებელი ხდება. 1920-იანი წლების დასაწყისში რევოლუციური შეტევისა და ქარიშხლის ქაოსური რადიკალიზმი წარსულს ჩაბარდა. ლინგვისტური თვალსაზრისით, კონსერვატიზმმა ის გამოიწვია, რომ ხალხი ტოლსტოისა და პუშკინის კლასიკურ ენობრივ ტრადიციებს უბრუნდება. ეს იმ მარქსისტულ გზნებას აყოლილი ძალების წინააღმდეგ მიმართული რეაქციაა, რომლებიც თავს ვალდებულად თვლიდნენ, რევოლუცია მოეხდინათ ენაშიც. უნდოდათ შეექმნათ კომუნისტური რუსული ენა, რომელიც ისტორიულ უწყვეტლობას დაარღვევდა არა მხოლოდ სტილისტურად და ლექსიკურად, არამედ სტრუქტურულადაც. შეიძლება იფიქრო, რომ მსგავსი ტენდენცია ენის ვულგარიზაციას და ზოგადად, სტანდარტული ენის დაკნინებას გამოიწვევდა, რადგან ცუდი, დაბინძურებული და არასწორი რუსული ამ ახალი მომავლის ენად აღიქმებოდა, როგორც ხალხის

წიაღიდან გამოსული თავისთავადი წილი. თუმცა, ამ ტენდენციებს აშკარად ბევრი საერთო აქვს მარის მოძღვრებასთან, რომელიც რევოლუციის დროინდელი კულტურული ანარქიის ღვიძლ შვილს გვაგონებს. თანდათანობით კულტურული კონსერვატიზმი სულ უფრო მეტად იკვეთებოდა. მარისა და მისი მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ თეორიებს შორის არსებული წინააღმდეგობებიც კიდევ უფრო ღრმავდებოდა, ბოლოს კი მთლიანად უნდა ჩამოშლილიყო. მგონი, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მარი ხაზგასმით აღნიშნავდა ენობრივ სტრუქტურასა და სოციალურ პირობებს შორის პირდაპირი ურთიერთკავშირის არსებობას. ამგვარად, უამრავ გაოგნებულ „სულიერს“ უღვივებდა რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანი ვალდებული იყო, შეექმნა კომუნისტური რუსული ენა, რომელიც კლასიკური რუსულისგან ისევე განსხვავებული იქნებოდა, როგორც ამჟამინდელი საზოგადოება განსხვავდება მეფის რუსეთის დროინდელი საზოგადოებისგან. მარის თეორიის თანახმად, მომავლის კომუნისტური ენა იქნებოდა ყველა იმ „კომუნისტური“ ენის შეჯვარების შედეგი, რომლებზეც დღევანდელი საბჭოთა კავშირის ხალხები მეტყველებენ. პროცესებზე დაკვირვებისას, ადვილი მისახვედრია, რომ ამგვარი შეჯვარების საბოლოო შედეგი მხოლოდ რუსული (სავარაუდოდ, ცუდი რუსული) იქნებოდა.

საბჭოთა კავშირში გაერთიანებულმა მცირერიცხოვანმა ერებმა, რევოლუციის წყალობით, ის ენობრივი ავტონომია მოიპოვეს, რომელიც მანამდე არასოდეს ჰქონიათ. არა მგონია, ეს ერები მარის სამომავლო გეგმებით დიდად მოხიბლულები დარჩენილიყვნენ. ვერ ვიტყვი, სწორად განვმარტე თუ არა, მაგრამ ერთ რამეში კი ბოლომდე დარწმუნებული ვარ. პოლიტიკურ ლიდერთა ენათმეცნიერულ კამათში ჩართვა ენის თეორიულმა ინტერესმა სულაც არ განაპირობა. მიზეზი იყო ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც პოლიტიკურ აპარატში კულტურულ მეცნიერებათა საკითხებთან დაკავშირებით გაღვივდა.

ახლო მომავალში კურსის ცვლილება კონკრეტულ პროცესებზეც აისახება: ენათმეცნიერთა ნაწილი, ძირითადად ნაკლები დამსახურების მქონენი, უამრავ წერილს გააშანშალებენ, სადაც სტალინის მოსაზრებებს კიდევ უფრო ხატოვნად გადმოგვცემენ. მარის თეზისებს კი, რომლებსაც მთელი 20-30 წლის განმავლობაში ნებსით თუ უნებლიედ ულუფებად გვთავაზობდნენ, საბოლოოდ დაგმობენ და უარყოფენ.

მარის მომხრეებს წამყვანი თანამდებობებიდან გადააყენებენ. მისი მემკვიდრე, მეშჩანინოვი უკვე გადადგა თანამდებობიდან, რომელიც მეცნიერებათა აკადემიაში ეკავა. მარის სახელი ყველა ჟურნალ-გაზეთიდან გაქრება, არცერთ დაწესებულებაში აღარ ახსენებენ. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რუსულ ენათმეცნიერებას ხელახალი განვითარების შესაძლებლობა მიეცემა.

მართალია, სიტყვა „თავისუფლება“ ჩვენ სულ სხვაგვარად გვესმის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ რუსულ მეცნიერებას თავისუფალი თუ არა, ნაყოფიერი განვითარების საშუალება მაინც მიეცემა. სტალინის განცხადებების ფარგლებში კა-

რგი სამუშაოების ჩატარების შესაძლებლობა ნამდვილად იქნება. თუ განვითარება ამ გზით წავა, მაშინ საბჭოთა კავშირი შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს უმაღლესი კლასის საერთაშორისო ენობრივ კვლევებში. დიახ, ამ სფეროში წამყვანი პოზიციის დაკავებას ნამდვილად შეძლებს. კედელი, რომელიც საბჭოთა-რუსულ და დასავლეთევროპულ-ამერიკულ ენათმეცნიერებს შორის ბოლო წლების განმავლობაში აღიმართა, შესაძლოა, ჩამოიშალოს. ყოველ შემთხვევაში, თუ არ ჩამოიშლება, ამ კედელზე კარი ან ფანჯრები გაჩნდება. ამგვარად, ერთმანეთის დანახვას მაინც შევძლებთ და გამორიცხული არ არის, თანამშრომლობაც მოვახერხოთ. თუ ყველაფერი მართლა ასე მოხდა, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად გაგიგებთ. მაინც პირველები ვიქნებით იმათ შორის, ვინც ამ განვითარებას სიხარულით შეხვდება.

ნორვეგიულიდან თარგმნა თამარ კვიჟინაძემ

თარგმანი იბეჭდება თინათინ ბოლქვაძის რედაქციით

თ ა რ გ მ ა ნ ი

მეთიუ დრაიერი

აღწერითი თეორიები, ამხსნელობითი თეორიები და ენათმეცნიერების საბაზისო თეორია[1]

1. შესავალი

ენათმეცნიერები ხშირად განასხვავებენ ნაშრომებს, რომლებსაც ახასიათებენ როგორც აღწერითს (დესკრიფციულს), ნაშრომებისაგან, რომლებსაც ახასიათებენ როგორც თეორიულს. ასევე, გარკვეული ნაშრომი ლინგვისტმა შეიძლება დაახასიათოს როგორც ათეორიული. ეს ტერმინი (label) ზოგჯერ გამოიყენება არა მხოლოდ განსაზღვრული ენების აღწერითი ხასიათის ნაშრომის, არამედ ენობრივ-ტიპოლოგიური ნაშრომის მიმართაც. ამ თავში ვასაბუთებთ, რომ ამგვარი მიდგომა თეორიისა და აღწერის ურთიერთმიმართების არსებით მცდარი ინტერპრეტაციაა. ჯერ ერთი, არ არსებობს ათეორიული ტიპის აღწერა, ხოლო მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ამ შეპირისპირებისას აღრეულია თეორიისა და აღწერის ცნებები (notion), ნამდვილად აქვს აზრი, რომ განვასხვაოთ ერთმანეთისაგან აღწერა და ახსნა. შემდეგ ვასაბუთებთ, რომ საჭიროა როგორც აღწერითი, ასევე ამხსნელობითი თეორიები. აღწერითი თეორია (ან თეორიული ჩარჩო; theoretical framework) წარმოადგენს თეორიას იმის შესახებ, თუ *როგორია* ესა თუ ის ენა.[2] ეს გახლავთ თეორია იმის შესახებ, თუ რა საშუალებები არის საჭირო ამა თუ იმ ენის ადეკვატური აღწერისათვის. ამხსნელობითი თეორია (ან თეორიული

---

[1] Matthew S. Dryer, Descriptive theories, explanatory theories, and Basic Linguistic Theory, In: Catching Language: the Standing Challenge of Grammar Writing, edited by Felix K.Ameka, Alan Dench, Nicholas Evans. Trends in Linguistics, Studies and Monographs 167, Mouton de Gruyter, Berlin · New York, 2006.

ამ სტატიის ადრეულ ესკიზებზე კომენტარებისათვის მადლობელი ვარ: მალკოლმ როსის, ედით მორავჩიკის, ჟან-პიერ კიონიგის, მარტინ ჰასპელმათის, ლეა ბრაუნისა და კიდევ ორი ანონიმური რეცენზენტისა.

[2] ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ გავრცელებულ პრაქტიკის შესაბამისად ვიყენებ ტერმინ „თეორიას“, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, მას ეწოდოს „თეორიული ჩარჩო“. მნიშვნელოვანწილად, განსხვავებული თეორიული ჩარჩოები წარმოადგენენ არა რეალურად განსხვავებულ თეორიებს, არამედ უბრალოდ სხვადასხვა მეტაენას ბუნებრივი ენის აღსაწერად. ერთი თეორიული ჩარჩოს ფარგლებში შესრულებული ანალიზი ხშირად შეიძლება ითარგმნოს სხვა თეორიული ჩარჩოს მეტაენაზე; რეალური თეორიული განსხვავება არსებობს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვერ ვთარგმნით ანალიზს ერთი თეორიული ჩარჩოდან მეორეზე. შემდგომი მსჯელობა ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით იხ. დრაიერის ნაშრომში (დრაიერი 2006).

ჩარჩო), აღწერითისაგან განსხვავებით, თეორიაა იმის შესახებ, თუ *რატომ* არის ყოველი ენა ისეთი, როგორიც ის არის.

აღწერით და ამხსნელობით თეორიებს შორის განსხვავება ენათმეცნიერებაში საყოველთაოდ არ არის აღიარებული, თუმცა რთული არ არის, რომ ამოვიცნოთ ისტორიული ახსნა. ჯერ ერთი, პრეგენერატიული თეორიები, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკული სტრუქტურალიზმი, აშკარად უარყოფდნენ ამხსნელობითი თეორიის აგების მიზანს. ფაქტობრივად, ისინი აღწერითი თეორიის ნიმუშებია და მათ საფუძველშივე ივარაუდებოდა, რომ ეს იყო თეორიის ერთადერთი საჭირო ტიპი. ამის საპირისპიროდ, გენერატიული გრამატიკა მიზნად ისახავდა, რომ ყოფილიყო ამხსნელობითი თეორია. გარდა ამისა, ჩომსკის ნაშრომებში 1970-იანების შუა წლებიდან (მაგალითად, ჩომსკი 1973) განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდა გენერატიული გრამატიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომ ერთი თეორია შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც აღწერით, ისე ამხსნელობითი.[3] აღნიშნული თვალსაზრისი გამომდინარეობს ჩომსკის შეხედულებიდან ენობრივი თანდაყოლილობის შესახებ: თუ გვჯერა, რომ ენა არის ისეთი, როგორიც ის არის, ჩვენი თანდაყოლილი ენობრივი ცოდნის გამო, მაშინ თეორია ამ თანდაყოლილი ენობრივი ცოდნის შესახებ ერთდროულად არის თეორია იმის შესახებაც, თუ როგორია ესა თუ ის ენა და რატომ არის ეს ენა ისეთი, როგორიც ის არის.

მიუხედავად ამისა, უცნაურია, რომ ბევრი ენათმეცნიერი, რომლებიც უარყოფენ ჩომსკის თვალსაზრისს თანდაყოლილობის შესახებ, იმპლიციტურად აღიარებენ ჩომსკისეულ პრინციპს, რომ ერთი თეორია გამოდგება ორივე თეორიული მიზნისათვის. ბევრმა საკუთრივ ფუნქციონალისტმა წამოაყენა ჩომსკის თეორიისაგან რადიკალურად განსხვავებული ახსნა იმისა, თუ რატომ არის ესა თუ ის ენა ისეთი, როგორიც ის არის. სწორედ აღწერითი თეორიისა და ამხსნელობითი თეორიის საკითხების აღრევის გამო ფუნქციონალისტები ხშირად აწყდებიან პრობლემებს, როდესაც ცდილობენ აღწერონ ენა ფორმალური ლინგვისტიკის ფარგლებში. ამ თავში განვიხილავთ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს უარყო-

[3] ამ სტატიაში გამოყენებული დიდი ნაწილი ლიტერატურისა, რომელიც გენერატიულ გრამატიკას უკავშირდება, ფაქტობრივად, მოიცავს ჩომსკისეულ თვალსაზრისებს, იგულისხმება მისი გენერატიულ თვალსაზრისთა თანმიმდევრობა 1957 წლიდან მინიმალიზმის ჩათვლით. თვით გენერატიული გრამატიკის შიგნით არსებობს აზრთა სხვადასხვაობა ამ სტატიაში განხილულ ბევრ საკითხთან მიმართებით, განსაკუთრებით ჩომსკისეულ მიდგომებსა და მეთაური წევრით მართული ფრაზული სტრუქტურის გრამატიკას შორის (Head-Driven Phrase Structure Grammar; პოლარდი და საგი 1994). კერძოდ, მეთაური წევრით მართული ფრაზული სტრუქტურის გრამატიკა შეიძლება განისაზღვროს უმთავრესად როგორც აღწერითი თეორია, ვიდრე როგორც ამხსნელობითი. ოპტიმალურობის თეორია იზიარებს ჩომსკისეულ თვალსაზრისს, რომ ერთი თეორია შეიძლება ერთდროულად იყოს როგორც აღწერითი, ისე ამხსნელობითი; იხ. სქოლიო 9 ქვემოთ.

ფას ჩომსკისეული თვალსაზრისისა, რომ ერთი თეორია ორივე თეორიულ მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს; ასევე, განვიხილავთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი ტიპის თეორია გამოდგება ადეკვატურ აღწერით თეორიად. შემდგომ ვასაბუთებთ, რომ თეორია, რომელსაც დიქსონი (1997) უწოდებს „ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას", წარმოგვიდგება როგორც ადეკვატური აღწერითი თეორია.

ამ სტატიის სამიზნე ჯგუფს უმთავრესად შეადგენენ ლინგვისტები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ ფუნქციონალისტებად, ამ ტერმინის ფართო მნიშვნელობით, იმ აზრით, რომ ფუნქციონალიზმი მოიცავს როგორც ტიპოლოგიურ, ასევე დესკრიფციულ კვლევებს.[4] ამ სტატიაში განხილული ძირითადი საკითხი უკავშირდება იმის გარკვევას, თუ როგორი თეორიაა საჭირო ლინგვისტური აღწერისთვის იმ შეთხვევაში, თუკი გავიზიარებთ ფუნქციონალისტთა თვალსაზრისს ენის შესახებ; მოცემული სტატიის მიზნებისათვის ეს ფუნქციონალისტური თვალსაზრისი შეიძლება დახასიათდეს როგორც თვალსაზრისი, რომელშიც ფუნქციური თუ გარეგრამატიკული პრინციპები (grammar-external principles) ასრულებენ ძირითად როლს იმის ასახსნელად, თუ რატომ არის ესა თუ ის ენა ისეთი, როგორიც ის არის.

2. ლინგვისტური აღწერის ისტორია

ბოლო მეოთხედი საუკუნის განმავლობაში როგორც ფორმალურ, ისე ფუნქციონალისტურ თეორიაში, მათი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი განვითარების მიუხედავად, შეინიშნება მზარდი ერთგვაროვნება ენათა აღწერის თვალსაზრისით. თუ განვიხილავთ დაახლოებით 1965 წლიდან 1975 წლამდე დაწე-

[4] ამის თქმას უკავშირდება ერთგვარი რისკი, განმტკიცდეს მეტისმეტად გამარტივებული შეხედულება, რომ არსებობს აშკარა დიქოტომია ენისადმი ფუნქციურ და ფორმალურ მიდგომებს შორის. ეს არაზუსტია სხვადასხვა თვალსაზრისით. პირველი, ფუნქციონალისტი ენათმეცნიერები (მოცემული ტერმინის იმ გაფართოებული მნიშვნელობით, რომელსაც ვიყენებთ ამ სტატიაში) მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მეორე, როგორც შევნიშნეთ სქოლიო 3-ში, ასევე მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფორმალისტები, მეტადრე იმ საკითხებისადმი დამოკიდებულებით, რომლებიც განხილულია მოცემულ სტატიაში. ამასთანავე, არსებობს თვალსაზრისები, როგორიცაა, მაგ., როლურ-რეფერენციული გრამატიკა (ვან ვალინი 1993, ვან ვალინი და ლაპოლა 1997), რომელიც შეიცავს ფორმალურ და ფუნქციონალისტურ ტრადიციათა ნაზავს. ჩვენმა დახასიათებამ ფუნქციონალისტებისა, რომ „დესკრიპტივისტებიც" მოიაზრებიან მათ შორის, შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოს, რადგანაც არსებობს ბევრი ენათმეცნიერი, რომლებიც შეიძლება დახასიათდნენ როგორც ფორმალისტები და რომლებიც აღწერით კვლევებს აწარმოებენ. მიუხედავად ამისა, ჩემი შთაბეჭდილებით, ამ უკანასკნელი ტიპის ენათმეცნიერები აშკარად განასხვავებენ იმას, რაც მიაჩნიათ აღწერით კვლევად, იმისაგან, რასაც თეორიულ კვლევად მიიჩნევენ. ამ სტატიის პერსპექტივიდან, მათი დესკრიფციული კვლევა თეორიულ ჩარჩოდ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას ვარაუდობს.

რილ გრამატიკებს, წავაწყდებით მნიშვნელოვან სხვაობას იმ დებულებებში (assumptions), რომელთა მიხედვითაც ავტორები განსაზღვრავენ, თუ რა აღწერითი საშუალებები (descriptive tools) უნდა იყოს გამოყენებული. ზოგიერთი გრამატიკა ნაკლებად შორდება ტრადიციული გრამატიკის ცნებებს. სხვა გრამატიკები ეფუძნებიან სტრუქტურალიზმის გარკვეულ ვერსიას და ამ ტერმინს ტრადიციული მნიშვნელობით იყენებენ თეორიული მოდელების აღსანიშნავად, როგორც ეს არის ამერიკულ სტრუქტურალიზში, რომელიც წინ უსწრებდა გენერატიულ ხანას. მთელი რიგი გრამატიკები ეფუძნება ტაგმემიკას (tagmemics), ერთ-ერთ „ნეოსტრუქტურალისტურ" თეორიულ ჩარჩოს, რომელიც უკავშირდება კენეთ პაიკის სახელსა და, უმეტესად, ენათმეცნიერების საზაფხულო ინსტიტუტის (Summer Institute of Linguistics) წევრთა აღწერითი ხასიათის ნაშრომებს. გარდა ამისა, აღნიშნული პერიოდის სხვა გრამატიკები იყენებენ ტრანსფორმაციულ-გენერატიული გრამატიკის თეორიულ ჩარჩოს, ძირითადად იმ ვერსიას, რომელიც ახლოს არის ჩომსკის 1965 წლის თეორიასთან (ჩომსკი 1965). ასევე, ბევრი გრამატიკა ეფუძნება ამ თეორიულ თვალსაზრისთა გარკვეულ კომბინაციებს.

სავარაუდოდ, 1965 წლიდან 1975 წლამდე პერიოდი გამოირჩევა თეორიულ თვალსაზრისთა დიდი სხვადასხვაობით. დაახლოებით 1975 წლიდან აღნიშნული მრავალფეროვნება შემცირდა მთელ რიგ მიზეზთა გამო. ერთი მიზეზი იყო ის, რომ გენერატიული გრამატიკა აშკარად ნაკლებად გამოიყენებოდა როგორც ენათა მთლიანი აღწერის ერთ-ერთი საშუალება. მთავარი მიზეზი ამგვარი მკვეთრი შემცირებისა კი იყო ის, რომ სხვაგვარად გადაიაზრეს ჩომსკისეული გენერატიული გრამატიკა, უარი თქვეს წინა ათწლეულში გამოყენებული ტრანსფორმაციული მოდელის ტიპზე და მას ჩაენაცვლა მოდელი, რომელშიც წესები ნაკლებ როლს ასრულებდა და რომელშიც შეზღუდვებმა (constraints) წესებზე შეითავსა მთავარი როლი. როგორც თეორიული ჩარჩო, ახალი გენერატიული მიდგომა არ იყო პრაქტიკული ენათა მთლიანი აღწერისათვის. უპირველეს ყოვლისა, გენერატიული ლიტერატურის უმრავლესობა განიხილავდა მოვლენებს, რომლებიც ენათა მთლიანი აღწერის თვალსაზრისით საკმაოდ პერიფერიულია და ის მთავარი ელემენტები, რომლებიც ძირითადია ენის აღწერისას, გახდა თეორიულად არასაინტერესო ჩომსკისეულ გენერატიულ თეორიაში.

მეორე ფაქტორი, რამაც განაპირობა ენის აღწერასთან დაკავშირებულ თვალსაზრისთა მრავალფეროვნების შემცირება 1970-იან წლებში, ისაა, რომ სტრუქტურალისტური მიდგომები სულ უფრო და უფრო გამოდიოდა მოდიდან. მიუხედავად იმისა, რომ ადრეული 1960-იანი წლებიდან, განსაკუთრებით შეერთებულ შტატებში, სტრუქტურალიზმმა, როგორც მნიშვნელოვანმა თეორიულმა თვალსაზრისმა, ცენტრალური პოზიცია დაკარგა, ბევრგან, უმეტესად იმ ადამიანებს შორის, რომელთა ძირითადი ინტერესი აღწერითი იყო, სტრუქტურალიზმი სანგრებში გამაგრდა და ამის შედეგად დიდ გავლენას ახდენდა ენათა აღწერაზე, 1970-იანი წლების

ჩათვლით. თვალსაზრისთა მრავალფეროვნების საბოლოო შემცირება 1970-იან წლებში ასახავდა მხოლოდ იმ ფაქტს, რომ იმ ადამიანების უმრავლესობა, რომლებიც თავს სტრუქტურალისტებად მიიჩნევდნენ, სულ გადიოდნენ პენსიაში, ხოლო ახალგაზრდა ლინგვისტებმა, იმათაც კი, რომელთა ინტერესიც უპირველესად აღწერითი იყო, ხშირად ცოტა რამ იცოდნენ სტრუქტურალიზმის შესახებ.

მესამე ფაქტორი, რამაც განაპირობა ენის აღწერასთან დაკავშირებულ თვალსაზრისთა მრავალფეროვნების შემცირება, გახლდათ ის, რომ გაფართოვდა ენობრივ-ტიპოლოგიური კვლევები, გახშირდა და ყურადღება დაეთმო ენათა განხილვას ტიპოლოგიური პერსპექტივიდან. იმის გამო, რომ სოციოლოგიური თვალსაზრისით მაინც, ლინგვისტური ტიპოლოგია წარმოადგენდა ერთგვარ ალტერნატივას გენერატიული გრამატიკისა, დესკრიპტივისტები გარკვეულწილად დაინტერესდნენ ლინგვისტურ-ტიპოლოგიური კვლევებით, რაც ვერ მოახერხა გენერატიულმა გრამატიკამ. ამასთანავე, დესკრიპტივისტებისათვის ტიპოლოგიური კვლევები აღმოჩნდა საკმაოდ სასარგებლო, რამდენადაც ეხმარებოდა მათ იმ ენის გაგებაში, რომელსაც იკვლევდნენ. შედეგად, ბევრმა ენათმეცნიერმა, რომელთაც წინა ათწლეულებში შეიძლებოდა დაეწერათ აღწერითი გრამატიკები ტრადიციული გრამატიკიდან ან სტრუქტურალიზმიდან ამოსვლით, აღწერის ადრინდელი საკუთარი ფორმა შეცვალეს ტიპოლოგიური ცოდნის ზეგავლენით. ტიპოლოგიური კვლევები ბევრი კუთხით მეტ სიახლოვეს ავლენდა (და ავლენს) ტრადიციულ გრამატიკასთან, ვიდრე ფორმალურ თეორიულ თვალსაზრისებთან. ეს ფაქტი, ტიპოლოგიის არაფორმალური ბუნება და ტიპოლოგიის წარმატებული გამოყენება აღწერის სხვადასხვა პრობლემასთან დაკავშირებით, რის წინაშეც აღმოჩნდებოდნენ დეკსრიპტივისტები, უკვე ნიშნავდა, რომ ტიპოლოგიურ კვლევას უზარმაზარი ზეგავლენა ჰქონდა აღწერით კვლევაზე.

ტიპოლოგიის კავშირი ტრადიციულ გრამატიკასთან ბუნებრივი იყო: გრინბერგის 1963 წლის კლასიკური სტატია სიტყვათა რიგის უნივერსალიებზე მკვეთრად უპირისპირდება იმდროინდელი ნაშრომების უმრავლესობას იმით, რომ აღწერით ცნებათა სიმრავლე (notion), რომელსაც იგი ეფუძნება, მნიშვნელოვანწილად ტრადიციულ გრამატიკას მიეკუთვნება. მაშინ, როდესაც 1970-იანი წლების ტიპოლოგია ტრადიციულ გრამატიკას ამარაგებდა იმ ცნებებით, რომლებიც საჭირო იყო ბევრი არაინდოევროპული ენის აღსაწერად, მაგალითად, ისეთით, როგორიცაა ერგატიულობა; ამჯერად კი ტრადიციულ გრამატიკასთან კავშირის საილუსტრაციოდ ცენტრალური პოზიციები დაუბრუნდა ქვემდებარისა და დამატების ცნებებს, რომლებიც აღარ ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს არც სტრუქტურალიზმსა და არც გენერატიულ გრამატიკაში. თუმცა სურათი გართულებულია იმ ფაქტით, რომ ქვემდებარისა და დამატების, როგორც მნიშვნელოვანი აღწერითი ცნებების, ხელახალი გამოჩენა აგრეთვე ნაწილობრივ განაპირობა რელაციურმა გრამატიკამ (relational grammar; მაგალითად, პერლმუტერი 1983, პერლმუტერი

და როზენი 1984) – გენერატიული გრამატიკის განშტოებამ; აგრეთვე, ამ აღდგენამ ძირითადი როლი შეასრულა კინანისა და კომრის (1977) მისაწვდომობის იერარქიაში (accessibility hierarchy), რომელიც წარმოადგენს 1970-იან წლების ლინგვისტური ტიპოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შენაძენს.

3. ენათმეცნიერების საბაზისო თეორია (Basic Linguistic Theory)

ზემოთ განხილულმა ფაქტორებმა უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ერთგვარად განაპირობა დესკრიფციული მეთოდების თავმოყრა და სამართლიანად უნდა ითქვას, რომ შედეგად ჩამოყალიბდა ერთიანი თეორიული ჩარჩო, რომელიც გახდა დომინანტური თეორია დესკრიფციული გრამატიკებისთვის. ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ენათმეცნიერთაგან, რომლებიც მიხვდნენ, რომ ასეთი რამ მოხდა, გახლავთ ბობ დიქსონი (1997), რომელიც ამ თეორიულ ჩარჩოს უწოდებს „ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას“.[5] ის, რითაც ენათმეცნიერების საბაზისო თეორია მკვეთრად განსხვავდება სხვა თანამედროვე თეორიული ჩარჩოებისაგან, შეიძლება ითქვას, რომ არის კონსერვატიულობა: ბევრი თეორიული ჩარჩოსაგან განსხვავებით, რომლებშიც ადრეული შეხედულებები შეზღუდულადაა გაზიარებული, ახალი ცნებები (novel concept) კი თავისუფლად შემოდის, ენათმეცნიერების საბაზისო თეორია ძველი ტრადიციებისაგან იღებს იმდენს, რამდენიც შესაძლებელია და ახალი ტრადიციებისაგან იმდენს ითავსებს, რამდენიც საჭიროა. ამგვარად, ის შეიძლება უხეშად დახასიათდეს როგორც ტრადიციული გრამატიკა მისი უარყოფითი მახასიათებლების (როგორიცაა ტენდენცია, რომ ყველა ენა აღწეროს ევროპული ენებით მოტივირებული ცნებების ტერმინებში) გამოკლებით და იმ ცნებების დამატებით, რომლებიც არ არის წარმოდგენილი ტრადიციულ გრამატიკაში. ენათმეცნიერების საბაზისო თეორიამ შეავსო ტრადიციული გრამატიკა არაერთი შეხედულებით სტრუქტურალიზმიდან, გენერატიული გრამატიკიდან (განსაკუთრებით ადრეული, 1975 წლამდე, გენერატიული და რელაციური გრამატიკებიდან) და ტიპოლოგიიდან.

თვალში საცემია ის, რომ ტრადიციული გრამატიკისაგან განსხვავებით ენათმეცნიერების საბაზისო თეორია ცდილობს, აღწეროს ყოველი ენა საკუთარი ტერმინებით, ნაცვლად იმისა, რომ ნაძალადევად მოარგოს ენას ევროპულ ენებზე

---

[5] მრავალი წლის განმავლობაში ვიყენებდით ტერმინს (label) „სინტაქსის საბაზისო თეორია“ (basic syntactic theory) იმ თეორიული მიდგომისათვის, რომელიც საფუძვლად უდევს დესკრიფციულ კვლევას, როცა აღვწერდით ამ თეორიულ თვალსაზრისს სინტაქსის კურსებში. რამდენიმე წლის წინ მოხარული გავხდი იმ აღმოჩენით, რომ აგრეთვე ბობ დიქსონმაც ცნო ამგვარი თეორიის არსებობა და მალევე გავაცნობიერე, რომ მისი ტერმინი „ენათმეცნიერების საბაზისო თეორია“ უფრო მეტად იყო შესაფერისი, ვიდრე ჩემი, რადგანაც აღნიშნული თეორიული თვალსაზრისის მიხედვით იქმნება აგრეთვე შედარებით უნიფიცირებულ დებულებები ფონოლოგიასა და მორფოლოგიაში.

დაფუძნებული მოდელი. ყოველი ენის საკუთარი ტერმინებით აღწერის მცდელობა ასახავს სტრუქტურალიზმის უდიდეს წვლილს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში. კიდევ ერთ მაგალითს სტრუქტურალიზმის დიდი წვლილისა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში წარმოადგენს ფონემის ცნება. სხვადასხვა ცნებამ, როგორიცაა, მაგალითად, მეორეული პრედიკაცია (secondary predication), ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში გენერატიული გრამატიკიდან გაიკაფა გზა. თუმცა გენერატიული თეორიის უმთავრესი გავლენა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაზე არ არის პირდაპირი: გენერატიულმა თეორიამ გავლენა მოახდინა ტიპოლოგიურ კვლევათა დიდ ნაწილზე 1970-იან წლებში (რადგანაც ტიპოლოგების უმეტესობამ მომზადება გაიარა გენერატიული გრამატიკის თეორიის ფარგლებში მუშაობის პროცესში), საკუთრივ ტიპოლოგიამ კი უდიდესი გავლენა მოახდინა ენათმეცნეირების საბაზისო თეორიაზე. ამას დავინახავთ სხვადასხვა ენაში პასივისა და მისი მსგავსი კონსტრუქციების განხილვისას. ინტერესი პასიური კონსტრუქციების მიმართ ისტორიულად მომდინარეობს მათი მთავარი როლიდან ადრეულ გენერატიულ გრამატიკაში, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა განსაკუთრებული ყურადღება ტიპოლოგიაში აღნიშნული კონსტრუქციების მიმართ და დიდძალ ლიტერატურაში აქტიურად განიხილებოდა სხვადასხვა ენაში ამ კონსტრუქციების საკითხი, – ნამდვილად წარმოადგენდნენ თუ არა ისინი პასიურ კონსტრუქციებს. ასევე, მთავარი როლი ტიპოლოგიაში შეასრულა მიმართებითმა დამოკიდებულმა წინადადებამ (relative clause), განსაკუთრებით აღსანიშნავია კინანისა და კომრის ნაშრომის (1977) დიდი მნიშვნელობა. ტიპოლოგიის ეს მნიშვნელოვანი ნაშრომი ნაწილობრივ მომდინარეობს გენერატიული გრამატიკიდან და იგი განვითარდა როსის იმ ნაშრომის საფუძველზე, რომელიც ექსტრაქციის შეზღუდვებს (extraction constraints) ეხება (როსი 1967). თუმცა ტიპოლოგიურმა კვლევებმა ბევრი სხვა თვალსაზრისით მოახდინეს გავლენა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაზე, გენერატიული გრამატიკისაგან სრულიად დამოუკიდებლად. აქ უმეტესწილად იგულისხმება მთელ რიგ ენებში აღიარებული ის არსებითი ცნებები, გავრცელებული გარკვეულ ენათა აღწერით გრამატიკებში, რომლებიც გვეხმარება ამოვიცნოთ შესაბამისი ენობრივი მოვლენები. ისეთი ცნებები, როგორებიცაა ერგატიულობა, ხლეჩილი გარდაუვალობა (split intransitivity), მიმართებითი დამოკიდებული წინადადება შიდა მთავარი წევრით (internally-headed relative clauses) და ევიდენციალურობა, რომლებიც ძირითად ცნებებად ჩამოყალიბდნენ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში და მათ ხშირად მიმართავენ აღწერით გრამატიკებში. განმეორებადი მოვლენები (recurrent phenomena), რომლებიც მანამდე ექსპლიციტურად არ შეისწავლებოდა, კვლავ განიხილება ლიტერატურაში და მას უკავშირდება მირატიულობის (notion of mirativity) ცნება (დელენსი 1997), რომელიც, შესაბამისად, დაემატა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის მნიშვნელოვან ცნებათა რიგს.

უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში დაწერილი აღწერითი გრამატიკების უმეტესობა შეიძლება დახასიათდეს როგორც გრამატიკები, რომელთათვის ენათმეცნიერების საბაზისო თეორია წარმოადგენს თეორიულ ჩარჩოს. თუ შევადარებთ ბოლოდროინდელ გრამატიკებსა და ოცდახუთი წლის წინათ დაწერილ გრამატიკებს, თვალშისაცემია მსგავსება ბოლოდროინდელ გრამატიკებს შორის და, ასევე, მათი განსხვავებაც ადრეული გრამატიკებისაგან. ამ გრამატიკათა მსგავსება აგრეთვე მკვეთრად უპირისპირდება ბოლოდროინდელ გენერატიულ თვალსაზრისებს. მიუხედავად ამისა, თვით ფუნქციონალისტები და დესკრიპტივისტებიც კი არ აღიარებენ, რომ ეს მსგავსება აშკარად ასახავს ერთიან თეორიულ ჩარჩოს. უფრო მეტიც, ამ ტიპის გრამატიკის ავტორთა უმრავლესობა ერთიანია იმაში, რომ ისინი საკუთარ ნაშრომებს ახასიათებენ როგორც ათეორიულს ან როგორც თეორიულად ეკლექტიკურს.

შეხედულება, რომ აღწერა შეიძლება იყოს ათეორიული, უბრალოდ გაუგებრობას წარმოადგენს. გამოყენებული კონცეპტები და დებულებები, რომლებსაც ანალიზი ეფუძნება, აუცილებლობით შეადგენს თეორიულ დებულებათა სიმრავლეს. თუ მოცემულ სფეროში ყველა კვლევა ეფუძნება დებულებათა ერთსა და იმავე სიმრავლეს, თეორიის ცნება შეიძლება აუცილებელი არც იყოს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ამგვარი კვლევები ერთსა და იმავე თეორიულ ჩარჩოს იზიარებენ და როცა ვხედავთ კონტრასტს, ერთი მხრივ, ბოლოდროინდელ აღწერით ნაშრომებსა და, მეორე მხრივ, ადრეულ გენერატიულ გრამატიკას, ბოლოდროინდელ ჩომსკისეულ გენერატიულ გრამატიკას, ტაგმემიკასა და, ასევე, ამერიკულ სტრუქტურალიზმს შორის, ცხადი ხდება, რომ ბოლოდროინდელ აღწერით კვლევებს სხვა დანარჩენი მიდგომებისაგან განასხვავებს ამოსავალ თეორიულ დებულებათა საკუთარი სიმრავლე.

ის შეხედულება, რომ ამგვარი აღწერითი ნაშრომები თეორიულად ეკლექტიკურია, ასევე არაზუსტია, რადგანაც მსგავსების მაღალი ხარისხი ბოლოდროინდელ აღწერით ნაშრომებს შორის ნიშნავს, რომ ეს ნაშრომები მთლიანობაში სარგებლობენ ერთი და იმავე თეორიული ნაზავისაგან, მაგრამ ეს თეორიული ნაზავი კი უბრალოდ ასახავს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ისტორიულ ეკლექტიზმს: ენათმეცნიერების საბაზისო თეორია სახეცვლილი ტრადიციული გრამატიკაა, წლების განმავლობაში სხვადასხვაგვარად მოდიფიცირებული განსხვავებული თეორიული ტრადიციებით.

4. ფუნქციური ახსნის ირელევანტურობა ენობრივი აღწერისათვის

ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ ხშირად რატომ მიიჩნევა აღწერითი ნაშრომი ათეორიულად, არის ის, რომ იგი არ არის ამხსნელობითი. როგორც ფორმალურმა, ასევე ფუნქციონალისტურმა ნაშრომებმა ბოლო ათწლეულებში ყურადღება მიაპყრო ახსნას და თეორიის ცნება გადაეხლართა ახსნის ცნებას, ასე რომ, ბევრი

ენათმეცნიერისათვის თეორიული საკითხი გაიგება როგორც საკითხი, რომელიც შეიცავს ახსნას. ფუნქციონალისტური ახსნის ბუნება გარეგანია გრამატიკისათვის არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ახსნისათვის მოხმობილი თეორიული ცნებები ძევს გრამატიკის გარეთ, არამედ იმიტომაც (და, შესაძლოა, უფრო პირიქითაც), რომ შეუძლებელია ამ ახსნის საკუთრივ გრამატიკაში ჩართვა. მოცემული სტატიის თვალსაზრისის თანახმად, ფუნქციური ახსნა – ახსნა იმისა, თუ რატომ არის ესა თუ ის ენა ისეთი, როგორიც ის არის – უპირველესად უკავშირდება ენათა ცვალებადობის დონეს. ფუნქციური ფაქტორები თუ მოტივაციები თითქოს გარკვეული „ძალით" ზემოქმედებენ ენობრივ ცვლილებებზე, ხელს უწყობენ ზოგ ცვლილებას და ზოგსაც აფერხებენ. ფუნქციური ფაქტორები ზოგჯერ ერთად მუშაობენ და ზოგჯერ, მოცილე მოტივაციების შემთხვევაში, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, (ჰეიმანი 1983, 1985; კროფტი 1990). მაგრამ ეს „შეჯიბრი" გადაიჭრება ენის ცვალებადობის დონეზე: როგორც კი ერთი მოტივაცია „იმარჯვებს", მაშინვე ენა ხდება ისეთი, როგორიც ის არის და როცა მოლაპარაკე სწავლობს ენას, იგი სწავლობს ენას, რომელიც შედეგია ფუნქციური ფაქტორების ზემოქმედებისა, თუმცა მოლაპარაკეს მათ შესახებ არა აქვს ცოდნა, არც გაცნობიერებული და არც გაუცნობიერებელი.

გრამატიკული ცოდნა, რომელიც მოლაპარაკის ენობრივი ქცევის საფუძველს წარმოადგენს, მისი ენობრივი ქცევის უშუალო ახსნა. შეიძლება არსებობდეს ფუნქციური ახსნები ბევრი გრამატიკული მოვლენისთვის, მაგრამ ეს გრამატიკული მოვლენები ჩამოყალიბდა უფრო ადრე, ვიდრე მოლაპარაკე ისწავლიდა ენას და გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე მას გამოიყენებდა. ამ გაგებით, გრამატიკა არის გამოვლინებების (emergent) ფენომენი. ეს არ არის ჰოპერისეული (1987) გაგება, რომლის მიხედვითაც, გრამატიკა გამომავლინებელი (emerging), იგი კი არ გამოაკრისტალებს (crystallizing), არამედ გამოავლენს; ჰოპერისაგან განსხვავებით, ამ გაგებით, ის, თუ როგორ მოქმედებენ ფუნქციური ფაქტორები ერთმანეთზე, არ დაიყვანება ამხსნელობით ფაქტორებამდე (ან ამ ფაქტორთა დალაგებულ რიგამდე) და, ამავე გაგებით, გრამატიკა ცხოვრობს საკუთარი ცხოვრებით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ფუნქციური პრინციპების მიღმა, რომელთაც გრამატიკა მოცემული სახით ჩამოაყალიბეს. ამგვარად, ენის გრამატიკული აღწერა ვერ იქნება დეფექტური ან არაადეკვატური, თუნდაც რომ იგი ვერ ხსნიდეს, თუ რატომ არის მოცემული ენა ისეთი, როგორიც ის არის. ამგვარად, ფაქტობრივად, რამდენადაც გრამატიკა არსებობს ახსნისაგან დამოუკიდებლად, საჭიროა გვქონდეს აღწერა ახსნისაგან დამოუკიდებლად.

მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რომ ფუნქციური ახსნა არსებობს გრამატიკისა თუ გრამატიკული აღწერისაგან დამოუკიდებლად. აღნიშნულის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ მთელი რიგი ფუნქციური ახსნებისა. უპირველესად განვიხილავ სამ ალტერნატიულ ფუნქციურ ახსნას იმისა, თუ რატომ აქვს

ენას წინდებულები უკუდებულების[6] საპირისპიროდ; შემდეგ კი მოკლედ შევეხები ფუნქციურ ახსნას იმ ფაქტისა, თუ ენაში რატომ არის წარმოდგენილი ნულები ნაცვალსახელური რეფერენციის სისტემაში. აქ არაფერია ნათქვამი ამ ახსნათა მართებულობაზე; ნაჩვენებია მხოლოდ ის, რომ თუ აღნიშნული ახსნები ნაწილობრივ მაინც მართებულია, მაშინ ვერაფრით ვირწმუნებთ, რომ ეს ახსნები არის ენის აღწერის ნაწილი, ან თუნდაც ნაწილი კონკრეტული ენის გრამატიკის მოლაპარაკისეული რეპრეზენტაციისა.

4.1 გრამატიკალიზაციის შემცველი მაგალითი

ჯერ განვიხილოთ გრამატიკალიზაციის როლი იმის ახსნაში, თუ რატომ ახასიათებთ არსებითი სახელი-გენიტივის რიგის ენებს ტენდენცია, რომ ჰქონდეთ წინდებულები, მაშინ როდესაც გენიტივი-არსებითი სახელის რიგის ენები იჩენენ ტენდენციას, რომ ჰქონდეთ უკუდებულები. ერთ-ერთ დიაქრონიულ წყაროს თანდებულების არსებობისა, განსაკუთრებით სივრცული მიმართებების აღნიშვნისას, წარმოადგენს გენიტიური კონსტრუქციის მეთაური სიტყვა (head noun). ინგლისურში დასტურდება შედგენილი წინდებულები (complex prepositions), რომლებიც ასახავენ სხვადასხვა გარდამავალ საფეხურს გრამატიკალიზაციის ამ პროცესში. მაგალითად, შედგენილწინდებულიანი გამოსახულება *in front of* „წინ“ ისტორიულად შეიცავს სახელს *front* „წინა მხარე“, ასე რომ, ისტორიულად ფრაზაში *in front of the house* „სახლის წინა მხარეს“ *front* წარმოადგენს მეთაურ სახელს (head noun) გენიტიური მსაზღვრელით (genitive modifier) *the house* „სახლი“. მიუხედავად ამისა, არსებობს საკმარისი საფუძველი ვირწმუნოთ, რომ გამოსახულება *in front of* ახლა ფუნქციონირებს როგორც ერთი ლექსიკური ერთეული (single lexical item), როგორც წინდებულიანი გამოსახულება, რომელიც მოითხოვს დამატებად *the house*-ს. ის ფაქტი, რომ ინგლისური ენის რეგულარული სინტაქსური წესები მოითხოვს ფრაზას *in the front of the house* განსაზღვრული არტიკლით და ის ფაქტი, რომ ეს ფრაზა ხშირად წარმოითქმება /t/-ს გარეშე *front*-ში, დაახლოებით როგორც [ɪnfrʌnə], იმაში გვარწმუნებს, რომ მოლაპარაკეთათვის *front* აღარ მიიჩნევა ფრაზის მეთაურ სახელად. ინგლისურში გვაქვს სხვა წინდებულებიც, რომელთაც აქვთ მსგავსი წარმოშობა, მაგრამ რომლებიც გრამატიკალიზაციის ამ პროცესში უფრო შორს წავიდნენ იმ აზრით, რომ აღარ მოითხოვენ *of* „-ის“ წინდებულს. ესენია წინდებულები: *inside* „შიგნით“, *beside* „გვერდით“ და *behind* „უკან“.

---

[6] ტერმინ „თანდებულს“ ვიყენებთ ინგლისური adposition-ის შესატყვისად, ხოლო preposition და postposition შეიძლება ვთარგმნოთ როგორც „წინდებული“ და „უკუდებული“ შესაბამისად. მოცემული სამი ტერმინის ამგვარი განაწილების შესახებ იხ. აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები“, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1980, გვ. 598 (*მთარგმ.*).

მნიშვნელოვანია, რომ გენიტიურ კონსტრუქციაში, რომლიდანაც ფრაზა *in front of* წარმოიშვა, მეთაური სახელი წინ უძღოდა გენიტიურ მსაზღვრელს, ასე რომ, შედეგად ჩამოყალიბდებოდა უფრო წინდებული, ვიდრე უკუდებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გრამატიკალიზაციის პროცესი ინარჩუნებს ორივე ელემენტის რიგს და როცა გენიტიური კონსტრუქციის მეთაური სახელი ხდება თანდებული, მისი პოზიცია გენიტიურ კონსტრუქციაში გენიტიური მსაზღვრელის მიმართ განაპირობებს შემდგომში მიღებული თანდებულის ადგილს საკუთარი დამატების მიმართ მხოლოდ იმიტომ, რომ ორი ელემენტის ფარდობითი რიგი არ იცვლება. ენებში, სადაც მსგავსი გრამატიკალიზაცია განხორციელდა, კონსტრუქციისაგან, რომელშიც მეთაური სახელი მოსდევს გენიტიურ მსაზღვრელს, შედეგად ჩამოყალიბდა უკუდებული. მაგალითად, ნგიტი (Ngiti) ენაში (კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთი ცენტრალური სუდანური ენა) სახელი *dzi* „ზურგი“ გრამატიკალიზდა „-ზე“ მნიშვნელობის მქონე მორფემასთან ერთად და წარმოიქმნა უკუდებული *dzidɔ̀*, მნიშვნელობით „უკან“, როგორც ეს არის (1) მაგალითში, რომელიც ასახავს სიტყვათა თავდაპირველ რიგს – გენიტივი-არს.სახელი.

(1) *ká* *dzi-dɔ̀*
3SG ზურგი-ზე
„მის უკან“ (კუჩ ლოიენგა 1994)

ამ ტიპის ახსნის შედეგი არის ის, რომ თანდებულისათვის სხვა დიაქრონიული წყაროების გათვალისწინების გარეშე, არს. სახელი-გენიტივის რიგის მქონე ენაში შედეგად ჩამოყალიბდება წინდებულები, ხოლო გენიტივი-არს.სახელის რიგის მქონე ენაში კი – უკუდებულები. აღნიშნული ახსნიდან გადახრათა მაგალითებს შეიძლება სხვა საფუძველი ჰქონდეს ან შედეგი იყოს გენიტივისა და არს. სახელის რიგის ცვლილებისა. მაგ., არს.სახელი-გენიტივის რიგისა და უკუდებულების მქონე ენა შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ უკუდებულები ჩამოყალიბდა მაშინ, როდესაც ენა იყენებდა გენიტივი-არს.სახელის რიგს, მაგრამ შემდგომ რიგი შეიცვალა არს. სახელი-გენიტივის ტიპის რიგად. მაშასადამე, უკვე აიხსნება ზოგადი უნივერსალურ-ენობრივი (crosslinguistic) ურთიერთმიმართება არსებითი სახელი-გენიტივის რიგსა და წინდებულებს შორის, და ასევე – თანდებულთა ის მაგალითები, რომლებიც განხილული პროცესის შედეგად წარმოიშვა.

დავუშვათ, რომ ეს ახსნა არის მართებული როგორც შემადგენელი ნაწილი მაინც იმ ახსნისა, თუ რატომ უნდა უკავშირდებოდეს ერთმანეთს თანდებულის არსებობა და არსებითი სახელისა და გენიტივის რიგი; ახლა დავსვათ შეკითხვა, თუ რაში გვეხმარება ეს ახსნა იმ ენის აღწერისას, რომელშიც გვაქვს წინდებულები და არს. სახელი-გენიტივის რიგი. პასუხი აშკარად უნდა იყოს: არ გვეხმარება. მოცემულ ენაზე მოლაპარაკემ უნდა ისწავლოს, რომ ენას აქვს წინდებულები და უნდა ისწავლოს გენიტიური კონსტრუქციის რიგი: არს. სახელი-გენიტივი; მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა იცოდეს მოლაპარაკემ, რომ მოცემულ

ენაში არის წინდებულები უკუდებულების ნაცვლად იმის გამო, რომ წინდებულები მომდინარეობენ გენიტიური კონსტრუქციის მეთაური სახელისაგან. ეს განსაკუთრებით ცხადია იმ შემთხვევაში, როცა სახელი, რომლისაგანაც კონკრეტული წინდებული ჩამოყალიბდა, აღარ გამოიყენება თუნდაც იმ მნიშვნელობით, რომელიც სემანტიკურად აშკარად უკავშირდება წინდებულს, როგორც ეს არის *spite* „ბრაზი“ ინგლისური არს. სახელისა და გრამატიკალიზებული წინდებულის – *in spite of* „მიუხედავად“ – შემთხვევაში. თუ სახელი, რომლისაგანაც წინდებული ჩამოყალიბდა, მაინც გამოიყენება იმავე მნიშვნელობით, რომელიც აშკარად უკავშირდება წინდებულს სემანტიკურად, ალბათ, ნაკლებად ცხადი იქნება დავუშვათ, რომ ისტორიული ურთიერთდამოკიდებულება სახელსა და წინდებულს შორის არ წარმოადგენს მოლაპარაკის ენობრივი ცოდნის ნაწილს. განვიხილოთ კიდევ ერთხელ *front* – ინგლისური სახელისა და *in front of* – წინდებულის შემთხვევა. არს. სახელი *front* ნამდვილად შეიძლება შეგვხვდეს იმ კონსტრუქციებში, რომლებშიც მისი გამოყენება უკავშირდება *front*-ს როგორც *in front of* წინდებულის ნაწილს, როგორც, მაგალითად, ფრაზაში *at the front of the house* „სახლის წინა მხარეს“. სწორედაც გრამატიკალიზაციის ფაქტი ნიშნავს, რომ მოლაპარაკე არ განიხილავს *front*-ს ფრაზაში *in front of* როგორც არს. სახელს და რომ მოლაპარაკე სწავლობს მთლიან კონსტრუქციას, ე.ი. *in front of*-ს, სახელისაგან დამოუკიდებლად. ამგვარად, მოლაპარაკეთა უმრავლესობას გაცნობიერებული ექნება ის ფაქტი, რომ არის რაღაც საერთო როგორც ფორმაში, ასევე მნიშვნელობაში *front* არს. სახელსა და *in front of* წინდებულს შორის, მაგრამ, სხვა არაპროდუქტიული დერივაციული წარმოების მსგავსად, ვერაფრით ვირწმუნებთ, რომ მოლაპარაკის ცოდნა შეიცავს რაიმე სახის წესს. უფრო მეტიც, კიდევაც რომ ვამტკიცოთ, რომ *front* და *in front of* უკავშირდება ერთმანეთს რაღაც წესის მიხედვით, სავარაუდოდ, მოლაპარაკეები მაინც ვერაფრით დაუკავშირებენ ერთმანეთს წინდებულს – *in front of*-სა და სახელურ ფრაზას *front* მეთაური წევრით, რომელსაც მოსდევს ფრაზა *of* წინდებულით. ინგლისურში ორთოგრაფიულ სიტყვას *of*-ს აქვს გაქვავებული გამოყენების იმდენად ფართო დიაპაზონი (მაგალითად, *out of* „-იდან“, *off of* „-ის გარეთ, -დან დაშორებით“, *afraid of* „შიში -ისა“, *know of* „ცოდნა -ისა“, *think of* „ფიქრი -ზე/-ის შესახებ“, *ask a question of* „შეკითხვა -ზე/-ის შესახებ“, *a lot of* „დიდი რაოდენობა -ისა“), რომ საეჭვოა, დაწერილობის გავლენის გარეშე, მოლაპარაკეს გაეაზრებინა, რომ *in front of* იმავე *of*-ის შემცველია, რომელიც გვხვდება ფრაზაში *the front of the house*. დაბოლოს, თუ მოლაპარაკე მაინც დაუკავშირებდა ერთმანეთს აღნიშნულ ფორმებს, ვერაფერი დაგვარწმუნებს, რომ მოლაპარაკის გრამატიკა ასახავს იმ ფაქტს, რომ *in front of* ისტორიულად წარმოიქმნა გენიტიური კონსტრუქციისაგან არსებითი სახელით *front* (როგორც მეთაური წევრით). კიდევ უფრო მეტი გრამატიკალიზებული მაგალითის განხილვისას (როგორებიცაა *because of* „-ის გამო“ და *in spite of* „მიუხედავად -ისა“) ნაკლებ სარწმუნო გახდება ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკენი ერთნაირად უკავშირებენ წინ-

დებულებსა და გენიტიურ კონსტრუქციებს. ერთი სიტყვით, გრამატიკული აღწერა, რომელიც გვაცნობს გრამატიკალიზაციის შედეგებს, ვერაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ ეს შედეგები სწორედ გრამატიკალიზაციის შედეგებია. გრამატიკალიზაცია არის ახსნა სინქრონიული ფაქტებისა, მაგრამ იგი ირელევანტურია ამ ფაქტების აღსაწერად.

ფაქტობრივად, ძირითადი მიზეზი, თუ რატომ არის გრამატიკალიზაცია ასე უმნიშვნელოვანესი ლინგვისტური თეორიისათვის, სწორედ ისაა, რომ გრამატიკალიზაცია არის ახსნის ტიპი, რომელიც ძირს უთხრის ჩომსკისეული გენერატიული გრამატიკის მთავარ პრინციპს – ახსნა უნდა ჩაერთოს აღწერას. გრამატიკალიზაცია არის ახსნის ის ტიპი, რომელიც არ შეიძლება ჩაერთოს აღწერაში სწორედ იმიტომ, რომ ის ხსნის სინქრონიულ ფაქტებს დიაქრონიის ტერმინებით. სამწუხარო და ღიმილის მომგვრელია ის, რომ გრამატიკალიზაციის ზოგიერთი დამცველი ამ თეორიულ მნიშვნელობას დაუდევრად აკნინებს იმის მტკიცებით, რომ საკუთრივ აღწერა რამდენადმე უნდა შეიცავდეს გრამატიკალიზაციურ ახსნას. რატომ უნდა ამტკიცებდეს გრამატიკალიზაციის ზოგიერთი დამცველი ამას მაშინ, როცა გრამატიკალიზაციაც, აღწერის სხვა ტიპების მსგავსად, უნდა იყოს გრამატიკის ნაწილი? ჩემი აზრით, ამის ახსნა არის ის, რომ ბევრი ენათმეცნიერი სწორედაც რომ არ აღიარებს თეორიის ორი ტიპის – აღწერითისა და ამხსნელობითის – საჭიროებას. ბევრი ენათმეცნიერი, რომლებიც უარყოფენ ჩომსკისეული გენერატიული თეორიის ამოსავალ დებულებებს, მაინც ერთგულები რჩებიან გენერატიული გრამატიკის ამ ფუნდამენტური პრინციპისა, – რომ ახსნა შეიძლება ჩაერთოს აღწერას, და ამდენად, აღწერა იმისა, თუ როგორია ენა, შეიძლება შეიცავდეს ახსნას იმისა, თუ რატომ არის მოცემული ენა სწორედ ასეთი. მიუხედავად ამისა, მაშინ როცა განვაცალკევეთ ენათა აღწერის საკითხები ამხსნელობითი საკითხებისაგან, ნათელი ხდება, რომ გრამატიკალიზაციური ახსნა წარმოადგენს შესანიშნავი მაგალითია ამხსნელობითი პრინციპისა, რომელიც დამოუკიდებელია სინქრონიული გრამატიკისაგან.

გრამატიკალიზაცია აგრეთვე გვთავაზობს თავისებურებათა (idiosyncrasies) ახსნას სინქრონიულ გრამატიკაში: ხშირად სიტყვები თუ კონსტრუქციები ავლენენ თავისებურ მახასიათებლებს, რომლებიც ასახავენ გრამატიკალიზაციის წყაროებს. მაგალითად, როდესაც არს. სახელი გრამატიკალიზდება თანდებულებად, ხშირად შენარჩუნებულია ის თვისება, რომელიც გრამატიკალიზაციამდე მას, როგორც არს. სახელს, ახასიათებდა. როგორც ზემოთ განვიხილეთ, ამის ერთ-ერთი მაგალითია ამგვარ თანდებულთა პოზიცია. არის სხვა მაგალითებიც: ლეზგიურში (კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი დაღესტნური ენა) უკუდებული *k'anik* „ქვეშ“ მართავს გენიტიურ ბრუნვას, როგორც ეს არის (2)-ში, მაგრამ არა იმიტომ, რომ მის მნიშვნელობას გენიტიური ბრუნვა მიესადაგება, არამედ იმიტომ, რომ ის მომდინარეობს გენიტიური კონსტრუქციის მეთაური არსებითი სახელისგან (მნიშვ-

ნელობით „ძირი“), ხოლო რაც ახლა წარმოადგენს ამ თანდებულის დამატებას, წარმოშობით იყო ამ სახელის გენიტიური მსაზღვრელი.

(2) *vezuvija* *vlkan-di-n* *k’anik*
ვეზუვი ვულკანი-OBL-GEN ქვეშ
„ვულკან ვეზუვის ქვეშ“ (ჰასპელმათი 1993:219)

მსგავსად, იაკალტეკ (Jakaltek) ენაში (გვატემალის ერთ-ერთი მაია ენა) თანდებულები გვხვდება იმავე ნაცვალსახელურ აფიქსებთან, რომლებიც გამოხატავენ პოსესორებს, როგორც ეს არის ილუსტრირებული მხოლობითი პირველი პირის *w-* პრეფიქსით (3)-ში:

(3) a. *w-atut*
1SG-სახლი
„ჩემი სახლი“ (კრეიგი 1977:109)
b. *w-et*
1SG-კენ
‘ჩემკენ’ (კრეიგი 1977:110)

ეს შეიძლება გრამატიკაში აღიწეროს მოცემული სიტყვების არსებით სახელთა ქვეკლასად განხილვით, მაგრამ, სავარაუდოდ, რეალური ახსნა უკავშირდება ამ თანდებულთა წარმომავლობას, რომ ისინი მომდინარეობენ გენიტიური კონსტრუქციის მეთაური წევრისგან.

ხშირად გრამატიკალიზაცია გარკვეულ მახასიათებლებს უცვლელად ტოვებს მაშინ, როდესაც სხვა მახასიათებელთა ცვლილებას უშვებს, ასე რომ, მახასიათებელთა მთელი ერთობლიობა რამდენადმე აღრეულია. რაც შეეხება გრამატიკას, გამოდის, რომ ეს არის უბრალოდ მოუწესრიგებელი ერთობლიობა ფაქტებისა, რომლებსაც მოლაპარაკე, სავარაუდოდ, სწავლობს სწორედ როგორც ასეთს. გრამატიკალიზაციამ შეიძლება ახსნას ის ფაქტი, რომ გარკვეული სიტყვები ავლენენ როგორც არს.სახელებისთვის, ისე თანდებულებისათვის დამახასიათებელ საერთო თვისებებს და ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ისიც ახსნას, თუ რატომ შენარჩუნდება გარკვეული თვისებები მაშინ, როდესაც სხვები დაიკარგა. მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ენის ეს ასპექტი მოლაპარაკის წარმოდგენაში ამგვარადვე აიხსნება.

გრამატიკალიზაცია გვაწვდის არა მარტო ახსნის იმ ტიპის კარგ მაგალითს, რომელიც უმჯობესია, რომ არ ჩავრთოთ გრამატიკაში, არამედ გვიჩვენებს კიდეც, რომ საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ამხსნელობითი და აღწერითი თეორიები. გრამატიკალიზაცია ღირებულია ამხსნელობითი თეორიისათვის და არა აღწერითი თეორიისათვის. ჩვენ გვჭირდება აღწერითი თეორია, რომელიც მოგვაწოდებს ენობრივ მოვლენათა ადეკვატურ აღწერებს, მათ შორის იმ მოვლენებისაც, რომლებიც გრამატიკალიზაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ და ამ ამოცანისა-

თვის ადეკვატური ჩანს ენათმეცნიერების საბაზისო თეორია. გრამატიკალიზაცია ღირებულია აღწერითი თეორიისათვის იმდენად, რამდენადაც ის გვახსენებს, რომ ენობრივ მონაცემთა ყველა მოდელის ადეკვატური აღწერა არ არის საჭირო, რადგანაც ზოგიერთი მათგანი გაქვავებული ნაშთი იქნება, რომელთა აღწერამ შეიძლება არეულობა გამოიწვიოს, თუმცა მათ განხილვას აზრი ექნება ახსნის დონეზე.

ალბათ, უმჯობესია, განვასხვაოთ ერთმანეთისაგან: ერთი მხრივ, რა არის გრამატიკაში (იმ აზრით, თუ რა არის საჭირო, რომ შევიდეს ენის ადეკვატურ აღწერაში) და, მეორე მხრივ, რა შეიძლება შეარჩიოს ენათმეცნიერმა გრამატიკულ აღწერაში ჩასართველად. ენათმეცნიერთათვის უცხო არ არის, რომ იდიოსინკრეტული მოვლენების აღწერისას მოიშველიოს ისტორიული ახსნები; შეიძლება ამგვარი ახსნა უკავშირდებოდეს ზოგიერთ იდიოსინკრეტულ სინქრონიულ ფაქტს და მოცემული იყოს გრამატიკალიზაციის ტერმინებში. უნდა ითქვას, რომ ამგვარი ისტორიული მიმოხილვა მისაღებია, რომ ჩავრთოთ, მაგრამ ეს იქნება ერთგვარი შევსება საკუთრივ გრამატიკული აღწერისა, რამდენადაც ისტორიული ახსნა არის ახსნა გრამატიკული ფაქტისა და იგი არ წარმოადგენს საკუთრივ გრამატიკის ნაწილს. მტკიცება იმისა, რომ ისტორიული ახსნა არ არის გრამატიკის ნაწილი, არ ნიშნავს, რომ ამგვარი შემავსებელი შენიშვნები შეუფერებელია გრამატიკული აღწერისათვის, თუმცა გრამატიკის ავტორმა არ უნდა აურიოს აღწერა ამგვარ შემავსებელ ისტორიულ ახსნებში.[7]

4.2 წინადადების სტრუქტურირებასთან (Sentence processing) დაკავშირებული მაგალითი

მეორე ტიპი ფუნქციური ახსნისა, რომელიც უკავშირდება ენაში წინდებულებისა თუ უკუდებულების არსებობას და რომელსაც ამჯერად განვიხილავთ, ფორმულირებულია წინადადების სტრუქტურირების თვალსაზრისით. როგორც დრაიერმა (1992) შემოგვთავაზა და მსგავსად, მაგრამ უფრო დეტალურად – ჰოუკინსმა (1994), ტენდენცია რომ VO ენებისათვის დამახასიათებელია წინდებულები და

[7] აქვე აღვნიშნავ, რომ მაშინ, როცა ჩამოვაყალიბე ჩემი მსჯელობა იმ თვალსაზრისით, რომლის შესაბამისად გრამატიკა უფრო მოიაზრება როგორც ერთი მოლაპარაკის გრამატიკის აღწერა, მჯერა, რომ უმეტესი ნაწილი ჩემი ნათქვამისა ასევე კარგად მიესადაგება სოციუმის (ან სოციუმთა სიმრავლის) ენის აღწერას, შიდა სახესხვაობათა აღწერის ჩათვლით. ერთადერთი, აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ ზოგიერთი სახესხვაობა სოციუმის შიგნით შეიძლება ასახავდეს მიმდინარე გრამატიკალიზაციის პროცესს და, ამგვარად, ენის აღწერა, სახესხვაობის ჩათვლით, შეიძლება შეიცავდეს მინიშნებას მიმდინარე გრამატიკალიზაციაზე. თუმცა, მკაცრად რომ ვთქვათ, შეიძლება ამგვარი სახესხვაობის ადეკვატური აღწერისათვის არ მივიჩნიოთ აუცილებლად, რომ იგი დახასიათდეს როგორც გრამატიკალიზაცია. აღწერა, რომელიც ამ სახესხვაობას არ აღწერს როგორც გრამატიკალიზაციას, იქნება ფაქტთა ადეკვატური აღწერა და ის დაკვირვება, რომ ამ სახესხვაობამ ასახა გრამატიკალიზაცია, შეიძლება გავიგოთ როგორც ახსნა იმისა, თუ რატომ არის მოცემული სახესხვაობა ბუნებრივი.

OV ენებისათვის – უკუდებულები, მოტივირებულია იმ სტრუქტურათა მაქსიმუმამდე გაზრდით, რომელთა სტრუქტურირება მარტივია. დრაიერის აზრით (დრაიერი 1992), წინდებულებიანი VO ენა იქნება თანმიმდევრულად მარჯვნივ განტოტვილი (right-branching), უკუდებულებიანი OV ენა – თანმიმდევრულად მარცხნივ განტოტვილი (left-branching), ხოლო შერეულ ტიპს ექნება ორივე მიმართულებით (მარცხნივ და მარჯვნივ) განტოტვილი სტრუქტურა, რომელიც, როგორც აღვნიშნე, ხშირად ქმნის უფრო რთულ სტრუქტურას, აგების თვალსაზრისით.

თუ წინდებულებისა და უკუდებულების განაწილებასთან დაკავშირებული ახსნის ეს ფორმულირება მართებულია, თუნდაც როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, მაშინ, ამ შემთხვევაშიც, ეს იქნება ახსნის ის ტიპი, რომელიც არ უნდა იყოს ჩართული ენის აღწერაში. ამგვარი ახსნა ერთგვარად ზემოქმედებს ენის ცვალებადობაზე – შერეული სიტყვათა რიგის მქონე ენა, მაღალი ალბათობით მოსალოდნელია, რომ შეიცვლება ერთი, სიტყვათა გარკვეული რიგის მიმართულებით და ერთი, სიტყვათა გარკვეული რიგის მქონე ენა სავარაუდოდ დარჩება უცვლელი. წინდებულებიან VO ენაზე მოლაპარაკე კი არ წარმოქმნის წინადადებებს VO რიგითა და წინდებულებით იმის გამო, რომ ამგვარი სტრუქტურები უფრო ადვილად აიგება; ამ ენაზე მოლაპარაკე წარმოქმნის წინადადებებს VO რიგითა და წინდებულებით იმიტომ, რომ მისი გრამატიკის წესები განსაზღვრავს VO რიგსა და წინდებულებს მისი ენისათვის. წინადადების სტრუქტურირებაზეზე დაფუძნებულმა ახსნებმა შეიძლება შეასრულოს გარკვეული როლი იმის ახსნაში, თუ რატომ არის მოლაპარაკის გრამატიკა ისეთი, როგორიც ის არის, მაგრამ ეს არ წარმოადგენს მოცემული ენის გრამატიკის მოლაპარაკისეული მენტალური რეპრეზენტაციის ნაწილს.

4.3 იკონურობის (Iconicity) შემცველი მაგალითი

მესამე ტიპი ახსნისა, რომელიც უკავშირდება ენაში წინდებულებისა თუ უკუდებულების არსებობას, ძირითადად ფუნქციური გრამატიკის თეორიულ ჩარჩოშია ფორმულირებული (დიკი 1978, 1989, 1997). ამ ფორმულირების თანახმად, თანდებული გვხვდება სახელურ ფრაზასა (რომელთანაც იგი კომბინირებს) და ზმნას შორის, როგორც ტიპური გამოვლინება იკონურობის პრინციპისა: რამდენადაც მასში აისახება ურთიერთდამოკიდებულება სახელურ ფრაზასა და ზმნას შორის, ამდენად იგი ტენდენციას იჩენს, რომ განთავსდეს სახელურ ფრაზასა და ზმნას შორის. ამგვარად, შეიძლება წინასწარ ვივარაუდოთ, რომ ენაში, სადაც თანდებულიანი ფრაზა მოსდევს ზმნას, მოსალოდნელია, რომ იყოს წინდებულები, ხოლო იმ ენაში, სადაც თანდებულიანი ფრაზა წინ უსწრებს ზმნას, მოსალოდნელია, რომ იყოს უკუდებულები.

კიდევ ერთხელ, არაა საჭირო ვირწმუნოთ, რომ ნებისმიერი ამგვარი იკონურობის პრინციპი არის საკუთრივ გრამატიკის ნაწილი. ამგვარმა პრინციპმა შეიძ-

ლება შეასრულოს ძირითადი როლი იმ ფაქტის ახსნაში, თუ რატომ არის მოცემული გრამატიკა ისეთი, როგორიც ის არის, მაგრამ ყველაზე მართებული ადგილი ამგვარი როლისათვის, ამ შემთხვევაშიც, იქნება ენობრივი ცვალებადობის დონეზე. სიმართლე თუ გნებავთ, ეს ნიშნავს, რომ გვჭირდება გარკვეული თეორია იმის შესახებ, თუ როგორია გრამატიკა, და ეს თეორია დამოუკიდებელი უნდა იყოს ამგვარი ფუნქციური პრინციპებისაგან.

4.4 მცირე შედარება გენერატიულ ახსნასთან

ღირს, შევადაროთ სამივე ფუნქციური ახსნა ყველაზე მეტად გავრცელებულ ახსნას გენერატიულ გრამატიკაში, თუ რატომ აქვთ წინდებულები და არა უკუდებულები იმ ენებს, რომლებიც VO ტიპისანი არიან და რომლებსაც ახასიათებთ არს.სახელი-გენიტივის რიგი: სამივე მიმდევრობა იწყება მეთაური წევრით (head-initial).[8] ამ თვალსაზრისით, გრამატიკაში არსებობს ერთადერთი წესი თუ პარამეტრი, რომელიც აკავშირებს ამ სამივე მიმდევრობას. ამგვარად, ეს ახსნა უპირისპირდება ზემოგანხილულ სამივე ფუნქციურ ახსნას იმ აზრით, რომ იგი ჩადებულია საკუთრივ გრამატიკაში. მაგრამ თუ მივიღებთ ზემოგანხილულ ერთ ან მეტ ფუნქციურ ახსნას, არ არის აუცილებელი, რომ ჩამოყალიბდეს ზოგადი უნივერსალურ-კატეგორიული წესები, რომელთათვის ამოსავალი იქნება მეთაური წევრის პოზიცია, დამოუკიდებლად კონკრეტული კატეგორიისაგან. ფაქტობრივად, საფუძველი არა გვაქვს ვირწმუნოთ, რომ მოლაპარაკე ამგვარ აბსტრაქტულ განზოგადებებს ახდენს. გენერატივისტი ლინგვისტის ნაშრომში ამგვარი უნივერსალურ-კატეგორიული განზოგადებების მოტივაცია ნაწილობრივ არის ის, რომ წარმოაჩინოს განზოგადებები, რომლებიც ასახულია სიტყვათა ერთი კონკრეტული რიგის მქონე ენებში. თუმცა ამ ტიპის ნაშრომისთვის დამახასიათებელი შეცდომა არის უგულებელყოფა იმ განზოგადებათა არსებობისა, რომელთაც კარგი ახსნები შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ მოცემულ ენაზე მოლაპარაკე არ აყალიბებს ამგვარ განზოგადებებს როგორც მისი გრამატიკის ნაწილს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარეგან თუ ფუნქციურ ახსნათა არსებობა არ ქმნის იმის საჭიროებას, რომ ამგვარი განზოგადებები მივიჩნიოთ გრამატიკის ნაწილად. ამ სახის ფუნქციურ ახსნათა არსებობა შესაძლებელს ხდის, დავუშვათ გრამატიკა ამგვარი განზოგადებების გარეშე და, მაშასადამე, ასეთი გრამატიკა იქნება ნაკლებად აბსტრაქტული, ვიდრე გრამატიკა, რომელიც ასოცირდება გენერატიულ გრამატიკას-

[8] იხ. დრაიერის ნაშრომი (1992) ახსნათა ამ წყებასთან დაკავშირებული ემპირიული პრობლემების შესახებ, სადაც ნაჩვენებია, რომ, თუ სრულად გადავსინჯავთ იმ ელემენტთა წყვილებს, რომელთა მიმდევრობა თანაფარდობაშია ზმნისა და დამატების რიგთან, შეუძლებელი იქნება ამ წყვილების დახასიათება მეთაური და დამოკიდებული წევრების (head and dependent) ცნებებისა თუ მეთაური წევრისა და კომპლემენტის ცნებების მეშვეობით.

თან. საერთოდ არ არის ცხადი, რომ მოლაპარაკე ქმნიდეს ფრაზულ კატეგორიებთან დაკავშირებულ რაიმე სახის განზოგადებას და, ამგვარად, არც ისეთი ცნებების საჭიროებაა ნათელი, როგორებიცაა: „ფრაზის მეთაური“ (head), „დამატება“ (complement), „ადიუნქტი“ (adjunct) და „სპეციფიკატორი“ (specifier). და კვლავ, ამ სტატიის მთავარი სათქმელი არის ის, რომ გრამატიკა, რომელიც ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას იყენებს თავის თეორიულ ჩარჩოდ, გამოხატავს განზოგადების რაციონალურ დონეს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიგის დაპირისპირებამ იმ შედეგამდე მიიყვანა კლასიკური დაპირისპირება ჰალესა (1959) და ჩომსკის (1964:88-89) შორის, რომ ორივენი ფონემის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ. ეს დაპირისპირება ეფუძნებოდა პარალელიზმს ალოფონურ და მორფოფონემურ წესებს შორის რუსულში და ეს წესები საჭიროა, თუ გვინდა, დავუშვათ ფონემური რეპრეზენტაციის კლასიკური დონე. საკამათო იყო ის, რომ ეს ორი წესი შეიძლებოდა დაეყვანათ ერთ წესამდე, თუ აღნიშნულ დონეს არ დაუშვებდნენ. თუმცა, ალტერნატიული თვალსაზრისით, რუსულის გრამატიკა მართლაც შეიცავს ორ დამოუკიდებელ წესს, მაგრამ მათი მსგავსება წარმოაჩინა გრამატიკისაგან დამოუკიდებელმა ამხსნელობითმა თეორიამ.[9]

4.5 ეკონომიურობის შემცველი მაგალითი

საკუთრივ გრამატიკისაგან დამოუკიდებელი ფუნქციური ახსნის ერთ-ერთი ტიპის ბოლო მაგალითი ემყარება მარკირების მოვლენას. განვიხილოთ ლაზოტა (Lakhota) ენის ზმნური პარადიგმა, რომელსაც აქვს ნულოვანი გამოხატულება მესამე პირის მხოლობითი რიცხვისათვის და არანულოვანი ფორმები პირისა და რიცხვის სხვა კომბინაციებისათვის, როგორც ეს არის (4)-ში.

---

[9] აქ ასევე უნდა ვახსენოთ აისენისა (1999, 2003) და ბრესნანის (2000) თვალსაზრისი ოპტიმალურობის თეორიის ფარგლებში, რომელშიც შეზღუდვები ფუნქციურად მოტივირებულია და, ამგვარად, შეიძლება დახასიათდეს როგორც ფუნქციური ახსნების პირდაპირ გრამატიკაში ჩართვის მცდელობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე ნიუმაიერისა (ნიუმაიერი 2002ა, 2002ბ) და ბრესნანისა და აისენის (ბრესნანი და აისენი 2002) ნაშრომები; მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისის შესახებ სათანადო მსჯელობა ამ სტატიის მიზანს არ წარმოადგენს, მაინც გვინდა, წარმოვადგინოთ რამდენიმე მოკლე კომენტარი. პირველი, მკაცრად რომ ვთქვათ, გრამატიკა შეიცავს შეზღუდვათა დალაგებულ რიგს; შეზღუდვები შეიძლება ფუნქციურადაც იყოს მოტივირებული, თუმცა თავად ფუნქციური მოტივაციები გრამატიკაში არ შედის. მეორე, ამ სტატიაში განხილული ახსნათა მაგალითები გამოიყენება ენობრივი ცვალებადობის დონეზე და შეუძლებელია მათი ზუსტი წარმოდგენა თანდაყოლილი შეზღუდვების ტერმინებში. და მესამე, უსაფუძვლოა იმის თქმა, რომ ნებისმიერი ენის მთლიანი გრამატიკა შეიძლება დავიყვანოთ შეზღუდვათა დალაგებულ სიმრავლემდე, ან თუნდაც პარამეტრული დებულებების, ან ტიპოლოგიურ შეკითხვათა გრძელი სიის პასუხთა სიმრავლემდე (როგორიცაა, კომრი და სმითი 1977). გრამატიკული სისტემები უფრო ურთიერთმოქმედი წესებისა და კონსტრუქციების რთულ სისტემებს წარმოადგენენ.

(4) *wa-kaštaka* „მე ვურტყამ“
ya-kaštaka „შენ ურტყამ“
kaštaka „ის ურტყამს“
uŋ-kaštaka-pi „ჩვენ ვურტყამთ“
ya-kaštaka-pi „თქვენ ურტყამთ“
kaštaka-pi „ისინი ურტყამენ“ (ბიუხელი 1939)

ლახოტაში აღნიშნული ნიმუში ასახავს მარკირებულობის ორ მოდელს: ჩვეულებრივია მხოლობითის არამარკირებულობა მრავლობითის მიმართ და, ასევე ჩვეულებრივია მესამე პირის ნულოვანი მაჩვენებელი პირველ და მეორე პირის ფორმებთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ უგრძესი ფორმები წარმოადგენენ მარკირებულ ფორმებს როგორც რიცხვის (მრავლობითი), ასევე პირისათვის (პირველი და მეორე). ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, მარკირებულობის ეს მოდელი (და სხვაც) ასახავს დისკურსულ სიხშირეს: ყველაზე ხშირი გრამემები (values), ჩვეულებრივ, არამარკირებულია. ნულოვანი გამოსახულების მარკირებულობის მახასიათებლიდან ამოსვლით, ნულოვანი მაჩვენებლის გამოყენება მაღალი სიხშირის გრამემისთვის მოტივირებულია მსმენელის ტენდენციით, რომ მოახდინოს გამონათქვამის ინტერპრეტირება ისე, რომ იმის შესახებ, რაც ყველაზე ხშირად გამოიყენება, არ ჰქონდეს კონკრეტული ინფორმაცია. გამოდის, რომ სისტემა, რომელიც იყენებს ნულოვან გამონათქვამს ყველაზე ხშირ გრამემათათვის, იქნება ყველაზე „ეკონომიური“ (შდრ. ჰეიმანი 1983, 1985; კროფტი 1990) და დაემორჩილება უმცირესი ძალისხმევის პრინციპს (ციპფი 1935).

მაგრამ, მეორე მხრივ, ნულების გამოყენების ფაქტი მხოლობითის მესამე პირში იქნება ყველაზე მეტად ეფექტური, რომ აგვიხსნას ლახოტა ენის გრამატიკის ერთ-ერთი ასპექტი, მაგრამ იგი თავისთავად ვერ იქნება გრამატიკის ნაწილი. როდესაც ლახოტა ენაზე მოლაპარაკე წარმოქმნის ნულოვან ფორმებს, რათა გამოხატოს წინადადებები მესამე პირის მხოლობითი სუბიექტით, და არანულოვან ფორმებს, რათა გამოხატონ წინადადებები სხვა სუბიექტებით, იმის გამო კი არ იქცევა ასე, რომ ეს გზა არის ყველაზე მეტად ეფექტური, არამედ იმიტომ, რომ ლახოტა ენის გრამატიკა ასე განსაზღვრავს ფორმებს კონკრეტული პირისა და რიცხვის კომბინაციისათვის. და ისევ, ფუნქციური ახსნის ადგილი ენობრივი ცვალებადობის დონეზეა. ადვილი შესაძლებელია, რომ ენამ დაკარგოს არანულოვანი მორფემა პარადიგმაში, როცა ის უკავშირდება მესამე პირის მხოლობით რიცხვს, რადგანაც მისი არარსებობის შემთხვევაში, მოსალოდნელია, რომ მსმენელმა გამონათქვამის ინტერპრეტაცია მოახდინოს ყველაზე ხშირი კატეგორიის თვალსაზრისით, როგორც ჩვეულებრივ იქცევა ხოლმე გამონათქვამის ინტერპრეტაციისას. თუ ენაში დაიწყება ნულოვანი გამონათქვამის გამოყენება პირისა და რიცხვის ზოგიერთი სხვა კომბინაციისათვის, მაშინ გამონათქვამთა არასწორად გაგების ალბათობა უფრო მაღალი იქნება.

მიუხედავად ამისა, შევნიშნავთ, რომ, როგორც სხვა ფუნქციური ახსნების შემთხვევაში, შეიძლება არსებობდეს ენათა მცირე რაოდენობა, რომლებიც არ შეესაბამება ზოგად მოდელს. ინგლისურში ახლანდელი დრო იყენებს ნულოვანი გამოხატულების ფორმას ყველა ფორმაში მესამე პირის მხოლობითი რიცხვის გარდა (*I walk* „მე დავდივარ“, *you walk* „შენ/თქვენ დადიხარ(თ)“, *he/she walks* „ის დადის“, *they walk* „ისინი დადიან“). გრამატიკის დონეზე ინგლისური არ განსხვავდება ლახოტა ენისაგან; ორივე შემთხვევაში გრამატიკა განმარტავს, სად გამოიყენება და სად არ გამოიყენება ნული. ჩვენ გვჭირდება გრამატიკისაგან დამოუკიდებელი ამხსნელობითი თეორია, რომ განვმარტოთ, თუ რატომ არის ლახოტა ენის მსგავსი ენები უფრო მეტად გავრცელებული, ვიდრე ინგლისური ენის მსგავსი ენები, მაგრამ ეს არ უკავშირდება მოცემული ორი ენის აღწერებს. შესაბამისი სახის აღწერებს სწორედ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია გვაწვდის.

4.6 ფორმათა თეორია და ფორმალური თეორიები

გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ სტატიაში მოცემულ არგუმენტთა მსგავსი არგუმენტები მოცემული აქვს ნიუმაიერს (1998, 2002c) იმის დასასაბუთებლად, რომ ფუნქციური ახსნები გრამატიკის გარეთაა და, ამგვარად, ფუნქციური ახსნა არ საჭიროებს გრამატიკას. მაგალითად, ნიუმაიერი მიუთითებს (1998:141-142), რომ მიმართებითი დამოკიდებული წინადადებების გარკვეული თავისებურებები სუაჰილი (Swahili) ენაში დამაჯერებლად აიხსნება წინადადების სტრუქტურირების ფაქტორებით (processing factors). თუმცაღა სტრუქტურირებით ახსნა ვარაუდობს სტრუქტურირების სიმარტივეს (processing ease) ენის ადრეულ ეტაპზე, როდესაც ენა იყო SOV რიგისა და უკვე სტრუქტურირებით ახსნა აღარ მიესადაგება, ვინაიდან ენა SVO რიგისა გახდა.

იმ არგუმენტებიდან გამომდინარე, რომელთა მიხედვით ივარაუდება, რომ ფუნქციური ახსნა გრამატიკის გარეთაა, ნიუმაიერი ირწმუნება, რომ ფუნქციური ახსნის მომხრეებსაც კი სჭირდებათ, როგორც ის უწოდებს, გრამატიკის „ფორმალური თეორია“ (ნიუმაიერი 1998:337). ნიუმაიერის არჩევანი გამონათქვამისა „ფორმალური თეორია“ არახელსაყრელია, რადგანაც ის არის ორაზროვანი. ნიუმაიერის არგუმენტები მხოლოდ იმას მიუთითებენ, რომ საჭირო ენობრივი ფორმის თეორია ანუ, როგორც ამ სტატიაში ეწოდება, აღწერითი თეორია (ან თეორიული ჩარჩო); ამდენად, მისი არგუმენტები შეესაბამება ამ სტატიის იმ არგუმენტებს, რომლებიც უკავშირდება აღწერითი თეორიების საჭიროებას. მიუხედავად ამისა, გამონათქვამი „ფორმალური თეორია“ ენათმეცნიერებაში ზოგადად გულისხმობს არა ფორმის თეორიას, არამედ თეორიას კონკრეტული თეორიული ორიენტაციით, რომელშიც „ფორმალური“ უპირისპირდება „ფუნქციურს“, ან „სუბსტანციურს“, ან „არაფორმალურს“. როგორც ჩანს, ნიუმაიერი „ფორმალური თეორიის“ არაცნობიერი ორაზროვანი გამოყენებით ასკვნის, რომ ფუნქციონალისტებს სჭირდებათ გენერატიული გრამატიკის რაღაც ვარიანტი, როგორც ფორმა-

თა თეორია, ფუნქციური ახსნების შესავსებად. თუმცაღა, მისი არგუმენტები მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ფუნქციონალისტებს სჭირდებათ ენობრივი ფორმის თეორია და ვერ ხედავს იმ ფაქტს, რომ ფუნქციონალისტებს უკვე აქვთ ენობრივი ფორმის თეორია, სახელდობრ, ენათმეცნიერების საბაზისო თეორია. ენათმეცნიერების საბაზისო თეორია წარმოადგენს ფორმის *არაფორმალურ* თეორიას და ნიუმაიერის არცერთი არგუმენტი არ უჭერს მხარს ფორმის *ფორმალურ* თეორიას.

5. განპირობებული ანალიზი (Stipulative analysis)

ბევრ თეორიულ ნაშრომში დიდი ძალისხმევა, მიმართული კონკრეტულ ანალიზის მხარდასაჭერად თუ უარსაყოფად, მოტივირებულია იმის მცდელობით, რომ გვიჩვენონ, თუ რა არის მიჩნეული ამხსნელობით ანალიზად. ამგვარ ნაშრომებში ხშირად შეხვდებით აბსტრაქტულ პრინციპებსა და აბსტრაქტულ ანალიზებს, რომელთა დეტალებიც მოტივირებულია არა ცალკეული ენით, არამედ პოსტულირებულია ზოგადთეორიულ საფუძველზე. ზოგიერთ ანალიზს, რომელსაც ენათმეცნიერების საბაზისო თეორია გვთავაზობს, ბევრი გენერატივისტი არაადეკვატურად მიიჩნევს, რადგანაც ისინი გაგებულია როგორც აშკარად განპირობებული, ანუ ad hoc, რამდენადაც ამგვარი თეორია საჭიროებს ისეთ წესებსა თუ წესების ისეთ ასპექტებს, რომლებიც მხოლოდ განსახილველი მოვლენითაა მოტივირებული. ფუნქციონალისტური თვალსაზრისით, ის ფაქტი, რომ ანალიზი შეიძლება იყოს განპირობებული თუ ad hoc, არ წარმოადგენს პრობლემას: შესაძლებელია, ანალიზი იყოს განპირობებული და ad hoc და გამორიცხავდეს იმ ამხსნელობითი პრინციპებისა თუ მოტივაციების არარსებობას, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ. ფაქტობრივად, ფუნქციონალისტური პერსპექტივიდან უაღრესად განპირობებული ანალიზი რეალურად შეიძლება ღირებული იყოს, რადგანაც ფაქტები ხშირად იმაზე მეტყველებენ, რომ მოლაპარაკე სწავლობს გრამატიკული წესების რთულ სიმრავლეს ისე, რომ არა აქვს არავითარი ცოდნა, ცნობიერი თუ არაცნობიერი, იმ სიღრმისეული მოტივაციების შესახებ, რომლებმაც ეს წესები ამგვარად ჩამოაყალიბეს უფრო ადრე, ვიდრე მოლაპარაკე დაიწყებდა ენის შესწავლას.

კიდევ ერთი გზა იმავე აზრის ჩამოსაყალიბებლად არის იმის თქმა, რომ გრამატიკა ის ფენომენია, რომელიც წარმოაჩენს მოვლენას და არ დაიყვანება ამხსნელობით პრინციპებამდე, თუნდაც იყოს ეს პარამეტრული დებულებები (parameter settings), უნივერსალურ შეზღუდვათა რიგი თუ ფუნქციური პრინციპები. ისინი ასახავენ სხვადასხვა სახის სიღრმისეულ (underlying) ამხსნელობით პრინციპებს, როგორც მოცილე მოტივაციებს, რომელთა შორის შეჯიბრი გადაიჭრება ენობრივი ცვალებადობის დონეზე. მაგრამ საკუთრივ გრამატიკა რთული სისტემაა სხვადასხვა სახეობის მნიშვნელოვანი თავისებურებებით (idiosyncrasies). აღწერითი თეორიის მიზანი არის ის, რომ თითოეული ენის, მთელი მისი სირთუ-

ლითა და თავისებურებებით, ადეკვატური აღწერა უზრუნველყოს სათანადო საშუალებებისა და ცნებათა სიმრავლით. მიზეზი, თუ რატომ მიიჩნევს ჩომსკიანური გენერატიული მიდგომები ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას არაადეკვატურად, არის, საზოგადოდ, არა ის, რომ თეორია ვერ იძლევა ადეკვატურ აღწერას, არამედ ის, რომ იგი ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ ახსნას. მაგრამ თუ ენის აღწერა ახსნისაგან დამოუკიდებელია, მაშინ ეს არ წარმოადგენს პრობლემას ენათმეცნიერების საბაზისო თეორიისათვის.

6. აღწერა როგორც ახსნა

აღწერისა და ახსნის განსხვავების დახასიათებისას ჩვეულებრივ ტერმინ *ახსნას* ვიყენებ ისე, როგორც ეს ფუნქციონალისტებს შორის არის მიღებული, ავიწროებენ მოცემული ტერმინის მნიშვნელობას და დაჰყავთ იმის ახსნამდე, თუ რატომ არის ენა ისეთი, როგორიც ის არის. მაგრამ არსებობს სხვა მნიშვნელობაც, რომლის მიხედვითაც, რასაც ვუწოდებთ აღწერას, ის თავად წარმოადგენს ახსნას სხვა დონეზე. სახელდობრ, თუ გრამატიკა არის მოლაპარაკეთა გონებაში არსებულის რეპრეზენტაცია და, აქედან გამომდინარე, ის, რაც უდევს საფუძვლად ენობრივ ქცევას, მაშინ საკუთრივ გრამატიკა შეიძლება განვიხილოთ როგორც ნაწილი ენობრივი ქცევის ახსნისა და გრამატიკა წარმოგვიდგება როგორც ახსნა ენის გარკვეული ფაქტებისა. მიზეზი იმისა, რომ ინგლისურად მოლაპარაკე არ ამბობს **My house is a house blue* ნაცვლად გამონათქვამისა *My house is a blue house* „ჩემი სახლი არის ლურჯი სახლი“, არის ის, რომ ინგლისური ენის გრამატიკა ადგენს: ატრიბუტული ზედსართავი სახელები წინ უძღვის არსებით სახელს; აი, ამ აზრით, ინგლისურის გრამატიკა ხსნის ენის გამოყენების ამ კონკრეტულ ფაქტს. მსგავსი აზრი ჩამოაყალიბა გრინბერგმა (1968:180): „აღწერით ენათმეცნიერებაში მოტივირებული (განპირობებული; conventional) გრამატიკული წესებიც კი არის კონკრეტულ მოვლენათა ამხსნელი [...]. მაგალითად, თუ სტუდენტს, რომელიც ახლა სწავლობს თურქულს, უთხრეს, რომ *diş*-ის („კბილი“) მრავლობითი რიცხვი არის *dişler* მაშინ, როცა *kuş*-ის („ჩიტი“) მრავლობითი არის *kuşlar*, მან შეიძლება იკითხოს, თუ რატომ აწარმოებს პირველი სიტყვა მრავლობითს *-ler*-ის დართვით მაშინ, როცა მეორე სიტყვა აწარმოებს *-lar*-ით. შემდეგ მას შეიძლება უთხრან, რომ ნებისმიერი სიტყვა, რომელშიც ბოლო (final) ხმოვანი არის *-i* მრავლობითში დაირთავს *-ler*-ს მაშინ, როცა სიტყვა, რომელშიც ბოლო ხმოვანი არის *-u*, მრავლობითში დაირთავს *-lar*-ს. ეს შეიძლება განვიხილოთ ახსნად, რამდენადაც შემდეგი შეკითხვა უკვე შეეხება არა *diş*-ისა და *kuş*-ის კონკრეტულ ფორმებს, არამედ სიტყვათა კლასებს, რომელთაც ფუძეში ბოლო ხმოვანი აქვთ *-i* და *-u*“.

ამგვარად, ის, რასაც მე განვსაზღვრავ როგორც აღწერასა და ახსნას, შეიძლება ასევე განისაზღვროს იმ განსხვავებით, რომელიც არსებობს ენობრივი ქცე-

ვის თუ ენის კონკრეტული ფაქტების ახსნასა და იმ ახსნას შორის, რომელიც გვეუბნება, თუ რატომ არის ენა ისეთი, როგორიც ის არის. ამგვარად, ჩვენი მოწოდება, რომ საჭიროა როგორც აღწერითი, ისე ამხსნელობითი თეორიები, შეიძლება ასევე განისაზღვროს როგორც მოწოდება ამხსნელობით თეორიათა ორი სხვადასხვა ტიპის საჭიროებისა.

ნაწილობრივ, მიზეზი იმისა, თუ ფუნქციონალისტები რატომ ერიდებიან გამოიყენონ ტერმინი *ახსნა* გრამატიკული აღწერის მიმართ, არის ის, რომ ისინი ამას უკავშირებენ იმგვარ ანალიზს, როგორსაც ფორმალისტი ლინგვისტები გვთავაზობენ და რომლის მიხედვითაც ანალიზი განისაზღვრება როგორც ამხსნელობითი არა მარტო იმ აზრით, რომ მიხედვითაც გრამატიკა ხსნის კონკრეტულ ენობრივ ფაქტებს, არამედ დამატებითი გაგებითაც, რომლის მიხედვითაც ანალიზი მაშინ არის ამხსნელობითი თეორიის ნაწილი, როცა იგი გვეუბნება, თუ რატომ არის ენა ისეთი, როგორიც ის არის. რადგანაც ჩომსკიანელი გენერატივისტები, როგორც წესი, თავიანთ ანალიზში ახსნის ამ ორივე ტიპს გვთავაზობენ, თუმცა ყოველთვის როდი განასხვავებენ ახსნის ამ ორი ტიპს. ამდენად, თუკი ერთმანეთისაგან გავარჩევთ ახსნის ამ ორ ტიპს, მაშინ ფუნქციონალისტებისათვის აღარ უნდა იყოს პრობლემა, რომ აღწერა აღიარონ ახსნად, ახსნის უფრო დაბალი დონის აზრით, – როგორც ახსნა კონკრეტული ენობრივი ფაქტებისა.

7. არის თუ არა ენათმეცნიერების საბაზისო თეორია კარგი აღწერითი თეორია?

იმ მტკიცებულებიდან, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია წარმოადგენს თეორიას, არ გამომდინარეობს, რომ ის უნდა იყოს კარგი თეორია. შეიძლება აღწერითი თეორიის ცნება მისაღები იყოს, მაგრამ აღმოჩნდეს, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია არაადეკვატურია როგორც აღწერითი თეორია. სამწუხაროდ, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის, როგორც აღწერითი თეორიის, არაადეკვატურობის საკითხს იშვიათად განიხილავენ. ჩომსკიანურ გენერატიულ ნაშრომთა უმრავლესობაში უპირობოდ არის მიღებული, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია არაადეკვატურია, მაგრამ, როგორც ზემოთ განვიხილეთ, უპირობო არგუმენტია ის, რომ არაადეკვატურია როგორც ამხსნელობითი თეორია, მაგრამ ეს, როგორც ვაჩვენეთ, არ უკავშირდება მისი, როგორც აღწერითი თეორიის, ადეკვატურობის საკითხს. კიდევ ერთი იმპლიციტური არგუმენტი ადრეულ გენერატიულ გრამატიკასა და ფორმალურ მიდგომებში, როგორიცაა მეთაური წევრით მართული ფრაზული სტრუქტურის გრამატიკა (Head-Driven Phrase Structure Grammar; პოლარდი და საგი 1994), არის ის, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორია არაადეკვატურია, რადგანაც მეტისმეტად არაზუსტი და ბუნდოვანია. აქ ერთი პატარა დეტალია გასათვალისწინებელი – ენათმეცნიერების საბაზისო თეორია არაფორმალური თეორიაა და ნათელია, რომ ზოგი ენათმეცნიერი მოითხოვს უფრო

მაღალი დონის სიზუსტეს, ვიდრე ამას ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში ვხვდებით. მიუხედავად ამისა, გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ სიზუსტე არ უნდა ავურიოთ ფორმალიზმის გამოყენებასთან: ინგლისურში აღწერა შეიძლება იყოს ზუსტი, თუ ტერმინთა მნიშვნელობა არის ნათელი და, მართლაც, ადვილად ვიპოვით ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაზე დაფუძნებულ ბევრ ნაშრომს, რომლებიც საკმაოდ ზუსტია. ამის საპირისპიროდ, ფორმალიზმის გამოყენება არ იძლევა სიზუსტის გარანტიას, თუ ფორმალიზმი ზუსტად არ არის განსაზღვრული.[10]

ამ სტატიის მიზნების თვალსაზრისით, უფრო მნიშვნელოვანია ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის, როგორ აღწერითი თეორიის, ადეკვატურობის საკითხი ფუნქციონალისტთა მიზნებისათვის. სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ფუნქციონალისტი განიხილავდეს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის აღწერას როგორც ენის ადეკვატურ აღწერას, მაგრამ იგი მიიჩნიოს როგორც არაადეკვატური რეპრეზენტაცია იმ ენობრივი ცოდნისა, რომელიც მოცემულ ენაზე მოლაპარაკეს აქვს; ამ განსხვავებაზე კი მე ყურადღება არ გამიმახვილებია. ზოგიერთმა ფუნქციონალისტმა შექმნა ფუნქციურად ორიენტირებული თეორიული ჩარჩო (მაგ., ფუნქციური გრამატიკა (Functional Grammar; დიკი 1978, 1989, 1997) და როლურ-რეფერენციული გრამატიკა (Role and Reference Grammar; ვან ვალინი 1993, ვან ვალინი და ლაპოლა 1997)), მაგრამ ისინი უშუალოდ იმ საკითხს არ განიხილავენ, თუ მათი თეორიული ჩარჩო რამდენად უკეთესი შეიძლება იყოს, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიასთან შედარებით: საკუთარი თეორიების დასაცავად ისინი უპირისპირდებიან ფორმალურ გენერატიულ თვალსაზრისებს და არა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას. გაუგებარია, რა არგუმენტები შეიძლება გამოიყენონ ამგვარ თეორიათა მიმდევრებმა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის საწინააღმდეგოდ.

უფრო მეტიც, როგორც სხვა თეორიული მიდგომების შემთხვევაში, ენათმეცნიერების საბაზისო თეორია არის მთლიანი თეორიული ჩარჩო, რომელიც შეიცავს განსხვავებულ თვალსაზრისებს და მისი კონკრეტული გამოყენების კრიტიკული განხილვები ადვილად შესაძლებელია, რომ გაგებულ იქნეს როგორც ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის შიგნით შეუთანხმებლობადაც და, ასევე, საკუთრივ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის კრიტიკადაც. ჩემი შეხედულება (დრაიერი 1997), რომ გრამატიკული მიმართებები (grammatical relations; და სხვა გრამატიკული ცნებები) უმთავრესად არის კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელი და რომ უნივერსალური ლინგვისტური ცნებები არის მხოლოდ მოსახერხებელი ფიქცია, აშკარად უმნიშვნელო თვალსაზრისს წარმოადგენს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში. მაგრამ ეს პოზიცია არ არის კრიტიკის საგანი ენათმეცნიერების საბაზისო თეორიისათვის, არამედ ეს არის პრობლემური საკითხი ენათმეცნი-

[10] მე ვიტყოდი, რომ ბევრი ნაშრომი ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში უფრო ზუსტია, ვიდრე ჩომსკიანური ტრადიციის სრულიად ახალი ნაშრომები.

ერების საბაზისო თეორიაში. დარწმუნებული ვარ, ბევრი აღწერითი ნაშრომი კიდევ სხვა კუთხით წარმოაჩენს დამახინჯებულ თვალსაზრისს ენის შესახებ. მაგალითად, გრამატიკული აღწერები ავლენენ ტენდენციას, წარმოაჩინონ კანონზომიერებანი და ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ლექსიკურ თავისებურებებსა თუ ლექსიკალიზებულ გრამატიკულ კონსტრუქციებს. ვფიქრობ, რომ სიტყვათა კლასები კონკრეტულ ენაში ხშირად არ არის ისე კარგად მოტივირებული, როგორც ამას შესაბამისი აღწერა გვთავაზობს და რომ სიტყვათა კლასების სისტემა უაღრესად რთულია. და ისევ, ეს ჩემთვის არ არის ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის კრიტიკა, ეს არის უბრალოდ კრიტიკა მოცემული თეორიის გამოყენებისა თვით ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ფარგლებში.[11]

ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის გაუმჯობესება უკანასკნელი ოცდახუთი წლის განმავლობაში არ იყო გამოწვეული იმით, რომ სპეციალურად სცადეს, ასე მომხდარიყო; ენათმეცნიერთა უმეტესობა ხომ არც აღიარებს მას როგორც თეორიულ ჩარჩოს. განვითარება წარმოადგენს ტიპოლოგიური კვლევის გვერდით ეფექტს და არსებობს ყველანაირი საფუძველი ვირწმუნოთ, რომ შემდგომი განვითარება გაგრძელდება მომავალ ათწლეულებშიც როგორც ტიპოლოგიური კვლევების შედეგად, ასევე, სრულიად შესაძლებელია, ახალი იდეების საფუძველზე ზოგიერთი სხვა უბნიდან. შესაძლებელია, შემდგომი გაუმჯობესება გაგრძელდეს, თუ უფრო მეტი ფუნქციონალისტი, ტიპოლოგი თუ დესკრიპტივისტი ცნობს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის სტატუსს და შეეცდება შემდეგი საკითხის გადაჭრას: როგორ შეგვიძლია გავხადოთ ის აღწერითი გრამატიკები, რომლებსაც ახლა ვწერთ, იმაზე უკეთესი, ვიდრე არის ამჟამად?

8. დასკვნა

როგორც ვაჩვენე, ენის აღსაწერად დომინანტური თეორიული ჩარჩო აღმოჩნდა ენათმეცნიერების საბაზისო თეორია, მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტთა უმეტესობას არ უცვნია მისი, როგორც თეორიული ჩარჩოს, სტატუსი. თუმცა ლიგვისტიკა მრავალმხრივ დაზარალდა ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თეორიულ ჩარჩოდ არცნობითა და როგორც აღწერითი, ისე ამხსნელობითი თეორიების საჭიროების არაღიარებით. როგორც ამ სტატიის შესავალში შევნიშნეთ, ბე-

[11] კროფტის დებულებები (2001) შეიძლება გავიგოთ, როგორც ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის კრიტიკა ფუნქციონალისტური პერსპექტივიდან და ისინი საკმარისად რადიკალურია საიმისოდ, რომ გაგებულ იქნეს საკუთრივ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის კრიტიკად. კროფტს საბუთები მოჰყავს სიტყვათა კლასების სწორედ დისტრიბუციულად განსაზღვრის შესაძლებლობის წინააღმდეგ. მის მიერ განხილულ მოვლენებში ვხედავ მინიშნებას დისტრიბუციულად განსაზღვრული სიტყვათა კლასების უფრო რთულ თეორიაზე, იმასთან შედარებით, რასაც ხშირად ვარაუდობენ. მიუხედავად ამისა, შემდგომი მსჯელობა მის მიერ წამოჭრილი საკითხების შესახებ ამ სტატიის მიღმა რჩება.

ვრი ფუნქციონალისტი, როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ იმის გარკვევა, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ენის კარგ აღწერად, თეორიულად არ არის მნიშვნელოვანი და ზოგიერთისთვის, როგორც ჩანს, ისიც კი საკითხავია, არის კი რაიმე აღსაწერი. გივონი (2001:xv) ადრეულ ნაშრომებში აშკარად უკან იხევს თავისი პოზიციიდან და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა, ვცნოთ ენობრივი სტრუქტურა მისი ფუნქციისგან დამოუკიდებლად; თუ არსებობს ფუნქციური ახსნა იმისა, თუ რატომ არის ენა ისეთი, როგორიც ის არის, საჭიროა, რომ როგორმე აღიწეროს ის, რაც უნდა აიხსნას. მაგრამ იმავე ნაშრომში სხვა ადგილას (გივონი 2001:4) ენისადმი სტრუქტურალისტურ მიდგომას გივონი ახასიათებს როგორც „ფუნქციონალიზმის ანტითეზას“. მაგრამ აქ ის ერთმანეთში ურევს აღწერით თეორიას ამხსნელობით თეორიასთან. სტრუქტურალიზმი სავსებით თავსებადია ფუნქციონალიზმთან. სტრუქტურალიზმი არის აღწერითი თეორია, ხოლო ფუნქციონალიზმი – ამხსნელობითი თეორია. შეუთავსებელი როდია, რომ ენა ჯერ აღიწეროს სტრუქტურალისტური პერსპექტივით და შემდეგ ის, რაც აღიწერა, აიხსნას ფუნქციონალისტური ტერმინებით.

კიდევ სხვა უარყოფითი შედეგები ახლავს აღწერითი თეორიის ამხსნელობითი თეორიისაგან განურჩევლობასა და ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის თეორიად არაღიარებას. იმის გამო, რომ ბევრი ენათმეცნიერისთვის არსებობს მცდარი დაპირისპირება აღწერასა და თეორიას შორის და ის, რასაც განსაზღვრავენ როგორც თეორიას, მაღალპრესტიჟულად მიიჩნევა, ხშირად ხდება, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ფარგლებში შესრულებული ნაშრომებს „უბრალო“ აღწერებად მიიჩნევენ. ამგვარად, თუ ენათმეცნიერი მონაცემთა სიმრავლეს აანალიზებს რაღაც დროებითი თეორიებით, როგორებიცაა, მაგალითად, მინიმალიზმისა თუ ოპტიმალურობის თეორია, მეთაური წევრით მართული ფრაზული სტრუქტურის გრამატიკა, მაშინ ანალიზი შეიძლება დახასიათდეს როგორც „თეორიული“; მაგრამ თუ ენათმეცნიერი აანალიზებს მონაცემთა სიმრავლეს ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის გამოყენებით, მაშინ ანალიზი დახასიათდება როგორც „აღწერითი“. მაგრამ ეს უბრალოდ აღრევას წარმოადგენს. ანალიზი, რომელსაც საფუძვლად უდევს ენათმეცნიერების საბაზისო თეორია, არის თეორიული იმ გაგებით, რომ ეფუძნება თეორიულ ჩარჩოს, სხვა ანალიზთა მსგავსად. თავის მხრივ, დროებითი თეორიით შესრულებული ანალიზი არის ასევე აღწერითი, რადგანაც იძლევა მონაცემთა აღწერას.

ისიც მართალია, რომ ანალიზი რომელიმე სხვა თეორიული ჩარჩოს ფარგლებში მონაცემთა აღწერაზე მეტს აკეთებს, ამატებს რაღაც თეორიულ მოსაზრებას, რომელიც აღწერილ ფაქტებს უკავშირდება. მაგრამ ეს, ჩვეულებრივ, არის იმიტომ, რომ დროებითი თეორია გამიზნულია, იყოს არა მარტო აღწერითი თეორია, არამედ აგრეთვე ამხსნელობითი თეორიაც და დამატებითი თეორიული მოსაზრება არის გარკვეულწილად მნიშვნელოვანი მოცემული თეორიის ამხსნელობითი მიზნებისათვის. გარდა ამისა, თეორიული მოსაზრება შეიცავს მინიშნებას

თეორიის გარკვეული სახეცვლილების საჭიროებაზე. მაგრამ იგივე ხდება ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ფარგლებში შესრულებული აღწერის შემთხვევაშიც: გარკვეული თეორიული დებულება მიიღება აღწერილი ფაქტებიდან. ხანდახან ის გვეუბნება, რომ საჭიროა ენის აღწერის არსებული საშუალებების გარკვეული გაუმჯობესება; ამ აზრით, იგი ანალოგიურია დროებითი თეორიების მიხედვით შესრულებული ანალიზის დროს წამოჭრილი პრობლემებისა, რომლებიც მიუთითებენ, რომ საჭიროა ცვლილება თეორიაში. თუმცა, უფრო ჩვეულებრივ, ეს მიუთითებს მანამდე დაუდასტურებელი მოვლენის არსებობაზე. რადგანაც ენათმეცნიერების საბაზისო თეორია არ ცდილობს, რომ იყოს შემზღუდველი თეორია (restrictive theory). ხშირად ახალი მოვლენების აღწერა ადვილია ენათმეცნიერების საბაზისო თეორიის ჩარჩოში და არ საჭიროებს თეორიის გადასინჯვას, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ შეიძლება დაემატოს ახალი ცნებები. ამგვარი აღმოჩენები აშკარა თეორიული მნიშვნელობისაა ტიპოლოგიური თეორიისათვის.

უნდა ვაღიაროთ, ხშირად ხდება, რომ ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში შესრულებული ნაშრომის უმთავრესი მიზანი არის აღწერა ყოველგვარი თეორიული ღირებულების გარეშე, ასე რომ, ასეთი ნაშრომი არის თეორიული მხოლოდ იმ გაგებით, რომ იყენებს თეორიულ ჩარჩოს, სახელდობრ, ენათმეცნიერების საბაზისო თეორიას. უნდა გითხრათ, რომ ხშირად იგივე ხდება სხვა თეორიულ ჩარჩოში შესრულებული ნაშრომების შემთხვევაშიც: მათი უმთავრესი მიზანი ხშირად არის ფაქტების სიმრავლის აღწერა ყოველგვარი კონკრეტული თეორიული წიაღსვლების გარეშე. უფრო მეტიც, მართალია, ბევრი ნაშრომი ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში არის უმთავრესად აღწერითი თავისი დანიშნულებით, სწორედ ეს აღწერები ქმნიან მონაცემთა ძირითად წყაროს თეორიული ნაშრომებისათვის ტიპოლოგიაში. ამ გაგებით, აღწერითი ნაშრომი ენათმეცნიერების საბაზისო თეორიაში ყოველთვის არის თეორიული მნიშვნელობისა.

ლიტერატურა:

აისენი 1999: Judith Aissen, Markedness and Subject Choice in Optimality Theory, *Natural Language and Linguistic Theory* 17: 673-711 (Reprinted 2001, In: Optimality-Theoretic Syntax, Geraldine Legendre, Jane Grimshaw and Sten Vikner (eds.), 61-96, MIT Press Cambridge.

აისენი 2003: Judith Aissen, Differential Object Marking: iconicity vs. economy, *Natural Language and Linguistic Theory* ,21: 453-443.

ბიუხელი 1939: Eugene Buechel, *A Grammar of Lakota,* Rosebud Educational Society, Rosebud, South Dakota.

ბრესნანი 2000: Joan Bresnan, Omptimality in Syntax, *Presidential Address, annual Linguistic Society of America Meeting*, Chicago.

ბრესნანი და აისენი 2002: Joan Bresnan and Judith Aissen, Optimality and Functionality: objections and refutations, *Natural Language and Lingustic Theory,* 21: 81-95.

გივონი 2001: Tom Givón, *Syntax: An Introduction*, John Benjamins, Amsterdam.

გრინბერგი 1963: Joseph Greenberg, Some universals of grammar with particular reference to the order of meaningful elements, In: *Universals of Language*, Joseph H. Greenberg (ed.), 73-113, MIT Press, Cambridge, Massachusetts.

გრინბერგი 1968: Joseph Greenberg, *Anthropological Linguistics: An Introduction*, Random House, New York.

დელენსი 1997: Scott DeLancey, Mirativity: the grammatical marking of unexpected information, *Linguistic Typology,* 1: 33-52.

დიკი 1978: Simon C. Dik, *Functional Grammar*, North-Holland, Amsterdam.

დიკი 1989: Simon C. Dik, *The Theory of Functional Grammar, Part 1: The Structure of the Clause*, Foris, Dorcrecht.

დიკი 1997: Simon C. Dik, *The Theory of Functional Grammar*, *Part 2: Complex and Derived Constructions*, Kees Hengeveld (ed,), Mouton de Gruyter, Berlin/New York.

დიქსონი 1997: R. M. W, Dixon, *The Rise and Fall of Languages*, Cambridge University Press, Cambridge.

დრაიერი 1992: Matthew S. Dryer, The Greenbergian word order correlations, *Language*, 68: 81-138.

დრაიერი 1997: Matthew S. Dryer, Are Grammatical Relations Universal? In: *Essays on Language Function and Language Type*, Joan Bybee, John Haiman and Sandra Thompson (eds.), 115-143, John Benjamins, Amsterdam.

დრაიერი 2006: Matthew S. Dryer, Functionalism and Metalanguage – Theory Confusion, In: *Phonology, Morphology, and the Empirical Imperative: Papers in Honour of Bruce Derwing*, Grace Wiebe, Gary Libben, Tom Priestly, Ron Smyth, and Sam Wang (eds.), 27-59), The Crane Publishing Company, Taipei.

ვან ვალინი 1993: Robert D. Van Valin (ed.), *Advances in Role and Reference Grammar*, John Benjamins, Amsterdam.

ვან ვალინი და ლაპოლა 1997: Robert D. Van Valin, and Randy J. LaPolla, *Syntax: Structure, Meaning, and Function*, Cambridge University Press, Cambridge.

კინანი და კომრი 1977: Edward L. Keenan, and Bernard Comrie, Noun phrase accessibility and Universal Grammar, *Linguistic Inquiry,* 8: 63-100.

კომრი და სმითი 1977: Bernard Comrie and Norval Smith, Lingua Descriptive Studies: Questionnaire, *Lingua*, 42: 1-72.

კრეიგი 1977: Collette Craig, *The Structure of Jacaltec*, University of Texas Press, Austin.

კროფტი 1990: William Croft, *Typology and Universals*, Cambridge University Press.

კროფტი 2001: William Croft, *Radical Construction Grammar: Syntactic Theory in Typological Perspective*, Oxford University Press.

კუჩ ლოიენგა 1994: Constance Kutsch Lojenga, *Ngiti: A Central Sudanic Language of Zaire*, Rüdiger Köppe Verlag, Cologne.

ნიუმაიერი 1998: Frederick J. Newmeyer, *Language Form and Language Function*, MIT Press, Cambridge, Massachusetts.

ნიუმაიერი 2002a: Frederick J. Newmeyer, Optimality and Functionality: a critique of functionally-based optimality-theoretic syntax, *Natural Language and Linguistic Theory,* 21: 43-80.

ნიუმაიერი 2002b: Frederick J. Newmeyer, A rejoinder to Bresnan and Aissen, *Natural Language and Linguistic Theory,* 20: 97-99.

ნიუმაიერი 2002c: Frederick J, Newmeyer, Where is functional explanation? In: *Papers from the Thirty-Seventh Meeting of the Chicago Linguistic Society*, Mary Andronis, Christopher Ball, Heidi Elston and Sylvain Neuvel (eds.), 99-122, Chicago Lingustic Society, Chicago.

პერლმუტერი 1983: David Perlmutter (ed.), *Studies in Relational Grammar 1*, University of Chicago Press, Chicago.

პერლმუტერი და როზენი 1984: David Perlmutter and Carol Rosen (eds.), *Studies in Relational Grammar 2*, University of Chicago Press, Chicago.

პოლარდი და საგი 1994: Carl Pollard and Ivan Sag, *Head-Driven Phrase Structure Grammar*, University of Chicago Press, Chicago.

როსი 1967: John R. Ross, *Constraints on Variables in Syntax*, MIT dissertation, Indiana University Linguistic Club.

ჩომსკი 1957: Noam Chomsky, *Syntactic Structures*, Mouton, The Hague.

ჩომსკი 1964: Noam Chomsky, *Current Issues in Linguistic Theory*, Mouton, The Hague.

ჩომსკი 1965: Noam Chomsky, *Aspects of the Theory of Syntax*, MIT Press, Cambridge, Massachusetts.

ჩომსკი 1973: Noam Chomsky, Conditions on Transformations, In: *A Festschrift for Morris Halle*, Stephen Anderson and Paul Kiparsky (eds.), 232-286, Holt, Rinehart and Winston, New York.

ჩომსკი 1981: Noam Chomsky, *Lectures on Government and Binding*, Foris, Dordrecht.

ციპფი 1935: G. K. Zipf, *The Psychobiology of Language: An Introduction to Dynamic Philology*, Houghton Mifflin, Boston.

ჰალე 1959: Morris Halle, *The Sound Pattern of Russian: A Linguistic and Acoustical Investigation*, Mouton, The Hague.

ჰასპელმათი 1993: Martin Haspelmath, *A Grammar of Lezgian*, Mouton de Gruyter, Berlin/New York.

ჰეიმანი 1983: John Haiman, Iconic and economic motivation, *Language,* 59: 781-819.

ჰეიმანი 1985: John Haiman, *Natural Syntax*, Cambridge University Press.

ჰოპერი 1987: Paul Hopper, Emergent Grammar, In: *Proceedings from the Thirteenth Annual Meeting of the Berkley Linguistics Society*, Jon Aske, Natasha Beery, Laura Michaelis and Hana Filip (eds.), 139-157.

ჰოუკინსი 1994: John A. Hawkins, *A Performance Theory of Order and Constituency*, Cambridge University Press, Cambridge.

თარგმნა ზურაბ ბარათაშვილმა

თარგმანი იბეჭდება ეთერ სოსელიას რედაქციით

რეცენზიები

რუსუდან ასათიანი, *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1994, 95 გვ.*

სარეცენზიო მონოგრაფია ასეა აგებული: შესავალში ენა სინამდვილის ასახვის ერთ-ერთ საშუალებადაა წარმოჩენილი.

სარეცენზიო ნაშრომის მეორე ნაკვეთში სინამდვილის შემადგენელი ძირითადი ელემენტები – სახელი და ზმნაა გამოკვეთილი.

მესამე თავში მოცემულია კონკრეტული სიტუაციის შემადგენელი სახელების რაოდენობის განსაზღვრა პრედიკატის ადგილიანობის, ვალენტობისა და პირიანობის მიხედვით. სემანტიკის დონეზე ავტორი პრედიკატის ადგილიანობაზე მსჯელობს, რომელიც განისაზღვრება ამ ზმნის სემანტიკით ნაგულისხმევი მოქმედების განხორციელებისათვის ლოგიკურად აუცილებელი და საკმარისი სახელების რაოდენობით. სინტაქსის დონეზე შემასმენლის ვალენტობაა წინა პლანზე, რომელიც განისაზღვრება ზმნასთან ფორმალურ ურთიერთობაში მყოფი სახელების რაოდენობით; ხოლო მორფოლოგიის დონეზე – ზმნის პირიანობა ასახავს ზმნურ ფორმაში მორფოლოგიურად აღნიშნული სახელების რაოდენობას. ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ ადგილიანობა სიღრმისეული უნივერსალიაა ყოველი სემანტიკური მნიშვნელობის მქონე პრედიკატული ერთეულისთვის, ვალენტობა და პირიანობა სპეციფიკურია ენათა მიხედვით (გვ. 7-8).

სახელთა როლებს ეხება მეოთხე თავი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელი შეიძლება იყოს: მოქმედების ავტორი, მოქმედი – Agent, ან პასიური მოქმედების მიმართ – არამოქმედი, ობიექტი – Patient და აქტიურიც (არა მოქმედებებში, როგორც Ag, არამედ ფიზიკურსა თუ ემოციურ განცდაში), მოქმედების ადრესატი – Addressee. აქვე შევნიშნავთ, რომ რ. ასათიანს სპეციალურად აქვს ნაკვლევი ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქცია. მეოთხე თავის ბოლოს ავტორი ასკვნის, რომ სახელთა გრამატიკულ დონეებზე წარმოდგენა საკმაოდ განსხვავებულად ხორციელდება სხვადასხვა სტრუქტურის მქონე ენებში. ამავე დროს, უშუალოდ ამ როლების მარკირება ენებში საკმაოდ იშვიათია.

მეხუთე თავი ეძღვნება გრამატიკული რეალიზაციების დროს კომუნიკაციურობის მნიშვნელობას. სავსებით სამართლიანად გამიჯნულია კომუნიკაციის პროცესში მონაწილე და არამონაწილე პირები, რაც უნივერსალურია ყოველი ენისთვის. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია კილოს ასათიანისეული ანალიზი, რაც შემდეგია: მოლაპარაკე პირის დამოკიდებულების გამოხატვა გამონათქვამის სიტუაციისადმი, რის შედეგადაც ავტორი ასკვნის, რომ კილოს მნიშვნელობისთვის ძირითადია მო-

ლაპარაკე, I პირის დამოკიდებულება სიტუაციის მიმართ, ზედაპირულად კი ეს არცერთ ენაში არაა წარმოდგენილი. მოლაპარაკე პირის როლი გამოკვეთილია აგრეთვე გვარის კატეგორიისათვის ბრძანებითის ფორმების სიღრმისეული სტრუქტურის განსაზღვრისას.

მეექვსე თავში აგენს-პაციენსის როლების სხვადასხვაგვარი კოდირების ძირითადი მოდელებია გამოყოფილი: ესაა ნომინატიური ენები, აქტიურობის მიხედვით დაჯგუფებული ენები და ერგატიული ენები. ამ მოდელების დეტალურ განხილვას თან ახლავს დამაჯერებელი მსჯელობანი პერფექტული, პოსესიური კონსტრუქციების შესახებ. ამავე თავში ავტორი სვამს კითხვას: რომელი კონსტრუქცია მივიჩნიოთ სიღრმისეულად – ერგატიული თუ ნომინატიური? მისი პასუხი ასეთია: სიღრმისეულად ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები ერთმანეთის მსგავსია, ისინი ერთი და იმავე სიღრმისეული სტრუქტურებიდან მომდინარეობენ და მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიებს შორის არსებული იერარქიული განსხვავებულობებით ეყოფიან ერთმანეთს. რ. ასათიანი ამავე თავში წარმოაჩენს საკომუნიკაციო აქტში მონაწილეობა/არმონაწილეობის კატეგორიას ზოგიერთი ენის, მათ შორის ქართულის, დომინანტურ კატეგორიად.

მეშვიდე თავში ავტორი ერთ მომენტს გამოყოფს, ქართველური ენებისათვის დომინანტურ კატეგორიად არ გამოდგა არც ნომინატიური, არც ერგატიული და არც აქტიური კონსტრუქციის განმსაზღვრელი დომინანტური კატეგორიები; ქართველური ენებისათვის დომინანტურ კატეგორიას წარმოადგენს კომუნიკაციის აქტისათვის მთავარი წევრობის კატეგორია, რომლის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდება მთავარი/არამთავარი სახელები (გვ. 33).

მერვე თავში ბაცბურის, მუნჯანისა და ბასკური ენების მაგალითზეა წინათავებისეული დებულებები გადამოწმებული.

მეცხრე თავში ავტორი აზოგადებს მიღებულ შედეგებს და მართებულად ასკვნის შემდეგს: გრამატიკულ კატეგორიათა ერთიანობაში გამოიყოფა ერთი, დომინანტური კატეგორია, რომელიც ფუნქციურად მაქსიმალურად დატვირთულია და რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს ამა თუ იმ ენის გრამატიკულ კატეგორიათა ფორმირებაში. ავტორს ტიპოლოგიური ენათმეცნიერების განვითარებასთან აქვს დაკავშირებული დომინანტური კატეგორიების მიხედვით ენათა კლასიფიკაცია (გვ. 65).

მეათე თავში დასკვნითი დებულებებით შეჯამებულია მთელი ნაშრომი.

რ. ასათიანის შრომა „ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები“ წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, რომელშიც ქართველურ ენათა ტიპოლოგიური კვლევის ისტორიაში პირველადაა მონოგრაფიულად შესწავლილი გრამატიკულ კატეგორიათა სისტემა სტრუქტურული მთლიანობის თვალსაზრისით. ამ სტრუქტურულ მთლიანობაში გამოიყოფა ერთი, დომინანტური კატეგორია, რომელიც მაქსიმალური ფუნქციური დატვირთულობისაა და რომელიც მთავარ როლს ასრუ-

ლებს კონკრეტული ენის გრამატიკულ კატეგორიათა ფორმირებაში; ეს დომინანტური კატეგორია შეიძლება განისაზღვროს როგორც ფუნქცია (D), რომელიც ობიექტური სინამდვილის შესაბამის ძირითად ენობრივ ელემენტებს – ზმნასა (V) და სახელს (N) მიემართება. ამგვარ დომინანტურ კატეგორიად რ. ასათიანი გვთავაზობს სუბიექტ-ობიექტის კატეგორიას ნომინატიური ენებისათვის, სემანტიკურ შეთანხმებულობას – ერგატიული ენებისათვის, აქტიურობას – აქტიური ენებისათვის. სემანტიკურ შეთანხმებულობას შრომის ავტორი განსაზღვრავს როგორც გარდაუვალი ზმნის სემანტიკურ ორიენტაციას სუბიექტზე: კაცი მიდის, ჩიტი მიფრინავს, გველი მისრიალებს, გემი მიცურავს... და გარდამავალ ზმნის სემანტიკურ ორიენტაციას პაციენსზე: წერილი დაწერა, სახლი ააშენა, ფოტო გადაიღო, ტაძარი ააგო...

შრომის ავტორი დიდი ხანია სწავლობს ქართულსა და ქართველურ ენებს დომინანტური კატეგორიის გამოვლენის რაკურსით. რ. ასათიანი ქართველურ ენებს გრამატიკული კატეგორიების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე დომინანტურ კატეგორიად წარმოაჩენს „კომუნიკაციის აქტში მონაწილეობის (მთავარი წევრობის)“ კატეგორიას, რომელიც ზედაპირულად ვლინდება:

ა) მანისა და ვინის რიგის პირის ნიშნების ოპოზიციით; **მ-** გამოხატავს კომუნიკაციისათვის „არამთავარ“ წევრს, **ვ-** კი – „მთავარს“;

ბ) I/II:III დიქოტომიითა I/II > III იერარქიით; I/II („მთავარი“) პირი ყოველთვის აღინიშნება ზმნაში, III („არამთავარი“) პირი კი გარკვეული პირობებით;

გ) პოლიპერსონალიზმის ძირითადი ფუნქციით: I/II პირების აუცილებელი გრამატიკული მარკირება ზმნაში;

დ) ქცევის ფორმებით: თუ ეკუთვნის „მთავარ“ წევრს (resp. I/II პირს), ზმნაში ჩნდება, – ი- პრეფიქსი, თუ „არამთავარს“ (resp. III პირს) – **ი-** ან **უ-** (**ი-** ჩნდება, როდესაც „არამთავარი“ სახელი მოქმედია, **უ-** კი, როდესაც „არამთავარი“ სახელი სამოქმედოა).

ე) მიმართულებითობის კატეგორიის თავისებურებით: „მთავარი“ წევრებისაკენ მიმართული მოქმედება აღინიშნება ზმნაში რთული მო-იანი ზმნისწინებით, „არამთავრისაკენ“ კი – მარტივით;

ვ) უნახაობის კატეგორიის გრამატიკულობით: უნახავი მოქმედება გადმოიცემა III სერიის ზმნური ფორმებით, არაუნახავი კი – I/II სერიის ზმნური ფორმებით და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე რ. ასათიანი ასკვნის, რომ ტიპოლოგიურად ახალი მიდგომით დომინანტური კატეგორია შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს ენათა ჯგუფის განმსაზღვრელ ნიშნად, რომლის მიხედვით შესაძლებელია განხორციელდეს ენათა კლასიფიკაცია. ამას მოყვება გრამატიკულ კატეგორიათა შორის არსებული იერარქიული დაპირისპირებები, რაც დადგინდება იმის მიხედვით, თუ ზედაპირული რეალიზაციების დროს რომელი კატეგორიის მარკირებას მიეცემა უპირატესობა.

ქართული ენისათვის გრამატიკულ კატეგორიათა შორის არსებული იერარქიები განსხვავებულია სერიების მიხედვით.

შრომის ავტორი არ იფარგლება ქართულით. მან ამ კუთხით გამოიკვლია ბაცბური, ბასკური და მუნჯანის ენები. ფაქტობრივად, ეს იყო უზარმაზარი სამუშაო, რომელსაც რ. ასათიანმა წარმატებით გაართვა თავი და დიდძალი ფაქტობრივი მასალის ანალიზზე დამყარებული შრომა შემოგვთავაზა. მით უმეტეს, რომ ამ მიმართულებით რ. ასათიანს წინამორბედი არ ჰყოლია.

ჩემი აზრით, ქართველურ ენათა ტიპოლოგიური კვლევისთვის რუსუდან ასათიანის ეს ნაშრომი საეტაპოა. იგი უდიდესი შენაძენია ქართველოლოგებისათვის.

მარიკა ჯიქია

* * *

პატრიკ სერიო, *სტრუქტურა და მთლიანობა, სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები,* თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თინათინ ბოლქვაძემ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2015, 351 გვ.

ლოზანის უნივერსიტეტის (შვეიცარია) პროფესორი *პატრიკ სერიო* მრავალი წელია იკვლევს ენათმეცნიერების ისტორიისა და ეპისტემოლოგიის, ენათმეცნიერებისა და სხვა დარგების ურთიერთგავლენის საკითხებს. იგი, როგორც ფრანგულენოვანი სლავისტი, მისივე ინტერპრეტაციით, მუშაობს „გადამზიდავად" ორ კულტურას შორის. ფრანგულად თარგმნის რუს ენათმეცნიერთა შრომებს და ვრცელ სამეცნიერო ანალიზს ურთავს მათ, ხოლო რუსულ ენაზე გადააქვს ფრანგ ლინგვისტთა ნაშრომები. განსაკუთრებით ცნობილი გახდა მისი წიგნი პრაღის სტრუქტურალიზმზე, პრაღის ლინგვისტურ წრეზე, რომელიც ჩეხ მეცნიერებთან ერთად დააარსეს რუსეთიდან ემიგრირებულმა ბოლშევიკურ რევოლუციასთან დაპირისპირებულმა ინტელექტუალებმა. მართალია, ისინი ენათმეცნიერებისადმი ინტერესმა გააერთიანა, თუმცა მათ უფრო დიდი გეგმები ჰქონდათ – ახალი ევრაზიული სახელმწიფოს შექმნა, რომელიც დაეყრდნობოდა მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის იმპერიის ტერიტორიას, მაგრამ უპასუხებდა ახალი საუკუნის მოთხოვნებს. „ყოველ საუკუნეს აქვს ისეთი გრამატიკა, როგორიც შეესაბამება მის ფილოსოფიას" (ანტუან მეიე). თეორიული ენათმეცნიერების ისტორია განიხილება როგორც „მეცნიერულ პარადიგმათა" ერთგვარი მონაცვლეობა დროსა და სივრცეში, პარადიგმათა რიგში უმნიშვნელოვანესია ფერდინანდ დე სოსიურის „სინქრონიული ლინგვისტიკა":

ა) სტრუქტურული ლინგვისტიკა (ნ. ტრუბეცკოი, რ. იაკობსონი);

ბ) დესკრიფციული ლინგვისტიკა (ლ. ბლუმფილდი და ამერიკელი სტრუქტურალისტები...);

გ) ენობრივი ტიპოლოგია და ლინგვისტური უნივერსალიები (ჯ. გრინბერგი, გ. კლიმოვი...) (გამყრელიძე 2008).[1]

დასავლეთში გავრცელებულია სტრუქტურალიზმის ისტორიის ხაზოვან ევოლუციად წარმოდგენა სოსიურიდან ლევი-სტროსამდე და როლან ბარტამდე, რომლის რგოლებია 20-30-იანი წლების პრაღა და კოპენჰაგენი.

პ. სერიოს სარეცენზიო წიგნიდან მოვიყვანთ რ. იაკობსონის ტექსტს, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ სტრუქტურალიზმის ერთ-ერთ მანიფესტად (გვ. 302): „თუ ჩვენ მოვინდომებთ მოკლედ ჩამოვაყალიბოთ თანამედროვე მეცნიერების მთავარი აზრი მის მრავალფეროვან გამოვლინებაში, უფრო ზუსტ სიტყვას, ვიდრე *სტრუქტურალიზმია*, ვერ ვიპოვით. მოვლენათა ყოველი ერთობლიობა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება შეისწავლის, განიხილება არა როგორც ნაწილთა მექანიკური ჯამი, არამედ როგორც სტრუქტურული მთლიანობა, როგორც სისტემა და უმთავრესი მიზანია, რომ აიხსნას მისი შინაგანი კანონები სტატიკასა და დინამიკაში“.[2]

მთლიანობა შეიძლება გადმოიცეს ორგვარად:

1. ან მიმართებები გვაძლევს საშუალებას გამოვავლინოთ არსი, რომელიც „არსებობს“, როგორც სამეცნიერო და როგორც ემპირიული ობიექტი;
2. ან მთლიანობის ელემენტები ურთიერთგანპირობებულია ერთიანი ორგანიზმის ნაწილების მსგავსად და „არსებობენ“ ფიზიკურად, მაგრამ მათი გაგება შეიძლება მხოლოდ ორგანიზმის ცოცხალი ფუნქციონირებისას მათი როლის მიხედვით.

პირველი არის სოსიურის პოზიცია: სისტემა კონსტრუქციაა, რომელიც იგება გარკვეულ თვალსაზრისზე, მეორე კი – პრაღის ლინგვისტური წრის: იაკობსონისა და ტრუბეცკოისთვის სისტემურია სამყარო, რეალობა, ამიტომ მათი სამეცნიერო პრაქტიკა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ონტოლოგიური სტრუქტურალიზმი (რა თქმა უნდა, არა ფიზიკური შინაარსით). ენა სოსიურთან არის აბსტრაქტული, პოტენციური, ვირტუალური ობიექტი, რომელიც იგება დაპირისპირებებზე, ტრუბეცკოისთან და იაკობსონთან, პირიქით, მოვლენები არსებობენ იქამდე, სანამ მათ შეისწავლიან“ (გვ. 304).

პარადიგმების თეორია ძნელად გამოსაყენებელია ლინგვისტურ იდეათა ისტორიისთვის, როგორც ჩანს, ერთი მხრივ, დიდი ხნის მანძილზე სრულიად განსხვავებული პარადიგმები თანაარსებობენ ისე, რომ ერთმანეთს არ ენაცვლებიან. ისეც ხდება, რომ პარადიგმები კი არ უარყოფენ, არამედ ვერ ამჩნევენ ერთმანეთს. ამას გარდა, სკოლების, მოძრაობების, ტენდენციების ზოგიერთ პარადიგმაში შეიძლება

---

[1] თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია, თეორიული ენათმეცნიერების კურსი, თბილისი 2008.

[2] Jakobson R., Über die heutigen Voraussetzungen der russischen Slavistik, *Slavische Rundschau,* 1:8, 1929, Prague, 629-646.

შედიოდეს სხვა პარადიგმის ცალკეული ნაწილები, რომლებსაც გადაიაზრებენ და სრულიად ახლებურად იყენებენ. ამიტომ, როგორც პ. სერიო აღნიშნავს, აუცილებელია მეცნიერთა ტექსტების დაკვირვებით კითხვა, ეს აგვაცილებს აპრიორულ წარმოდგენებს სკოლებზე, მიმართულებებსა და პარადიგმებზე და მოგვცემს საშუალებას, გამოვავლინოთ ენობრივი სისტემის სირთულე და მრავალფეროვნება. დაწერილი ტექსტის მიმართ სერიოზული დამოკიდებულება ვერ გუობს ვერც წინასწარ შთაბეჭდილებებს და ვერც მკვლევრის მეცნიერული თუ პირადი ფანტაზიით კონცეფციების დაყოფას (გვ. 12). მაგალითად, 1932 წელს იაკობსონისთვის მიწერილ წერილში ტრუბეცკოი აღნიშნავს, რომ სოსიურის „კურსის“ კითხვისას მხოლოდ „ძველ ნაგავს“ ხედავს (გვ. 21-22), რაც წარმოაჩენს პრაღელების დამოკიდებულებას სხვა ენათმეცნიერული წრეების მიმართ. თუმცა „ფონოლოგიის საფუძვლების“ ავტორი ფონოლოგიისა და ფონეტიკის გამიჯვნისას აშკარად ეყრდნობა ენისა და მეტყველების სოსიურისეულ ოპოზიციას, ოღონდ სოსიური ამ წიგნში მხოლოდ ერთხელ არის ნახსენები და ეს არის ერთადერთი შემთხვევა ტრუბეცკოის მთელ შემოქმედებაში, როცა მან სოსიური დადებითად მოიხსენია (გვ. 21). მოგვიანებით (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ) სოსიურის შემდეგდროინდელი სტრუქტურალიზმის უნიფიცირებული სახე ყველამ აღიარა.

ამ პასაჟის კითხვისას კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თავად ავტორები იღებენ ტრაგიკულად მათგან განსხვავებულ ხედვებს, თორემ მეცნიერების განვითარების თვალსაზრისით ასეთი განსხვავებული ხედვები სწორედაც რომ მისასალმებელია. ამიტომ მე აქ ვერ ვხედავ ტრაგედიას, ალბათ, ავტორები უნდა გათავისუფლდნენ ამბიციებისგან და ისტორია თავად დაალაგებს ყველაფერს. თუმცა ისტორია, მოგეხსენებათ, არ არის მარტივი მდინარება დროისა, მისი თანმხლები კატაკლიზმები ყოველთვის აისახება ხალხის არა მარტო ეკონომიკურ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მის სულიერ ყოფაზე. მაგალითად, საბჭოეთის დროის იდეოლოგიური წნეხის გამო ენათმეცნიერები დაგვიანებით ან საერთოდ ვერ ეცნობოდნენ თავიანთი თანამედროვე უცხოელი კოლეგების ნაშრომებს (მით უმეტეს, ემიგრანტებისას), რაც განაპირობებდა საბჭოთა ენათმეცნიერების ჩაკეტილობას, ხელს უშლიდა ლინგვისტური იდეებისა და თეორიული სიახლეების ურთიერთგაზიარებას. როგორც ჩანს, მაგალითად, გიორგი ახვლედიანი მხოლოდ მას შემდეგ გასცნობია ნიკოლოზ ტრუბეცკოის ნაშრომს „ფონოლოგიის საფუძვლებს“, როდესაც იგი ითარგმნა გერმანულიდან რუსულად და გამოიცა საბჭოთა კავშირში. მანამდე გ. ახვლედიანი დამოუკიდებლად ავითარებდა თავის მოსაზრებებს ქართული ენის თანხმოვანთა სამეულთა სისტემაზე, მის მიერ გამოთქმული შეხედულებები ჩამოყალიბებულია 1922-26 წლებში გამოქვეყნებულ სტატიებში. გ. ახვლედიანის მსჯელობა ქართული ენის სამეულთა სისტემაზე ამჟღავნებს საოცარ მსგავსებას ნ. ტრუბეცკოის „ფონოლოგიის საფუძვლებში“ განხილული კორელაციისა და ფონემათა კორელაციური კონების მაგალითებთან. ასევე, რომან იაკობსონი გიორგი

ახვლედიანის ნაშრომს ქართული და კავკასიური აბრუპტივების შესახებ მხოლოდ 1951 წელს გაეცნო ლ. შჩერბასადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულიდან. მოგვიანებით მან დაწერა სპეციალური ნაშრომი აბრუპტივების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1968 წელს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში. აქ იგი მაღალ შეფასებას აძლევს გ. ახვლედიანის წვლილს ქართული და კავკასიური აბრუპტივების კვლევის საქმეში (გვ. XVI, თ. ბოლქვაძის წინასიტყვაობა).

სტრუქტურული ლინგვისტიკის დიფერენციალური ნიშან-თვისებები შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ოთხი პრინციპის მიხედვით:

1. დისკრეტულობის პრინციპი: ენა შედგება სასრული რაოდენობის დისკრეტული ელემენტებისგან;
2. სტრუქტურულობის პრინციპი: ენა წარმოადგენს დისკრეტული ელემენტების არა რაღაც მოუწესრიგებელ სიმრავლეს, გროვას, არამედ გარკვეული წესით ორგანიზებულ სისტემათა ერთობლიობას, ანუ სტრუქტურას, სადაც თითოეული ერთეულის ფუნქცია განისაზღვრება არა იზოლირებულად, არამედ სხვა ერთეულებთან მიმართებაში;
3. ფუნქციონალური ეკვივალენტობის პრინციპი: ენის თვალსაზრისით იდენტურია ის, რაც ფუნქციურად ეკვივალენტურია. ფორმალური იგივეობა (ე.ი. იგივეობა გამოხატულებისა) არ არის საკმარისი და აუცილებელი პირობა ენობრივი ერთეულის იდენტიფიკაციისთვის;
4. სინქრონიულობის პრინციპი: ენობრივ ერთეულთა გამოყოფა, მათი გაერთიანება სტრუქტურულ კლასებში და მათ შორის ფუნქციონალურ დამოკიდებულებათა დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სინქრონიული ანალიზის საფუძველზე. დიაქრონია განიხილება როგორც ცალკეულ სინქრონიულ ჭრილთა თანმიმდევრობა დროში, ანუ, უფრო ზუსტად, როგორც პროცესი გადასვლისა ერთი სინქრონიული მდგომარეობიდან მეორეში.

პრაღის სკოლის მიდგომა განიხილება როგორც სტრუქტურალიზმისა (კონტექსტის უმთავრესი მნიშვნელობის აღიარება) და ფუნქციონალიზმის (ყოველი ენობრივი ერთეული ან კომპონენტი – ფონემა, მორფემა, სიტყვა, წინადადება – არსებობს იმიტომ, რომ მას გარკვეული ფუნქცია აკისრია) ნაზავი; ისინი ყურადღებას ამახვილებდნენ არა მხოლოდ ენის, არამედ მისი თითოეული ელემენტის ფუნქციაზე სისტემაში, ხოლო ენის ანალიზისას სინქრონიულ და დიაქრონიულ მიდგომას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში გაიაზრებდნენ, მათთვის ენა სისტემათა ანუ სუბსისტემათა სისტემაა. ისინი სოსიურისგან განსხვავებით მკვეთრად არ მიჯნავდნენ ერთმანეთისგან სინქრონიასა და დიაქრონიას.

მთარგმნელის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ: „პრაღის ლინგვისტური წრის დამსახურება ენათმეცნიერების წინაშე არის *ფონოლოგიის საფუძვლების* შექმნა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, ეს დიდი საქმე პოლიტიკური ინტერესებით დაიწყო. პატრიკ სერიოს წიგნი ასე მთავრდება: „ისინი ინდოეთს ეძებდნენ და ამერიკა აღმოაჩინეს“ (გვ. 313).

ამ მოკლე მეტაფორულ დასკვნას წინ უძღვის ვრცელი მსჯელობა ენათა კავშირის ცნების წარმოქმნის, ენებს შორის მსგავსებისა და განსხვავებების კვლევის, ევრაზიულობის სადავო პოლიტიკური თეორიის ძირითადი პუნქტების შესახებ ფართო კულტუროლოგიურ ფონზე. ამაზე მეტყველებს წიგნის თავების დასახელებაც: საზღვრები და ჩარჩოები, ევრაზიული მოძრაობა, სივრცობრივი ფაქტორი, წყვეტილობა და უწყვეტობა, ევოლუციონიზმი თუ დიფუზიონიზმი? დანათესავება, ბიოლოგიური მოდელი, შესაბამისობების თეორია, პერსონოლოგია და სინთეზი მეცნიერებაში, ჰოლიზმი: რა არის მთლიანობა?

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ამ სიღრმით და მომცველობით არავის უკვლევია. ეს წიგნი საინტერესო გზებით ატარებს მკითხველს ენათა ნათესაობის გენეალოგიური ხის დაწუნებული მეტაფორიდან, თანამედროვე ლინგვისტურ თეორიამდე. ნაშრომის მიზანია ლინგვისტურ მოძღვრებათა წარმოქმნის ისტორიული პირობების, ერთსა და იმავე პერიოდში მოქმედი თეორიების ან თანამედროვე მოდისკუსიე ველების ურთიერთგავლენების გამოაშკარავება. დროის (ეპოქის) სულისკვეთებისა და ადგილის სულის იმ ატმოსფეროს აღდგენა, რომელშიც ცოცხლობს და ყალიბდება აზრი (გვ. 27).

ამდენად, ქართველ მკითხველს ელის უაღრესად სერიოზული ნაშრომი „სტრუქტურა და მთლიანობა“, რომელიც საინტერესოა არა მხოლოდ ლინგვისტიკის, არამედ ყველა იმ ინტელექტუალისთვის, ვისაც აინტერესებს იდეათა ისტორია.

ორიოდ სიტყვა თავად თარგმანზე. ყოველი ახალი თარგმანი რომ ამდიდრებს ჩვენს თვალსაწიერს, ეროვნულ მეცნიერებას ახალი ხედვებით, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ისიც მოგეხსენებათ, რომ თარგმანის სხვადახვა სახეობა არსებობს: ზეპირი ანუ სინქრონული, დოკუმენტური (კანცელარიული, იურიდიული და სხვ.), მეცნიერული, პწკარედული და მხატვრული... არამხატვრულ თარგმანში სიზუსტე სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას, იდენტურობას ნიშნავს, აქ ცნებებთან, ტერმინებთან გვაქვს საქმე, მეცნიერების ყოველ დარგს თავისი ავტონომიური ლექსიკონი აქვს, სადაც მკაცრად არის შემოსაზღვრული ყოველი სიტყვის, ცნებისა თუ ტერმინის სემანტიკური ველი. და რაც უფრო ვიწროა ეს ველი, ანუ მნიშვნელობის არეალი, მით უფრო ზუსტი და მეტყველია ეს ტერმინი. შესაძლოა ითქვას მეტიც: არამხატვრული ტექსტი სინონიმიზაციასაც გამორიცხავს. აქ სტილიც მკაცრად უნდა იყოს დაცული. მეცნიერულ მსჯელობას თავისი სტილი აქვს, იურიდიულ დოკუმენტს თავისი საკუთარი, ხოლო საკანცელარიოს თავისი და მათი ერთმანეთში აღრევა დაუშვებელია (ვ. კოტეტიშვილი, აღმოსავლურ დასავლური დივანი, „დიოგენე“, თბილისი 2003).

პ. სერიოს „სტრუქტურა და მთლიანობა“ რთული ტექსტია, მისი ადეკვატური თარგმანის მომზადება მხოლოდ პროფესიონალ ლინგვისტს თუ შეეძლო, რასაც თინათინ ბოლქვაძემ წარმატებით გაართვა თავი.

მარინე ივანიშვილი

* * *

პაატა ცხადაია, *წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2015, 318 გვ.*

თსუ ქართული ენის ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა *პაატა ცხადაიამ* ოცწლიანი (1969-1989 წწ.) საველე-საექსპედიციო მუშაობის შედეგად დასავლეთ საქართველოს მთასა და ბარში მოპოვებული დიდძალი ტოპონიმური მასალის ცალკეულ ნაკვეთებად გამოქვეყნება 2003 წლიდან დაიწყო. პირველად გამოქვეყნდა „სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“ (თანაავტ. *ვილენა ჯოჯუა*), ხოლო 2004 წელს სერიის – *„სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“,* პირველ წიგნში ავტორმა თავი მოუყარა წალენჯიხის რაიონში აღნუსხული 5000-ზე მეტი დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდებიდან შერჩეულ მხოლოდ ისეთ ერთეულებს, რომლებიც ფონეტიკური, ლექსიკური, სიტყვაწარმოებითი, მოტივაციური თუ ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დააინტერესებდა ტოპონიმიის მკვლევარსა თუ მკითხველს.

2015 წელს გამოცემულ წიგნში – *„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“* – შევიდა მკვლევრის მიერ 45 წლის წინ მშობლიურ რაიონში მოპოვებული მთელი მასალა. თუკი პირველ წიგნში სალექსიკონო ერთეულები შიდაენობრივი ასპექტით იყო გაანალიზებული, განვლილ პერიოდში ენათმეცნიერების, ისტორიისა და ეთნოგრაფიის დარგებში გამოცემულმა გამოკვლევებმა, აგრეთვე მეგრული ენის ფუნდამენტურმა ლექსიკონებმა, მკვლევარს მისცა დამატებითი შესაძლებლობა, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტოპონიმები გარეენობრივი ასპექტითაც შეესწავლა. ესაა დიდი ფორმატის, 320-გვერდიანი წიგნი, რაც შედგება წინასიტყვაობის, ორი ძირითადი ნაწილის, დანართებისა და ლექსიკონში დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სიისაგან.

მკვლევარმა მშობლიური სანახებისადმი სიყვარული და მოწიწება იმით გამოხატა, რომ წიგნის პირველი და მეორე, შევსებული გამოცემა უძღვნა ქალაქ ჯვარის მელიტონ ქანთარიას სახელობის საშუალო სკოლის პედაგოგთა ხსოვნას. მათ „არ დაიშურეს ცოდნა და გამოცდილება, რათა ჩაენერგათ ჩვენთვის მაღალზნეობრიობა, კაცურკაცობა, სამშობლოს სიყვარული, ადამიანის პატივისცემა და დღეს კი იმქვეყნიურ საუფლოში განისვენებენ ვალმოხდილნი“ (გვ. 3).

წიგნის რედაქტორია *მერაბ ჩუხუა,* ხოლო რეცენზენტები არიან *შუქია აფრიდონიძე, მანანა ბუკია* და *იგორ კეკელია.*

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი მოკლედ მიმოიხილავს წალენჯიხის რაიონის (ამჟამად მუნიციპალიტეტის) ფიზიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას და აღნიშნავს, რომ სამეგრელოს რეგიონში, ტერიტორიის მიხედვით, (647,1 კმ^2) საკვლევი რაიონი მეოთხე ადგილზეა, მარტვილის, ზუგდიდისა და ხობის რაიონების

შემდეგ. 1987 წლის მდგომარეობით წალენჯიხის რაიონში 2 საქალაქო, 12 სასოფლო საბჭო და 39 დასახლებული პუნქტი იყო (ორი ქალაქი – წალენჯიხა და ჯვარი, 37 სოფელი). მათგან სამ საკრებულოში (ჭალის, მუჟავისა და ფახულანისა) შემავალი 10 სოფელი, პ. ცხადაიას ცნობით, „მდებარეობს ენგურის მარჯვენა მხარეს და აღწევს მდ. ერისწყლის ზემო წელამდე“ (გვ. 4). დანარჩენი სოფლები ენგურის მარცხენა მხარესაა და აღწევს ხობისწყლის მარჯვენა შენაკადამდე – მდ. სქურჩამდე (სოფლები: ულურია, ლეჯოლიხე, ლეთკანთი).

ლექსიკონში ავტორი სოფლების ადგილმდებარეობას საკრებულოების მიხედვით უთითებს, ხოლო სხვა ობიექტებისას – სოფლებისა და სატყეოების მიხედვით. „სატყეოსთან“ დაკავშირებით კი შენიშნავს, რომ ეს ტერმინი პირობითია და ლექსიკონში გამოყენებულია მთის დაუსახლებელი ტერიტორიის აღსანიშნავად, სადაც შეიძლება იყოს როგორც ტყე და ალპური საძოვარი, ისე ნასოფლარიც. წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე 5 სატყეო ზონა ყოფილა – ჭალისა, ხუდონისა, მაგანისა, ჯვარისა და სქურისა. მოცემულია თითოეული მათგანის საზღვრები (გვ. 5).

ტოპონიმიური მასალის ველზე მოპოვება-ჩაწერა, მით უმეტეს, მთიან და მთისწინა რეგიონში, დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. პ. ცხადაიას, რომელმაც გასული საუკუნის 60-80-იან წლებში სოფელ-სოფელ, უბან-უბან, ტყე-ხეობათა თუ ალპურ საძოვართა ნაბიჯ-ნაბიჯ დავლისა და, რაც შეიძლება მეტი რესპონდენტის გამოკითხვის გზით, გულმოდგინედ ცდილობდა ბუნებრივი თუ ხელოვნური, დიდი თუ მცირე ობიექტების სახელწოდებათა აღნუსხვას, საველე მუშაობის სტილთან დაკავშირებით წიგნის წინასიტყვაობაში მოჰყავს 1970 წლის 30 აპრილს სამუშაო რვეულში გაკეთებული შემდეგი შემაჯამებელი ჩანაწერი: „ნაგურუსა და კუხეშში ვიმუშავე ოთხი დღე. უბნების მიხედვით მარშრუტი ასეთი იყო: 27.04 – ლეჩიქვანე, ლეგვილე, ლეშეროზიე, ლეაბრალე; 28.04 – ლეჯღანჯღე, ლეჭიჭაღუე, ლეხვიჩე, ლემორგოშე; 29.04 – ლეწულაიე, ბურღეფი, ლემალაზონიე, ლეგობეჩიე; 30.04 – ლეარდიე, ლეიჩიე, ლეფიფიე, ლებუე, ლებოხუე. შევხვდი 40-მდე ინფორმატორს. დამრჩა ორი უბანი – ნოჟალი და ლეკაკალე“ (გვ. 6). თითოეული სოფლისა და შემოგარენის ადგილთა სახელების ჩაწერისას ავტორის რესპონდენტები იყვნენ 11-15 წლის მოზარდებიც და ხანდაზმულებიც – საუკუნეს გადაცილებულნი. მათი სია, მასალის ჩაწერის წლისა და ჩაწერისას რესპონდენტთა ასაკის მითითებით, მოცემულია ცალკეული დასახლებული პუნქტების მიხედვით, ლექსიკონის II დანართში (გვ. 288-305). ხანდაზმულ რესპონდენტთაგან აქვე დავასახელებთ წალენჯიხელ რაჟდენ კოწიას ძე კალანდიას (1969 წლისათვის 100 წლის ყოფილა), მუჟაველ ალექსი ფიფიას (110 წლის), კუხეშელ ეგნატე ანტონის ძე ლომაიას (101 წლის, 1970 წ.), ნაგურუელ ჯოგო სოსელას ძე აბრალავას (103 წლის, 1970 წ.), მოზარდებიდან – ლესალელ მაია ჟორას ასულ კვარაცხელიას (11 წლის, 1970 წ.), ჩქვალერელ

ქეთინო დავითის ასულ ფიფიას (10 წლის, 1969 წ.), ფახულანელ სერიოჟა ვარლამის ძე ქარდავას (11 წლის, 1969 წ.), საჩინოელ რევაზ მელენტის ძე გულორდავას (11 წლის, 1970 წ.) და სხვანი.

ლექსიკონში დასახელებული რამდენიმე ასეული რესპონდენტიდან დღეს ცოცხალთა შორის უმეტესობა აღარ არის, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ 2015 წელს პ. ცხადაიას ავტორობით გამოცემული წიგნის ფურცლები მათი სახელისა და ნათელი ხსოვნის ერთგვარი სამყოფელია.

წიგნის ხელახალი გამოცემა, 2004 წლის გამოცემასთან შედარებით, ავტორის თქმით, რამდენიმე ნიშნითაა განსხვავებული: ჯერ ერთი, მასში პ. ცხადაიამ თავი სრულად მოუყარა 45 წლის წინათ წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე აღნუსხულ ტოპონიმიურ მასალას, მეორეც – შეეცადა, რომ უფრო ღრმად და შეძლებისდაგვარად სრულად წარმოედგინა ენობრივი და ექსტრალინგვისტური ანალიზი.

ლექსიკონი, როგორც აღვნიშნეთ, ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მიზნად ისახავს ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულებისა და სოფლების ისტორიულ-გეოგრაფიულ დახასიათებას, არსებული ისტორიული წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გაანალიზების საფუძველზე. აქვე მოცემულია დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფიზიკურ გეოგრაფიაზე მსჯელობისას ლექსიკონში დამოწმებულია ქსე-ს ცნობა მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ეგრისის ქედის ერთ-ერთი მთავარი განშტოების – ღვამანდრას მდებარეობის შესახებ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, 1987:286). ავტორი აზუსტებს საენციკლოპედიო ცნობას და აღნიშნავს, რომ ჭანისწყლის ზემოთში,

„ლაკადასა და ლაკადისძირა სოფლებში ეგრისის ქედის იმ შტოქედს, რომელშიც შედის ყვირა და გაუჩა..., ეწოდება გვამარდა (და არა ღვამანდრა)“ (გვ. 10). იქვე დაზუსტებულია ქსე-ს ცნობა მდ. ჯუმთან და ოჩხამურთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, თითქოს, წალენჯიხის რ-ნის ტერიტორიაზე მიედინება ჯუმი და ოჩხომური (ზემო დინებით) (ქსე XI, 1987). სინამდვილეში, მდ. ჯუმი მიედინება ზუგდიდის რ-ნის ტერიტორიაზე, ხოლო წალენჯიხის რაიონში მისი მხოლოდ ორი სათავე-მდგენელი – ზღვაია და ლიარსანეა; ოჩხომური კი, – ხობისწყლის მარცხენა შენაკადი, შეუძლებელია ზემო დინებით წალენჯიხის რ-ნში იყოს. „როგორც ჩანს, – დაასკვნის მკვლევარი, – საენციკლოპედიო სტატიის ავტორები გულისხმობენ მდ. ჩხოუშიას, რომელიც მართლაც იწყება წალენჯიხის რ-ნის სოფ. პირველ ეწერში“ (გვ. 10).

საინტერესოა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის ავტორისეული მიმოხილვა, ოდიშის მთავარ დავით დადიანის მიერ XIX ს-ის 40-იან წლებში განხორციელებული დაყოფიდან მოყოლებული, 2002 წლის ჩათვლით (გვ. 10-12).

ჯვარის საქალაქო ადმინისტრაციული ერთეულის ფიზიკური და ისტორიულ-გეოგრაფიული დახასიათებისას პ. ცხადაია შენიშნავს, რომ პირველი წერილობითი წყარო, სადაც აღნიშნული დასახლებული პუნქტი მოიხსენიება, თარიღდება 1639 წლით. ესაა რუსეთის მეფის ელჩების – ელჩინისა და ზახარიევის ელჩობის რუსულენოვანი აღწერილობა. აქვე ყურადღება გამახვილებულია ე.წ. „ჯვარულ თქმაზე“ და დამოწმებულია ალ. ცაგარელის თვალსაზრისი ზუგდიდურ-სამურზაყანული დიალექტის ჯვარული თქმის ერთ თავისებურებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ესაა **დ→ჯ** (აფრიკატიზაციის) ფონეტიკური პროცესი: რაგადი→ რაგაჯი, უბედური→უბეჯური. ი. ყიფშიძე დ→ჯ ფონეტიკური პროცესის საფუძველზე „ჯვარული თქმის“ გამოყოფას გაუმართლებლად მიიჩნევდა. პ. ცხადაია იმოწმებს ხანდაზმულთაგან გაგონილს, „რომ ხუდონელები „ჯუჯალანდეს“ ('ჯ-ს წარმოთქვამდნენ დ-ს ნაცვლად'). ამის გადმონაშთად ავტორი ხუდონის პარალელურ ფორმად დღესაც გავრცელებულ „ხუჯონს“ მიიჩნევს, თუმცა იქვე იმოწმებს მკვლევართა ჯგუფის თვალსაზრისს: „თანამედროვე ენობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანულ დიალექტში ე.წ. ჯვარული თქმის ცალკე გამოყოფის რაიმე ლინგვისტური საფუძველი არ არსებობს“ (გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, 2010, გვ. 33-34).

ისტორიული ვითარების გათვალისწინებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის პ. ცხადაიას ერთ-ერთი რესპონდენტი, ლიის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფ. *პალურის* ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით: „გაუვალი, ანუ პალიასონი ტყე-ჭაობი ყოფილა. ამიტომაც დარქმევია პალური“; „თქუანდეს – პალურს მუ გოკონია, უდამური ტყა რენია. ათე ტყას აფხაზი ყურსალეფი ტყობუდეს, მარგალეფს იხვამილუანდეს დო ინგგრიშ მელე გგმოჩანდესგ... ჩქგნი ჯვეშეფი იშო-იშო მიკათანჯანდეს ჯალეფს დო თაში გაიშურთუმუნა ინგირიშა. ეიშა ხალხი ხვალე სუკეფს მიკახორანდგ“. პ. ცხადაიას განმარტებით, მეგრულში *პალურ*-სიტყვას რამდენიმე მნიშვნელობა მიუღია: ა) მდორე, მყუდრო, ღრმა წყალი, სადაც თევზს საკვებს უყრიან, რათა შემოიჩვიონ; ბ) გაუვალი ტყე-ჭაობი, უღრანი ტყე; გ) ნაყოფიერი შავი მიწა მდინარისპირებზე“ (გვ. 24). რასაკვირველია, ამ მნიშვნელობათაგან ერთ-ერთი თავისუფლად შეიძლებოდა სოფლის სახელდების მიზეზი გამხდარიყო.

მიქავა, პ. ცხადაიას ცნობით, სოფელი და ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრია და წალენჯიხიდან 6 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. სოფლის უწინდელი სახელწოდებაა *ფუქი,* რაც, რესპონდენტთა განმარტებით, მიწის სახეობაა: არც ძალზე მაგარი, არც ძალზე რბილი, ტკილნარევი მიწაა. სხვა განმარტებით, *ფუქს* ეძახიან ხავსს, რაც ხეებსა და კლდეებზე იზრდება, ტენიან ადგილებს ეტანება და მწვანე ფერი აქვს. 1939 წელს, სამეგრელოს გლეხთა 1856 წლის აჯანყების მეთაურის – *უტუ მიქავას* სახელის უკვდავსაყოფად, სოფლისთვის მიქავა უწოდებიათ. მაშასადამე, ეს სახელწოდება თავისი შინაარსით აღნიშნავს საკუთარ

სახელს, რომლის დენოტატიც გონებრივი, კერძოდ, იდეოლოგიური, მუშაობისა თუ მოღვაწეობის შედეგია, იდეური ოიკონიმია.

მკვლევარი ოიკონიმ *„მუჟავას“* ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას არ იზიარებს ავტორთა იმ ჯგუფის თვალსაზრისს, რომლებიც მუჟავას სპეციალური მაწარმოებლების გარეშე წარმოქმნილ ტოპონიმთა შორის ასახელებენ ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, 2015, გვ. 190). ამ ვარაუდს, პ. ცხადაიას აზრით, ის გარემოება უშლის ხელს, რომ ზეპირსიტყვიერებასა და საისტორიო-საეკლესიო ძეგლებში პირსახელი თუ გვარსახელი *მუჟავა* არ ჩანს. ვფიქრობთ, დამაჯერებლობა აკლია რედაქტორის – მ. ჩუხუას შენიშვნასაც, რომ, თითქოს, მუჟავა *გუდა-ვა*-ს ტიპის გვარსახელური წარმომავლობის ტოპონიმია: *მუჟა-ყმა→მუჟა-ცვა→მუჟავა* (გვ. 28).

საგულისხმო და დამაჯერებელია ავტორის მსჯელობა სახელწოდება *„ულურიას“* სემანტიკასა და მოტივაციასთან დაკავშირებით, რაც ლექსიკონში შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული: ოიკონიმის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო *ორული* „სამარულო (ადგილი)“. ბგერათგადასმისა (**რ-ლ**) და ასიმილაციის (**ო-უ→უუ**) ფონეტიკური პროცესის შემდეგ *ორული* ფორმას დაერთო სპეციალური მატოპონიმებელი **-ა** სუფიქსი, რამაც მოგვცა *ულურია* ფორმა (გვ. 30-31).

ოიკონიმ *„ქალაღალის“* მოტივაციაზე მსჯელობისას ავტორი შენიშნავს, რომ პ. გაბისონიას დასკვნა – „საკუთრივ ქალაღალიდან „ღალ“ ღელეს ნიშნავს, „ქალას“ წარმომავლობა უცნობია“, სიზუსტეს მოკლებულია: მდინარის პირას ძმებს – თოდუებს დუქნები ჰქონიათ. სწორედ აქედან მოდის მდინარის სახელწოდება *ქალაღალი* (←*ქალაქიშ ღალი* „ქალაქის ღელე“), რაც მოგვიანებით დასახლებული პუნქტის სახელწოდებად ქცეულა. სამეგრელოში „ქალაქ“ ფუძიანი ტოპონიმები იშვიათი როდია. თვით *ქალაღალი* – სოფელი ფახულანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ერისწყლის მარცხენა შენაკადის – ქალაღალის ხეობაში, ზ.დ. 350 მ., წალენჯიხიდან 35 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (გვ. 39).

ქართ. *წყალ-* ფუძის მეგრული შესატყვისის – *წყუ*-ს ფონეტიკურ გარდაქმნათა გზა ჰ. ფენრიხსა და ზ. სარჯველაძეს შემდეგი სახით აქვთ წარმოდგენილი: ქართ. *წყალ*: მეგრ. *წყაუ→წყოუ→წყუუ→წყუ* (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000, გვ. 657). პ. ცხადაია ოიკონიმ *„წყოუშს“* ერთ-ერთი იმ ფონეტიკური ეტაპის დადასტურებად მიიჩნევს, მაგრამ არ გამორიცხავს სახელწოდების სხვაგვარი გააზრების შესაძლებლობასაც; კერძოდ, „მეგრულში *წყოუ* აღნიშნავს შქერს (მცენარესა და ნაყოფს). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგრ. *წყოუ-ში* და სვან. *წყაუ-აშ* ერთი და იმავე ძირისა და შინაარსის შემცველი ტოპონიმებია და ნიშნავს:

„წყავისა“ ან „წყლისა“. მკვლევარი იქვე იმოწმებს განმარტებებს ალ. ქობალიას „მეგრული ლექსიკონიდან“: „*წყოუ* – წყავი; *წყოუში* – წყავიანი, წყაროვანი, წყლისპირა ზოლი“ (გვ. 40).

ინტერესს იწვევს გადმოცემა უზარმაზარი ძალ-ღონის პატრონ, ჩერქეზ თუ აფხაზ *არამხუტუზე*, რომელსაც შეეძლო ხის გრძელი ჯოხით – ლაბაშათი გადახტომა ხევიდან ხევზე. ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, არამხუტუ ჯვარში ცხოვრობდა და ადგილობრივი მეჯოგის მწყემსი ყოფილა. მასთან კონფლიქტის გამო ოხაჩქუეს მღვიმეში დაბინავებულა და იქიდან უშენდა უზარმაზარ ქვებს ჯვარელთა კარ-მიდამოს. ბოლოს არამხუტუმ აქაური ქალიც მოიტაცა. ჯვარელებმა იგი ლეშამუგეს ეკლესიის წმ. გიორგის ხატს გადასცეს. „ლეშამუგელები“ XIX საუკუნეშიც კი უჩვენებდნენ არამხუტუს ნასროლ ქვას და მისეული ლაბაშის ნამსხვრევებს“ (გვ. 43).

თუკი დევგმირ *არამხუტუს//ერემხუტუს* რეალურად არსებულ პიროვნებად მივიჩნევთ, მისი ეთნიკური კუთვნილების (ჩერქეზი ან აფხაზი) გათვალისწინებით, მასზე შემორჩენილი გადმოცემები, როგორც იშვიათი ძალ-ღონის პატრონზე და ჯვარელთა დამწიოკებელზე, იმ დროის გამოძახილი უნდა იყოს, როცა იწყება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთიელი ტომების გახშირებული თავდასხმები, რომლებმაც საფრთხე შეუქმნეს ოდიშის სამთავროს მთიან მხარეს (XVII-XVIII სს.). ამის დასტურია პ. ცხადაიას ერთ-ერთი რესპონდენტის ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული გადმოცემაც, რომ პალურის ტყეში დამალული აფხაზები მეგრელებს იტაცებდნენ და ენგურსგაღმა ყიდდნენ. ჩვენი აზრით, არამ-ხუტუ სწორედ XVII-XVIII საუკუნეებში მცხოვრები ჩერქეზი თუ აფხაზი მწყემსი უნდა ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტოპონიმ *არამხუტუმ ქუალეფი*-ს „არამხუტუს ქვების“ დამოწმება ჯვარის სატყეოში. ასე ეწოდება სამ ქვა-ლოდს ყვირას მთაზე (მაგანის ხეობისა და ჭანისწყლის ზემოთის წყალგამყოფი ქედი). პარალელური სახელწოდებაა *ქვაქანცალა//ქუაოქანცაია// ქუაოქანცალაია,* რაც მეგრულში „მერწევ, მერხევ, მოქანავე ქვას“ ნიშნავს. ერთი ქვა-ლოდი ზემოდან ადევს ორ ქვას და მცირე შეხებაზეც კი ირყევა, ირხევა. გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის – ბორის გერგედავას აზრით, ყვირას უტყეო ზონაში, მდ. ინწირას სათავეში, ზ. დ. 800 მ სიმაღლეზე მდებარე, 10-11 ტონის ქუაქანცალია დღეისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული ერთადერთი მოქანავე ლოდია, რომელიც თითის მიბჯენითაც ქანაობს და გამოსცემს კაკუნის ხმას. ლოდის ოთხი საყრდენი წერტილიდან ერთი მათგანი ყოველთვის თავისუფალია (ბ. გერგედავა, ეგრისის ქედი, ჟურნალი „აია“, 7, 1999, გვ. 196). ეს ინფორმაცია დაზუსტებას საჭიროებს: მოქანავე ლოდი *ქვაყუნტიას//ქვაკუნტიას* სახელწოდებით ცნობილია ზემო იმერეთშიც, კერძოდ, ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზედა რგანის ტერიტორიაზე (შდრ.: *ქვაყუნტი* – მთა სოფ. იტრიაში, *ქვაყუნტიი(ს) სერი//ქვაკუნტიი(ს) სერი* – საძოვარი, სერი სოფ. ჭალოვანში (იხ. საქართველოს სსრ ტოპონიმია (მასალები), ტ. I. ზემო იმერეთი, 1987, გვ. 207).

ლექსიკონის მეორე და ძირითად ნაწილში საერთო ანბანის რიგზე დალაგებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 5000-მდე დიდი და მცირე ობიექტის სახელწოდება. ტოპონიმთა დიდ ნაწილს ახლავს ენობრივი და გარეენობრივი ანალიზი.

შეძლებისდაგვარად გათვალისწინებულია ენათმეცნიერული და ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევების მონაცემები, აგრეთვე მეგრული ენის ფუნდამენტურ ლექსიკონებში მოცემული განმარტებანი.

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი“ მრავალმხრივ საინტერესო ლექსიკონია. ბუნებრივია, წიგნის მოცულობისა და მასში თავმოყრილი ტოპონიმების რაოდენობის გათვალისწინებით, ყველა საკითხზე ყურადღების გამახვილება გაგვიჭირდება, მაგრამ აღვნიშნავთ, რომ XIX საუკუნიდან ქართველების რუსეთის იმპერიასთან ინტენსიური ურთიერთობა, გარკვეულწილად, აისახა იმ რუსულენოვან აპელატივებში, რომლებიც მეგრულს სალიტერატურო ქართული ენიდან უსესხებია, ანდა ზეპირი გზით შეუთვისებია. მაგ.: ხევს ოხაჩქუეს მთისკალთაზე, ჭალის სატყეოში, *ანგლიჩანეფიშ ნარეის* ეწოდება. პ. ცხადაიას ლექსიკონში ამ ტოპონიმს რესპონდენტის შემდეგი ცნობა ახლავს: „ინგლისელებს ჰქონდათ თურმე ოხაჩქუე იჯარით აღებული და წიფელი და წიწვოვანი ხე-ტყე („უჩა ტყა“) რელსით ჩამოჰქონდათ ენგურამდე. დაჟანგული რკინის ძელები ახლაც ყრია ამ ხევში“ (გვ. 52). რეᲣცა, ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის“ მიხედვით, იგივეა, რაც რუს. Рельса ლიანდაგი: რეᲣსა←რელსა, ლ→Უ (ო. ქაჯაია მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, 2002, გვ. 519). 1972 წლიდან ენგურჰესის მშენებელთა დასახლებად ქცეული ფოცხოეწერის (სოფელი ჭალის ადმინისტრაციულ ერთეულში) არაოფიციალური სახელწოდებაა *პრავი ბერეგი* (რუს. Правый берег), რადგან, პ. ცხადაიას ცნობით, ჰესის მშენებელთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულენოვანი იყო (გვ. 45).

საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რესპონდენტი ყალიშში მდებარე ხევის – *არმიანსკიშ დგნასქგლედი*-ს „არმიანსკის დანარჩომი“ სახელწოდების მოტივაციასთან დაკავშირებით: ხეტყის დამამზადებელ ვინმე არმიანსკის ამ ხევში ერთი დიდი მორი დარჩენია და არმიანსკიშ დგნასქგლედი თავდაპირველად იმ მორისთვის დაურქმევიათ. პ. ცხადაიას კომენტარი: „ტოპონიმი იმის ნიმუშია, რომ მორის სახელიც კი შეიძლება გადაიქცეს გეოგრაფიული ობიექტის სახელად“ (გვ. 54). სახნავს სოფ. პალურში, ხუფაიის მარჯვ. მხარეს, *დაგავორი* ჰქვია. შდრ.: რუს. договор „ხელშეკრულება“. გადმოცემით, გლეხ უდუია სამუშაოს ეს მიწა დადიანის მოურავისაგან – ბახვა დგებუაძისაგან „დაგავორით“ შეუძენია (გვ. 75).

კანატიშდუდი//პრისტანი დავაკების სახელწოდებაა ჯვარის სატყეოში, ყვირას მთაზე. რესპონდენტის ცნობით, აქ იყო ხეტყის დასატვირთი ბაქანი. ხე-ტყე აქამდე „კანატით“, ე.ი. საბაგირო გზით, ჩამოჰქონდათ. შდრ.: რუს. пристань, канат (გვ. 97). *ოგულე* ეწოდება გზას და ფერდობს ინწრის მარცხენა მხარეს, ს. ჩქვალერში. ამოსავალია რუს. гулять „სეირნობა“, ოგულე „სასეირნო (ადგილი)“ (გვ. 170), გულენს „სეირნობს“ (იქვე).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საერო და საეკლესიო ნაგებობათა აღწერილობა მოცემულია ისტორიკოს დავით ჭითანავას ავტორობით 2010 წელს გამო-

ქვეყნებულ ნაშრომში („ეკლესიები და თავდაცვითი ნაგებობები სამეგრელოში“). გეოგრაფიულ სახელწოდებებს შემოუნახავს მნიშვნელოვანი ცნობები ზოგიერთი საეკლესიო და საერო-თავდაცვითი ნაგებობის შესახებ, მაგრამ ბევრმა მათგანმა ასახვა ვერ პოვა დ. ჭითანავას წიგნში. სამაგიეროდ, მათ შესახებ ცნობებს გვაწვდის პროფ. პაატა ცხადაია. საილუსტრაციო მასალა: მაგანის სატყეოში, მაგანაენგურის წყალგამყოფ სერზე, ჯვარი-მესტიის გზის მარცხ. მხარეს, შემაღლებაზე შემორჩენილ ციხე-კოშკის ნაშთს *გაგაჩიშ ჯიხა//გაგაჩიაშ ნაჯიხ* ეწოდება (გვ. 63-64).

ბარბალობაშ ცხაცხუ რქმევია ჯაღირა-ობუჯის საზღვარზე მდგარ სარიტუალო ცაცხვის ხეს, სადაც აბულაძეები ბარბალობასთან დაკავშირებულ რიტუალს აღასრულებდნენ (გვ. 57). სალოცავ ადგილს მიუთითებენ სოფ. ქალაღალში, სადაც ქალაღალსა და ერწყარს შუა მდებარე ტყებორცვს *გინახვამას* „ნალოცვარ ადგილს“ უწოდებენ. აქ, ტყეში დასობილ ჯვართან სცოდნიათ „ჟინი ღორონთის“, „დუდი ღორონთის“ ლოცვა და ხურდა ფულის დაყრა. შესაწირად ერთ წელს თიკანი მიჰყავდათ, მომდევნო ორ წელს კი ხოზო მიჰქონდათ. პირჯვარს იმ მხარეს გადაიწერდნენ, საიდანაც მზე ამოდიოდა, და ღმერთს კაცისა და საქონლის სიკეთეს შესთხოვდნენ. აქვე იმართებოდა პურობა, ხოლო რიტუალს *უნჩაშ მახვამერი* წარმართავდა (გვ. 67). სალოცავი ყოფილა ქ. წალენჯიხაში, სადაც გორას *გგთახვამუ* ეწოდება. აქ მდგარ სამ ცაცხვთან კალანდიებს სალოცავი ჯინჯიხატი ჰქონიათ: ქვაზე დასვენებულ რკინის ჯვართან წელიწადში ერთხელ, ნებისმიერ თვეში, აქ მოსული გათხოვილი ქალები ლოცვას აღავლენდნენ და შესწირავდნენ ცომისაგან გამოძერწილ-გამომცხვარ ძროხას, გოჭსა და მამალს. გითახვამუს სამეგრელოში ეძახდნენ სალოცავ ხეს, რომლის ქვეშ საღვთო რიტუალი სრულდებოდა (გვ. 73). *ალერტხარჩილე//გგწახვამუ* ეწოდება ბორცვს წალენჯიხის განაპირას, ჭანისწყლის მარჯვენა ნაპირას. აქაც სალოცავი ადგილი ყოფილა: მცირე დავაკებაზე მდგარა სამი ცაცხვი, რომლის ძირშიც რკინის ჯვარი და ბოძალი იყო დასობილი. გადმოცემით, ალერტხარჩილე ჯინჯიხატის სახელი ყოფილა, სადაც ყოველ მესამე წელს სალოცავად მოდიოდნენ აქაური ქალები, სხვაგან გათხოვილები. ეს ალერტი ხარჩილავების გვარის სალოცავი იყო. სახელიც აქედან მოდის (გვ. 51).

დობერაშ ნახვამუ საძოვრის, მცირე ტაფობის სახელწოდებაა ჯეგგფაცხაში. აქ ორ ბორცვს შუა დიდი ქვაა ჩარჭობილი. დობერა ადგილის სახელია, ხოლო ნახვამუ←ნაოხვამუ←ოხვამე „სალოცავ ადგილს“ ნიშნავს. თუმცა ხანდაზმულებს აქ სალოცავის არსებობა არ ახსოვთ (გვ. 79).

სარიტუალო ადგილია აგრეთვე *ესკედა//ესქედა//ესქეტა*. ასე ეწოდება გორას ჭანისწყალსა და ინწირას შუა, ლარასა და მედანში. რესპონდენტთა განმარტებით, აქ მდგარ ურთხელის ხესთან ღვთაება *ესქედას, ესკედას,* საქონლის დაცვა-გამრავლებას შესთხოვდნენ. აქვე სცოდნიათ ე.წ. „დაფიცება“ (როცა ვინმე სიმარ-

თლის დამტკიცებას შეეცდებოდა). „ესქედა ხორციელის“ სალოცავს მიუთითებენ სოფ. ფახულანშიც, სადაც ოლორის მარჯვენა მხარეს მდებარე მაღალ გორას და უბანს ასევე *ესქედა* ჰქვია. ამ ადგილის მომლოცველნი იყვნენ გოგოხიები, გერგედავები, გუჩუები, კუკავები და შონიები. გვარიდან უფროსები მუხაზე მიჭედებულ ჯვართან „იხვამანდეს“ (გვ. 83).

საკულტო დანიშნულების წყაროს და მინდორს სოფ. მუჟავაში, არქანიების უბანში, *ყველიშია* ეწოდება. პ. ცხადაია იმოწმებს რესპონდენტის უაღრესად საინტერესო ცნობას: „თავისებური წყალია. ყოველთვის ერთ დონეზეა, ფერს არ იცვლის, ნახშირის ნამცეცები გამოაქვს. ეს წყალი საკულტო დანიშნულებისაა: გვალვისას აქ მოჰყავთ სამსხვერპლო ხარი, შესწირავენ ღმერთს და სთხოვენ წვიმის გამოგზავნას“ (გვ. 240).

ცვანთიშ მიოხვამუ//ჩხოროცხაცხუ მცირე მინდვრის სახელწოდებაა ცვანთის კალთასა და ხურჩას სათავეს შუა, სოფ. ლარაში. მთაში მიმავალ მწყემსთა პირველი მოსალოცავი ადგილი სწორედ ამ მინდორზე, ერთი ძირიდან ამოსულ ცხრა ცაცხვთან ყოფილა. „იგი მისცემდა საშუალებას, გაეგრძელებინათ გზა ოფუჩამდე, სადაც ურთხელი იდგა. იქაც მოილოცავდნენ. მესამედ ლოცვა უნდა აღევლინათ ნაოხვამუში. მერე თავისუფლად მიაღწევდნენ ალპურ საძოვრებს“ (გვ. 249).

მიოხვამუს „სალოცავ-სახვეწარის“ სახელწოდებით არაერთი ადგილია ცნობილი წალენჯიხის მუნიციპალიტეტში. შდრ.: *მიოხვამ(უ)* – 1. ბორცვი ქვედა ჭველეში, ნაკალმახღალის მარჯვენა მხარეს; 2. ურთხელი სქურში, იაკობაშ კარესთან; *მიოხვამუ//ნაოხვამუ* – სალოცავი წიფელი და ბორცვი ჭანისწყლის მარცხენა მხარეს, ჟინი ობუჯის კიდეზე. ამ წიფელს *ჯეგეშ გილახვამუც* ერქვა (ნაკიფუ); *მიოხვამუ//ტობეშიშ მიოხვამუ* – ორი სალოცავი თხმელა ტობეშის ტყეში, ცვანთის დასავლეთ კალთაზე; საზაფხულო საძოვრებისკენ მიმავალი მწყემსები ამ თხმელების ძირში ლოცულობდნენ და შესაწირავის სახით ტოვებდნენ ხორცს, კვერსა და ღვინოს, ხოლო ხეზე მიაკრავდნენ სანთელს (ნაგურუ); გედგრაკილიშ მიოხვამუ//ძგგრონაშ მიოხვამური – სალოცავი ურთხელი ლაკადაში, ჭანისწყალინწირის წყალგამყოფზე, ცვანთსა და გედგრაკილს შუა. ამ ურთხელს მეორე სახელიც ერქვა – *მიოხვამუ(რი)// გგთახვამალი ურთხელი; მიოხვამუშ სუკი* – ბორცვი ენგურისა და ოლორის წყალგამყოფ სერზე. აქ მდგარი ნამეხარი მუხა და მასზე მიჭედებული ჯვარი გერგედავებისა და შონიების სალოცავად იყო მიჩნეული. მუხას სწირავდნენ კალმახს (ჭველე).

მეტაფორულ ტოპონიმთა რიგში უნდა განვიხილოთ ენგურის მარჯვენა მხარეს, სვანეთის საზღვართან, ხუდონის სატყეოში მდებარე მთის წვერის სახელწოდება *ბერქუდი* „ბერის ქუდი“. მთის წვერი შორიდან ბერის ქუდივით არის ასვეტილი (გვ. 59). მეტაფორული ტოპონიმია აგრეთვე *გორვალი* – დაბალი სერი, ჭანისწყალ-ჯაღრაღალის წყალგამყოფი სოფ. ჯაღირაში. ადამიანის სხეულის ნაწილთან ბუნებრივი ობიექტის მიმსგავსების საფუძველზე სერისთვის გორგალი „ზურგი, ხერხემალი“ შეურქმევიათ (გვ. 69).

უმოტივაციო, სემანტიკურად გაუმჭვირვალე გეოგრაფიული სახელწოდების ნიმუშია ორწყანდის მარცხ. შენაკადის – *ბირგულამის* სახელწოდება. ასე ეწოდება ღელეს ნაკიფუსა და ულურიაში. ბირგულამი მეგრულში იგივეა, რაც „მუხლიანი“. ალ. ქობალიას განმარტებით კი ბირგულამი მუხლადია, ძლიერია. „მართალია, ბირგულამი გადატანით სწრაფსა და ფეხმარდს ნიშნავს, მაგრამ ამ მდინარის წყალი სწრაფი დინებით არ გამოირჩევა“, – წერს ავტორი. შესაბამისად, ჰიდრონიმის მოტივაციაც ბუნდოვანია (გვ. 60).

ცნობილი ფოლკლორისტის, კ. სამუშიას განმარტებით, ჭანისწყლის მარცხენა ნაპირას მდებარე სერის ფერდობს, რომელზედაც წალენჯიხის მაცხოვრის ეკლესია დგას, *გაშფერდი* იმიტომ დარქმევია, რომ ურმის *გა*-ს, ე.ი. ურმის ძარას მოყვანილობისაა (კ. სამუშია, კოლხეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში, *ქართული ზეპირსიტყვიერება. მეგრული ნიმუშები.* 1990, გვ. 143). პ. ცხადაია არ იზიარებს „გაშფერდის“ ამგვარ ეტიმოლოგიას. იგი იმოწმებს მეგრულის ლექსიკონებში მოცემულ *გა* სიტყვის ორმაგ მნიშვნელობას: ო. ქავჯაია: „გა – 1. ბორცვი, გორაკი, სერი, მხარე; 2. ურმის ძირითადი ნაწილი, ზესადგარი, ხელნა (ურმისა)“; შესაბამისად, მართებულად მიიჩნევს *გა*-ს გააზრებას ოროგრაფიულ ნომენად, რაც დაბალ სერს, თხემს, ოდნავ წაგრძელებულ ბორცვს აღნიშნავს (გვ. 65).

ტოპონიმის წარმოქმნაში თანდებულის იშვიათად მონაწილეობის ნიმუშია *მარანიშ უკახალე* „მარნის უკან“ – სახნავი სოფ. ფახულანში (გვ. 129) (შდრ. *ხინჯიშთუდო* „ხიდსქვემოთ“) და *ობინახენ თუდოლენი* „ვენახს ქვემოთა“ – ტყე ლექარდეში, სოფ. პ. ეწერში (გვ. 169). ამგვარივე წარმოებისაა ამავე სოფლის ტოპონიმები – *აბრალეფიშ წოხ(ი)ლენი, ძაძამიეფიშ წგმეიანი.*

წიგნის I დანართი საყურადღებოა წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. სამეგრელოს (და ლეჩხუმის) პირველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განხორციელება, პ. ცხადაიას აზრით, დაკავშირებულია ოდიშის (სამეგრელოს) უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის სახელთან (XIX ს. შუა ხანები). XIX ს-ის ბოლო მეოთხედში არსებული დაყოფა შეიცვალა. წალენჯიხის რაიონის ტერიტორია და სოფლები მოექცა ზუგდიდის მაზრის წალენჯიხის უბანში (ცენტრი – სოფ. წალენჯიხა). 1886 წლისათვის ამჟამინდელი წალენჯიხის რ-ნის ტერიტორიაზე არსებობდა 7 თემი და 13 სოფელი, 3141 კომლით და 20258 სულით. საბჭოთა პერიოდში განხორციელებული ახლებური დარაიონების შედეგად წალენჯიხის რაიონი ზუგდიდის მაზრაში მოექცა. 1928 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ცნობარის მიხედვით წალენჯიხის რაიონში 8 სასოფლო საბჭო და 37 სოფელი იყო (გვ. 282-284). 1886 და 1928 წლების მონაცემთა შედარების საფუძველზე ავტორი დაასკვნის, რომ „ადვილად ვლინდება მე-20 საუკუნის დასაწყისი ათწლეულების ძირითადი სოციალური, დემოგრაფიული და მიგრაციული

ტენდენცია – დასახლებული პუნქტებისა და კომლების დაწვრილერთეულება და ლტოლვა (ალბათ ახალი კომლებისა) გზისპირა სოფლებში დასასახლებლად“ (გვ. 285).

1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წალენჯიხის რაიონში 14 ადმინისტრაციული ერთეული იყო. ამ ინფორმაციას ავტორის რამდენიმე შენიშვნაც ახლავს. კერძოდ, ერისწყალი წარმოადგენდა ენგურჰესის მუშათა დასახლებას, რომელიც ამჟამად გაუქმებულია; მიქავას დაუბრუნდა უწინდელი სახელი ფუქი; საბჭოთა პერიოდში სააფაქიო ე(ნ)წერის სახელით ცნობილ მაღლობზე შეიქმნა ორი სოფელი: პირველი ეწერი (შედიოდა ჯვარის სას. საბჭოში) და მეორე ეწერი (შედიოდა ლიის სას. საბჭოში). მეორე ეწერის ცალკე სასოფლო საბჭოდ გამოყოფის შემდეგ სოფელს და სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძე ეწოდა. პირველი ეწერი დარჩა ჯვარის სასოფლო საბჭოს შემადგენლობაში, ეწერის სახელწოდებით. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ორჯონიკიძეს მიენიჭა სახელწოდება პირველი ეწერი (გვ. 286).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პაატა ცხადაიას სარეცენზიო წიგნში თანაბრად საინტერესო მასალაა თავმოყრილი სამეგრელოს ისტორიის, საისტორიო გეოგრაფიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორისა და სხვა საკითხებით დაინტერესებული მკითხველისა და სპეციალისტებისათვის.

ივორ კეკელია

შინაარსი

ბაქარ გიგინეიშვილის შრომების ბიბლიოგრაფია 5

ბაქარ გიგინეიშვილი. კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში 13

ლია აბულაძე. ენა, პოეზია და თარგმანი 20
Lia Abuladze. Language, Poetry and Translation 36

Марина Алексидзе. Вопросы синтаксиса в трудах Ежи Куриловича 38
მარინე ალექსიძე. სინტაქსის საკითხები ეჟი კურილოვიჩის ნაშრომებში 41

რუსუდან ასათიანი. პირი და რიცხვი საერთო-ქართველურში 42
Rusudan Asatiani. Person and Number in the Proto-Kartvelian Language 58

ციური ახვლედიანი. არასტაბილური E [ə]-ს ფონეტიკური და
ფონოლოგიური სტატუსი თანამედროვე ფრანგულში 60
Tsiuri Akhvlediani. Phonetic and Phonological Statuses of Unstable E [ə]
in Modern French 64

თინათინ ბოლქვაძე. „ენობრივი კავშირი“ საბჭოთა ენათმეცნიერებაში
ნაწილი მეორე: ალოგენეტური ნათესაობის
იდეიდან ნოსტრატულ თეორიამდე 66
Tinatin Bolkvadze. “Language Union” in Soviet Linguistics. Part II: From the
Idea of Allogenetic Relation of Languages to the Nostratic Theory 99

მარინე ივანიშვილი. ეტიმოლოგიური ძიებანი: ლაგოდეხი, მაჭი 100
Marine Ivanishvili. Etymological Investigation: Lagodexi, Mač’i 106

Gia Kvashilava. On Reading the Vessel Name – KA-TI of
Linear A Inscription on Tablet HT 63 108
გია კვაშილავა. ka-ti – ჭურჭლის აღმნიშვნელი სახელის ამოკითხვა
HT 63 თიხის ფირფიტის A კლასის ხაზოვან წარწერაში 118

ივანე ლეჟავა. აბრუპტივები ქართველურ ენებში 119
Ivane Lezhava. Abruptives (Ejectives) in Kartvelian Languages 125

ნიკოლოზ ოთინაშვილი. სოფელ ჭარების ონომასტიკა 135
Nikoloz Otinashvili. Onomastics of the Village “Charebi” 138

ლალი ქეცბა-ხუნდაძე. ტექსტი და დისკურსი ეპისტემური
კონტექსტუალიზაციის პერსპექტივიდან 139
Lali Kezba-Chundadse. Text- und Diskursanalyse aus der Perspektive der
epistemischen Kontextualisierung 157

რამაზ ქურდაძე. სურამის ეტიმოლოგიისათვის 159
Ramaz Kurdadze. On the Origin of “Surami” 162

ენათმეცნიერების ისტორიიდან

ლეონიდ ჩეკინი და მისი თარგმანი *(თინათინ ბოლქვაძე)* 164
Леонид Чекин. Расмус Раск в Грузии 165

თარგმანი

ჰანს ფოგტი. სტალინი და ენობრივი დისკუსია საბჭოთა კავშირში 180

მეთიუ დრაიერი. აღწერითი თეორიები, ამხსნელობითი თეორიები და ენათმეცნიერების საბაზისო თეორია 194

რეცენზიები

რუსუდან ასათიანი. ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით), გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1994 (მარიკა ჯიქია) 223

პატრიკ სერიო. სტრუქტურა და მთლიანობა, სტრუქტურალიზმის ინტელექტუალური საფუძვლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: 1920-30-იანი წლები, თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო თინათინ ბოლქვაძემ, ილიას სახელმწიფო უნივერისტეტი, თბილისი 2015 (მარინე ივანიშვილი) 226

პაატა ცხადაია. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული სახელწოდებანი (შევსებული გამოცემა), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2015 (იგორ კეკელია) 231

გამომცემლობის რედაქტორები:	ცირა ჯიშკარიანი ნანა კაჭაბავა
გარეკანის დიზაინი	მარიამ ებრალიძე
კომპ. უზრუნველყოფა	ლალი კურდღელაშვილი

TSU Press Editors:	Tsira Jishkariani Nana Katchabava
Cover Designer	Mariam Ebralidze
Layout Designer	Lali Kurdghelashvili

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14

14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179
Tel: 995(32) 225 14 32

www.press.tsu.edu.ge